

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ოთარ გოგიაშვილი

**მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი
გადაჭრის გზები საქართველოში**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა - 0701 ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **ნიკოლოზ ჩიხლაძე**

ქუთაისი, 2013 წელი

| | |
|---|------------|
| შესავალი | 3 |
| თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში | 10 |
| 1.1. მცირე და საშუალო მეწარმეობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია | 10 |
| 1.2. მცირე და საშუალო ბიზნესის იდენტიფიკაციის და მხარდაჭერის აქტუალური პრობლემები | 36 |
| 1.3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საზღვარგარეთის ქვეყნებში | 58 |
| თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში | 85 |
| 2.1. მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში | 85 |
| 2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში | 118 |
| თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები | 150 |
| 3.1. მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობა | 150 |
| 3.2. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობა საქართველოში | 179 |
| დასკვნები | 203 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 210 |

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა. ნებისმიერი საზოგადოება წარმოდგენილია მატერიალური წარმოების გარეშე. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საქმიანი ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყველა ეს ცნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, ბიზნესად იწოდება, რომელშიც მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს ასრულებს.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. ამ ქვეყნებში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მშპ-ს 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ [64, გვ. 4].

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მცირე ბიზნესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-თვის არნახული მნიშვნელობა შეიძინა. მცირე საწარმოთა ძირითადი მასა არიან კომპანიები, სადაც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ.

მცირე საწარმოები ეფექტიანობას ავლენენ არა მარტო სამომხმარებლო სფეროში, ასევე მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში, როგორც ცალკეული მცირე მექანიზმების, დეტალების და ნახევარფაბრიკატების მწარმოებლები, რომელთა გამოშვება არარენტაბელურია მსხვილი საწარმოებისათვის. აღნიშნული საფუძველად

უდევს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებში მცირე საწარმოების განსაზღვრის და მათი როლის მიმართ სისტემურ მიდგომას. ბოლო წლებში, მიუხედავად კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისა რიგ ქვეყნებში, არ მომხდარა მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბების შეზღუდვა, რამდენადაც მათ სიცოცხლისუნარიანობის არნახული უნარი გამოავლინეს.

ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. როგორც წესი, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში.

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა, მისი ფორსირებული განვითარება (ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მსბ-ში იქმნება ქვეყნის დამატებული ღირებულების 19–20%, და სამუშაო ადგილების 43–44%). ეს იმითაცაა განპირობებული, რომ რეფორმების ოცწლიანი გამოცდილების მიუხედავად, საქართველო რჩება გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნად. სწორედ წინააღმდეგობრივმა, ხშირად არაჰარმონიზებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ვერ შექმნეს სტრუქტურული გარდაქმნის წინაპირობები და გაუაზრებელი დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვიეს.

საქართველოს სხვა ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბება ესაჭიროება, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი, განვითარებადი და ზრდის მუხტით აღჭურვილი. ახალი ტიპის ეკონომიკისაკენ გზა სწორედ კერძო მეწარმეობის ფორმატის ცვლილებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადის, რომელიც ეკონომიკაში ახალი სტრუქტურული ცვლილებების მუხტის მატარებელია. მართალია მცირე და საშუალო ბიზნესს არ შეუძლია დაკარგული პოზიციების დაბრუნება მძიმე და გადამმუშავებელი მრეწველობის ბევრ დარგში, მაგრამ ხელეწიფება გადამწყვეტი როლი შეასრულოს

მუნიციპალური და რეგიონული განვითარების კონცეფციებში, დარგობრივ კლასტერებში.

ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა კონკურენციის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ფორმირება, მოსახლეობის დასაქმება, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში.

თუკი საქართველოს ეკონომიკა ახალი ტიპის ეკონომიკად უნდა ჩამოყალიბდეს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საჭიროება გარდაუვალია. შესაბამისად, ამ ტიპისა და მასშტაბების ბიზნესის განვითარება პრიორიტეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად უნდა იქცეს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შესწავლას და ეფექტიანობის ამაღლების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. სწორედ ამან განსაზღვრა თემის არჩევანი და პრობლემის აქტუალურობა.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა ფუნქციონირების ფუნდამენტური ანალიზი, ამ ზომის ბიზნეს-სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეზერვების გამოვლენა და მათი ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება.

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ფორმულირებულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შეფასება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის იდენტიფიკაციის და მხარდაჭერის დეტალური ანალიზი სხვადასხვა ტიპის ქვეყნებისათვის;
- მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის მოდელების შესწავლა და თავისებურებების გამოვლენა სხვადასხვა ტიპის ქვეყნებისათვის;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეტაპების დადგენა, მისი კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა შესაბამისი ინდექსების გაანგარიშების საფუძველზე;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეტაპების დახასიათება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის დეტალური ანალიზი საქართველოში;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობის განზოგადება და განვითარების საპროგნოზო მაჩვენებლების გამოთვლა;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობის დასაბუთება და პრაქტიკული დანიშნულების მქონე წინადადებათა პაკეტის შემუშავება.

სიახლე. საკვალიფიკაციო ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე მოიცავს იმ მიდგომების შემუშავებას, რომელიც ეყრდნობა რა სამეცნიერო-მეთოდურ საფუძვლებს, ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას. კერძოდ, ავტორის მიერ შემოთავაზებულია მცირე საწარმოთა დაბეგვრის ახალი მექანიზმი, მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა და ნაჩვენებია ამ სექტორის განვითარების ობიექტური აუცილებლობა საქართველოში. სამეცნიერო წვლილის ელემენტები ასახულია ჩატარებული კვლევების შედეგებში და გამოტანილია დასაცავად.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანის გადასაწყვეტად, რაც ზოგადად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას გულისხმობს. კერძოდ:

ა) მცირე და საშუალო ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის (ახალი კანონპროექტის „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ ფორმირებისას);

ბ) უნივერსიტეტების ბაზაზე ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრის ფორმირებისათვის, რომელიც შეიძლება იქცეს ინოვაციური მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მიმართულებად. მრავალ უნივერსიტეტსა და დარგობრივ უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია ძლიერი პროფესიული ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ მათში განთავსდეს და ექსპერტიზა ჩაუტარდეს მცირე ფირმების ინოვაციურ პროექტებს.

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი კურსების სწავლებისას, როგორცაა „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“, „მეწარმეობა“, „მიკროეკონომიკა“.

კვლევის მასალები და მეთოდოლოგიური მიდგომები გამოიყენება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სპეციალური დისციპლინა „მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკისა და მართვის პრობლემები“).

კვლევის შედეგები (გამოკითხვის შეჯამება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საპროგნოზო მაჩვენებლები, რეალურ ფულად ნაკადებზე გადასახადის მოდელი ამ სექტორის ბიზნესისათვის) საინტერესოა ასევე მეწარმეებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი საკვლევი საკითხები და მათი დამუშავების მდგომარეობა მიმდინარე ეტაპზე. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემატიკა მრავალმხრივ არის შესწავლილი ქართველი (რ. ასათიანი, ნ. ჭითანავა, ი. მესხია, გ. პაპავა, ე. ბარათაშვილი, ე. მექვაბიშვილი, მ. თეთრუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ნ. ორჯონიკიძე, თ. როსტიაშვილი, ლ. ცეცხლაძე, ე. ჯულაყიძე, ნ.

ჩიხლაძე და სხვ.) და უცხოელი (რ. ხიზრიჩი, ფ. ხაიევი, ი. შუმპეტერი, მ. პიტერსი, ა. ბუნიჩი, ა. ლაპუსტა, ა. ხოსკინგი, ე. შკრებელა, პ. შოლმი, რ. კოუზი, ა. მიცკი ლ. სტაროსტინი, და სხვ.) მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი მკვლევარების მიერ. თუმცა ბევრ შრომაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ეფექტიანობის ამადლების საკითხები ძირითადად მიკროდონეზე ან ზოგად კონტექსტშია განხილული.

ავტორის ძირითადი წვლილი მდგომარეობს მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემათა გამოწვლილვით შესწავლაში და ღრმა ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. კვლევის პროცესში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, სინთეზის, გრაფიკული და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების, აბსტრაქტულ-ლოგიკური, შედარებითი და ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები.

აღნიშნული მეთოდების კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელი გახდა წარმოჩენილიყო მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირებისა და განვითარების მრავალმხრივი სურათი, რაც ამ სექტორის მხარდაჭერის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების წინაპირობად იქცა. კვლევის საგანია მცირე და საშუალო ბიზნესის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები, მათი კანონზომიერებები, რეგულირებისა და ხელშეწყობის პრობლემები საქართველოში. კვლევის ობიექტია მცირე და საშუალო ზომის ეკონომიკური სუბიექტები, ამ საქმიანობით დაკავებული ბიზნეს-სექტორის მდგომარეობისა და უმთავრესი ასპექტების შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

დისერტაციის მოკლე შინაარსი თავების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში „მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში“ განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია. გამოკვლეულია სხვადასხვა მეცნიერთა და ეკონომიკურ სკოლათა შეხედულებები როგორც ზოგადად მეწარმეობის, ისე მისი მცირე და საშუალო სექტორის როლთან და მნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ მეწარმეობა არის მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების, დამოუკიდებელი, ინიციატივიანი

საქმიანობა (საქონლის წარმოება, მომსახურების გაწევა, სამუშაოთა შესრულება), რომელიც მიმართულია მოგების (შემოსავლის) სისტემატური მიღებისაკენ.

დისერტაციის ამავე თავში ფიქსირდება მრავალმხრივ ანალიზზე დაფუძნებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა „მცირე“ და „საშუალო“ ბიზნესის განსაზღვრების ერთიან სტანდარტებთან დაკავშირებით. სხვადასხვა ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან. „მცირე საწარმოს“ დეფინიციას, სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებში მისი ფართო გავრცელების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ აქვს მყარი საფუძველი. ერთადერთი, რაზეც ყველა მკვლევარი თანხმდება, ესაა მცირე საწარმოების სიმყიფე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არასრულყოფილება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. სამართლიანად ითვლება, რომ მკვლევართა უმრავლესობა ამ ტერმინს ხშირად არასათანადოდ იყენებს.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი **„მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში“** საქართველოს პრობლემატიკის განხილვას ეთმობა. კერძოდ, პირველი პარაგრაფი განიხილავს მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებს საქართველოში. დისერტაციის ამავე თავის მეორე ნაწილში მოცემულია მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში. იგი მოიცავს:

- 2007-2008 წლების დეტალურ ანალიზს;
- ჩვენს მიერ 2012 წელს ჩატარებული გამოკითხვის დემონსტრირებას;
- სამეწარმეო სექტორის ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს და შეფასებას.

დისერტაციის მესამე თავი **„მცირე ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“** განიხილავს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობას და ასაბუთებს ასეთი მხარდაჭერის ობიექტურ აუცილებლობას.

მცირე და საშუალო ბიზნესის პერსპექტივებისა და პოლიტიკის ცალკეული ინსტრუმენტების განსაზღვრის მიზნით მოვახდინეთ ამ სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის პროგნოზირება ანალიზის და მისი შემადგენელი ელემენტების საფუძველზე, რისთვისაც ვისარგებლეთ ექსტრაპოლირების მეთოდით. ასევე შერჩეული ინდექსების საფუძველზე გამოყვანილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ინდექსები

და ამის საფუძველზე წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესის პერიოდიზაცია საქართველოში.

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში

1.1. მცირე და საშუალო მეწარმეობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია

სიტყვა „ბიზნესის“ (ინგლ. Business - საქმე, მეწარმეობა) განმარტების შინაარსი ფაქტობრივად „მეწარმეობის“ იდენტურია. ეს არის ინიციატივიანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრებით, რისკისა და პასუხისმგებლობის გაწევით ხორციელდება მთავარი მიზნის - მოგების მისაღებად. ის შეიძლება ნიშნავდეს რაიმე საქმიანობას, სავაჭრო ოპერაციას, კომერციულ ან სამრეწველო საწარმოს, ცალკეული მეწარმის ან მთელი ფირმის პრაქტიკასა თუ პოლიტიკას.

საზოგადოდ, ბიზნესს მცირე მასშტაბებით უწოდებენ მცირე ბიზნესს. მეწარმეობა არის მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების, დამოუკიდებელი, ინიციატივიანი საქმიანობა (საქონლის წარმოება, მომსახურების გაწევა, სამუშაოთა შესრულება), რომელიც მიმართულია მოგების (შემოსავლის) სისტემატური მიღებისაკენ [80, გვ. 255]. ზოგიერთი განმარტებით, მეწარმეობა (Enterprise) არის ეკონომიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო მეწარმეთა განსაზღვრულ დამოუკიდებლობის ხარისხს [87, გვ. 163]. „მეწარმესთან“ მიმართებაში ხშირად გამოიყენება ასევე ტერმინი „ანტრეპრენერი“ - entrepreneur (ფრანგ.), რაც „შუამავალს“ ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა ეკონომიკურ ლექსიკონში „ბიზნესისა“ და „მეწარმეობის“ კატეგორია ერთნაირადაა განმარტებული.

ნებისმიერი საზოგადოება მოძრაობის, მატერიალური წარმოების გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საქმიანი ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყველა ეს ცნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების

განუყოფელ ნაწილად იქცა. საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, ბიზნესად იწოდება.

თანამედროვე ბიზნესმა განვითარების მეტად საინტერესო გზა განვლო და პირველყოფილი თემის უმარტივესი წარმოებიდან საზოგადოება ნანოტექნოლოგიების გამოყენებამდე მიიყვანა.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საბაზრო ურთიერთობებთან მიმართებით შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკის განვითარების სამი პერიოდი:

1. „ბაზრამდე პერიოდი“, ტრადიციულ-ინსტიტუტური ურთიერთობა, როდესაც არ არსებობდა საბაზრო ურთიერთობები ადამიანები (ტომები) ჯგუფურად მოიპოვებდნენ მოხმარების საგნებს და ერთმანეთს უნაწილებდნენ (პირველყოფილი თემური წყობილება);

2. საბაზრო პერიოდი, როდესაც, გაჩნდა კერძო საკუთრება და საფუძველი ჩაეყარა საქონლის წარმოებას და ყიდვა-გაყიდვას. იგი მოიცავს კაპიტალიზმის ეპოქას;

3. არასაბაზრო პერიოდი, დირექტიული ურთიერთობა როდესაც არსებობს სახელმწიფო საკუთრება და შექმნილი დოვლათის განაწილება ადამიანებს შორის ხდება სახელმწიფოს მიერ (კომუნისტური წყობილება).

ამდენად, ბიზნესი მიჩნეულია ისეთ მოვლენად, რომელიც მკვეთრად არის დამახასიათებელი მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის.

პირველყოფილმა საზოგადოებამაც კი უარი თქვა პირდაპირ, ანუ ხელით წარმოებაზე და მარტივი შრომის იარაღების გამოყენება დაიწყო. თვით უმარტივეს თემშიაც კი გამოირჩეოდნენ ადამიანები, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო გერგილიანობა, მიზანდასახულება, ინიციატივიანობა და გარკვეული სამეწარმეო აქტივობა.

უფრო მოგვიანებით, მონათმფლობელურ ეპოქაში სამეწარმეო საქმიანობა კიდევ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი გახდა. სამეწარმეო საქმიანობის ძირითად ფორმად ამ ეპოქაში ხელოსნობა წარმოდგა. პლატონი ხელოსნებს მწარმოებელთა წოდებაში აერთიანებს, არისტოტელე კი თვლის, რომ ხელოსნები „ხუთეულში“ საბერძნეთის

მოქალაქეთა ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენენ და მიწათმოქმედებთან ერთად ქმნიან ჭეშმარიტ სიმდიდრეს). ამ პერიოდის ხელოსნობის დანიშნულება იყო საქონლის (მომსახურების) წარმოება სხვა საქონელზე გადასაცვლელად.

ფასდაუდებელია წმინდა წერილში (ბიბლიაში) არსებული ცნობები საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის და ცალკეული პროფესიების შესახებ. დაბადების (შესაქმის) წიგნის საწყის თავებში, სადაც მოთხრობილია განდევნილი კაენის დასახლება ნოდის ქვეყანაში, ედემის აღმოსავლეთით, კაენის შთამომავლებში ვხვდებით ისეთ პროფესიებს, როგორცაა მეჯოგე, მეჩანგე, მესტვირე, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი. თვით კაენი, შეიძლება ითქვას, ჩამოშორდა მიწათმოქმედებას, რადგან ღვთის სასჯელის გამო მისთვის ამ საქმიანობის გაგრძელება აზრს კარგავდა: „დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას, დევნილი და მიუსაფარი იქნები ამ ქვეყანაზე“ (დაბ. 4:12).


კაენის ჩამომავალთაგან იაბალი იყო „კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა“, ანუ აბელის „კოლეგა“. იაბალის ძმა იუბალი “იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა“, ხოლო ლამექის შვილი, თუბალ-კაენი, „რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“ (დაბ. 4:16-22). ამდენად, ბიბლიაში უპირველესად მოხსენებული სარეწაო პროფესიებია მჭედელი და მუსიკოსი, მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნელი („იაბალი“ ნიშნავს „მომთაბარეს, ჯოგის მეთაურს“. იგი მომთაბარე ცხოვრების წესის დამამკვიდრებლად ითვლება). შეიძლება ითქვას, რომ ლამექის შვილების საქმიანობამ სათავე დაუდო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებისა და ქვედარგების ჩამოყალიბებას (იხ. ნახ. 1.1.1): პირველად წარმოებას (იაბალი), გადამამუშავებელ მრეწველობას (თუბალ-კაენი) და მომსახურების სფეროს (იუბალი) [47, გვ.48-50].

სამეურნეო საქმიანობა ასევე მოხსენიებულია ლამექსა და ნოესთან მიმართებაში, რომელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. ეროვნული მეურნეობის ზემოთ აღნიშნულ დარგებთან და სფეროებთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ მშენებლობაც. მას დაბადების წიგნის საწყის თავებში ვხვდებით. კაენი, რომელმაც გააშენა ქალაქი, და უწოდა მისი შვილის, ენოქის სახელი. ბუნებრივია, ნოეს თავის შვილებთან ერთად,

სხვადასხვა პროფესიის და უნარ-ჩვევების ცოდნა ესაჭიროებოდა კიდობნის ასაგებად, რომელიც საკმაოდ მოცულობითი უნდა ყოფილიყო (დაბ. 6:14,16).

ნახ. 1.1.1.

ლამექის შთამომავალთა პროფესიული საქმიანობა



დაბადების წიგნში არის ასევე აღწერილი ბაბილონის გოდოლის მშენებლობაც (დაბ. 11:3-4), საიდანაც ჩანს, რომ ადამიანები იცნობდნენ ძირითად ტექნოლოგიურ პროცესებს, ამზადებდნენ აგურს, იყენებდნენ ფისს და ჰქონდათ ცათამბჯენის აგების იმედი, რაც მიუთითებს, რომ ისინი სამშენებლო ხელოვნებაში გაწაფული უნდა ყოფილიყვნენ.

მოგვიანებით, მშენებლობის კულტურა დაიხვეწა და ახალი მასშტაბები შეიძინა (სოლომონის ტაძრის აგება იერუსალიმში). ამ პერიოდისათვის მშენებლობასთან ერთად უკვე სერიოზულად არის განვითარებული კომუნიკაციების მოწყობის კულტურა, ლანდშაფტის დიზაინი და ა.შ.

ამდენად, კაცობრიობის დასაბამიდან ადგილი აქვს შრომის დანაწილებას. ასეთი საქმიანობის (პროფესიების) გამოჩენა განპირობებული იყო ახალი მკაცრი პირობებით და ახალ სიძნელეთა დამლევის აუცილებლობით. პრაქტიკულად იგივე პროფესიები და საქმიანობის სახეები ფიქსირდება ახალ აღქმაშიც. თითქმის ყველა მოციქული საერო ცხოვრებაში რაღაც საქმიანობით არის დაკავებული. სიმონი პეტრედ წოდებული და ანდრია „ბადეებს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან მებადურები იყვნენ“ (მათ. 4:18), ასევე „იაკობი, ზებედეს ძე და იოანე, მისი ძმა, რომელნიც თავიანთ მამასთან, ზებედესთან ერთად, ნავში ბადეებს აკერებდნენ“ (მათ. 4:21). მებაჟე იყო ლევი ალფესი (მათე

მახარებელი), რომელიც უფლის მოწოდებაზე არც დაფიქრებულა, ისე გაყვა მოძღვარს (მარ. 2:14). სამშობლოში დაბრუნებულ იესოზე კითხულობენ: „განა ეს ხუროს ძე არ არის?“ (მათ. 13:55). ვაჭრობისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაზე მიუთითებს ზაქეს შეხვედრა უფალთან, რომელიც იერიქონში („პალმების ქალაქი“) განვითარდა. ეს ქალაქი აკონტროლებდა იერუსალიმისაკენ მიმავალ გზებს და გადასასვლელს მდინარე იორდანეზე. რომაელებს იერიქონიდან გაჰქონდათ ბალზამი და ფინიკი რომელიც საყოველთაოდ იყო ცნობილი.

ბიზნესის განვითარების მომდევნო საფეხური ფეოდალიზმის ეპოქაა, როდესაც მონა შედარებით მეტი თავისუფლების მქონე გლეხმა ჩაანაცვლა. შუასაუკუნეების მრავალ ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა მტრული დამოკიდებულება მეწარმეობისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ იმ პერიოდში წარმოების გაბატონებულ ფორმად ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობა რჩებოდა და მეწარმეობით ფუნქციებს ჯერ კიდევ ნაკლებადშესამჩნევი როლი ეძლეოდა. ამასთან, გულმოდგინე მიწათმოქმედის მშვიდი ცხოვრება და საქმიანობა ადამიანისეული არსებობის იდეალად ითვლებოდა, მაშინ როდესაც მეწარმე, რომელიც მუდმივ ძიებაში იმყოფებოდა, დამკვიდრებული წეს-ჩვეულებებს ნგრევით, გლეხური კონსერვატიზმის საპირისპიროდ გამოდიოდა.

ამ ეპოქაში ვაჭრობასთან ერთად თანდათან ვითარდება ხელოსნობაც. გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდში (XV-XVIII ს.) ჩაისახა საბაზრო ეკონომიკის და თავისუფალი მეწარმეობის შესატყვისი ეკონომიკური თეორიები. თანდათანობით აქტუალური გახდა თანამედროვე, მოთხოვნადი საქონლის გამოშვების აუცილებლობა, რასაც ბიზნეს-გაერთიანებების (მანუფაქტურების) შექმნა მოჰყვა. მეტიც, თვით სახელმწიფოებმა დაიწყეს ზრუნვა, რომ ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესებისათვის შეეწყობთ ხელი, რაც გამოიხატებოდა მათთვის სესხის მიცემით, სხვადასხვა შეღავათების დაწესებით, სახელოსნო სკოლების გახსნით და სხვ. ამ პროცესებს გამოკვეთილი სახე მიეცა საფრანგეთსა და ინგლისში, XVII-XVIII საუკუნეებში. თუმცა უნდა ითქვას, რომ

წარმოების მთავარი ძალა - მუშა არ იყო მოტივირებული ამ ეპოქაში, რამდენადაც მათი შრომის შედეგი მთლიანად რჩებოდა ბიზნესის მესაკუთრეს.

ევროპაში თვითრეგულირებად ბიზნესს თითქმის ათასწლოვანი ისტორია აქვს. XVIII საუკუნეში ევროპული მეწარმეობის დამოუკიდებელი განვითარების ტრადიციები გამაგრებული იყო დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებით და ევროპის სახელმწიფოთა მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა.

საბაზრო სისტემაში საქონლისა და მომსახურების წარმოება ყოველთვის განიხილება შეზღუდული რესურსების პირობებში, ანუ საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით ეკონომიკა აწყდება ოპტიმალური არჩევანის პრობლემას.

კაცობრიობის არსებობა წარმოუდგენელია წარმოებისა და მოხმარების გარეშე. ცხოვრების ამ ორ პოლუსს შორის გარკვეული პროპორციები ჩამოყალიბდა, რომლებიც პერიოდულად ირღვეოდა და აღდგებოდა. წარმოებასა და მოხმარებას შორის პროპორციების ურთიერთმიმართება გამოიკვლიეს უილიამ პეტიმ (პოლიტიკური არითმეტიკა, 1623-1674), ფრანსუა კენე (ეკონომიკური ცხრილები, 1694-1774), ჯონ გრაუნტი (1620-1674). ჩამოთვლილმა მეცნიერებმა მოახდინეს ძირითადი მეურნეობრივი პროპორციების მოდელირება და საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივ ანალიზს.

ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფ მადურა მიიჩნევს, რომ ბიზნესი არის საქონლითა და მომსახურებით სხვათა უზრუნველყოფისა და მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა. ისინი, ვინც ბიზნესს ქმნიან, იმ ამოცანის წინაშე აღმოჩნდებიან, რომელიც გულისხმობს ისეთი პროდუქტის ან მომსახურების წარმოებას, რომელიც სხვა ფირმებს ჯერ კიდევ არ აქვთ შემოთავაზებული. ზოგჯერ ბიზნესის წამომწყებთ სჯერათ, რომ მათ უფრო იაფად შეუძლიათ თავიანთი პროდუქტის ან მომსახურების რეალიზაცია, ვიდრე ამას ბაზარზე არსებული ფირმები ახორციელებენ. ორივე შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს მოგების მიღების შანსი. მისი აზრით „მეწარმეობა მოიცავს ბიზნეს იდეების ფორმირებას

და რისკის აღების სურვილს. მეწარმეები არიან ადამიანები, რომლებიც მოიპოვებენ ახალ, უფრო ეფექტიან საშუალებებს სამი ეკონომიკური რესურსის (მიწა, შრომა და კაპიტალი) გამოსაყენებლად. ისინი იძენენ ნედლეულს, ქირაობენ მუშახელს, აბანდებენ თანხებს წარმოების საშუალებებში და ავითარებენ წარმოებასა და მომსახურებას. მეწარმეები ცდილობენ მოახდინონ ბიზნეს შესაძლებლობების იდენტიფიცირება. როდესაც ისინი მოძებნიან ამ შესაძლებლობას, აბანდებენ თავიანთ ფულს ბიზნესის დასაარსებლად იმ მოლოდინით, რომ ჯილდოს სახით მიიღებენ ადექვატურ მოგებას მათ მიერ გაღებული ძალისხმევის საფასურად“ [92, გვ. 20].

ამერიკელი მკვლევარების რ. ხიზრიჩისა და მ. პიტერსის აზრით, მეწარმეობა არის პროცესი, შეიქმნას რაიმე ახალი, ფასეული, ხოლო მეწარმე – ეს ადამიანია, რომელიც ამისათვის მთელ დროსა და ძალას ხარჯავს, საკუთარ თავზე იღებს მთელ ფინანსურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რისკს, ხოლო ჯილდოდ იღებს ფულსა და სიამოვნებას მიღწეულის გამო [56, გვ. 9].

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ბიზნესი უზრუნველყოფს საზოგადოებას კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ბინით, სამედიცინო მომსახურებით, ტრანსპორტით, აგრეთვე, სხვა უამრავი საქონლითა და მომსახურებით, რომელთა მეშვეობითაც თითოეული ჩვენგანის ცხოვრება უფრო გაუმჯობესებული და კომფორტული ხდება.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ალან ხოსკინგი ბიზნესს განსაზღვრავს როგორც საქმიანობას, რომელსაც ახორციელებენ კერძო პირები და ორგანიზაციები იმისათვის, რომ მიიღონ სარგებელი წარმოებიდან ან მომსახურებიდან შემდგომში მათი საქონელზე, მომსახურებაზე ან ფულზე გაცვლით, რაც ურთიერთხელსაყრელია დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის [83, გვ. 9].

პროფესორ ი. მესხიას მიხედვით „ბიზნესი არის დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატურ მიღებაზე ქონების გამოყენების, საქონლის გაყიდვის, სამუშაოს შესრულების ან

მომსახურების გაწევის გზით იმ პირების მიერ, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან დადგენილი წესის თანახმად“ [12, გვ.21].

პროფესორები გ. ადგიშვილი და რ. ასათიანი მიიჩნევენ, რომ მეწარმეობა ცალკეული სუბიექტის ან სუბიექტთა ჯგუფის დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომლის მიზანია მატერიალური დოვლათის, ინტელექტის, ფასიანი მომსახურების წარმოება და რეალიზაცია და ამის შედეგად განსაზღვრული მოგების მიღება [1, გვ. 132].

სხვა განმარტებით, ბიზნესი არის საქმე, საქმიანობა, არის საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე განხორციელებული ინიციატივანი, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა, დაწყებული რისკისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომლის მთავარი მიზანია მოგების მიღება, საკუთარი საქმიანობის განვითარება, აგრეთვე საქონლის გასაღება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა. მეწარმეობის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, არის: 1) დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა; 2) საწარმოები, ფირმა ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად ღებულობენ მოგებას. ჩვეულებრივ ისინი განცალკევებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ადმინისტრაციულად არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სხვა უწყებებზე და ორიენტირებულია ბაზარზე“ [46, გვ.8].

პროფ. ო. ქეშელაშვილის მიხედვით „ბიზნესი არის ცოდნისა და კომერციული საქმიანობის კონკრეტული სახეობების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია პიროვნების მიერ საქონლის გამოშვებაზე (რაიმე მომსახურებაზე და ა.შ.), რომელსაც აქვს მომხმარებლისათვის სასარგებლო თვისებები, აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და ეს ყველაფერი მოგების მიღებას უკავშირდება“ [45, გვ. 201].

ბიზნესი არის საქონლითა და მომსახურებით სხვათა უზრუნველყოფისა და მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა. მოგების მიღების საერთო მისწრაფება განაპირობებს, რომ უფრო ხშირად ამ ცნებებს (იგულისხმება „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“) ერთმანეთთან აიგივებენ [7, გვ. 5].

ბიზნესი საზოგადოების არსებობის საფუძველია. საზოგადოების განვითარების ადრეული პერიოდებიდან სამეურნეო საქმიანობის გაძლიერება ყოველთვის საპასუხისმგებლო საქმედ ითვლებოდა. გამოეყო რა ველურ ბუნებას, პირველყოფილმა ადამიანმა სამეურნეო საქმიანობა წამოიწყო. ამ საქმიანობის პირვანდელი სახეები იყო მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, შრომის მარტივი იარაღების დამზადება. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების განვითარების მიხედვით, სამეწარმეო ურთიერთობები თანდათანობით იხვეწებოდა და ახალ ფორმებს იღებდა.

პრაქტიკული ბიზნეს-საქმიანობის ადრეული გამოვლინებების მიუხედავად, ბიზნესისა და სამეწარმეო საქმიანობის მეცნიერული კვლევა და ანალიზი ძირითადად მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება. მეწარმის ცნება სამეცნიერო მიმოქცევაში ფრანგმა ეკონომისტმა რიჩარდ კანტილიონმა (1680-1734) შემოიტანა ნაშრომში “ნარკვევი ზოგადად ვაჭრობის ბუნების შესახებ” (ფრ. *Essai sur la nature du commerce en général*), რომელიც 1755 წელს გამოიცა. საზოგადოდ სწორედ მას მიაკუთვნებენ მეწარმეობის ერთ-ერთი პირველი კონცეფციის შემოტანას ეკონომიკურ მეცნიერებაში. კანტილიონის შეხედულებები მერკანტილიზმის, ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის თეორიის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია [59, გვ. 324]. ნაშრომში სხვადასხვა პრობლემებთან ერთად მან აღწერა მეწარმეობის განსაკუთრებული როლი ეკონომიკაში. კანტილიონი „მეწარმის“ ცნებას შემდეგნაირად განმარტავდა: „მეწარმე – ეს არის ადამიანი, რომელიც აფასებს რა საქმის სარგებლიანობას, თავის თავზე იღებს რისკსა და პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია ახალი საწარმოს ორგანიზაციასთან, პროდუქციის, მომსახურების, ახალი იდეების დამუშავებასთან“ [10, გვ. 10].

კანტილიონი და მისი იდეების გამგრძელებლები (იოჰან ტიუნენი და სხვები) მეწარმეობას უკავშირებდნენ მხოლოდ რისკს და არ განიხილავდნენ ორგანიზაციულ-მმართველობით და ინოვაციურ ასპექტებს.

კანტილიონის მიხედვით მეწარმის მოგება და ზარალი მისი გადაწყვეტილებების განუსაზღვრელობის რისკს უკავშირდება. მოგება დამოკიდებულია ერთი მხრივ, წარმოების ფაქტორების შესასყიდ ფასზე და მეორე მხრივ, იმ ფასზე, რითაც

შესაძლებელია გაიყიდოს პროდუქტი. კატილიონმა და მისმა თანამოაზრეებმა გამოიჭნეს მეწარმე და მესაკუთრე (მენეჯერი), რომლის საფუძვლად იქცა ინდუსტრიული რევოლუცია და მეწარმეობის მზარდი როლი საზოგადოებაში.

სწორედ ინდუსტრიულ რევოლუციას უკავშირდება მეთვრამეტე საუკუნიდან ვენჩურული კაპიტალისტის (ინგლ. “Venture” - ნიშნავს რისკიანს, სახიფათო წამოწყებას) გაჩენა მესაკუთრე კაპიტალისტის გვერდით, რომელიც საქმიანობას წარმართავს სხვისი კაპიტალით. ვენჩურული კაპიტალისტი არის ფულის პროფესიული გამანაწილებელი, რომელიც აქციის მფლობელთა სახსრებს ახანდებს სარისკო საწარმოში მაღალი მოგების მიღების მიზნით.

მეწარმეობის და შრომის დანაწილების პრობლემები სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ცნობილ შოტლანდიელ ეკონომისტს და მოაზროვნეს ადამ სმიტს (1723-1790). მისი მეთოდოლოგიის საფუძველია ლიბერალიზმის კონცეფცია, რომელიც გადმოიცა ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776). ეს იყო ფაქტობრივად თავისუფალი მეწარმეობის კაპიტალიზმის კონცეფცია (“laissez faire” (ფრ.), “let it be” (ინგ.) – „დაე, წავიდეს თავისთავად“, „დაე ასე იყოს“), რომელიც ემხრობა ეკონომიკაში სახელმწიფო ჩაურევლობას. ასეთ სისტემაში რესურსებზე კერძო საკუთრება არსებობს, ხოლო განაწილების (კოორდინაციის) მექანიზმი არის საბაზრო. ამ სისტემაში სამეურნეო ცხოვრების თითოეული მონაწილის მოტივაციას პირადი, კერძო, ეგოისტური ინტერესები განაპირობებს. ასეთ ადამიანს მან Homo economicus, ანუ “ეკონომიკური ადამიანი” უწოდა: „ადამიანი კი განუწყვეტლივ საჭიროებს თავის თანამომძმეთა დახმარებას, და იგი ამაოდ იქნებოდა ამის მომლოდინე მარტო მათი კეთილგანწყობილებისაგან. იგი უფრო მალე მიაღწევს თავის მიზანს, თუ მოახერხებს მათი ეგოიზმი დააინტერესოს თავის სასარგებლოდ და დაანახვოს მათ, რომ მათთვისვე სასარგებლოა გააკეთონ მისთვის ის, რასაც იგი მათგან მოითხოვს. როდესაც ვინმე სხვას რაიმე სააღებმიცემო გარიგებას შესთავაზებს, იგი სწორედ ამის გაკეთებას სთავაზობს. მომეცი, რაც მესაჭიროება, და შენ მიიღებ იმას, რაც გესაჭიროება, – ასეთია ყოველი ამგვარი შეთავაზების აზრი“ [40, გვ. 13].

საბაზრო სისტემა მისი მონაწილეების კოორდინირებას ახდენს. იგი ემყარება კონკურენციის მექანიზმს, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ არსებობს მრავალი მწარმოებელი, რომელიც ბაზარს საკუთარ პროდუქციას, მომსახურებას სთავაზობს და მომხმარებელს აქვს არჩევანის საშუალება. ამგვარი სისტემა, რომლის საფუძველია შრომის დანაწილება, რესურსების ეფექტიან განაწილებას, წარმოების სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. სმიტმა ყურადღება დაუთმო მეწარმის დახასიათებას. მისი აზრით, მეწარმე წარმოადგენს კაპიტალის მესაკუთრეს, რომელიც განსაზღვრული კომერციული იდეის რეალიზაციისათვის და გარკვეული მოგების მისაღებად მიდის რისკზე, რამდენადაც კაპიტალის ჩადება ამა თუ იმ საქმეში ყოველთვის მოიცავს რისკის გარკვეულ ელემენტებს. სამეწარმეო მოგება იყო და იქნება მესაკუთრის კომპენსაცია გაწეული რისკისთვის. მეწარმე თავად გეგმავს, ორგანიზებას უწევს საწარმოს, რეალიზებას უკეთებს სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია შრომის დანაწილებასთან, ასევე ხელმძღვანელობს სამეწარმეო საქმიანობის შედეგებს: „სხვადასხვა ადამიანთა ფრიად არამსგავსი ნიჭი სასარგებლოა ერთი მეორისათვის; მათ სათანადო ნიჭთა სხვადასხვა პროდუქტები, მათი საერთო მიდრეკილების გამო გაცვლისადმი, ვაჭრობისადმი, გაცვლა-გამოცვლისადმი, გროვდება, ასე ვთქვათ, ერთ საერთო მასაში, საიდანაც თითოეულ ადამიანს შეუძლია იყიდოს სხვა ადამიანთა ნიჭის პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მას ესაჭიროება“ [40, გვ. 14].

სამეწარმეო საქმიანობისადმი საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბა პოლიტიკური ეკონომიის ოპტიმისტური სკოლის წარმომადგენელმა ჟან-ბატისტ სეიმ (1767-1832). ნაშრომებში „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“ (1803), „პოლიტიკური ეკონომიის კატეხიზისი“ (1817), „სავაჭრო ბალანსის შესახებ“ სეი გამოდიოდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო ჩარევის წინააღმდეგ და მოითხოვდა მრეწველობისა და ვაჭრობის თავისუფალ განვითარებას, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას [2, გვ. 92]. მან შექმნა სამი ფაქტორის თეორია და დაასაბუთა, რომ ღირებულების შექმნაში მონაწილეობს წარმოების სამი ფაქტორი: შრომა, მიწა და კაპიტალი. კრიზისებს სეი მიიჩნევს დროებით, გარდამავალ მოვლენად და აღნიშნავს,

რომ მათი გაფრთხილებისათვის საკმარისია “სამრეწველო თავისუფლება”. სეისთან წარმოება არ არის გაიგივებული მხოლოდ მატერიალურ წარმოებასთან. წარმოება სასარგებლოს შექმნას ნიშნავს, რომელსაც შეუძლია მოთხოვნულებათა დაკმაყოფილება. ამიტომ, მწარმოებელია ამგვარი შედეგის შრომა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში. მის მიხედვით კრიზისები დროებითი მოვლენაა, რადგან უხერხულობას წარმოშობს არა ძალზე ბევრის წარმოება, არამედ სწორედ ისეთის წარმოება, რაც საჭიროა.

სეი განსაკუთრებულ როლს აკისრებს მეწარმეს. ეს ადამიანები წარმართავენ წარმოებას და დომინირებენ სიმდიდრის განაწილებაში. მეწარმე არის ჭკვიანი, საქმიანი, მოწესრიგებული პიროვნება, საქმიანი ურთიერთობების ცენტრალური ფიგურა. იგი ერთგვარი შუამავალია და ცდილობს პროდუქტის დამზადებას მასზე არსებული მოთხოვნის მიხედვით [66, გვ. 99].

სეის კონცეფციამ განვითარება ჰპოვა იმ ეკონომისტთა შრომებში, რომლებიც ამა თუ იმ დოზით იკვლევდნენ მეწარმეობის პრობლემებს. ამ მხრივ აღსანიშნავია კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელი ალფრედ მარშალი (1842-1924), რომელმაც წარმოების კლასიკურ ფაქტორებს დაამატა მეოთხე ფაქტორი - ორგანიზაცია. მან განიხილა ინდივიდუალური კვლავწარმოების მოდელი ფაქტორთა კომბინაციების ცვლილებით. ამით იქმნებოდა არჩევანი ფაქტორთა უფრო სრულყოფილი კომბინაციის შესარჩევად.

კლასიკოსთა შეხედულებები მეწარმეობის მარქსისტული კონცეფციის ერთ-ერთი ამოსავალი პუნქტი გახდა. კ. მარქსი მეწარმეში მხოლოდ კაპიტალისტს ხედავდა, რომელიც თავის კაპიტალს აბანდებს საკუთარ საწარმოში და დაქირავებულ მუშათა მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულებასა და მათთვის გადახდილ ხელფასს შორის განსხვავებაში მოგება გააჩნია. ეს, კ.მარქსის გაგებით მეწარმეობა ექსპლოატაციური არსის, მისი პარაზიტუზმის დასტურია და ამიტომ იგი ლიკვიდირებულ უნდა იქნეს მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის სხვა საფუძვლებთან ერთად.

სამეწარმეო საქმიანობის რისკის თეორიაში მნიშვნელოვანი იყო ამერიკელი ეკონომისტის, ჩიკაგოს სკოლის დამაარსებლის ფრენკ ნაიტის (1885-1974) შრომაში „რისკი, განუსაზღვრელობა და მოგება“ (1921) ავტორი მიჯნავს რისკისა და განუსაზღვრელობის ცნებებს. მოგების მიღების მექანიზმების ანალიზისას ნაიტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მოგება შეიძლება წარმოიქმნას სტაციონარულ მდგომარეობაშიც. რისკი, როგორც განუსაზღვრელობის მთავარი მიზეზი, იყოფა ორ კატეგორიად:

1. დაზღვეული რისკი, რომელიც არ არის უნიკალური თავისი ბუნებით და რომლის გათვალისწინება შესაძლებელია, როგორც დანახარჯების მუდმივი ელემენტისა;

2. სამეწარმეო ფუნქციის განხორციელებისას, რომელიც რეალიზდება არა ტიპიურ სიტუაციაში, მოვლენის ალბათური ხასიათი უცნობია და განსაკუთრებულ როლს იძენს დამოუკიდებელი სამეწარმეო განსჯა განუსაზღვრელობის დაძლევის შესახებ. ასეთი ქმედების დაზღვევა შეუძლებელია, რამდენადაც შემთხვევითი ფაქტორების ნაკრებზე და ეკონომიკურ პირობებზეა დაფუძნებული და მეწარმის ქცევით განისაზღვრება.

მეწარმეობის მეცნიერულ გააზრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ავსტრიელმა ეკონომისტმა, და სოციოლოგმა ი. შუმპეტერმა (1883-1950). მეტიც, მას ეკუთვნის მეწარმეობის კონცეფციის ჩამოყალიბება. ი. შუმპეტერის ძირითად ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ მეწარმე განიხილება, როგორც განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. სწორედ მისი ორგანიზატორული უნარი, ინტუიცია, ფართო შესაძლებლობები და რისკის გაწევის უნარი აძლევს ეკონომიკას სრულყოფის სტიმულს. გარე სამყაროს გამოწვევებისა და წინააღმდეგობების გადასალახად, მეწარმე იძულებულია დანერგოს სიახლეები. საბოლოო ჯამში, სწორედ ინოვაციური პროცესი განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის პროგრესს. სწორედ შუმპეტერის დამსახურებაა, რომ ეკონომიკურ თეორიაში ჟან-ბატისტ სეის სამფაქტორიანი მეწარმეობის მოდელი (შრომა, მიწა, კაპიტალი), ოთხფაქტორიანმა ჩაანაცვლა, სადაც მეოთხე ფაქტორის სახით სამეწარმეო უნარი დაფიქსირდა. ამ დროიდან, მოგება განიხილება, როგორც მეწარმის

შემოსავალი, ნაცვლად სამფაქტორიანი მოდელისა, სადაც მოგებას კაპიტალს მიაკუთვნებდნენ.

მეცნიერი მეწარმის საქმიანობაში სამ ძირითად მიზნობრივ მოტივს გამოყოფდა:

1. ბატონობისადმი (ზეგავლენისადმი) სწრაფვა;
2. წარმატების მიღწევის სურვილი, როგორც საკუთარ თავთან, ისე მეტოქეებთან ბრძოლაში;
3. შემოქმედებითი საქმიანობით გამოწვეული სიხარული [57, გვ. 12].

შუმპეტერის მეწარმეობის ინოვაციურობის თეორია ეფუძნება „შემოქმედებითი ნგრევის“ პროცესს, რაც ეკონომიკის დინამიური განვითარების წინაპირობაა. იგი უზრუნველყოფს ახალი სამეწარმეო ფუნქციის შექმნას, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების ფაქტორთა შერწყმა ახალი კომბინაციებით და მეტი ეკონომიკური ეფექტიანობით. კომბინირების პროცესში შუმპეტერი განიხილავს შემდეგ 5 შემთხვევას:

1. მომხმარებლისათვის უცნობი დოვლათის ან ახალი ხარისხის შექმნა ცნობილი დოვლათისათვის;
2. კვლავწარმოების ახალი ხერხების დანერგვა. ეს შეიძლება იყოს ინოვაციები წარმოების პროცესში ან კომერციულ საქმიანობაში;
3. ახალი ბაზრების ან ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისება;
4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროს გამოძებნა;
5. შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდების დანერგვა [85, გვ. 23].

მოცემული დახასიათება, ცხადია, ამომწურავი როდია. ამერიკელი ნობელიანტი რონალდ ჰარი კოუზი (დაიბ. 1910 წ.) ასევე გამოყოფდა მეწარმის საქმიანობის ამ ასპექტს. სტატიაში „ფირმის ბუნება“ იგი ხაზს უსვამს, რომ მეწარმე ის პირია, რომელიც კონკრეტულ სისტემაში წარმართავს წარმოებას, ასრულებს რა ამით ფასის მექანიზმის როლს [73, გვ. 34].

მეწარმეობასთან დაკავშირებით ორიგინალური მოსაზრებები შემოგვთავაზა ავსტრიული სკოლის ცნობილმა წარმომადგენელმა ისრაელ კირზნერმა (დაიბ. 1930). იგი

ერთი მხრივ იზიარებს კანტილიონისეულ იდეებს მეწარმის, როგორც შუამავლის განსაკუთრებული როლის შესახებ. მეორე მხრივ კი მეწარმე კირზნერთან არის განსაკუთრებული ადამიანი, რომელიც არა მარტო ამჩნევს, იყენებს კიდევ იმ შესაძლებლობებს, რაც სხვათათვის შეუმჩნეველია. მას გაძლიერებული აქვს როგორც ალღო, ისე საბაზრო სივრცის შეცნობის უნარი [91, გვ. 27].

თავისუფალი მეწარმეობის სტიმულირების კონცეფცია ჩამოაყალიბა ცნობილმა ავსტრიელმა ეკონომისტმა, ნობელიანტმა ფ. ჰაიეკმა (1899-1992). მისი აზრით, მეწარმეობა არის არა მოღვაწეობის სახე, არამედ ძიება და შესწავლა ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მოქმედების ხასიათისა.

ხაზს უსვამს რა ბაზრის უნიკალურ საინფორმაციო შესაძლებლობებს, ხაიეკი ბაზარს "სატელეკომუნიკაციო სისტემადაც" მოიხსენიებს [69, გვ. 35]. მეწარმე, როგორც მეურნეობრივი სუბიექტი, ხასიათდება განსაკუთრებული ქცევით, მისწრაფებით აღმოაჩინოს მოგების მიღების შესაძლებლობები. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბაზრო პირობებში მეწარმეებს უხდებათ საქმიანობა მაღალი კონკურენციის პირობებში და გამარჯვებულია, ვინც გადაურჩება ამ ბრძოლას. ხაიეკის მიხედვით, მეწარმეობა აღემატება ნებისმიერ საბაზრო პროფესიას, ხოლო ბიზნესი, როგორც სტიქიური პროცესების ერთობლიობა, გაცილებით ფართოა, ვიდრე მეწარმეობა. ჰაიეკის მიხედვით საბაზრო სისტემაში დასაშვებია სპონტანური წესრიგი და სწორედ ასეთ წესრიგს შეუძლია საზოგადოებრივი რესურსების უფრო ეფექტიანად განაწილება, ვიდრე სხვა სახის ქმედებას: „თავისუფალი ადამიანების სპონტანური თანამშრომლობა ხშირად უფრო დიდი შედეგების მომტანია, ვიდრე მათი ინდივიდუალური ნებათა შერწყმა რაიმეს მისაღწევად“ [82, გვ. 54]. ამ თვალსაზრისით, საბაზრო სისტემაში ფორმირდება რთული ბიზნეს-ქსელები. ყოველი ქსელი ყალიბდება დეცენტრალიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების შედეგად, ანუ სპონტანურად და პერსონიფიცირებულად (შეად. ა. სმიტი). შემდგომში ეს ქსელები ყალიბდება სისტემებად, რომლებიც ინდივიდუალური და მრავალმხრივი ქმედებების შედეგად პირველად ქსელურ კვანძებს წარმოქმნიან [71, გვ. 34].

დღეისათვის თანამედროვე მსოფლიო აღარ არის წარმოდგენილი მონოსისტემებით და სახეზე გვაქვს შერეული ეკონომიკური სისტემები, რომელსაც შუალედური მდგომარეობა უჭირავს წმინდა კაპიტალიზმსა და საკომანდო ეკონომიკას შორის. ამ სისტემის ბარომეტრი სწორედ მეწარმეობის თავისუფლებაა. თუმცა საკმაოდ მასშტაბურად არის წარმოდგენილი სახელმწიფო სექტორიც, რომელიც არის როგორც მწარმოებელი, ისე მარეგულირებელი. კერძო სექტორში, არცთუ იშვიათად გადამწყვეტ როლს ასრულებს მცირე და საშუალო ბიზნესი.

მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ქვაკუთხედეა - მასზე მოდის კერძო სექტორის ნაწარმის თითქმის ნახევარი. მცირე ბიზნესის როლს ეკონომიკაში განაპირობებს შემდეგი გარემოებები:

1. ქმნის სამუშაო ადგილებს. განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესში დასაქმებულია ქვეყნის კერძო სექტორის სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი და მასზე ახალი სამუშაო ადგილების 2/3-დან 3/4-მდე მოდის. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სამუშაო ადგილების ამგვარ ზრდას ძირითადად ისეთი მცირე ბიზნესების საქმიანობა განაპირობებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საშუალო ან სულაც დიდ საწარმოებად გარდაქმნას, თორემ მცირე ბიზნესთა უმრავლესობას საერთოდ არ ჰყავს დაქირავებული თანამშრომლები.

2. ქმნის ახალ ნაწარმს. სიახლეთა თავისუფლად დანერგვის შესაძლებლობა, რაც ბევრი მცირე ფირმისათვის არის დამახასიათებელი, კვლავაც უამრავ უპირატესობას იძლევა როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ბაზარზე გასატანი საქონლისა თუ მომსახურების გამრავალფეროვნების მხრივ. ზოგ შემთხვევაში სიახლე მარკეტინგული შესაძლებლობების ხედვის განახლებაში მდგომარეობს; სხვა დროს კი – ამა თუ იმ სიახლის დამნერგავი თავად ქმნის ახალ ტექნოლოგიას, რომლის საფუძველზეც ზრდის და აფართოვებს საკუთარი კომპანიის საქმიანობას, ან მთელ თავის ბიზნესს უფრო დიდ კომპანიაზე ყიდის, რომელსაც ამ ტექნოლოგიის დანერგვა სჭირდება საკუთარ საწარმოო ხაზზე.

3. აკმაყოფილებს უფრო დიდი ორგანიზაციების მოთხოვნილებებს. უამრავი მცირე ბიზნესი დიდი კორპორაციებისათვის დისტრიბუტორებად, მომსახურე რგოლებად თუ მიმწოდებლებად გვევლინება. ამავე დროს, სამთავრობო სააგენტოები თავიანთი სავაჭრო კონტრაქტების გარკვეულ ნაწილს ხშირად საგანგებოდ სწორედ მცირე ბიზნესებთან აფორმებენ.

4. ეკონომიკაში შეაქვს ფულის მნიშვნელოვანი მასა. მაგ., აშშ-ის მცირე ბიზნესი ერთ ეკონომიკურ აგრეგატად რომ წარმოგვიდგინოთ, მისი ეკონომიკა მსოფლიოში III ადგილს დაიკავებდა.

5. მიდის ისეთ რისკზე, რისგანაც უფრო დიდი კომპანიები ზოგჯერ თავს იკავებენ ხოლმე. მეწარმეები ზოგადად, როგორც რისკიანი და ახალი, ჯერ გამოუცდელი იდეების დანერგვის მოსურნე ხალხი, ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

6. გვთავაზობს საქონლისა და მომსახურების განსაკუთრებულ სახეობებს. ხშირ შემთხვევაში სწორედ მცირე ბიზნესი იკავებს იმ ნიშას, რომელსაც დიდი კომპანიები როგორც წესი, უგულებელყოფენ.

ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოები არიან მოქნილი და სწრაფად ეგუებიან ბაზრის ახალ კონიუნქტურას და ცვლილებებს თვით წარმოებაში. მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ ოპერატიულად შექმნან და დანერგონ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, რასაც ვერ ახორციელებენ მსხვილი ფირმები, რადგან პრინციპულად ახალი ტექნიკის გამოშვება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც არღვევს მსხვილ მასშტაბიანი, სერიული წარმოების სტაბილურობას. მესამეც, მცირე ფირმებისათვის დამახასიათებელია ინიციატივისა და დინამიზმის სულისკვეთება. ბოლო გარემოება მნიშვნელოვნად განასხვავებს მსხვილ და მცირე ფირმებს. ეს გამოიხატება განსაკუთრებულ ადამიანურ ურთიერთობებში და სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატში, რომელიც ახასიათებს პატარა კოლექტივს, რომელშიც ყველა გაეთიანებულია დამოუკიდებლობის და გადარჩენის მიზანსწრაფვით.

მცირე საწარმოს შეუძლია ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანის გადაჭრას ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტითაც, როგორცაა საბაზრო

ინფრასტრუქტურის ფორმირება. იგი საკუთარ თავზე იღებს ეროვნული მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმისათვის აუცილებელი ისეთი ფუნქციების შესრულებას, რომელსაც ვერ ახორციელებენ მსხვილი საწარმოები: საინფორმაციო-საკონსულტაციო და აუდიტორული ფირმები; კადრების მომზადების, შერჩევის და შეფასების ცენტრები; სავალუტო და საფონდო ბირჟები; საწარმოო განვითარების და ტექნიკური მომსახურების ფირმები და ა.შ. სახსრების სწრაფი ბრუნვალობის გარდა მცირე საწარმოს ეფექტიანობის ზრდის წყაროს წარმოადგენს ასევე რიგი ფაქტორები. მცირე კოლექტივში მომუშავეთა ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის ნდობის ფაქტორი ქმნის განსხვავებული პრინციპებით მმართველობის შესაძლებლობას, ვიდრე ეს გვაქვს ტრადიციულ სახელმწიფო კოლექტივში და „გუნდის“ ნებისმიერი წევრისაგან ითხოვენ მაღალ პროფესიულ მომზადებას.

მცირე საწარმოს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდ მასშტაბებში „შთანთქოს“ დაუსაქმებელი მუშახელი, რომელიც გამონთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან, შეამციროს ან განმუხტოს ეკონომიკური კრიზისის თუ ვარდნის პირობებში წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობა. ამდენად, ნებისმიერი რეფორმისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი სწორედ სამეწარმეო აქტუობის გამოცოცხლება უნდა იქცეს, რომლის „ლომის წილი“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მოდის.

მცირე საწარმოთა ფუნქციონირების ანალიზი საფუძველს გვაძლევს წარმოვადგინოთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები (იხ. ცხრ. 1.1.1).

მეწარმეობის ისტორია საუკუნეებს ითვლის, მაგრამ მისი თანამედროვე გაგება ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის ფორმირებისა და განვითარების პერიოდში, რომელმაც თავისუფალი მეწარმეობა აირჩია აყვავების საფუძვლისა და წყაროს სახით. საბაზრო სისტემა (კაპიტალიზმი) არის კავშირების რთული სისტემა, რომლის მეშვეობითაც უამრავი ინდივიდუალური თავისუფალი გადაწყვეტილება გაითვალისწინება, აგრეგირდება და შეწონასწორდება [76, გვ. 67]. საბაზრო სისტემის მთავარი ინსტიტუტი

კერძო მეწარმეობა და არჩევანის თავისუფლებაა, რაც მჭიდროდ უკავშირდება კერძო საკუთრებას. მეწარმეობის თავისუფლება ნიშნავს, რომ მეწარმეები თავისუფალნი არიან გადაწყვეტილების მიღებაში რა აწარმოონ და რომელ დარგში შევიდნენ ან გამოვიდნენ. ამასთან, ფულადი კაპიტალისა და მატერიალური რესურსების მფლობელები მათ გამოიყენებენ თავიანთი შეხედულებებისამებრ.

ცხრილი 1.1.1.

მცირე მეწარმეობის ძლიერი და სუსტი მხარეები

| ძლიერი | სუსტი |
|--|---|
| კონკურენციის გამწვავება, სიახლეთა სწრაფი დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობა, ბაზრისა-თვის საქონლის (მომსახურების) განსაკუთრებულ სახეობების შეთავაზება, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, მონოპო-ლიზმის განეიტრალება, ელასტიურობა და მოქნილობა საქმიანობაში, პროფილის შეცვ-ლის სიიოლე, წამოწყების სიიოლე, მოქნილი მენეჯმენტი, ტრადიციულ გემოვნებასთან და სტანდარტებთან იოლად შეგუება | დაბალი კონკურენტუნარიანობა, საკრედიტო რესურსებისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა, საქმიანობის წარმართვის გამოუცდელობა, კაპიტალდაბანდების დაკარგვის მაღალი რისკი, ბიზნეს-პარტნიორებისაგან ნდობის შედარებით ნაკლები ხარისხი |

მეწარმე-საკვანძო ფიგურაა თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკაში. შრომა, კაპიტალი, მეცნიერული ცოდნა და წარმოების სხვა ფაქტორები მანამ არ მოქმედებენ, სანამ მათ არ შეეხება მეწარმის ტალანტი. კონკრეტული ბაზრის პირობებში საკუთარი სარგებლობისათვის მომუშავე მეწარმეს იმავდროულად მაქსიმალური სარგებლობა მოაქვს მთელი საზოგადოებისათვის [48, გვ. 46].

წარმატებული მეწარმეები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ყველა სხვა ადამიანი. პროფ. ჯეფ მადურა მათ საერთო ნიშან-თვისებებში გამოყოფს ხასიათის სამ უმნიშვნელოვანეს შტრიხს:

1. რისკისადმი ტოლერანტობა (შემგუებლობა). მეწარმეები გაგებით ეკიდებიან, აცნობიერებენ და ეგუებიან იმ რისკს, რასაც ზარალის შემთხვევაში ბიზნესში ჩადებული ინვესტიციების დაკარგვა ჰქვია.

2. შემოქმედებითობა. მეწარმეებს კარგად აქვთ გათავისებული, თუ რა გზებით გაზარდონ მომხმარებლების კმაყოფილება. მათ შეიძლება ისეთ საქონელზე ან მომსახურებაზე იწინასწარმეტყველონ, ანუ აღმოაჩინონ მოთხოვნილება (საჭიროება), რომელიც ჯერ ბუნებაში არ არსებობს; ხოლო შემდეგ ცდილობენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ზოგჯერ მეწარმეები ამჩნევენ, რომ არსებულ საქონელს ან მომსახურებას გარკვეული ნაკლი გააჩნია და ცდილობენ მათ გაუმჯობესება-დახვეწას.


3. ინიციატივა. მეწარმეები იღებენ ინიციატივას, რათა თავიანთი იდეები სისრულეში მოიყვანონ. მათ გააჩნიათ ამბიციები, ახალ-ახალ გამოწვევებთან ბრძოლის შესაშური ჟინი და შეუპოვრობა [92, გვ. 122]

ამრიგად, თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში განმტკიცდა ცალსახა შეხედულება მეწარმეობაზე, როგორც უმნიშვნელოვანეს სამეურნეო რესურსზე, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს წარმოების დანარჩენი ფაქტორები და ამით უზრუნველყოფს თავის წვლილს ეკონომიკური განვითარების წარმატებაში. მაგრამ მეწარმეობის არსის გასაგებად საჭიროა ყურად ვიღოთ, უწინარეს ყოვლისა, მეწარმის ყველა ფსიქოლოგიური თვისება.

ბიზნესის თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ცალკეული მიმართულებების გამოიყვანას [12, გვ. 35]. განარჩევენ ბიზნესის კონცეფციის სამ მიმართულებას: პოზიტიური, კრიტიკული და პრაგმატული (იხ. ნახ. 1.1.2).

ნახ. 1.1.2.

ბიზნეს კონცეფციების კლასიფიკაცია



ბიზნესის პოზიტიური კონცეფციის თანახმად ბიზნესი გაგებულია როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელსაც ეწევიან ადამიანები თავიანთი ინიციატივით და რომლის მიზანია საქონლისა და მომსახურების წარმოება სხვა ადამიანებისათვის, მთლიანად საზოგადოებისათვის. სწორედ ეს კონცეფცია უდევს საფუძვლად ბიზნესის კატეგორიის განსაზღვრას დასავლეთის ქვეყნებში (ევროპა, აშშ). მათ სახელმძღვანელოებში ბიზნესი განმარტებულია, როგორც საქმის გაძღოლის სისტემა, როგორც ადამიანებისათვის საჭირო პროდუქციის წარმოება, როგორც საზოგადოებისათვის სურვილების დაკმაყოფილების სისტემა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბიზნესის პოზიტიური კონცეფცია ბიზნესს განიხილავს როგორც წარმოების სისტემას საზოგადოების მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებისათვის.

პოზიტიური კონცეფციის თანახმად ბიზნესი გაგებულია, როგორც ადამიანების საქმიანობა ერთმანეთის მომსახურებისათვის, აგრეთვე როგორც მათი ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების საკეთილდღეოდ. ბიზნესი დაფუძნებულია საყოველთაო ინტერესებზე და თავისი შინაარსით იგი არაწინააღმდეგობრივი მოვლენაა. სწორედ ამიტომ, ბიზნესი ადამიანების ცხოვრების ტიპური ნიშანია, ადამიანების გაცნობიერებული არჩევანის პროდუქტია, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცენტრალური მაგისტრალი და წარმმართველია. ეს კონცეფცია თვლის, რომ ბიზნესში არ არის სერიოზული დაპირისპირებების და წინააღმდეგობების ადგილი, რის გამოც მისი სახეობებისა და ისტორიულ დროში შეზღუდვის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. უფრო მეტიც, ბიზნესს არა აქვს ალტერნატივა. ისტორიული წარსული გვარწმუნებს, რომ ბიზნესი წარმატებულია, რამდენადაც ეფუძნება საკუთრების კერძო ფორმას და მისი ჩანაცვლება სხვა საზოგადოების მშენებლობით, სადაც საკუთრების ფორმა, ძირითადად სახელმწიფოებრივია, მიუღებელია.

ბიზნესის პოზიტიური კონცეფციისათვის დამახასიათებელია ისეთი გარემოებები, როგორიცაა: სწრაფვა საყოველთაო სიკეთისა და საზოგადოების კეთილდღეობისაკენ, საყოველთაო ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ეკონომიკისათვის საფუძვლების

შექმნა, არაწინააღმდეგობრივი მოვლენად დაფიქსირება. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი ზოგადად თავისი არსით პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არ არის დაზღვეული გარკვეული ნეგატიური მხარეებისაგან.

ბიზნესის პოზიტიური კონცეფცია, როგორც შეხედულებათა ერთიანი თეორიული სისტემა, შედარებით მწყობრად და სისტემურად წარმოდგენილ იქნა ამერიკელი მეცნიერების ს. როზენბლატის, კ.ბონინგტომის და ბ. ნიდლსის მიერ, რომელიც ბიზნესის შესახებ სასწავლო ლიტერატურაში საყოველთაოდაა მხარდაჭერილი.

ბიზნესის კრიტიკული კონცეფციის მთავარი ამოსავალი იდეოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ საბაზრო სუბიექტების ურთიერთობებს გააჩნიათ ერთნაირი მიმართულება, რაც ნიშნავს ადამიანების ერთი ჯგუფის გამდიდრებას სხვების ხარჯზე. ამ მოძღვრების მთავარი ამოსავალი ბირთვია მოგების კატეგორია. ცხადია, რომ ბიზნესის მამოძრავებელი იდეოლოგია არის მოგების მიღება. ამ კონცეფციის წარმომადგენლები თვლიან, რომ მოგებას ისე ვერ მიიღებ, თუ მყიდველმა იმაზე მეტი არ გადაიხადა, რაც მოცემული საქონელი ფაქტობრივად ღირს. სწორედ ამ ფილოსოფიიდან არის აღმოცენებული ბიზნესის კრიტიკული კონცეფცია. ამასთან, ამ მოძღვრებას ფართო არეალი აქვს არა მხოლოდ თეორიაში, არამედ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს პრაქტიკაშიც. მას მხარს უჭერენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, ანტიგლობალიზატური მოძრაობები, ორთოდოქსი კომუნისტები და ა.შ.

ბიზნესის კრიტიკული კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი დებულების თანახმად, ბიზნესი დამახასიათებელია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის. მოგების მიღების მიზნით ბიზნესმენი მზადაა ქცევის ნებისმიერი წესი გამოიყენოს, მათ შორის, არაკანონიერიც. ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფიდან მოგების ამოღებას ეს უკანასკნელი გამოყავს დონორის როლში. ასეთი დონორებია საქონლისა და მომსახურების მომხმარებლები, რადგან მათ მიერ ნაყიდი საქონლის ფასში შეტანილია მოგების ელემენტები. საბაზრო სისტემას, როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების მექანიზმს არ ახასიათებს რაიმე სახის ეთიკური პრინციპები: ის საოჯახო მეურნეობები (ე.წ. “ჰაუსჰოლდები”), რომელთაც ეძლევათ შესაძლებლობა

მატერიალური რესურსების დიდი რაოდენობა დააგროვონ მემკვიდრეობით, მძიმე შრომისა და მომჭირნეობის, განსაკუთრებული საქმიანი გამჭრიახობის თუ მოტყუების მეშვეობით, დიდ შემოსავალს იღებენ და შესაბამისად, ეუფლებიან საზოგადოებრივი პროდუქტის დიდ ნაწილს. აქ მთავარია პირადი ინტერესის მოტივი, რომელიც აწესრიგებს ეკონომიკის ფუნქციონირებას [76, გვ. 65].

ცხრილი 1.1.2

ბიზნესის კონცეფციების ძირითადი მახასიათებლები

| | პოზიტიური | კრიტიკული | პრაგმატული |
|-----------------------|-------------------------|--|--|
| ბიზნესის მიზანი | საყოველთაო დოვლათი | ბიზნესის ანგარება | მონაწილეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება |
| ხორციელდება ინტერესით | მთელი საზოგადოებისათვის | ბიზნესმენებისათვის | ბიზნესმენებისა და საზოგადოებისათვის |
| მოვლენა | არაწინააღმდეგობრივი | არასასურველი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის | წინააღმდეგობრივი |

ბიზნესის ნეგატიური კონცეფცია მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის რწმენასა და პატიოსნებას. კრიტიკული კონცეფციის ფორმირებასა და პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულა მარქსისტულმა მოძღვრებამ. ანტისამეწარმეო განწყობამ და ანტიბიზნესურმა კამპანიამ საბჭოთა პერიოდში პიკს მიაღწია.¹ ცნობილია, რომ ამ რეჟიმის დროს ყოველგვარი კერძო მეწარმეობა მკაცრად ისჯებოდა კანონით, თვით სასჯელის მაღალი ზომების მიღებითაც კი (უცხოური ვალუტით ვაჭრობა, კომერციული შუამავლობა და ა.შ.) [70, გვ. 39].

კერძო სექტორში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა კონსტიტუციით დაშვებული იყო მხოლოდ რეწვის, სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურების, კუსტარული ნაწარმის დამზადების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სახით. კომუნისტური პროპაგანდა ყოველმხრივ ცდილობდა დაერწმუნებინა მოქალაქეები, რომ ინდივიდუალური შრომა არ შეესაბამება

¹ ამ საკითხს ნაწილობრივ ზემოთაც შევეხეთ

სოციალისტური წარმოების წესს. 1980-ანი წლების დასაწყისში საფინანსო ორგანოებში აღრიცხული იყო 218,5 ათასი ასეთი „ინდემწარმე“. ამასთან ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია „ინდივიდუალურ მშრომელთა“ რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა [61, გვ. 35].

ბიზნესის კრიტიკული კონცეფცია კაცობრიობის მომავალს ხედვას კომუნიზმში, სადაც ჩამოყალიბდება უკონფლიქტო და არაწინააღმდეგობრივი ეკონომიკური ურთიერთობები, სადაც არ იქნება კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და, შესაბამისად, არ იქნება ადგილი კორუფციას, მოგების მიღებისაკენ სწრაფვას და ადამიანები იცხოვრებენ კოლექტიურად საყოველთაოდ აყვავებულ სამყაროში.

ბიზნესის პრაგმატული კონცეფციის მიხედვით, ბიზნესი არის საზოგადოებისათვის აუცილებელი და ეკონომიკის განვითარებისათვის გარდაუვალი მოვლენა. იგი, ერთი მხრივ, აუცილებელია, ხოლო მეორე მხრივ, მისაღებია ადამიანებისათვის, რადგან ბიზნესის მეშვეობით ისინი იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებას საქონელზე და მომსახურებაზე [11, გვ. 46]. პრაგმატიზმი მოცემულ მიდგომაში განპირობებულია იმით, რომ ხდება ბიზნესის, როგორც ობიექტური მოვლენისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეების ელიმინირება. იგი არ განიხილება როგორც მხოლოდ ნეგატიური მოვლენა. ამასთან, მისაღებადაა აღიარებული კონკურენციის, როგორც ეკონომიკის განვითარების სტიმულატორის როლი და მნიშვნელობა.

პროფ. ი. მესხია ბიზნესის პრაგმატული კონცეფციისათვის 4 ძირითად თეორიულ საფუძველს გვთავაზობს:

1. თვით ტერმინ ბიზნესის არაწინააღმდეგობრივი განმარტება;
2. საზოგადოების მიერ მატერიალური და არამატერიალური დოვლათის ბუნებრივი შეზღუდულობის მუდმივი დაძლევის აუცილებლობა;
3. ბიზნესზე, როგორც ადამიანთა საქმიანობის აუცილებელ კომპონენტზე წარმოდგენა;

4. დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანს გააჩნია განსაკუთრებული (საქმიანი) თვისება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მათ ყოველდღიურ საქმიანობაში [12, გვ. 42].

თანამედროვე პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესი წარმატებით ითავსებს ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებს, როგორცაა:

1. ენერგიული, გერგილიანი და უნარიანი ადამიანების წარმოჩენა, რომელთათვისაც მცირე და საშუალო ბიზნესი თვითრეალიზაციის ერთგვარ ასპარეზად იქცევა;

2. მესაკუთრეთა რიცხოვნობის ზრდის ხელშეწყობა, რაც ცივილურ საზოგადოებაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია;

3. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა შედარებით დაბალი დანახარჯებით;

4. სწრაფი გადამზადებით პროფესიის შეცვლის ან შეთავსების მაღალი შესაძლებლობა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გარეშე;

5. დეკვალიფიცირებული სამუშაო ძალის შედარებით სწრაფად დასაქმების შესაძლებლობა;

საქართველოს კანონმდებლობით არ განისაზღვრება „ბიზნესის“ ცნება, ხოლო „მეწარმეობას“ განმარტავს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“. ჩვენი აზრით, მეწარმეობა უფრო ხშირად უნდა დავუკავშიროთ მატერიალური წარმოების პროცესს, როდესაც იქმნება პროდუქცია მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით, მოგების მიღების მიზნით. ამასთან, იგი არაერთჯერადი, შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობაა და სიახლეების დანერგვას მოითხოვს. ბიზნესი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი მართლზომიერი, რუტინული საქმიანობა, რომელსაც მოგება მოაქვს (მათ შორის კომერციული გარიგება, პროდუქციის შესყიდვა რეალიზაციის მიზნით და ა.შ).

ამდენად, ხშირ შემთხვევაში ეს ცნებები იდენტურია, მაგრამ არსებობს ზოგიერთი განსხვავებაც მათ შორის.

მართლმადიდებლური მოძღვრება საუკეთესო ნიმუშს იძლევა იმისას, თუ როგორ იცხოვროს არა მარტო რიგითმა ადამიანმა, არამედ ბიზნეს-ურთიერთობებში ჩართულმა ინდივიდმაც. ვიზიარებთ ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებას იმის

შესახებ, რომ მხოლოდ პატიოსანი, ღვთივსათნო საქმიანობის (შრომის) შედეგად საზრდოს მოპოვება არის ქრისტიანული შრომითი მორალის ქვაკუთხედი: “ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ!” (ფსალ. 127).

თანამედროვე პირობებში რწმენისა და ბიზნესის სინთეზი აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ან ნაკლები ღვთისმოშიშობა შესაძლოა ბაზრის ეფექტურობის რღვევის ძირითად მიზეზად იქცეს. აღნიშნულს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც თავის მხრივ იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, პირადი შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას და ა.შ. აუცილებელია აღიარება იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობა, ბიზნესის უზენაესი გაგება ღმერთს უკავშირდება. ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა გავაიგივოთ მხოლოდ წარმოების, გაცვლის და რესურსების ეფექტიანად განაწილების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებთან, არამედ მისი განხილვა უწინარესად საჭიროა, როგორც ადამიანისა ღმერთთან და მის კანონებთან. ამ სახით წარმართული ეკონომიკური საქმიანობა საწინდარია ბიზნესის რეალიზებისა, როგორც სულის გადარჩენისა, ამ საქმიანობაში მიღწევების ან წარუმატებლობის მიუხედავად [49, გვ. 33].

მცდარად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია აქტიურად ჩაება ეკონომიკურ ურთიერთობებში (ბიზნესში) და დაიცვა ბიბლიური მცნებები, ძირითადი მართლმადიდებლური ფასეულობები. ცალსახად აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია, თუმცა ეს იქნება დიდი ძალისხმევის, სულიერი ზრდის, მოთმინებისა და ღვთივსიყვარულის შედეგი და თუკი ეკონომიკური ურთიერთობები კაცობრიობის უდიდესი გამოგონებაა, ყოველი გამოგონება შესაძლოა ღვთის სამსახურში ჩააყენო და ადამიანის სასიკეთოდ მიმართო.

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესის იდენტიფიკაციის და მხარდაჭერის აქტუალური პრობლემები

მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა „მცირე“ და „საშუალო“ ბიზნესის განსაზღვრების ერთიან სტანდარტებთან დაკავშირებით. სხვადასხვა ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან. „მცირე საწარმოს“ დეფინიციას, სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებში მისი ფართო გავრცელების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ აქვს მყარი საფუძველი. ერთადერთი, რაზეც ყველა მკვლევარი თანხმდება, ესაა მცირე საწარმოების სიმცირე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არასრულყოფილება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. სამართლიანად ითვლება, რომ მკვლევართა უმრავლესობა ამ ტერმინს ხშირად არასათანადოდ იყენებს.

მიკროეკონომიკის ამერიკელი სპეციალისტების ჯ. სტონერისა და ე. დოლანის აზრით, მცირე საწარმო არის საწარმო, რომლისთვისაც „დამახასიათებელია დამოუკიდებელი მფლობელობა და სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მცირე ბიზნესს მიეკუთვნება საწარმო, რომელიც პასუხობს ქვემოთჩამოთვლილი ნიშან-თვისებებიდან ორს მაინც:

1. დამოუკიდებელი მართვა;
2. საკუთარი კაპიტალი;
3. მოქმედების ლოკალური რაიონი;
4. შედარებით მცირე ზომა დარგების მიხედვით“ [60, გვ. 88].

მცირე და საშუალო საწარმოები, უპირველეს ყოვლისა, არიან მოქნილნი, სწრაფად ეგუებიან ბაზრის ახალ კონიუნქტურას და საწარმო ცვლილებებს. მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ ოპერატიულად შექმნან და დანერგონ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, რასაც სწრაფად ვერ ახორციელებენ მსხვილი ფირმები. პრინციპულად ახალი ტექნიკის გამოშვება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც არღვევს მსხვილმასშტაბიანი, სერიული წარმოების სტაბილურობას. მესამეც, მცირე ფირმებისათვის დამახასიათებელია ინიციატივისა და დინამიზმის სულისკვეთება.

ბოლო გარემოება მნიშვნელოვნად განასხვავებს მსხვილ და მცირე ფორმებს. ეს გამოიხატება განსაკუთრებულ ადამიანურ ურთიერთობებში და სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატში, რომელიც ახასიათებს პატარა კოლექტივს, სადაც ყველანი გაეთიანებული არიან დამოუკიდებლობის და გადარჩენის მიზანსწრაფვით [81, გვ. 17].

დღეისათვის ევროკომისია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს განსაზღვრავს 2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. ცხრ. 1.2.1).

ცხრილი 1.2.1.

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია ევროკომისიის მიხედვით [64, გვ. 4]

| კრიტერიუმი | მიკრო | მცირე | საშუალო |
|------------------------------------|--|--------------|--------------|
| დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა | 9 | 49 | 249 |
| მაქსიმალური წლიური ბრუნვა | 2 მლნ. ევრო | 10 მლნ. ევრო | 50 მლნ. ევრო |
| ბალანსის მაქსიმალური თანხა | | | 43 მლნ. ევრო |
| დამოუკიდებლობა | კაპიტალის ან ხმის უფლების მქონე აქციების არაუმეტეს 25% ერთ ან რამდენიმე კომპანიას ეკუთვნის, რომლებიც არ წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოს | | |

განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ დამოუკიდებლობის ზღვარი 25%-ზე მეტია, საწარმო მაინც ავტონომიურად ითვლება და მცირე და საშუალო საწარმოთა შემდეგ განსაზღვრებებს შეესაბამება:

1. სახელმწიფო და საინვესტიციო კორპორაციები;
2. ვენჩურული კომპანიები, ფიზიკური პირები, იმ პირობით, თუ ინვესტიციების საერთო მოცულობა არ აღემატება 1,25 მლნ. აშშ დოლარს;
3. უნივერსიტეტები ან კერძო არაკომერციული კვლევითი ცენტრები;

4. ინსტიტუციონალური ინვესტორები, განვითარების რეგიონული ფონდების ჩათვლით;
5. ადგილობრივი ავტონომიური ხელისუფლება 10 მლნ.-ზე ნაკლები წლიური ბიუჯეტით და 5 ათასზე ნაკლები მოსახლეობით.

საგულისხმოა, რომ მოცემული განსაზღვრების ძალაში შესვლამდე მოქმედებდა განსხვავებული სისტემა (იხ. ცხრ. 1.2.2).

ცხრილი 1.2.2.

მცირე და საშუალო საწარმოთა განსაზღვრება
2005 წლის 1-ლ იანვრამდე [64, გვ. 4]

| კრიტერიუმი | მიკრო | მცირე | საშუალო |
|--|------------|--|---------|
| დასაქმებულთა საერთო რაოდენობა (კაცი) | 9 | 49 | 249 |
| მაქსიმალური წლიური ბრუნვა (მლნ. ევრო) | უმნიშვნელო | 7 | 40 |
| ბალანსის მაქსიმალ-ლური თანხა (მლნ. ევრო) | უმნიშვნელო | 5 | 27 |
| დამოუკიდებლობა | უმნიშვნელო | კაპიტალის ან ხმის უფლების მქონე აქციების არაუმეტეს 25% ერთ ან რამდენიმე კომპანიას ეკუთვნის, რომლებიც არ წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოს | |

როგორც ცხრილებიდან ჩანს, შეიცვალა მაქსიმალური წლიური ბრუნვისა და ბალანსის მაქსიმალური ჯამის შეზღუდვები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც განვითარებული ქვეყნები შედიან, 19 კაცამდე დასაქმებულ საწარმოს განსაზღვრავს როგორც "საკმაოდ მცირეს", 99 კაცამდე დასაქმებულს – როგორც "მცირეს", ხოლო 100-დან 499-მდე კაცამდე, როგორც "მსხვილს" [74, გვ. 51].

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იმ განსხვავებული მაჩვენებლების საერთო რიცხოვნობა, რომელთა მიხედვითაც საწარმო შეიძლება ჩაითვალოს მცირე ბიზნესის სუბიექტად, ორმოცდაათს აღემატება.

ამასთან, ზემოხსენებულ კატეგორიას მისაკუთვნიებული საწარმოების ზოგიერთი კრიტერიუმი ქვეყნების მიხედვითაც განსხვავდება: მაგალითად, კაპიტალის სიდიდე და გაყიდვების მოცულობა ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენენ დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, იაპონიაში, საკუთრების ფორმა – უნგრეთში, ბაზარზე არამონოპოლიური მდგომარეობა – აშშ-ში, დამოკიდებული ან დამოუკიდებელი მდგომარეობა მსხვილ საწარმოო სტრუქტურაში – იაპონიაში და ა.შ.

მსოფლიოს მასშტაბით საწარმოს „მცირე საწარმოდ“ მიკუთვნიებისათვის ყველაზე ხშირად შემდეგ კრიტერიუმებს იყენებენ:

1. პერსონალის რაოდენობა;
2. ბრუნვის მოცულობა;
3. აქტივების სიდიდე;
4. საწესდებო კაპიტალის სიდიდე;
5. საკუთრების სტრუქტურა (მცირე საწარმოს დამოუკიდებლობა).

მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების განსასაზღვრისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ რაოდენობრივ, ხარისხობრივ და კომბინირებულ მიდგომებს.

მიგვაჩნია, რომ უკეთესია რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენება მათი გაზომვის ხასიათიდან გამომდინარე და სწორედ ისინი გამოიყენება ყველაზე ხშირად პრაქტიკაში (იხ. ცხრ. 1.2.3).

არსებობს საწარმოს სიდიდის განსაზღვრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომები. ორივე მიდგომა ემყარება სუბიექტურ მსჯელობასა და გამოცდილებას [89].

საშუალო საწარმოს განსაზღვრის სხვადასხვა რაოდენობრივი ვარიანტი [64, გვ. 24]

| კვლევა | აქტივების საბალანსო ღირებუ- ლება, მლნ. ფუნტი | გაყიდვები ს მოცულო ბა, მლნ. ფუნტი | დასაქმ ებულთ ა რიც- ხოვნობ ა (კაცი) | ავტორები |
|---|---|--|---|---|
| საბუღალტრო აღრიცხვის- ათვის ორგანიზაციის სიდიდის განსაზღვრა | 1,4-5,75 | 1,4-5,75 | 50-250 | Mayes (1983), ნებისმიერი ორი კრიტერიუმი |
| დაგეგმარება საშუალო ბიზნესში | – | 10-33,3 | – | Fierheller (1983) |
| სტრატეგია საშუალო ბიზნესში | – | – | 10-500 | Bamberger (1980) |
| კორპორაციული დაგეგმარება საშუალო ბიზნესში, დიდი ბრიტანეთი | – | 9-160 | 1800- 4999 | Bhatty (1981) |
| საექსპორტო მარკეტინგული სტრატეგიები საშუალო ბიზნესში, დიდი ბრიტანეთი | – | – | 100-500 | Piercy (1983) |
| კომპანიების წარმატებული ზრდის ფაქტორები, აშშ | – | 16-666 | – | Cavanagh, Cliffard (1983) |
| ელექტომრეწველობის კომპანიების წარმატებული ზრდის ფაქტორები, დიდი ბრიტანეთი | – | 10-120 | – | Modiano, Nichiona (1986) |
| ინოვაციები მრეწველობაში, საბერძნეთი | – | – | 50-250 | Skoimal, Kazis (1985) |
| მარკეტინგული კვლევები | – | – | 100-500 | Shlegelmilch, Boyle, Therivel |

| | | | | |
|------------------|--|--|--|--------|
| საშუალო ბიზნესში | | | | (1986) |
|------------------|--|--|--|--------|

სტრატეგიული დაგეგმარების ანალიზისას ვან ხორნმა მცირე ფირმებისათვის დამახასიათებელი 5 ნიშანი გამოყო:

1. წარმოებული პროდუქციის შედარებით მცირე რიცხვი (ტექნოლოგიები, მომსახურება, ნოუ-ჰაუ);
2. შედარებით შეზღუდული რესურსები და სიმძლავრეები (ადამიანური რესურსები, კაპიტალი და ა.შ.);
3. მენეჯმენტის უსისტემობა, სასწავლო და სატრენინგო პროგრამების მიმართ არაფორმალური დამოკიდებულება;
4. ხელმძღვანელი თანამდებობები და აქციათა საკონტროლო პაკეტი დამაარსებლის და/ან მისი ნათესავების ხელშია;
5. გაცილებით ნაკლებადაა განვითარებული მართვის, ადმინისტრაციული პროცედურებისა და ტექნოლოგიების სისტემები, რაც აუცილებელია ორგანიზაციის სტრატეგიული მდგომარეობის კონტროლისა და შეფასებისათვის [72, გვ. 54].

საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობისა და გამოცდილების საფუძველზე ვან ჰორნმა შემოგვთავაზა საშუალოდ ჩაგვეთვალა ისეთი ფირმები, სადაც პერსონალის როცხოვნობა 50-დან 500 კაცამდეა და ბრუნვა 1–33 მლნ. ფუნტის ფარგლებშია, ხოლო სხვა ორგანიზაციები უფრო მოკრძალებული მაჩვენებლებით, ჩაგვეთვალა მცირე საწარმოებად.

ცხრილი 1.2.4.

ფირმის სიდიდის ხარისხობრივი განსაზღვრის ვარიანტი
 ხ. ველუს მიხედვით (1980) [72, გვ. 53]

| შედარების კრიტერიუმი | მცირე ბიზნესი | მცირე საშუალო ბიზნესი | საშუალო მსხვილი ბიზნესი | მსხვილი ბიზნესი |
|----------------------|--|---|--|--|
| მიზნები | განისაზღვრება ბაზრის მიერ ინტუიტიურად, | კორექტირდება ბაზრისა და სპეციალური სტრატეგიის | კორექტირდება ბაზრისა და სტრატეგიის მიერ, გამომგონებლუ- | დომინირება ბაზარზე, სისტემა-ტური და სტრ- |

| | იმპროვიზაციით | მიერ, ინტუიტიურად | რად | ატეგიული |
|------------|---|--|---|---|
| მენეჯმენტი | პირადი, ავტორიტარული, პირდაპირი | პირადი, კონსულტაციები მთავარ პარტნიორებთან, სპეციალისტებთან | პირადი, სპეციალისტების მცირე ჯგუფი, გარე ექსპერტების გამოყენება | გუნდური, სპეციალისტების დიდი გუნდი, ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა |
| პროდუქტი | არ არის დაგეგმვა და მარკეტინგული კვლევა | მოკლევადიანი დაგეგმვა მარკეტინგული კვლევების გარეშე | მოკლევადიანი და არარეგულარული ხანგრძლივადიანი დაგეგმვა, არასისტემატური მარკეტინგული კვლევები | ხანგრძლივადიანი დაგეგმვა, რეგულარული მარკეტინგული კვლევები |
| პერსონალი | პირადი ურთიერთობები “ზოსი – თანამშრომელი”, მოტივაციისა და ჩართულობის მაღალი ხარისხი, პროფკავშირების გავლენის არქონა, არ არსებობს შრომითი კოლექტივის საბჭო (მსკ) | პირადი ურთიერთობები “დამქირავებელი – თანამშრომელი ა კოლექტივი”, ჩართულობის გარკვეული დონე, პროფკავშირების სუსტი გავლენა, მკს-ის არქონა | თანამშრომლობის დამოკიდებულება, ორგანიზაციული გარემო, მოტივაციის გარკვეული დონე, პროფკავშირების გავლენის გაძლიერება, მკს-ის არქონა | ურთიერთობა თა მკაცრი იერარქია, თანამშრომლობა კოლექტივებში, ჩართულობის არქონა, მოტივაციის ამაღლება რთულია, ძლიერი პროფკავშირები და მკს |
| ფინანსები | ოჯახი, ბანკი | ოჯახი, ბანკი | ოჯახი, ბანკი, აქციები | ბანკი, აქციები |

მცირე და საშუალო საწარმოთა დეფინიციების კვლევაში მნიშვნელოვანი როლი შეიტანა პროფ. ა. შულუსმა. იგი გვთავაზობს მცირე ფირმის ფუნქციონირების შიდა და გარე გარემოს სტრუქტურის შესაბამისად კრიტერიუმების რამდენიმე ჯგუფი ჩამოყალიბდეს. ისინი განპირობებული უნდა იყოს:

1. საწარმოო პროცესის ხასიათით;
2. მართვის სისტემის სპეციფიკით;
3. ცალკეული შიგა ფაქტორების მდგომარეობით;
4. გარე ურთიერთქმედებათა განსაკუთრებულობებით.

პირველ ჯგუფს შულუსი მიაკუთვნებს: წარმოების გამოყენებადი საშუალებებისა და ტექნოლოგიური პროცესების მასშტაბების შეზღუდულობას, ასევე ვიწრო სპეციალიზაციას და მარკეტინგის სისტემის არასათანადო განვითარებას; მეორეს – საკუთრების ერთპიროვნულ უფლებას და უშუალო მართვას ორგანიზაციაში. აქ აქცენტი კეთდება ხელმძღვანელის განსაკუთრებულ როლზე, ასევე მენეჯერთა გუნდის მრავალფუნქციურობაზე, საინფორმაციო კავშირების სიმარტივეზე, დაგეგმარების, კონტროლის, გადაწყვეტილებათა მიღების არაფორმალურ ხასიათზე. მესამე ჯგუფი მოიცავს: ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობის პერსონიფიცირებულ ხასიათს, მომეტებულ აღქმუნარიანობას სიახლეებთან დაკავშირებით; გამოყენებადი ფინანსური რესურსების მცირე ოდენობას; კაპიტალბრუნვის დიდ მაჩვენებელს; არსებით გავლენას ოჯახური და ნათესაური კავშირების სამეურნეო საქმიანობის ყველა პარამეტრზე. უკანასკნელ, მეოთხე ჯგუფს მეცნიერი მიაკუთვნებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: რესურსის და გასაღების ბაზრების ლოკალურობა, არაფორმალური ურთიერთობა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, მომეტებული მგრძობელობა ეკონომიკური კონიუნქტურისა და საკანონმდებლო ცვლილების მიმართ; დაფინანსების წყაროების შეზღუდულობა; დიდი დამოკიდებულება მხარდაჭერის სხვადასხვა სისტემებზე.

მცირე საწარმოების განსაზღვრის ხარისხობრივი კრიტერიუმების სისტემები, პირველ რიგში, თეორიული კვლევებისათვის გამოიყენება. პრაქტიკაში ასევე

გამოიყენება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომის გაერთიანებით მიღებული – კომბინირებული სისტემა.

კომბინირებული მიდგომის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მცირე ფირმის განსაზღვრა, წარმოდგენილი ბოლტონის (დიდი ბრიტანეთი) კომიტეტის მოხსენებაში 1971 წელს. ისინი ცდილობდნენ გადაეღახათ რაოდენობრივი მიდგომის ნაკლოვანებები და შემოგვთავაზეს მცირე ფირმის “ეკონომიკური” და “სტატიკური” განსაზღვრება.

ეკონომიკური განსაზღვრების თანახმად მცირე ფირმებს მიეკუთვნება:

1. საბაზრო სივრცეში ორგანიზაციის მცირე ხვედრითი წილი მისი საქმიანობის სფეროს მიხედვით;

2. მცირე ფირმას არ შეუძლია ფასებზე გავლენის მოხდენა;

3. ფირმის მართვა ხორციელდება ხელმძღვანელის (ან თანამფლობელების) მიერ და არა მართვის ფორმალიზებული სტრუქტურის საშუალებით;

4. საწარმო დამოუკიდებელია იმ თვალსაზრისით, რომ არ წარმოადგენს რომელიმე მსხვილი კომპანიის შემადგენელ ნაწილს [4].

ბოლტონის კომიტეტის სტატისტიკური განსაზღვრება გამოიყენება მცირე ბიზნესის საწარმოების წვლილის წარმოსაჩენად მშპ-ში, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში, საექსპორტო საქმიანობაში და ა.შ.

კომბინირებული მიდგომა ბოლო წლებში საკმაოდ პოპულარული გახდა აშშ-ში. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე მკვლევარები გამოყოფენ სამი ტიპის ფირმებს:

1. “საშინაო” – დაახლოებით 30-40 დაქირავებული მუშაკი, წლიური შემოსავალი 2 მლნ. დოლარამდე. ასეთი საწარმოები ხასიათდებიან ზრდის ზომიერი ტემპებითა და შეზღუდული მიზნებითა და საშუალებებით;

2. “ინოვაციური” – ფუძნდება სამეცნიერო გამოგონებების, აღმოჩენებისა და სხვა ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტების საფუძველზე, ასევე ვარაუდობს 5-10 წელიწადში წლიური შემოსავლის გაზრდას 2-10 მლნ. დოლარამდე და პერსონალისას – 40-დან 400 კაცამდე.

3. “პერსპექტიული” – წინამორბედებისაგან განსხვავდება ზრდის მაღალი ტემპებით, შეუძლია 10-15 წლის შემდეგ წლიური შემოსავალი გაზარდოს 20-დან 30 მლნ. დოლარამდე, პერსონალი კი 500 კაცამდე.²

მცირე ბიზნესის კრიტერიუმები და განსაზღვრებები წარმოდგენილია გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ. ერთ-ერთი კრიტერიუმი დაკავშირებულია საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობასთან: აფრიკის ქვეყნებში 100 კაცამდე, ლათინოამერიკული ქვეყნებისათვის 5-დან 50-მდე. განსხვავებული კრიტერიუმებია შემოთავაზებული აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებისათვის, სადაც მცირე საწარმოებში დასაქმებული არ უნდა იყოს 50 კაცზე მეტი, თუ გამოიყენება ხელით შრომა და 20-მდე კაცი, თუ პროცესი მექანიზებულია. კიდევ უფრო დიდი განსხვავებები შეინიშნება ეროვნულ დონეზე, თუმცა ძირითად კრიტერიუმს მაინც დასაქმებულთა რაოდენობა წარმოადგენს. გამონაკლისია ინდოეთი, სადაც ჭარბი მუშახელის გამო საწარმოს რიცხოვნება რეგლამენტირებული არ არის და საწარმოს სიდიდე განისაზღვრება საწყისი კაპიტალის სიდიდით [5].

განვითარებულ ქვეყნებში “ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის” მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა კომერციული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც მიეკუთვნებიან მიკროდაფინანსებით და ინვესტიციებით დაკავებული კომპანიები. დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნებში არის 5000-ზე მეტი ასეთი ორგანიზაცია. მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდამ 2004 წლიდან 2008 წლამდე 30% შეადგინა. ორგანიზაციების რაოდენობის მხრივ ლიდერები არიან: გერმანია (17%), საფრანგეთი(15%), ნიდერლანდები (12%). კანადაში და აშშ-ში აღნიშნული ორგანიზაციების რაოდენობა 24000-ს უახლოვდება [16].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც წარმოიშობა მცირე და ნაწილობრივ საშუალო ბიზნესის იდენტიფიცირებისას, არის მათი დაბეგვრის შესახებ

² საწარმოთა განვითარების ამა თუ იმ ეტაპის დასახასიათებლად ბოლო პერიოდებში მეცნიერები ხშირად იყენებენ “სპეციალიზაციის კოეფიციენტს”, რომელიც უდრის საწარმოს წლიური შემოსავლის მიმართებას წარმოებისათვის და ძირითადი სახეობის პროდუქციის გასაღებისათვის გაწეულ დანახარჯებთან.

გადაწყვეტილების მიღება. იგი დამოკიდებულია მიზნებზე რომლებიც უნდა გადაწყდეს შემუშავებული პოლიტიკით.

არ არის სავალდებულო, ეს პოლიტიკა, აუცილებლად საგადასახადო შეღავათებს ან სხვა რეჟიმებს ითვალისწინებდეს, არამედ, იგი შესაძლოა მიმართული იყოს ბაზრისა და სახელმწიფოს არასრულყოფილების კორექციისაკენ და ადამიანთა გაცილებით ფართო წრეზე გავრცელდეს.

ჩვეულებრივ, კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება მცირე ბიზნესისათვის შეღავათების განსაზღვრისას ან სპეციალური რეჟიმების გამოყენების ვალდებულებანი დაბეგვრისაგან თავის არიდების მასშტაბების შესამცირებლად, მოიცავს ბრუნვას, დასაქმებულთა რაოდენობას, მესაკუთრეთა მახასიათებლებს. გარდა ამისა, ხშირად გამოიყენებენ გადამხდელთა აქტივების ოდენობას და ზოგიერთ სხვა პარამეტრებსაც.

პარამეტრების დიდი რაოდენობა გადამხდელთა იდენტიფიცირებისათვის, რომელთაც უფლება აქვთ ან შეუძლიათ გამოიყენონ სპეციალური რეჟიმები, არარაციონალურია, თუ მიზანს წარმოადგენს დაბეგვრის გამარტივება ან ადმინისტრირება.

ამასთან, ძნელია შემოიფარგლო ერთი კრიტერიუმით და საგადასახადო სისტემაში არ შეიტანო დამატებითი დეფორმაცია ან უსამართლობა. ზოგიერთ დარგში მნიშვნელოვანი ბრუნვებისას შესაძლოა შედარებით მცირე მოგება დაფიქსირდეს (მაგალითად, ვაჭრობა მაღალი კონკურენციის პირობებში), ზოგიერთებში კი აქტივების დაბალი ღირებულება მაღალი შემოსავლების თანამდევით იყოს (კონსალტინგური ბიზნესი). ბიზნესის მასშტაბებს ყოველთვის ადექვატურად არ ახასიათებს დასაქმებულთა რაოდენობა. როგორც წესი, დასაქმებულთა რაოდენობა და ბრუნვა ერთდროულად გამოიყენება კრიტერიუმებად.

ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი პარამეტრი, როგორცაა მესაკუთრეთა მახასიათებლები. ბევრ ქვეყანაში გამარტივებულ რეჟიმებს გამოიყენებენ მხოლოდ ინდივიდუალურ საწარმოებთან, საოჯახო ბიზნესთან ან ფიზიკური პირების პარტნიორობასთან მიმართებაში. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა შეზღუდული იყოს

დაქირავებული მუშახელის გამოყენება. ასეთ შემთხვევებს საკმაოდ რაციონალური საფუძველი გააჩნიათ, თუმცა რა თქმა უნდა, რაციონალურობის საკითხი დამოკიდებულია დადგენილ მიზნებზე.

ცნობილი რუსი მეცნიერი ე. შკრებელა დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმების გამოყენებისას შემდეგ ამოცანებს გამოყოფს:

1. საგადასახადო კანონმდებლობის შესრულების ხარჯების შემცირება. თუ მის გადასაწყვეტად არჩეულია ანგარიშგების გამარტივება მათთვის, ვისთვისაც საგადასახადო ანგარიშგება შედარებით მაღალ დანახარჯებს იწვევს, დაქირავებული მუშახელის მქონე იურიდიული პირებისა და მეწარმეების სასარგებლოდ საერთო რეჟიმის გამოყენებას ამართლებს ის, რომ ხელფასზე გადასახადების ვალდებულების განსაზღვრა გარკვეულ კვალიფიკაციას მოითხოვს. ასეთ დროს სამეწარმეო საქმიანობისაგან შემოსავლების განსაზღვრა გარკვეულ, მაგრამ არაარსებით, სირთულეს წარმოადგენს, რამეთუ მისი განსაზღვრა ტექნიკური კუთხით ოდნავ რთულია, ვიდრე შრომის ანაზღაურების განსაზღვრა.

2. ყველაზე წვრილი ბიზნესის რეგისტრაციის წახალისება. მისი ლეგალიზაციაც ასევე არ მოითხოვს სპეციალური რეჟიმების გამოყენებას იურიდიული პირების მიმართ. ასეთი ბიზნესი შეიძლება ხორციელდებოდეს ინდივიდუალური მეწარმეებისა და საოჯახო ბიზნეს-პარტნიორების ფორმით.

3. დაბეგვრისაგან შემოსავლების დაფარვის შემცირება უკვე დარეგისტრირებული პირებისაგან, უფრო სწორად, ბიუჯეტის შემოსავლების დანაკარგების შემცირება დასახელებულის თავიდან ასაცილებლად. ასეთ შემთხვევაში, დროებითი რეჟიმების გამოყენება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ საგადასახადო ბაზის გაანგარიშება გართულებულია [84, გვ. 33].

ბოლო პერიოდში განვითარებულ და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში შეიმჩნევა სპეციალური რეჟიმების უარყოფის ტენდენცია. ზოგიერთ ქვეყანაში კი დაბეგვრისაგან თავის არიდების მინიმუმაციის უზრუნველსაყოფად ალტერნატიულ მინიმალურ გადასახადებს იყენებენ. ასეთი გადასახადი მინიმალურია, მაგრამ

გარკვეულ პირობებში საწარმოს შეუძლია მისი არჩევა ალტერნატიული სახით.

მინიმალური ალტერნატიული გადასახადის ბაზად შეიძლება შეირჩეს ერთობლივი აქტივები, საბუღალტრო მოგება, ბრუნვა ან მათი კომბინაცია. მაგ., აშშ-ში მინიმალური ალტერნატიული გადასახადი გამოითვლება გარკვეული კორექტირებებით და სხვადასხვა საგადასახადო შეღავათის გათვალისწინებით. არგენტინაში, მექსიკაში, ეკვადორსა და პერუში მინიმალური ალტერნატიული გადასახადი განისაზღვრება ერთობლივი აქტივების ღირებულებიდან. რიგ ქვეყნებში (კოლუმბია, ინდოეთი) მინიმალური ალტერნატიული გადასახადით იბეგრება წმინდა სიმდიდრე (წმინდა ქონების ღირებულება), თუმცა ამ შემთხვევაში მეტია მანიპულირებისა და საგადასახადო ბაზის ეროზიის (შემცირების) საფრთხე. მინიმალური ალტერნატიული გადასახადის ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ მისი „მიბმა“ ისეთ ძირითად საშუალებებზე, როგორცაა მიწა, მანქანები, მოწყობილობები და ა.შ. მაგრამ ამან შეიძლება მოახდინოს წარმოების დისკრიმინაცია მომსახურების სასარგებლოდ.

ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში მინიმალური ალტერნატიული გადასახადი „მიბმულია“ საწარმოთა ბრუნვაზე, რამდენადაც ბრუნვა იოლად გაზომვადი ფინანსური მაჩვენებელია და იოლად მისაწვდომია საგადასახადო ადმინისტრირებისათვის.

საგადასახადო პოლიტიკის ცნობილი მკვლევარი, დოქტორი პ. შოუმი მიიჩნევს, რომ მინიმალური ალტერნატიული გადასახადის გამოყენება კომბინირებული სახით (ბრუნვა და საერთო აქტივები) მიზანშეწონილია იმ ქვეყნებში, რომლებიც ამას გარდაუვლად თვლიან. მისი აზრით, ასეთი მინიმალური ალტერნატიული გადასახადი არის სამართლიანი საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში, რამდენადაც ამ გადასახადს ყველა პოტენციური გადამხდელი იხდის, განურჩევლად სიდიდისა [94, გვ. 22].

ამავე დროს, გადასახადი, რომლის ბაზაა „ერთობლივი აქტივები“, შეიძლება ეკონომიკურად ეფექტიანი აღმოჩნდეს, რამდენადაც საქმიანობის იმ სახეებს შეამცირებს (მოახდენს მათ დესტიმულირებას), სადაც შემოსავლიანობა გათვლილზე ნაკლებია. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ასეთი ტიპის გადასახადი აღრიცხვას ართულებს,

რამდენადაც საწარმოთა უმრავლესობას აღრიცხვის მოთხოვნა უნარჩუნდება, ხოლო დანახარჯები კი ეზრდება.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., ბელგია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი) მცირე საწარმოთა დაბეგვრისას გამოიყენება კორპორაციათა შემოსავლებზე გადასახადების შემცირებული განაკვეთები. არის ქვეყნები, სადაც მცირე ბიზნესისათვის სპეციალური რეჟიმების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი (ახალი ზელანდია, ავსტრია, ისლანდია, ესტონეთი). ზოგიერთ სახელმწიფოში გამოიყენება განსაკუთრებული წესები დღგ-თან მიმართებაში ან ზოგიერთი შეღავათი მოგების გადასახადში (მაგ., დაჩქარებული ამორტიზაცია).

ანალიზი აჩვენებს, რომ ალტერნატიული გადასახადების გამოიყენებას აზრი აქვს იქ, სადაც სეზონური საქმიანობა ხორციელდება, რომელსაც თან ახლავს საქმიანობის ადგილის ხშირი ცვლილება (მაგ., კურორტებზე მომსახურებათა შეთავაზება). მეწარმე, რომელიც სუვენირებით ვაჭრობს, მომავალ წელს შეიძლება სხვა კურორტზე წავიდეს საქმიანობისათვის, ან კიდევ სხვა ქვეყანაში (განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში). მისი პოვნა საბოლოო ანგარიშწორებისათვის დიდ დანახარჯებს უკავშირდება, ამიტომ აქ ალტერნატიული გადასახადები უფრო მისაღებია ბიუჯეტისათვის. ასეთი გადასახადები გამოიყენება საფრანგეთში, ისრაელში, ესპანეთსა და იტალიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი განსაკუთრებული რეჟიმი ზღუდავს რესურსების განაწილებას (განლაგებას) და არღვევს სამართლიანობას. აქვე მოტანილი გვაქვს განზოგადებული ანალიზი გარდამავალ ქვეყნებში აპრობირებული სპაციალური რეჟიმების შესახებ.

ცხრილი 1.2.5.

გარდამავალ ეკონომიკებში გამოყენებული
სპეციალური რეჟიმები [88, გვ. 4]

| ქვეყანა | სისტემის სახეობა | შენიშვნა |
|----------|--|--|
| ალბანეთი | გადასახადი ფიქსირებული თანხის სახით ან გადასახადი მთლიან | ფიქსირებული გადასახადი მიკრობიზნესისათვის (წლიური ბრუნვით 2 მლნ. ლეკამდე, ან 14 000 \$); 4%-ანი გადასახადი მთლიან ბრუნვაზე მცირე |

| | | |
|-------------|--|---|
| | ბრუნვაზე | ბიზნესისათვის (წლიური ბრუნვით 2-8 მლნ. ლევი, ე.ი. 57 000 \$) |
| სომხეთი | ფიქსირებული თანხა | ფიქსირებული გადასახდელი მცირე მასშტაბის საწარმოებისათვის – საპარიკმახეროები, გაზის სადგურები, კომერციული თევზჭერა და ვაჭრობა რომელიც ხორციელდება არანაკლებ 30 კვ.მ. სავაჭრო ფართობზე |
| აზერბაიჯანი | გადასახადი მთლიან ბრუნვაზე | 2%-ანი გადასახადი მთლიან ბრუნვაზე, თუ ბრუნვა არ აღემატება დაბეგვრიდან გათავისუფლებული მინიმალური ხელფასის 300-მაგ ოდენობას (6400\$) |
| ბელორუსი | ფიქსირებული თანხა | ფიქსირებული გადასახადი მაღაზიებისათვის ერთადერთი მფლობელით და 25 კვ.მეტრზე ნაკლები ერთიანი სავაჭრო ფართით, პლუს საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის ობიექტები ბაზრებსა და სავაჭრო გამოფენებზე. |
| ბულგარეთი | ფიქსირებული თანხა | ინდივიდებისათვის ბიზნესის განსაკუთრებულ სექტორებში, 75 000 ლევზე ნაკლები წლიური ბრუნვით |
| ხორვატია | ფიქსირებული თანხა | |
| ჩეხეთი | ფიქსირებული თანხა | |
| ესტონეთი | სპეციალური სისტემა არ არის | |
| საქართველო | სპეციალური რეჟიმები მიკრო და მცირე ბიზნესისათვის | მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მისი საქმიანობის სფერო შეზღუდულია (მცირე ბიზნესის შემთხვევაში დასახელებული თანხობრივი ზღვარი 100 000 ლარია. განაკვეთი 5%). |
| უნგრეთი | ფიქსირებული თანხა | მცირე საწარმოებს შეუძლიათ აირჩიონ დეტალიზებული ალტერნატიული |

| | | |
|------------|--|--|
| | | გადასახადი ნაცვლად პერსონალურ შემოსავლებზე გადასახადისა და დღგ-სა. |
| ყაზახეთი | ფიქსირებული თანხა ან გადასახადი მთლიან შემოსავალზე | განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც დაფუნდებულია გამარტივებულ დეკლარაციაზე საწარმოთათვის, პერსონალის რიცხოვნობით არა უმეტეს 15 კაცისა და მთლიანი ბრუნვით მაქსიმუმ 4,5 მლნ. ტენგე; იურიდიულ პირთათვის პერსონალის რიცხოვნობით არა უმეტეს 25 ადამიანისა და მთლიანი ბრუნვით მაქსიმუმ 9 მლნ. ტენგე. ფიქსირებული გადასახადი სათამაშო ბიზნესისათვის. |
| ყირგი-ზეთი | გადასახადი მთლიან ბრუნვაზე | მცირე და საშუალო საწარმოებს (ერთობლივი ბრუნვა 3 მლნ. სომამდე ან დაახლოებით 63 000 \$) შეუძლიათ გადაიხადონ გადასახადი მთლიან ბრუნვაზე 5-დან 10%-მდე ყველა ეროვნული გადასახადების ნაცვლად. ინდემწარმეებს შეუძლიათ აჩევით მიიღონ პატენტი და გადაიხადონ გადასახადი მთლიან ბრუნვაზე, ე.ი. საცალო გაყიდვებზე 4%-ის ოდენობით. |
| ლატვია | სპეციალური სისტემა არ არის | |
| ლიტვა | გადასახადი სავარაუდო შემოსავალზე | ირჩევენ ფირმები, რომელთა მთლიანი შემოსავალი 100 000 ლიტზე ნაკლებია (26 000 \$) |
| მაკედონია | ფიქსირებული თანხა | |
| მოლდოვა | ფიქსირებული თანხა | ინდემწარმეებს შეუძლიათ შეიძინონ პატენტი, რომელიც ითვალისწინებს ყოველთვიურ გადახდებს |
| რუსეთი | გადასახადი შემოსავალზე და ერთიანი გადასახადი (გამარტივებული სისტემა) | გადასახადი დაკისრებულ შემოსავალზე ინდემწარმეთათვის და კომპანიებისათვის ცალკეულ დარგებში – საცალო ვაჭრობა, საზღვება, ავტომტეჟ მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება, საყოფაცხოვრებო და ვეტერინარული მომსახურება: 15%-ანი გადასახადი შემოსავალზე. ერთიანი გადასახადი გამარტივებული |

| | | |
|------------|---|--|
| | | სისტემის ფარგლებში მეწარმეებისა და კომპანიებისათვის დასაქმებულთა რიცხოვნობით 100 კაცამდე და 11 მლნ. რუბ. (352 000\$) ბრუნვით: 6%-ანი გადასახადი მთლიან ბრუნვაზე (15%-ანი გადასახადი მთლიან ბრუნვაზე მინუს ხარჯები). ორივე გადასახადი ცვლის მოგების, ფიზიკურ პირთა შემოსავლების, ქონების გაყიდვების, გადასახადებს. |
| თურქმენეთი | ფიქსირებული თანხა | ლიცენზია ფიქსირებული თანხის სახით მეწარმეებისათვის იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე და წლიური ბრუნვით არანაკლებ 72 მლნ. მანათი (14000 აშშ\$). |
| უკრაინა | ერთიანი გადასახადი (მთლიან ბრუნვაზე), ფიქსირებული გადასახადი, ნებართვა ვაჭრობაზე, გადასახადი მცირე მეწარმეობაზე | ერთიანი გადასახადი კომპანიებისათვის არა უმეტეს 50 დასაქმებულით და ბრუნვით არანაკლებ 1 მლნ. გრივნის; ინდივიდებისათვის არა უმეტეს 10 დასაქმებულით და ბრუნვით არა ნაკლებ 500 000 გრივნის: 6%-ანი გადასახადი მთლიან ბრუნვაზე, რომელიც არ ათავისუფლებს აგენტს დღს-გან, ან 10%-ანი გადასახადი მთლიან ბრუნვაზე, რომელიც არ ათავისუფლებს საწარმოს დღს-გან. ერთიანი გადასახადი მთლიან ამონაგებზე საბითუმო ვაჭრობისათვის – ბრუნვის 35% (მდებარეობის მიხედვით). ფიქსირებული გადასახადი ინდემწარმეებისათვის იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე |
| უზბეკეთი | გადასახადი მთლიან ბრუნვაზე ან გადასახადი ფიქსირებული თანხის სახით | |
| სერბეთი | გადასახადი მთლიან ბრუნვაზე, გადასახადი ფიქსირებული თანხის სახით | მეწარმეებს შეუძლიათ აირჩიონ გადასახადი მთლიან ამონაგებზე 2% განაკვეთით. პირობები: არაუმეტეს 50 დასაქმებულისა; ბრუნვა არაუმეტეს საშუალოთვიური ხელფასის 8000– მაგი ოდენობისა; აქტივების საშუალო ღირებულება არაუმეტეს საშუალოთვიური ხელფასის 6000– მაგი |

| | | |
|--|--|------------|
| | | ოდენობისა; |
|--|--|------------|

ცხრილი 1.2.5.

მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმები ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში

| ქვეყანა | საგადასახადო რეჟიმი |
|-----------|--|
| ავსტრალია | ახალი რეჟიმი უფლებას ანიჭებს ბიზნესს წლიური ბრუნვით არაუმეტეს 2 მლნ. AUD, არჩევანი გააკეთოს შემდეგი საგადასახადო შეღავათიდან: საკასო მეთოდის გამოყენება GST-ს (გადასახადი საქონელზე და მომსახურებაზე, დღგ-ს ექვივალენტი) გაანგარიშებისას; GST –ს გადახდა განვადებით; საგადასახადო კრედიტის განაწილება ერთი წლის განმავლობაში GST-ის მიხედვით, საქონლის და მომსახურების შესაძენად; გამარტივებული წესები სავაჭრო მარაგებისათვის; ამორტიზაციის გამარტივებული წესები; საგადასახადო კომპენსაცია მეწარმეებისათვის; აქტივების გათავისუფლება გადასახადისგან კაპიტალური ღირებულების ნამატზე 15 წლით; კაპიტალური ღირებულების ნამატზე გადასახადის 50%-ანი შემცირება აქტიური ფონდებისათვის; კაპიტალური ღირებულების ნამატის გადასახადისგან გათავისუფლება აქტივების გასვლისას; კაპიტალური ღირებულების ნამატის გადასახადის წესები რეფინანსირებისას; გადახდის განვადებები კორექტირების საფუძველზე სავარაუდო მშპ-ის გათვალისწინებით; საწარმოებს 2 მლნ. AUD-ზე მეტი წლიური ბრუნვით, შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათებით გადასახადში კაპიტალური ღირებულების ნამატისათვის, თუკი მათი წმინდა აქტივები 6 მლნ. AUD –ზე ნაკლებია. |
| ავსტრია | არ არის სპეციალური საგადასახადო რეჟიმები მცირე ბიზნესისათვის |
| ბელგია | საწარმოებს 13 მლნ. ბელგიურ ფრანკზე ნაკლები საგადასახადო დაბეგვრის შემოსავლით უფლება აქვთ ისარგებლონ შემცირებული საგადასახადო განაკვეთით, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს: არ ფუნქციონირებენ საფინანსო სექტორში, არ ჰყავთ მაჟორიტარი მფლობელი, |

| | |
|--------------|---|
| | <p>დივიდენდების განაწილება გადახდილი კაპიტალის 13% -ზე ნაკლებია წლის დასაწყისისათვის;</p> <p>შემცირებული ეფექტური განაკვეთები შეადგენენ: 24,98%-ს 25 000 ევრომდე შემოსავალზე; 31,93%-ს 25 001-90 000 ევრომდე შემოსავალზე; 35,54%-ს 90 001-322 500 ევრომდე შემოსავალზე.</p> |
| კანადა | <p>მცირე საწარმოებს უფლება აქვთ ისარგებლონ შემოსავალზე გადასახადის შემცირებელ განაკვეთზე (27,6%), თუ აქტიური სამეწარმეო შემოსავალი 30 0000 CAD-ზე ნაკლებია.</p> <p>საწარმოებისათვის, რომელთა გაყიდვების მოცულობა ნაკლებია 30 000 CAD-ზე, სავალდებულო არ არის დარეგისტრირდნენ general sales tax/harmonized sales tax-სთვის. საწარმოებს, რომლებიც გადაცდებიან ამ ზღვარს, შეაძლიათ გამოიყენონ აღრიცხვის ორი გამარტივებული მეთოდიდან ერთი-ერთი.</p> |
| დანია | <p>არ არის სპეციალური საგადასახადო რეჟიმები მცირე ბიზნესისათვის</p> |
| გერმანია | <p>არ არის რეჟიმი მცირე ბიზნესისათვის. თუმცა მცირე ბიზნესს ეძლევა რამდენიმე შეღავათი:</p> <p>საწარმოები წლიური გაყიდვებით არაუმეტეს 350 000 ევროსა ან სამეწარმეო შემოსავლით არაუმეტეს 30 000 ევრო სარგებლობენ გამარტივებული საბუღალტრო აღრიცხვით.</p> <p>საინვესტიციო შეღავათები: საწარმოები არაუმეტეს 17 500 ევროს წლიური ბრუნვით არ იხდიან დღგ-ს. დღგ ჩვეულებრივ, იანგარიშება დარიცხვის მეთოდით, მაგრამ ფირმებისათვის ბრუნვით არაუმეტეს 125 000 ევროსი, დაშვებულია საკასო მეთოდის გამოყენება.</p> |
| ირლანდია | <p>არ არის გადასახადები მცირე ბიზნესისათვის.</p> |
| ნიდერლანდები | <p>არ არის მოქმედი საგადასახადო რეჟიმი მცირე ბიზნესისათვის. თუმცა ვაჭრობისათვის და საცალო ვაჭრობისათვის ხელმისაწვდომია დღგ-ს გადახდის გამარტივებული მეთოდები.</p> |

| | |
|-----------------------|--|
| <p>დიდი ბრიტანეთი</p> | <p>მცირე ბიზნესის გადასახადი. მცირეა საწარმო არაუმეტეს 1,5 მლნ. ფუნტის ბრუნვით. მცირე ბიზნესი 300 ათასი ფუნტზე ნაკლები ბრუნვით, იბეგრება 20%-ანი განაკვეთით. ბიზნესი ბრუნვით 300 ათასიდან 1,5 მლნ. ფუნტამდე, იბეგრება მცირე ბიზნესის ზღვრული შეღავათით, რომელიც გაიანგარიშება 11/400 წილით. სქემა მცირე ლუდსახარშებისათვის: მცირე ლუდსახარშებს უფლება აქვთ ალკოჰოლზე ბაჟის 50%-იან შეღავათზე. დღგ-ს რეჟიმი მცირე ბიზნესისათვის: მცირე ბიზნესს არაუმეტეს 660 ათასი ფუნტის მოსალოდნელი ბრუნვისა, უფლება აქვს გამოიყენოს აღრიცხვის საკასო მეთოდი, რომლიც დროსაც დღგ გაყიდვებზე გაიანგარიშება გადახდების მიღებიდან გამომდინარე და არა ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შედეგად.</p> |
|-----------------------|--|

განვითარებულ ქვეყნებში არაკომერციული ორგანიზაციების მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მისია მოიცავს პირობების შექმნას სერვისული მხარდაჭერასათვის ახალშექმნილ და მზარდი მცირე საწარმოსათვის. ასეთი ორგანიზაციების მოქმედების ძირითადი მიმართულებებია:

- საკონსულტაციო, საცდელ-საკონსტრუქტორო, მარკეტინგული, საპროექტო, სოციოლოგიური, ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება;
- კადრების მომზადების და გადამზადების ორგანიზაცია, ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მომუშავეთა კვალიფიკაციის და მმართველობის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
- წევრებს შორის საინფორმაციო გაცვლის უზრუნველყოფა.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას აქტიურად ახორციელებენ აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო პალატები. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ ფედერალური მთავრობის მიერ ეკონომიკის სფეროში კანონების და დადგენილებების მომზადებაში.

მეწარმესათვის ხელშეწყობისა და დახმარების პოლიტიკა ემსახურება პალატის წევრების „შიგა“ მოთხოვნებს. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია პალატის მეწარმე-წევრების ერთობლივი ურთიერთდახმარების ორგანიზაცია. იმავდროულად ეს არის ეკონომიკური თვითმმართველობის საფუძველი.

ამ საქმიანობას, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება პალატის მეწარმე-წევრებს შორის ინფორმაციათა გაცვლა. ამისათვის იბეჭდება უამრავი გამოცემა, უპირველეს ყოვლისა ჟურნალები და სხვა სახის ლიტერატურა [33].

მცირე და საშუალო მეწარმეთა განკარგულებაშია ასევე საკონსულტაციო სამსახურები, რომელთა დახმარებით პალატები ხელს უწყობენ და ეხმარებიან ფირმებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში. ასეთი სამსახურებს მიეკუთვნება:

- საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების საკონსულტაციო სამსახური;
- ინოვაციური დამუშავების საკონსულტაციო სამსახური;
- საერთაშორისო ინფორმაციული ბანკები;
- ინფორმაციის ბანკები პატენტების საკითხებზე;
- ახალი საწარმოს დაფუძნებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო სამსახური;

აღნიშნულ საქმიანობაში პალატები საერთო ინფორმაციასთან, ცნობებთან, რეკომენდაციებთან, მითითებებთან ერთად აწარმოებენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს, განსაკუთრებით სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც ძალზე ხშირია სამეწარმეო საქმიანობაში. პალატები აგრეთვე წყვეტენ სადავო საკითხებს, რომელიც წარმოიშობა კონკურენციული ბრძოლის შედეგად.

ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მსს-თან დაკავშირებით არის შემდეგი:

1. ნორმატიული ბაზისა და ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება;
2. მსს-ს ინტერესების დამცველი ასოციაციების მონაწილეობა ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღებისას;
3. ახალი სამუშაო ადგილების შემქმნელი მსს-ს ფინანსური მხარდაჭერა;
4. მსს-ს დახმარება კვლევების, ინოვაციების, კადრების მომზადების საკითხებში;
5. “ერთიანი ბაზრის” ფუნქციონირებაში დარღვევებისა და მასში ისეთი კონკურენციის აღმოფხვრა, რომელიც ამცირებს მსს-ს მოქმედების ეფექტიანობას;
6. მსს-ის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მათ შორის საგარეო ბაზრებზე მათი გასვლის მიზნით;

7. ევროკავშირის მოსახლეობას შორის მეწარმეობრივი სულის კულტივირება და მსს-ს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების მხარდაჭერა.

ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ბიზნესისათვის უკეთესი პირობების შეთავაზებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, წარმოების ზრდის უზრუნველყოფას. ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს “სოციალური და ეკონომიკური შერწყმის” პრინციპის ცხოვრებაში გატარება, რომელიც მიმართულია იქეთკენ, რომ სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების მქონე რეგიონებსა და სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს მიაწოდოს თანაბარი შესაძლებლობები. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ყველაზე გაჭირვებულ რეგიონებსა და სოციალურ ჯგუფებს უპირველესად უნდა გაეწიოს დახმარება.

ევროკავშირის მსს-ს დახმარების საკმაოდ მწყობრივი სტრუქტურა აქვს. ევროკავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოში არსებობს როგორც სახელწიფო ისე კერძო ორგანიზაციები, რომელთა მიზანსაც მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და განვითარება წარმოადგენს. ამასთან ევროკავშირის თითოეულ სახელმწიფოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პოლიტიკას შეიმუშავებს ძირითადად ეკონომიკის და/ან მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროები. სხვა სამინისტროები აქტიურად ერთვებიან მსს-ს მხარდაჭერის საკითხში.

სავაჭრო-სამრეწველო პალატები დაკავებული არიან კვალიფიკაციის ამაღლებით, ტექნოლოგიური კონსულტაციით, საერთაშორისო ვაჭრობისა და თანამშრომლობის სტიმულირებით, ხარისხის სერტიფიკატების გაცემით, საქმიანი ინფორმაციის მიწოდებით. კერძო საფინანსო ორგანიზაციები - კომერციული ბანკები, ვენჩურული კომპანიები წარმოადგენენ მსს-ს საკრედიტო მხარდაჭერას, ხოლო კერძო კვლევითი და კონსალტინგური სტრუქტურები კონსულტაციებს იძლევიან მენეჯმენტის, მარკეტინგის, ტექნოლოგიების საკითხებთან მიმართებით.

არსებობს სპეციალური პროგრამები, რომლებიც მიმართულია კვალიფიკაციისა და განათლების ამაღლებისაკენ. მაგალითად, „ტემპუსი“ (Tempus) - ევროპული

თანამეგობრობის პროგრამა, რომელიც აფინანსებს უნივერსიტეტთაშორის თანამშრომლობას სასწავლო გეგმების განვითარებაში, უნივერსიტეტების მართვას, სამეცნიერო წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედებას, აგრეთვე სტრუქტურულ რეფორმებს უმაღლესი განათლების კუთხით. სტუდენტების, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული შემადგენლობის მობილობა, როგორც ევროკავშირის ასევე პარტნიორი სახელმწიფოებიდან, შეიძლება გახდეს პროექტის ნაწილი პროგრამა Tempus-ის ფარგლებში. არის ასევე პროგრამა „ერასმუს მუნდუსი“ (Erasmus Mundus), რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ფინანსური მხარდაჭერის მიღება სწავლისა და პრაქტიკისათვის ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოში.

უკანასკნელ წლებში ევროპაში ფართო გავრცელება ჰპოვა მხარდაჭერის ინტერაქტიურმა ინსტრუმენტებმა, როგორებიცაა პორტალები, ვებინარები, ვიდეოკონფერენციები, ვიდეო- და აუდიოტექნოლოგიები.

1.3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საზღვარგარეთის ქვეყნებში

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თემა ძალზე აქტუალურია საქართველოში არსებული ეკონომიკის მოდერნიზაციის პირობებში. მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ნებისმიერ ქვეყანაში: იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზარს აწვდის ახალ საქონელსა და მომსახურებას და აკმაყოფილებს მსხვილი საწარმოების მოთხოვნებს.

ბოლო წლებში არაერთი ქართველი მეცნიერისა და მკვლევარის ნაშრომი გამოიცა ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა ღონისძიებებს მათი ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. მოიკოჭლებს სახელმწიფო დახმარებაც მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით მივიჩნევთ, რომ სასარგებლო იქნებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა საზღვარგარეთის ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოების მდგომარეობაზე და მოგვეხდინა მათი ანალიზი. მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირებისა და მხარდაჭერის საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა და ანალიზი სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს დაეხმარება მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი პროგრამების შემუშავებაში [58, გვ. 7].

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სერიოზული ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ: ადგენენ და ახორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს და უწყებენ მათ მნიშვნელოვან შეღავათებს. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ

ნაწილს ასაქმებს. ამ ქვეყნებში მშპ-ს 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ.

ევროპის სახელმწიფოებში სამრეწველო გადატრიალების შემდეგ, ამ სექტორის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, განუხრელად იზრდებოდა მისი მნიშვნელობა: მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენდნენ საწარმოთა რიცხოვნობის 98,7%-ს, საფრანგეთში 99,3%-ს, შვეიცარიაში 99,1 %-ს, ავსტრიაში-99,7%-ს. შედარებით მოკრძალებული იყო ამ სექტორის ხვედრითი წილი დასაქმებაში (50-55%). ამ მიმართებით, გასული საუკუნის დასაწყისისათვის შემდეგი სურათი გამოიკვეთა (იხ. ცხრ. 1.3.1):

ცხრილი 1.3.1.

სამრეწველო საწარმოთა ჯგუფები 1902-1907 წლებში [67, გვ. 500]

| საწარმოთა მაჩვენებლები (საწარმოთა ზომების მიხედვით) | ხვ. წილი საწარ- მოთა რაოდენ- ობაში, % | ხვ. წილი დასაქმებაში, % |
|--|--|----------------------------|
| მცირე | | |
| გერმანია 1907წ. | 90.0 | 29.1 |
| საფრანგეთი 1906წ. | 87.4 | 24.9 |
| ავსტრია 1902წ. | 94.2 | 46.8 |
| შვეიცარია 1905წ. | 92.7 | 39.9 |
| საშუალო | | |
| გერმანია 1907წ. | 8.7 | 23.2 |
| საფრანგეთი 1906წ. | 11.9 | 35.1 |
| ავსტრია 1902წ. | 5.5 | 25.4 |
| შვეიცარია 1905წ. | 6.4 | 23.3 |
| მსხვილი | | |
| გერმანია 1907წ. | 1.3 | 47.6 |
| საფრანგეთი 1906წ. | 0.7 | 40.0 |
| ავსტრია 1902წ. | 0.3 | 27.8 |
| შვეიცარია 1905წ. | 1.0 | 36.8 |

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკათა სტრუქტურას და ეფექტიანობას განაპირობებს მცირე ბიზნესის პროფესიული დონე და

სოციალური აქტივობა, მისი უნარი, განავითაროს ეკონომიკის ინოვაციური სექტორი. ამას ქვემოთ მოტანილი მონაცემებიც მოწმობენ (იხ. ცხრ. 1.3.2).

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მცირე ბიზნესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-თვის არნახული მნიშვნელობა შეიძინა. მცირე საწარმოთა ძირითადი მასა არიან კომპანიები, სადაც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ.

მცირე საწარმოები ეფექტიანობას ავლენენ არა მარტო სამომხმარებლო სფეროში, ასევე მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში, როგორც ცალკეული მცირე მექანიზმების, დეტალების და ნახევარფაბრიკატების მწარმოებლები, რომელთა გამოშვება არარენტაბელურია მსხვილი საწარმოებისათვის. აღნიშნული საფუძვლად უდევს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებში მცირე საწარმოების განსაზღვრის და მათი როლის მიმართ სისტემურ მიდგომას.

ბოლო წლებში, მიუხედავად კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისა მეტალურგიულ წარმოებაში (ბელგია), ნავთობკონცერნებში (ესპანეთი), აგროსამრეწველო კომპლექსში (ჰოლანდია, დანია), ფარმაცევტულ წარმოებასა და ხის დამუშავებაში (შვედეთი), საავტომობილო წარმოებაში (გერმანია), საათების წარმოებაში (შვეიცარია) არ მომხდარა მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბების შეზღუდვა, რამდენადაც მათ სიცოცხლისუნარიანობის არნახული უნარი გამოავლინეს.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები. ამიტომ, როცა მივმართავთ ციფრობრივი მაჩვენებლებით ოპერირებას და განვითარებული ქვეყნების შედარებას ქართულ რეალობასთან, აუცილებელია ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული განსხვავებების, ასევე ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინება.

მცირე და საშუალო ბიზნესისადმი საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერის ძირითადი მაჩვენებლები მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში [77, გვ. 59]

| მაჩვენებელი | ქვეყანა | | | | | | | |
|---|---|--|---|--|--|--|--|---------|
| | აშშ | კანადა | იაპონია | გერმანია | საფრანგეთი | იტალია | დიდი ბრიტანეთი | ინდოეთი |
| მცირე და საშუალო საწარმოებისადმი წლიური ფინანსური მხარდაჭერის მოცულობა (მლრდ. დოლარი) | | | | | | | | |
| ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | 0,8 | 0,45 | 1,64 | 1,8 | 1,5 | 5,05 | 1,37 | 0,35 |
| კრედიტები | 21,6 | 22,8 | 39,9+2480 (კერძო კრედიტები) | 61,9 | 9,2 | 15,2 | 6,3 | - |
| გარანტიები | 1,67 | 3,36 | - | - | 4,7 | - | 6,3 | 0,53 |
| უფლებამოსილი საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციები | | | | | | | | |
| რაოდენობა | 7384 | - | 410 | - | 480 | - | 12 | 755 |
| სახეობები | უფლებამოსილი კერძო ბანკები და საინვესტიციო კომპანიები | ბანკები (66%), საკრედიტო კავშირები (20%), სახელმწიფო ფონდები (8%) და სხვა (6%) | საკრედიტო და საგარანტიო განყოფილებები, ვენჩურული ფონდები, საინვესტიციო კომპანიები | მს-ების მხარდამჭერი ბანკი, ინვესტიციების და განვითარების საზოგადოება | მს-ების განვითარების ბანკი (ფილიალებით), საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციები | ფონდები, საკრედიტო ცენტრები, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიები | საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციები, განლაგებული ქვეყნის ტერიტორიაზე | - |
| მს-ების წილი ქვეყნის მშპ-ში, % | 52 | 43 | 51,6 | 57 | 49,8 | 55 | 52 | 6,9 |
| მს-ების წილი დასაქმებაში, % | 50,1 | 47 | 69,5 | 69,3 | 56,6 | 71 | 55,5 | 4,5 |

სწორედ ეროვნული განსაკუთრებულობები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის შესაძლებლობაში რეალური სექტორის საწარმოო პროცესებში.

განვიხილოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე.

აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას განეკუთვნებიან სამეურნეო სუბიექტები, რომლებშიც დასაქმებულია არაუმეტეს 500 ადამიანისა. ყველა მცირე და საშუალო საწარმო აშშ-ში იყოფა 3 კატეგორიად:

1. მიკროსაწარმოები - ფირმები, სადაც თანამშრომლების რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს;
2. მცირე საწარმოები - 20-დან 100 კაცამდე;
3. საშუალო საწარმოები - 100-დან 499 კაცამდე;

გარდა ამისა, ცალკე შეიძლება გამოიყოს საწარმოები, სადაც გამოიყენება დაქირავებული მუშახელი და საწარმოები, სადაც ფირმის მეპატრონეს არ ესაჭიროება მუშახელის დაქირავება.

მცირე და საშუალო ბიზნესმა აშშ-ში განვითარება ჯერ კიდევ დიდი დეპრესიის დროს დაიწყო, ამიტომ მისი დონე სტაბილურად მაღალი რჩება. დღეისათვის აშშ-ში 7 მლნ. საწარმოა, სადაც პერსონალის რაოდენობა 500 კაცს არ აღემატება. აქედან 6 მილიონ საწარმოში 20-მდე ადამიანია დასაქმებული. გარდა ამისა, მოქმედებს 18,3 მლნ. ინდივიდუალური არასასოფლო სამეურნეო საწარმო.

აშშ-ში ყოველწლიურად რეგისტრირდება 600 ათასი მცირე საწარმო, 500 ათასი კი ლიკვიდირდება. ეს არავის აკვირვებს, რადგან მცირე და საშუალო საწარმოების მეპატრონეები მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნის დინამიკაზე. ხვდებიან რა, რომ სხვა სფეროში და სხვა ადგილზე მათი საქმეები უკეთ წავა, მცირე და საშუალო საწარმოების მეპატრონეებს ძველი ბიზნესის დატოვება და ახლის წამოწყება ურჩევნიათ. ამერიკელები ამ მხრივ საკმაოდ ადაპტირებული არიან და სწრაფად გადაწყობა შეუძლიათ. თუნდაც მათი ბიზნესი კრახით დამთავრდეს, ენთუზიაზმს არ კარგავენ და

მველი ბიზნესის დასასრულს ახლის დასაწყისად აღიქვამენ. სავარაუდოა, რომ ამ ფსიქოლოგიურ ფენომენში იმალება მთელი ამერიკული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო.

მცირე და საშუალო მეწარმეობა აშშ-ში სხვადასხვა სფეროში ფუნქციონირებს: მატერიალურ წარმოებაში, ვაჭრობაში, ფინანსურ სექტორში, სოციალური მომსახურების სექტორსა და ინოვაციის სფეროში. მცირე საწარმოების რიცხვი აშშ-ში განუწყვეტლივ იზრდება. ასე, მაგალითად, 1983 წლიდან 2006 წლამდე მათი რაოდენობა 13 მილიონიდან 26 მილიონამდე გაიზარდა. დღეისათვის აშშ-ს სამუშაო ადგილების 2/3 შექმნილია მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას მიკუთვნებული კომპანიებისა და სტრუქტურების მიერ [68, გვ. 5].

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის წვლილი მეცნიერების განვითარებისა და ახალი პროდუქციის ათვისებაში: აშშ-ში გამოგონებათა ძირითადი ნაწილი სწორედ მცირე და საშუალო სპეციალიზირებული ფირმების წილად მოდის. თვითმფრინავების, ვერტმფრენების, კონდინციონერების, პერსონალური კომპიუტერების და სხვა პროდუქციის წარმოება თავდაპირველად მცირე და საშუალო საწარმოებში დაიწყო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აშშ-ში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერა. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ფილოსოფია და პრინციპი ქვეყანაში, რომელიც ტრადიციულად ითვლება “კაპიტალიზმის დასაყრდენად”, არახალია. იგი გაცილებით ადრე, დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა.

ფედერალური პროგრამები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში ახლა მუშავდება, აშშ-ში 1932 წლიდან მოქმედებს. დიდი დეპრესიის შემდეგ სახელმწიფომ დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების სუბსიდირება, რომლებიც ომით დაზარალდნენ. ამ პერიოდში სწორედ მცირე ბიზნესი უზრუნველყოფდა აშშ-ში სამუშაო ადგილების შექმნას და ინარჩუნებდა უაღრეს სოციალურ მნიშვნელობას [62].

1942 წელს მიიღეს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“. 1953 წელს აშშ-ში შეიქმნა ფედერალური სააგენტო - მცირე ბიზნესის საქმეთა ადმინისტრაცია, რომელიც დღესაც იცავს მცირე ბიზნესის ინტერესებს სამთავრობო დონეზე. ამჟამად მცირე ბიზნესის საქმეთა ადმინისტრაცია ითვლის 3700 თანამშრომელს. თითოეულ შტატში მოქმედებს მისი რეგიონული განყოფილება 30-40 კაცის შემადგენლობით. ადმინისტრაციას თავისი განყოფილებები გააჩნია ქვეყნის 90 დიდ ქალაქში. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ყველა განყოფილება აშშ-ს ტერიტორიაზე გაერთიანებულია ერთიანი კომპიუტერული ქსელით.

ეს ორგანიზაცია ფინანსურ და კონსულტაციურ მხარდაჭერას უწევს მეწარმეებს, ეხმარება სახელმწიფო დაკვეთების მიღებაში და მსხვილ მეწარმეებთან კონტრაქტების გაფორმებაში. სააგენტოს ფილიალები განთავსებულია ყველა დიდ ქალაქში. ამგვარად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ყველა შტატზე ვრცელდება. სააგენტოს ძირითად მიზნებს შეადგენს:

- მცირე და საშუალო ბიზნესის უშუალო სუბსიდირება და კრედიტირება საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე;
- დახმარება კრედიტის მიღებაში და გარანტიების წარდგენა კრედიტებზე ბიზნესისათვის;
- ბიზნესის ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა;
- ფედერალური მთავრობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს კონკურენციული გარემოს შენარჩუნება და განვითარება, რომელიც საწარმოო დანახარჯების შემცირების გზით სურვილს აღუძრავს მეწარმეებს გადავიდნენ უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანია 2 პროგრამა რომელსაც SBA ახორციელებს: პროგრამა "7a"-ს მიზანია მცირე მეწარმეობისადმი გარანტიების მიცემა იმ ასპექტით, რითაც ჩვეულებრივ პირობებში ამის მიღწევა შეუძლებელია. სესხის მიზნების, ვადების და საერთო თანხის მიხედვით გარანტიამ შეიძლება შეადგინოს 75%, თუკი სესხი 750 ათას დოლარს არ აღემატება.

პროგრამა "504"-ის მიზანია დაეხმაროს გაფართოებასა და მოდერნიზაციაში მოქმედ მცირე საწარმოებს. პროგრამა იღებს ინფორმაციას ფირმის საქმიანობის შესახებ და თავაზობს გრძელვადიან კრედიტს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით უძრავი ქონების, დანადგერების და ტექნოლოგიების შესაძენად.

SBA-ს ბიუჯეტის 72% იხარჯება მცირე ბიზნესის ტრადიციულ პროგრამებზე ("7a"), ხოლო 19,6% პროგრამა "504"-ზე. 7,2% ეთმობა ერთობლივი მცირე საწარმოების შექმნის მხარდაჭერას, ხოლო 0,5% არის მიკროკრედიტები, რომელიც ხშირად არადაბრუნებადია. მიუხედავად იმისა, რომ SBA-ს მომსახურე კლიენტთა 85% პირველივე წელს კოტრდება, სიცოცხლისუნარიან ფირმათა მიღწევები მაინც ფარავს ეროვნული ეკონომიკის ამგვარ დანაკარგებს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამას საგანგებო სიტუაციების (სტიქიური უბედურებები, სოციალური არეულობები, ტერორისტული აქტები).

აშშ-ში მცირე ბიზნესზე ვრცელდება სპეციალური საგადასახადო შეღავათები. ასეთია მაგალითად, "პირველი წლის ბონუსი", როცა გადასახადი გადაიხდება დასაბეგრი თანხის მხოლოდ ნახევარზე.³ ფედერალური გადასახადების აბსოლუტური და შეფარდებითი ოდენობების შემცირება ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას, სტიმულს იძლევა საშუალო საწარმოების გასახსნელად, აძლიერებს მათ პოზიციებს ამერიკის ეკონომიკაში, ეს კი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ნიშნავს.

ასევე ხორციელდება მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური სამთავრობო პროგრამა ეროვნული უმცირესობებისათვის, რასაც საფუძვლად უდევს კანონი „თანაბარი შესაძლებლობების შესახებ“ და კანონი „საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ“. 2007 წლისათვის 3 მილიონი მცირე საწარმო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა.

³ აღნიშნული ტიპის შეღავათი საქართველოში 1997 წლამდე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობითაც იყო გათვალისწინებული დამწყები ბიზნესისათვის (მოგების გადასახადისაგან პირველ წელს განთავისუფლება, ხოლო მომდევნო წელს მისი სანახევროდ დაბეგრა)

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებშიც მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, 2010 წლის სექტემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ“. დოკუმენტი გულისხმობს ადგილობრივი ბანკების დაფინანსების გაზრდას ბიზნესის კრედიტორების პროცესის აქტივაციისათვის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას კრედიტებზე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის და კერძო მეწარმეობისათვის. იგი ასევე ითვალისწინებს საგადასახადო კრედიტების გაცემის პრაქტიკის გაფართოებას და მეწარმეთა ზოგიერთი ჯგუფის ნაწილობრივ გათავისუფლებას საშემოსავლო გადასახადისაგან.

მცირე საწარმოთა სრულყოფილად დაკმაყოფილების იდეამ ასახვა ჰპოვა „ინკუბატორული“ პროგრამების ორგანიზაციაში, რომელთა მიზანია მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა. იმ მეწარმეების დახმარება, რომლებსაც სურთ, მაგრამ არ შეუძლიათ თავიანთი საქმის წამოწყება. მეცნიერებს, ანალიტიკოსებს, პროგრამისტებს, ინჟინრებს, გამომგონებლებს, რომლებსაც სურთ მოაწყონ საკუთარი ბიზნესი „ინკუბატორში“ ხელმისაწვდომი აქვთ ყველაფერი აუცილებელი საკუთარი იდეების სარეალიზაციოდ. ისინი სარგებლობენ არა მარტო საწარმოო შენობებით, არამედ მოწყობილობით, ვენჩურული კაპიტალის (სარისკო) ფონდებით, სხვადასხვა სახის მომსახურებით. ამაში გამოიხატება „ინკუბატორების“ განსხვავება ტრადიციული სამრეწველო პარკებისაგან, სადაც იჯარით სთავაზობენ მხოლოდ საწარმოო და ადმინისტრაციულ შენობებს, მინიმალური ბიზნეს ინფრასტრუქტურით. მომსახურების დაახლოებით 85%-ს „ინკუბატორები“ ახორციელებენ მცირე ინოვაციურ ფირმებზე, რომლებიც შეიმუშავენ პროდუქციისა და ტექნოლოგიების ახალ სახეებს [20, გვ. 24]. 80-იანი წლების შუა პერიოდში „ინკუბატორების“ პროგრამების ორგანიზატორები გაერთიანდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ ასოციაციაში. „ინკუბატორები“ არსებობენ შტატებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სახსრებით, მთავრობის სუბსიდიებით, მეწარმეთა საიჯარო გადასახადებით და ა.შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მუნიციპალური სტრუქტურების მხარდაჭერის როლი. ამის ნათელი დადასტურებაა ქ. სიეტლი, რომელიც სწორედ მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერით პროვინციული ქალაქიდან ქვეყნის ერთ-ერთ ეკონომიკურ ცენტრად იქცა. სიეტლის მთავრობა ახორციელებს პროგრამათა კომპლექსს საერთო სახელწოდებით „ძლიერი გადაწყვეტილება ახალი საუკუნისათვის“, რომელიც აერთიანებს სამ პროგრამას: „მზად ვარ გამოვიმუშავო“, „ბიზნესის მხარდაჭერისა და კომპანიის დაკრედიტების განვითარების ცენტრი“ და „სიეტლის საზოგადოებრივი განვითარების კომპანია“.

როგორც ზემოთ მოტანილი ანალიზი ცხადყოფს, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა აშშ-ში საკმაოდ მაღალ დონეზეა. ეს კი, თავის მხრივ, ხელსაყრელ კლიმატს ქმნის ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განსავითარებლად. აშშ-ის შრომის დეპარტამენტის მონაცემებით ქვეყანაში ყოველწლიურად 800 ათასზე მეტი ბიზნესი იქმნება. ისეთი დიდი და კარგად ცნობილი ბიზნესების გვერდით, როგორცა Coca-Cola და IBM-ის კომპანიები, უამრავი მათზე შედარებით მცირე ბიზნესი ყალიბდება, რომლებიც გვთავაზობენ როგორც დასაქმების შესაძლებლობებს, ასევე სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ევროკავშირის ექსპერტები, მრავალი წლის განმავლობაში ესპანეთის მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრუქტურას, ორგანიზაციის ფორმისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით სამაგალითოდ მიიჩნევენ. ასეთი შეფასების მთავარ არგუმენტია ამ სახის ბიზნესისაგან მშპ-ის 72%-ის ფორმირება.

მცირე და საშუალო ბიზნესმა ჩამოყალიბება და აქტიური განვითარება 1970-იან წლებში დაიწყო. მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები მიღწეულ იქნა მცირე ბიზნესის განვითარების ხარისხის წყალობით. მცირე და საშუალო საწარმოებს შეეძლოთ ქვეყანა უმუშევრობისაგან გადაერჩინათ, ხელი შეეწყოთ საერთო წინსვლისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების წილი ზოგიერთ დარგში 80%-მდე აღწევს (სოფლის მეურნეობა), დანარჩენ დარგებში კი საშუალოდ 25-30%-ია (მშენებლობა, მრეწველობა, გემთმშენებლობა). მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა

მირითადი მიმართულებებია – აგროსამრეწველო კომპლექსი (სოფლის მეურნეობა, ხორბალი), შავი და ფერადი მეტალურგია, კვების მრეწველობა (კვების პროდუქტების, საკონდიტრო ნაწარმის დამზადება, მეღვინეობა), მშენებლობა, ტურიზმი და ა.შ.

ესპანეთში შემუშავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ბევრი პროგრამა. მათთვის, ვინც საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებს, შემუშავებულია და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე პროგრამები. მეწარმე პირველი ხუთი წლის განმავლობაში არ იხდის გადასახადებს, აგრეთვე შესაძლებლობა აქვს ბიზნესის გასაფართოებლად ისარგებლოს უვადო კრედიტით. ესპანეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მცირე საწარმოებს, რომელთაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისათვის: ქმნიან სამუშაო ადგილებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის (სტუდენტები, ქალები, იმიგრანტები და ა.შ.), ხელს უწყობენ ნაკლებად განვითარებული რეგიონების წინსვლას. ესპანეთში სახელმწიფო მრავალ ორგანიზაციასა და ფონდს ახალისებს მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად [65, გვ. 45].

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარ დადებით ფაქტორად ესპანეთში შეიძლება დავასახელოთ ბიუროკრატის მინიმალური დონე. საწარმოს რეგისტრაცია და ლიცენზიის აღება განაცხადის შეტანიდან 24 საათში ხდება, ჩინოვნიკების მხრიდან ზედმეტ მოთხოვნათა გარეშე. ამასთან, ეს შეიძლება გააკეთოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქემაც. მინიმუმადეა დაყვანილი სახელმწიფო სტრუქტურების მაკონტროლებელი ფუნქციები.

სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემებით, 2008 წლისათვის ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 2/3 დაკავებული იყო კერძო სექტორში და მხოლოდ 20% - სახელმწიფოში. ესპანეთში ეკონომიკური კრიზისის დასაწყისისათვის დასაქმებულთა და დროებით უმუშევართა (დასაქმების პერსპექტივით) თანაფარდობა საკმაოდ პოზიტიური იყო. 2009 წლის კრიზისმა მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა: საქმიანი აქტივობის ვარდნა, ასობით მსხვილი და საშუალო და ათასობით მცირე ფირმის გაკოტრებამ უმუშევართა დიდი არმია წარმოშვა. სხვადასხვა სახის პრობლემები

შექმნათ უმთავრესად სამშენებლო, ავეჯის, ტურიზმისა და სერვისის სფეროებში მოღვაწე ფირმებს. ამის მიუხედავად, მცირე ბიზნესი კვლავ რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად, რაც სახელმწიფო დახმარების მასშტაბებში გამოიხატება.

საფრანგეთში „მცირედ“ ითვლება საწარმო, რომელშიც 50-მდე კაცია დაკავებული. დღეისათვის საფრანგეთში რეგისტრირებულია 3 მილიონამდე მცირე და საშუალო საწარმო. აქედან ნახევარი მუშაობს მომსახურების სფეროში, 780 ათასი - ვაჭრობაში, 350 ათასი - მშენებლობაზე, 303 ათასი - მრეწველობაში. ყოველწლიურად ქვეყანაში იქმნება 250 ათასი საწარმო და კოტრდება 50 ათასი. ამასთან, საფრანგეთში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების 40-50% მოდის სწორედ მცირე საწარმოებზე. 3 მილიონი მცირე საწარმოდან დაახლოებით 1.5 მილიონი ეკუთვნის ინდივიდუალურ ან საჯახო ბიზნესს, რომელიც საქმიანობას ეწევა დაქირავებული პერსონალის გარეშე, ხოლო 1200 საწარმოში 10 კაცამდეა დასაქმებული.

საფრანგეთში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხში შეიძლება გამოიყოს რიგი ნიუანსები. ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყანაში შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების სერიოზული სახელმწიფო სისტემა. ახალი მცირე საწარმოები ორი წელი თავისუფლდებიან სააქციო საზოგადოებების და ადგილობრივი გადასახადებისგან. მათთვის მცირდება საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი მოგების ინვესტირებადი ნაწილისაგან. სახელმწიფო განსაკუთრებით ღმობიერად ეპყრობა, ვინც საკუთარი ბიზნესის გახსნა ეკონომიკურად დეპრესიულ რეგიონებში განიზრახა. ასეთ მეწარმეებზე ვრცელდება შეღავათები ან საერთოდ თავისუფლდებიან სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში შესატანი გადასახადებისაგან (ჯანდაცვა, უმუშევართათვის განკუთვნილი დახმარებები, საპენსიო ფონდები, ფონდები მრავალშვილიანებისათვის). უმუშევართათვის, რომლებმაც საკუთარი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს, მოქმედებს დახმარებების სპეციალური სისტემა. ისინი სამი წლით თავისუფლდებიან გადასახადების გადახდისაგან და ერთი წელი არ იხდიან სავალდებულო სოციალურ შენატანებს სოცდაზღვევის ფონდებში. ასეთ მეწარმეებს გადაეცემათ სპეციალური წიგნაკები,

რომელთა მოსახვევი ჩეკებით შეიძლება განხორციელდეს ანგარიშსწორება მენეჯმენტის, იურისპრუდენციის, საბუღალტრო აღრიცხვის და სხვა საკითხებზე. მცირე საწარმოების თითქმის ყველა მეპატრონეს შეუძლია ჰქონდეს შეღავათიანი კრედიტისა და სუბსიდიის იმედი.

ცხრილი 1.3.3

მცირე ბიზნესის დარგობრივი სტრუქტურა
საფრანგეთში 2007 წ. [68, გვ. 8]

| დარგი | ხვ. წილი, % |
|--|-------------|
| მრეწველობა | 20,6% |
| მშენებლობა | 23,6% |
| სასტუმროები და რესტორნები | 6,6% |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობები და კომუნიკაცია | 6,1% |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა | 6,3% |
| საფინანსო შუამავლობა | 6,2% |
| უძრავი ქონება და საქმიანი ოპერაციები | 14,8% |
| ჯანდაცვა და სოციალური დახმარება | 8,9% |
| სხვა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მომსახურებანი | 6,9% |

საწარმოთა დაფუძნება, წახალისება და მათი გაკოტრების თავიდან აცილება სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის მთავარ სფეროს წარმოადგენს [16]. ამით არის დაკავებული სპეციალური დაწესებულება - „საწარმოთა დაფუძნების ეროვნული სააგენტო“, რომელიც არა მარტო ეხმარება კერძო მეწარმეებს, არამედ ცდილობს საწარმოების დაცვას გაკოტრების მოახლოებული საფრთხისას.

საწარმოთა დაფუძნებისას მეწარმეებს სახელმწიფო დახმარებას უწევენ ტერიტორიული მოწყობის სამინისტროების ორგანოები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები - რეგიონული და გენერალური საბჭოები, ასევე მსხვილი კორპორაციების მიერ შექმნილი კერძო ფონდები, რომლებიც, თავის მხრივ, მიზნობრივ საგადასახადო შეღავათებს იღებენ.

სამეწარმეო თანამეგობრობის ინტერესების ლობირების წამყვან ორგანიზაციას წარმოადგენს „ფრანგი მეწარმეების მოძრაობა“. მცირე მეწარმეები საკმაოდ ხისტად და უკომპრომისოდ იცავენ თავიანთ უფლებებს სახელმწიფოსთან დიალოგის პროცესში,

განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გადასახადებსა და ფონდებში თანხების გადარიცხვებს ეხება.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გასანეიტრალებლად სახელმწიფომ შექმნა ფონდი 2 მლრდ. ევროს მოცულობით, რომლის სახსრებიც მიმართული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირებისა და დაკრედიტებისათვის. გარდა ამისა, შემცირდა სოციალური დახმარების განაკვეთი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, გატარდა სხვა ღონისძიებები.

დიდი ბრიტანეთის კანონების თანახმად, მცირე საწარმოს მიეკუთვნება ისეთი საწარმო, რომელშიც მომუშავეთა რაოდენობა არ აღემატება 50 კაცს, ხოლო საწარმოო ბრუნვა - არ აღემატება 2,8 მლნ. გირვანქა სტერლინგს, ან საწარმოო ბალანსი არ აღემატება 1,4 მლნ. გირვანქა სტერლინგს. აღნიშნული სისტემა ქმნის შეფასების გარკვეულ ბუნდოვანებას, ვინაიდან მომუშავეთა მცირე რიცხოვნობის მიუხედავად, ასეთ საწარმოს შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი ბრუნვის გენერირება. შესაბამისად, სტატისტიკური აღრიცხვისთვის გამოიყენება მხოლოდ რიცხოვნობის მაჩვენებელი [9, გვ. 32].

ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოების საერთო რაოდენობა აღემატება 2600 ათასს, ანუ 46 საწარმო 1000 სულ მოსახლეზე. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია მშპ-ში 50-53%-ის ფარგლებში მერყეობს. მცირე ბიზნესის საწარმოებში დასაქმებულია 13,6 მლნ. კაცი, რაც შეადგენს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 49%-ს. აღნიშნული კრიტერიუმით, დიდი ბრიტანეთის საწარმოების 99%-ს წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოები.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მატერიალური დახმარება. აღნიშნული დახმარების მიზნობრივ მიმართულებას წარმოადგენს: ფინანსური რესურსებისადმი მცირე ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; საგადასახადო ტვირთის და ადმინისტრაციული შეზღუდვების შემცირება; კონსალტინგური და იურიდიული მომსახურების გაწევა.

გარდა ამისა, სახელმწიფო ხელშეწყობა ითვალისწინებს მცირე ბიზნესისათვის დახმარების პროგრამებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ახალი და მოქმედი ფირმების კონსულტაციის პროგრამები;
- ფინანსური დახმარების განხორციელების პროგრამები;
- მცირე ფირმების საექსპერტო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამები;
- შოტლანდიაში, უელსში, ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედებს მცირე ფირმების დახმარების რეგიონული პროგრამები.

გარდა იმ პროგრამებისა, რომლებს გააჩნიათ უნივერსალური მახასიათებლები, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ მცირე საწარმოების დახმარებას ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში (გარემოს დაცვა, სამეცნიერო კვლევები უახლეს დარგებში და ა.შ.). მაგ., მცირე საწარმოებს შორის ტარდება ყოველწლიური კონკურსი საუკეთესო კომერციული სტრატეგიის შემუშავებისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის რეალიზაციის საკითხებში.

ცხრილი 1.3.4.

მოგების გადასახადის დაბეგვრის შკალა დიდ ბრიტანეთში [62, გვ. 43]

| მოგების მოცულობა, ათ. გირვანქა სტერლინგი | მოგების გადასახადის განაკვეთი, % |
|--|---|
| 10-ზე ნაკლები | 0 |
| 50-ზე მეტი | პირველი 10 ათ. გირვ. სტერლინგზე – 10%; 10 ათ. გირვ. სტერლინგზე ზემოთ თანხაზე - 23,75% |
| 50-დან 300-მდე | 19 |
| 300-დან 1500-მდე | პირველ 300 ათ. გირვ. სტერლინგზე – 19%; 300 გირვ. სტერლინგზე მეტ თანხაზე - 32,75% |
| 1500-ზე მეტი | 30 |

დიდი ბრიტანეთის მცირე საწარმოები გათავისუფლებული არიან მოგების გადასახადისაგან ინფორმაციულ და ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე მიმართულ სახსრებზე, აგრეთვე აქვთ შეღავათები დღგ გადახდისას და ქონების ადგილობრივ გადასახადზე. ის საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 56 ათ. გირვანქა

სტერლინგს, საერთოდ არ ექვემდებარებიან რეგისტრაციას სამეფო სამსახურის საბაჟო და აქციზების ადგილობრივ განყოფილებებში დღე ან აქციზის გადახდის მიზნით.

გარდა ამისა, მოგების გადასახადის პროგრესული სკალა, რომელიც მოქმედებს გაერთიანებულ სამეფოში, ყველაზე მეტად მოგებიანია უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

მცირე ბიზნესს აქვს ცალკეული შეღავათები საგადასახადო ანგარიშგების წარმოებაში. მეტიც, ამჯერად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მოქმედებს წლიური მოგებიდან 825 გირვ. სტერლინგის გადახდის შეღავათი, თუ ფინანსური ანგარიშგება იქნება შესრულებული ელექტრონული სახით.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს მცირე საწარმოებზე გარანტირებული სესხების პროგრამა. პროგრამის მიხედვით, მცირე ბიზნესის სამსახური კომერციულ ბანკს კრედიტების ღირებულების 75%-მდე დაბრუნების გარანტიას აძლევს მცირე საწარმოს გადახდისუუნარობის შემთხვევაში. სესხების კონკრეტული პირობების დადგენა არის კომერციული ბანკის პრეროგატივა, ხოლო სახელმწიფო ორგანოები დებულობენ გადაწყვეტილებას მხოლოდ მისი გარანტირების შესრულების შესახებ.

გარანტირების უარის თქმის ძირითად მიზეზს წარმოადგენს შეზღუდვა კრედიტის მიზნობრივ გამოყენებაზე. გარანტიების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილია საშუალოდ 50 მლნ. გირვანქა სტერლინგი. კომერციულ ბანკებზე გარანტიების გაცემის გარდა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ხორციელდება აგრეთვე რეგიონულ დონეზე სხვადასხვა ფონდების გამოყენებით.

უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში, მმართველობის რეგიონულ ცენტრებში და კერძო საკონსულტაციო ფირმებში მოქმედებენ მცირე ბიზნესის კურსები 6-10 კვირიანი ხანგრძლივობით. კურსები ფინანსდება მცირე საწარმოს სპეციალისტების მომზადების სამთავრობო სააგენტოს მიერ.

ბრიტანეთის მთავრობის და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ბრიტანეთის მცირე საწარმოები ყველაზე საიმედონი არიან ევროპაში. ეს

დადასტურებულია კვლევებით, რომელიც ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის და მრეწველობის დეპარტამენტის მიერ ევროპის ცხრა სახელმწიფოში. დიდ ბრიტანეთში ახლად რეგისტრირებული მცირე საწარმოების 90%-ზე მეტი ერთ წელიწადზე მეტ ხანს ფუნქციონირებს, ხოლო 70% - სამი და მეტი წლის განმავლობაში [78].

გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ გადაწყვეტილებები მიიღება ფედერაციის, მიწების, საქალაქო თვითმმართველობებისა და თემების დონეზე. ბოლო პერიოდში ამ პროცესში ფართოდ მონაწილეობს ევროკომისია.

სახელმწიფო მმართველი ორგანოს განტვირთვის მიზნით, მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) მხარდაჭერის რიგი ფუნქციები გადაცემულია ზოგიერთ საზოგადოებრივ-სამართლებრივ ინსტიტუტზე, კერძოდ კი სპეციალიზებულ ბანკებზე და კერძო ბიზნესის თვითმარეგულირებელ ორგანიზაციებზე (მაგ., სავაჭრო-სამრეწველო პალატები).

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა შეიცავს 500-ზე მეტ ფედერალურ და რეგიონულ მნიშვნელობის პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინვესტიურ აქტივობებს. მხარდაჭერა გამოიხატება ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებაში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკურ და ტექნიკურ კონსულტაციებში, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელების და მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების დაფინანსებაში.

გარდა ამისა, ხდება დახმარების გაწევა საწარმოს საწყისი კაპიტალის ფორმირებაში, როდესაც საქმე გვაქვს უპირატესად გრძელვადიან დაბანდებასთან (მაგ., რაციონალიზაცია, მოდერნიზაცია, გაფართოება, საწარმოს სიმძლავრეთა გაზრდა).

მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები დაცულია სპეციალური კანონებით და სამართლებრივი აქტებით (ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დებულებები და საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული დოკუმენტები). მათი ნაწილი უკავშირდება ინვესტიციებს მცირე და საშუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის ირიბი დახმარება: მოქმედებს საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ათავისუფლებენ ამ კატეგორიის საწარმოებს საშემოსავლო გადასახადისაგან გარკვეულ ფარგლებში და მოქმედებს ამორტიზაციის განსაკუთრებული ნორმები წარმოებაში ინვესტიციების სტიმულირებისათვის).

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის შემდეგი სახეები მოქმედებს:

- სახელმწიფო საინვესტიციო წანამატები ან სუბსიდიები, რომლებიც ძალზე იშვიათად გაიცემა დაბრუნების პირობით. მათ გაანგარიშებას საფუძვლად უდევს ინვესტიციების გეგმიური მოცულობა. წანამატები არ იბეგრება და გამოიყენება მოთხოვნის საფუძველზე. სუბსიდიები კი იბეგრება და მათი წარდგენა ხდება გამანაწილებელი ორგანოს მოთხოვნით;

- შეღავათიანი კრედიტების გაცემა, რომელიც ხშირად გამოიყენება ფედერალურ და რეგიონულ დონეზე. შეღავათიან კრედიტებს უწოდებენ ფარულ ფინანსურ დახმარებას, რადგან ეს თანხა წარმოადგენს საბაზრო და შეღავათიან საკრედიტო განაკვეთებს შორის სხვაობას (საკრედიტო სუბსიდია) [100].

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შეღავათიანი კრედიტების გაცემის დოტაციები შეადგენს თანხის 3-10%-ს. სპეციალიზებული ბანკების პროგრამების თანახმად, რომელთა დაფინანსება ხდება საკუთარი სახსრებით, საკრედიტო განაკვეთები მიახლოებულია საბაზრო განაკვეთებთან, ე.ი. კრედიტების ღირებულება მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე ფედერალურ ან მიწის პროგრამები.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემა წარმოებს საერთო წესების მიხედვით, ე.ი. უპირატესობა არ ეძლევა არც ერთ განმცხადებელს და ყურადღება ექცევა მხოლოდ კრედიტუნარიანობას. კრედიტის მისაღებად განაცხადები წარედგინება გერმანულ კომერციულ ბანკებს, რომლებიც ახდენენ კრედიტების გაცემას და შემდგომში მუშაობენ კლიენტებთან.

შეღავათიანი კრედიტის გაცემის პირობები გულისხმობს:

- დაბალ საპროცენტო განაკვეთს (როგორც წესი, კრედიტის გაცემის მთელ პერიოდში);
- კრედიტის გაცემის ხანგრძლივ პერიოდს (ხშირად ათი წელი, თანაც მინიმუმ პირველი ორი წლით საწარმო თავისუფალია ყველა სახის გადასახადისაგან);
- აღებული თანხების დაბრუნების შესაძლებლობას ნებისმიერ დროს (ხშირად დამატებითი გადასახადების გარეშე);
- წილობრივი დაფინანსება (სპეციალიზებული ბანკების დაფინანსება გამოყენება საინვესტიციო პროექტის ნაწილზე. პროექტის დარჩენილი ნაწილი უნდა დაფინანსდეს ინვესტორის მიერ ან სხვა სახის სესხებით).

საწარმოს გახსნისას, ინვესტიციების 40%-მდე შესაძლებელია დაფინანსდეს გარანტიების გარეშე. მათ შორის, სესხი უპროცენტოა პირველი ორი წლის განმავლობაში, გაიცემა 20 წლამდე და არ ექვემდებარება დაბრუნებას პირველი 10 წლის განმავლობაში (მაქსიმალური თანხა 1 მლნ. მარკა ან მისი ექვივალენტი). ასეთი დაფინანსება ჩაენაცვლება დამწყები მეწარმის საწყის კაპიტალს და სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე თანხის დაუბრუნებლობის რისკს. არასაკმარისი კაპიტალის უდიდესი წილი შეიძლება მიღებული იქნას სპეციალური შეღავათიანი კრედიტების სახით, რომელიც გაიცემა დამწყებ მეწარმეზე. კრედიტის გაცემა ხდება 20 წლამდე ვადით წლიური 5%-ით და იფარება საინვესტიციო პროექტის ღირებულების 50%-მდე (მაქსიმალური თანხა 1 მლნ. მარკა ან მისი ექვივალენტი).

სახელმწიფო პროგრამების და სპეციალიზებული ბანკების პროგრამების საშუალებით შეიძლება მოხდეს კერძო საინვესტიციო კომპანიების წილობრივი მონაწილეობით დაფინანსება ახალ და მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოების კაპიტალში. შესატანი წილის მაქსიმალური ოდენობაა -1,5 მლნ. მარკა 10 წლამდე ვადით. ამ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საინვესტიციო კომპანიებს.

გერმანიაში არსებობს სპეციალიზებული საგარანტიო ბანკები, რომლებიც იღებენ საკუთარ თავზე რისკს კრედიტის 10%-მდე დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ან ფლობენ კაპიტალის წილს (არა უმეტეს 1,5 მლნ მარკა). ეს მნიშვნელოვანია ისეთი მცირე და

საშუალო ბიზნესებისათვის, რომელთაც არ აქვთ (ან თითქმის არ აქვთ) სესხის აღების შესაძლებლობა. საგარანტიო ბანკის რისკის 60%-მდე ფარავს ფედერაცია და მიწა, რომელზეც განლაგებულია ბანკი.

წანამატებისა და სუბსიდიების გარდა რეგიონული მხარდაჭერის ინსტრუმენტს წარმოადგენს ამორტიზაციის შეღავათიანი რეჟიმი. პირველ რიგში, იგი ეხება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აღმოსავლეთ მიწების ეკონომიკის აღორძინების საინვესტიციო კრედიტებს (კრედიტის მაქსიმალური თანხაა 2 მლნ. მარკა 5-დან 20 წლამდე პერიოდით და პირველი 5 წლის განმავლობაში გადახდის გადავადებით. 20 წლის მყარი საპროცენტო ტარიფია- წლიური 5%-მდე).

სახელმწიფოს მიერ აგრეთვე ხდება მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირება საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობისას. ფედერალური მთავრობა ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში განლაგებულ გერმანულ მცირე და საშუალო საწარმოებს და იძლევა პოლიტიკური რისკების გარანტიებს.

ბელარუსის რესპუბლიკაში, კანონმდებლობის თანახმად, მცირე მეწარმეობის სუბიექტებს მიეკუთვნება:

1. მიკროსაწარმოები – სადაც დასაქმებულია 15 კაცამდე;
2. მცირე საწარმოები - 16-დან 100 კაცამდე;
3. საშუალო საწარმოები - 101-დან 250 კაცამდე.

მცირე მეწარმეობის განვითარების ისტორია ბელარუსში უკვე 20 წელზე მეტს ითვლის. ქვეყანაში დიდი ძვრები მოხდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან და სახელმწიფო სტიმულირების ზრდასთან დაკავშირებით. შემუშავებული იქნა უამრავი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი.

ბიზნესის განვითარებისათვის ბელარუსის რესპუბლიკაში შექმნილია თავისუფალი ეკონომიკური ზონები და მოქმედებს სპეციალური საგადასახადო შეღავათები კომპანიებისათვის, რომლებიც პატარა ქალაქებსა და სოფლებში ფუნქციონირებენ.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში სახელმწიფო შემდგომი დაგვარად უწყევდა დახმარებას მცირე და საშუალო ბიზნესს. კერძოდ, მიღებული იქნა ზომები საგადასახადო კანონმდებლობის გასამარტივებლად. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან მცირე მეწარმეებისათვის დახმარება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ნაკლებმასშტაბური იყო.

აზერბაიჯანში 1990-ანი წლებიდან დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს რეგულირება. ამ პერიოდისათვის, მცირეს მიეკუთვნებოდა კომპანიები არაუმეტეს 200 დასაქმებულისა მრეწველობაში, შესაბამისად, 100 დასაქმებულისა მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, 50 კაცისა საწარმო სფეროს სხვა დარგებში, 25 დასაქმებულისა არასაწარმო სფეროში და 15 კაცისა ვაჭრობაში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულია სამეწარმეო საქმიანობის უფლება ნებისმიერი მოქალაქისათვის.

ამჟამად აზერბაიჯანში მოქმედებს 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მცირე საწარმოს სტატუსს დასაქმებულთა საშუალოწლიური რიცხოვნობის და საშუალოწლიური ბრუნვის მიხედვით.

ამ კანონით, მცირე საწარმოს კონკრეტულ კრიტერიუმებს ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით, განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო.

კანონი განსაზღვრავს მხარდაჭერის შემდეგ მიმართულებებს:

- ა) ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- ბ) მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების მომზადება და რეალიზება;
- გ) მცირე საწარმოებისათვის შეღავათიანი პირობების განსაზღვრა საფინანსო, მატერიალური, სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების მისაღებად;
- დ) მცირე საწარმოთა დახმარება კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით;
- ე) რეგისტრაციისა და ანგარიშგების გამარტივებული სისტემების დაწესება;

ვ) საგარეო ურთიერთობებში მხარდაჭერის აღმოჩენა.

ზემოთ აღნიშნულ კანონთან ერთად, ამ მასშტაბების ბიზნესის რეგულირებაში მნიშვნელოვანია ასევე მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „მცირე ბიზნესის საინვესტიციო მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს გადაუდებელ ღონისძიებათა სისტემას მცირე ბიზნესის განვითარებისათვის.

აზერბაიჯანში დაფუძნებულია „მეწარმეობის მხარდაჭერის ფონდი“, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ექვემდებარება. ეს ფონდი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის ფინანსურ უზრუნველყოფას, განსაკუთრებით ეხმარება დამწყებ ბიზნესს. ფონდის სახსრები ივსება ყველა დონის ბიუჯეტიდან, სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან, ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან და ფიზიკური თუ იურიდიული პირების ნებაყოფლობითი შენატანებიდან.

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორს **სომხეთში** არეგულირებს 2000 წელს მიღებული კანონი „მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. იგი არ ვრცელდება საკრედიტო, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებზე, სათამაშო სახლებზე, ლომბარდებზე, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოღვაწე სუბიექტებზე. კანონი განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგ ზომებს:

ა) უმცირესი - კომერციული ორგანიზაციები და ინდემეწარმეები, სადაც მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა არ აღემატება 5 კაცს;

ბ) მცირე - კომერციული ორგანიზაციები და ინდემეწარმეები, სადაც მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა არ აღემატება:

- მრეწველობასა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში - 50 კაცს;
- მშენებლობასა და ენერგეტიკაში, ასევე მეცნიერებასა და განათლებაში - 25 კაცს;
- ტრანსპორტში, ვაჭრობასა და მომსახურებაში 15 კაცს;

გ) საშუალო - კომერციული ორგანიზაციები და ინდემეწარმეები, სადაც მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა არ აღემატება:

- მრეწველობასა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში - 100 კაცს;
- მშენებლობასა და ენერჯეტიკაში, ასევე მეცნიერებასა და განათლებაში - 50 კაცს;
- ტრანსპორტში, ვაჭრობასა და მომსახურებაში 30 კაცს;

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებებია: მასტიმულირებელი საკანონმდებლო გარემოს ფორმირება, ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, საფინანსო, საინვესტიციო საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერა, რაციონალიზატორული საქმიანობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირება, კადრების მომზადება და გადამზადება, სახელმწიფო შესყიდვების მხარდაჭერა.

სომხეთში ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში მტკიცდება მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული კანონით განსაზღვრულ მიმართულებებს. მისი ანგარიშგება წარმოდგება სახელმწიფო ბიუჯეტის წლიურ ანგარიშთან ერთად.

ბოლო პერიოდში შედგენილია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც მარტივდება ანგარიშგება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, უქმდება დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადები, ინერგება ბრუნვის გადასახადი (3,5%), თუმცა გამკაცრდება ჯარიმები და სანქციები.

ამჟამად სომხეთის ექსპორტის 15%-ს (250 მლნ. დოლარი) სწორედ მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია შეადგენს.

ქვეყანაში შექმნილია მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ცენტრი და სომხეთის განვითარების სააგენტო, რომლებიც ასევე ხელს უწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

“ევროკავშირის მცირე და საშუალო ბიზნესის ყოველწლიური ანგარიშის“ მიხედვით ევროკავშირში 20 მილიონზე მეტ საწარმოა, რომელთაგან 99%-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმოებია, ანუ საწარმოები, რომლებშიც 250 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. მცირე და საშუალო საწარმოების სექტორში უმრავლესობა (92%)

მიკროსაწარმოებია, რომლებიც ასაქმებენ 10 კაცზე ნაკლებს. ამდენად, ტიპური ევროპული ფირმა მიკროსაწარმოებია [90, გვ. 27]. რაც შეეხება საშუალო საწარმოებს – მათი ხვედრითი წილი წარმოადგენს 1%, ანუ 220 ათას საწარმოა (იხ. ცხრ. 1.3.5).

ცხრილი 1.3.5.

საწარმოთა რაოდენობა და დასაქმება ერთ საწარმოში ევროკავშირის ქვეყნებში (ფინანსური ორგანიზაციების გარეშე, 2007 წ.) [89]

| მაჩვენებელი | მიკრო საწარმოები | მცირე საწარმოები | საშუალო საწარმოები | მსს სექტორი | მსხვილი საწარმოები | სულ |
|---|------------------|------------------|--------------------|-------------|--------------------|-------|
| რაოდენობა, ათასი | 18 788 | 1 402 | 220 | 20 409 | 43 | 20452 |
| წილი (%) მსს სექტორში | 92% | 7% | 1% | 100% | 0 | 100% |
| ერთ საწარმოში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა | 2 | 19 | 100 | 4 | 1003 | 6 |

საშუალო საწარმოთა წილი ევროკავშირის ქვეყნებში და აშშ-ში ერთნაირია და შეადგენს 1%-ს. სხვა ქვეყნების ფონზე გამოიყოფა ლიხტენშტეინი, სადაც საშუალო საწარმოთა წილი ყველა საწარმოს 22%-ს შეადგენს. ქვეყანას აქვს ლიბერალური და განსაკუთრებულად დახვეწილი კანონმდებლობა კომპანიებზე, რომელიც ნებას იძლევა შეიქმნას ჰოლდინგური და ნებისმიერი ტიპის მართვადი კომპანიები. ლიხტენშტეინში ბიზნესის წარმოებისთვის არაა საჭირო სპეცნებართვა ან ლიცენზია, გამონაკლისია მხოლოდ ფინანსური კომპანიების სექტორი და პროფესიული მომსახურების სფერო.

საშუალო ბიზნესი ეკონომიკური სტაბილურობის მთავარი ფაქტორია. საშუალო ბიზნესი – ფინანსურად მდგრადი და მოგებიანია, კარგად აწყობილი სტრუქტურით, კვალიფიციური პერსონალით, აწყობილი ფინანსური სისტემით, გასაღების ბაზრით. საშუალო ბიზნესს აქვს განვითარების სტრატეგია, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გარდამტეხი სტრატეგიის შემუშავებას.

ცხრილი 1.3.6.

საწარმოთა რაოდენობა საზღვარგარეთის ქვეყნებში [79, გვ. 6]

| ქვეყანა | წელი | მიკრო | მცირე | საშუალო | მსს | მსხვილი | სულ |
|-------------|------|------------------------|-----------------------|---------------------|----------------|---------|-----------------|
| ევროკავშირი | 2007 | 18,788 მლნ. ერთ. | 1,402 მლნ. ერთ. | 220 ათ. | 20,409 მლნ. | 43 ათ. | 20,452 მლნ. |
| ისლანდია | 2004 | 21700 | 900 | 100 | 22700 | 100 | 22800 |
| შვეიცარია | 2004 | 260 000 | 30 000 | 5 000 | 294 000 | 1 000 | 295 000 |
| ნორვეგია | 2004 | 214 000 | 17 000 | 2 000 | 233 000 | 1 000 | 234 000 |
| ლიხტენშტ. | 2001 | 5 500 | 4 500 | 3 500 | 13 500 | 2 500 | 16 000 |
| აშშ | 2005 | 14,049 მლნ. ერთ. | 468 000 | 191 000 | 14,709 მლნ. | 36 000 | 14, 745 მლნ. |
| იაპონია | 2001 | არ არის მონაცემი | არ არის მონაცემი | არ არის მონაცემი | 4 690 მლნ. | 13 000 | 4,703 მლნ. |
| ხვ. წილი, % | | | | | | | |
| ისლანდია | 2004 | 95 | 4 | 0 | 100 | 0 | 100 |
| შვეიცარია | 2004 | 88 | 10 | 2 | 100 | 0 | 100 |
| ნორვეგია | 2004 | 9 | 7 | 1 | 100 | 0 | 100 |
| ლიხტენშტ. | 2001 | 34 | 28 | 22 | 84 | 16 | 100 |
| აშშ | 2005 | 95 | 3 | 1 | 100 | 0 | 100 |
| იაპონია | 2001 | - | - | - | 100 | 0 | 100 |
| ევროკავშირი | 2007 | 92 | 7 | 1 | 100 | 0 | 100 |

განვიხილოთ საშუალო საწარმოთა საქმიანობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და მათი მხარდაჭერის ბერკეტები განვითარებულ ქვეყნებში.⁴

საყურადღებოა, რომ საწარმოთა რიცხოვნობაში საშუალო საწარმოთა წვლილი ევროკავშირში საკმაოდ მცირეა, თუმცა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში ეს წვლილი საკმაოდ წონადია: საშუალო საწარმოები მოიცავენ საწარმოთა საერთო ბრუნვის 20%-ს, ქმნიან საერთო დამატებითი ღირებულების 18%-ს და მათში დასაქმებულია ევროკავშირის ქვეყნების საერთო რიცხოვნობის 17%. რაც შეეხება მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს, აქ საშუალო საწარმოები მთელი ბრუნვისა და დამატებითი ღირებულების მესამედს ქმნიან, ანუ 220 ათასი საშუალო საწარმოს ჯამური ბრუნვა აკარბებს 18,7 მლნ. მიკროსაწარმოს ან კიდევ 1,4 მლნ. მცირე საწარმოს ჯამურ ბრუნვას

⁴ აღსანიშნავია, რომ უცხოურ წყაროებში ძალზედ მცირე ინფორმაცია მოიპოვება ცალკე აღებულ საშუალო ბიზნესზე და იგი უფრო ხშირად მცირე ბიზნესთან ერთად იხილება.

[79, გვ.7]. აქედან გამომდინარე, თუნდაც ერთი საშუალო საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტას შეუძლია ევროკავშირის ეკონომიკისთვის საგრძნობი ზარალის მიყენება.

ცხრილი 1.3.7.

საწარმოთა ბრუნვა ევროკავშირის ქვეყანებში, 2007 წ. [79, გვ. 7]

| მაჩვენებელი | ერთეული | მიკრო | მცირე | საშუალო | მსს | მსხვილი | სულ |
|-------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|-----------|------------|
| ბრუნვა | მლნ. ევრო | 4 402 000 | 4 504 000 | 4 564 000 | 13 471 000 | 9 917 000 | 23 388 000 |
| დამატებული ღირებულება | მლნ. ევრო | 1251000 | 1132000 | 1070000 | 3453000 | 2537000 | 5990000 |
| დასაქმებულთა რიცხოვნობა | მლნ. კაცი | 38,9 | 27,1 | 22,0 | 87,9 | 42,9 | 130,8 |
| ხვ. წილი | | | | | | | |
| ბრუნვა | % | 19 | 19 | 20 | 58 | 42 | 100 |
| დამატებული ღირებულება | % | 21 | 19 | 18 | 58 | 42 | 100 |
| დასაქმებულთა რიცხოვნობა | % | 30 | 21 | 17 | 67 | 33 | 100 |

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორის უშუალო წვლილი ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობაში შეიძლება გაიზომოს ბრუნვით ან დამატებული ღირებულებით. როგორც ჩანს (იხ. ცხრ. 1.3.7), მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთელს ამ სექტორში ბრუნვის მიხედვით თითქმის ერთნაირია და თითოეული თითქმის 4,5 მლრდ. ევროს შეადგენს. პროცენტული თანაფარდობითაც (20%-20%-20%) და დამატებული ღირებულებითაც იგივე სურათი იკვეთება (21%-19%-18%). მმს-ს სეგმენტის სექტორის დასაქმების წილი შეადგენს 30%-21%-17%. ამდენად, მმს-ის სექტორში საშუალო საწარმოები აწარმოებენ ძირითადი ბრუნვის წილს, მაგრამ დასაქმების სფეროში უმნიშვნელო როლს ასრულებს. ამასთან, შრომის ინტენსივობა საშუალო საწარმოებში ზედმიწევნით დაბალია, ხოლო შრომის ნაყოფიერების ეფექტიანობა - საკმაოდ მაღალი.

მცირე და საშუალო ბიზნესის მოგებიანობა შეიძლება შეფასდეს საწარმოს საქმიანობის შედეგებით დამატებითი ღირებულების მოცულობის ან მოგების ცვლილებების ანალიზით. როგორც ჩანს (ცხრილი 1.3.8), 2007 წლის შედეგებით ევროპული მმს-ის მოგების წილმა ყველა საწარმოთა საერთო მოგებაში შეადგინა 32%. საზოგადოდ, რაც მცირეა საწარმო, მით ნაკლებმოგებიანია იგი. ცხრილი 1.3.8.

მოგებიანობის და მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა

მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შეფასება ევროკავშირში (2007 წ.) [79, გვ. 9]

| მაჩვენებელი | ერთეული | მიკრო | მცირე | საშუ-ალო | მსს | მსხვ-ილი | სულ |
|----------------------------------|----------------------|---------|---------|----------|-----------|-----------|-----------|
| შემოსაულები | %-ად საერ-თო დღგ-თან | 19 | 31 | 36 | 28 | 36 | 32 |
| დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე | მლნ. ევრო | 562 000 | 751 000 | 680 000 | 1 992 000 | 1 612 000 | 3 604 000 |

| | | | | | | | |
|--|--------------------|----|----|----|----|----|-----|
| დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე | % | 16 | 21 | 19 | 55 | 45 | 100 |
| დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე (1 მუშაკზე) | ათ. ევრო წელიწადში | 25 | 29 | 31 | 28 | 38 | 32 |

2009 წლის აპრილში ბრიტანული ჟურნალის, „ეკონომისტის“ (the Economist Intelligence Unit) ანალიტიკურმა განყოფილებამ ჩაატარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო საწარმოს მაღალი დონის 328 მენეჯერის (ტოპ-მენეჯერები) გამოკითხვა [99, გვ. 45]. გამოკითხულ საწარმოთაგან 48%-ს ჰქონდა 5 მლნ. დოლარზე ნაკლები შემოსავალი, 31%-ს 5-დან 50 მლნ. დოლარამდე, ხოლო 21%-ს შემოსავალი 50-დან 500 მლნ. დოლარამდე.

გამოკვლევა ითვალისწინებდა მრავალფეროვან საკითხებს (კომპანიის სტრატეგია, სახელმწიფოს მხარდაჭერა, პერსონალთან დამოკიდებულება და ა.შ.). რესპოდენტთა 48%-მა აღნიშნა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ ეხმარებიან“, ან „საერთოდ არ ეხმარებიან“ მათ საწარმოებს. ასეთივე აზრი აქვს რესპოდენტთა 39%-ს ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან და საფინანსო სტრუქტურებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულის მიზეზად რესპოდენტებმა რამდენიმე არგუმენტი მოიტანეს: აზიასა და წყნარი ოკეანეთის რეგიონში ფუნქციონირებადი კომპანიების რესპოდენტთა 39% მიიჩნევს, რომ მცირე და საშუალო კომპანიები სათანადოდ ვერ იპყრობენ სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღებას (ამავე აზრისაა რესპოდენტთა 30%)

ევროპული კომპანიების 32% და გამოკითხულთა 28% მიიჩნევს, რომ საზოგადოებისათვის მსხვილი ბიზნესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მცირე და საშუალო. ჩრდილოეთ ამერიკის რესპოდენტთა 31% და ყველა კომპანიის 24% მიიჩნევს, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს

უფრო ნაკლები მომხრე და მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე მსხვილ ბიზნესს.

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში
2.1. მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში

1980-ანი წლების ბოლო პერიოდი ყოფილ სსრკ-ში სამეწარმეო სექტორის და კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული საქმიანობის გამოცოცხლების მცდელობით აღინიშნა. გარდაქმნის წლებში მიღებულ იქნა ახალი კანონები – „კოოპერაციის შესახებ“ და „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“, რამაც ფაქტობრივად დააკანონა კერძო ინიციატივა და მეწარმეობის საფუძვლები. ამ პერიოდში დაიწყო მცირე საწარმოების წარმოქმნა კოოპერატივების, ამხანაგობების, კერძო ინდივიდუალური საწარმოების და ფერმერული მეურნეობების და სხვა მიკროსტრუქტურების სახით.

ეკონომიკურმა რეფორმამ საზოგადოების წინაშე ახალი პრაქტიკული და სამეცნიერო ამოცანები დააყენა. ეს იყო უპრეცედენტო მცდელობა რთული და მრავალეროვნული სისტემის სწრაფი და რადიკალური ტრანსფორმაციისა. მას უნდა უზრუნველყო „მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება“ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ბუნებრივია, ასეთი ტრანსფორმაცია სახალხო მეურნეობის ღრმა სტრუქტურულ გარდაქმნას გულისხმობდა.

ათწლეულების მანძილზე საბჭოთა ეკონომიკა მასშტაბის ეფექტს ეფუძნებოდა, რაც გარკვეულ პოზიტიურ შედეგს იძლეოდა, მაგრამ უკანა პლანზე ინაცვლებდა ეკონომიკური სუბიექტების მოქნილობა და ცვლილებებისადმი ადაპტაცია, რაც ამცირებდა ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ეფექტიანობას.

სახელმწიფო ფასების პირობებში, ფასების ლიბერალიზაციის შემოღებამდე, მოქმედებდა ორმაგი სტანდარტი: საბაზრო და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის, რაც ახლადშექმნილ მცირე საწარმოებს ერთგვარი მანევრირების საშუალებას აძლევდა. სამომხმარებლო საქონლის დეფიციტი იწვევდა რესურსების გადაქაჩვას სახელმწიფო ვაჭრობის სექტორიდან თავისუფალ ბაზარზე, მცირე სამეწარმეო სტრუქტურების სასარგებლოდ. ამასთან, მცირე საწარმოებთან არსებობდა კოოპერატივები და საშუამავლო სტრუქტურები, რომლებიც ამ საწარმოთა

მატერიალური და ფინანსური რესურსების ჩრდილოვან ბრუნვას უზრუნველყოფდნენ. ეს ყოველივე, ქმნიდა შესანიშნავ პირობებს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და კერძო სექტორში საწყისი კაპიტალის დაგროვებისათვის.

1990-ანი წლებიდან პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით დაიწყო საზოგადოებრივი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესების განვითარება. გაჩნდა საკუთრების ახალი ფორმები, შეიცვალა სოციალური სტრუქტურა.

საზოგადოებრივმა ცვლილებებმა მოიცვა ცხოვრების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ზნეობრივი საკითხები. საკუთრების განსახელმწიფოებრიობის შედეგად განვითარდა საკუთრების განსხვავებული ფორმები – კერძო, სახელმწიფო, კოლექტიური. თავდაპირველად წარმოების ვარდნა შეიმჩნეოდა, გაიზარდა უმუშევრობა, გაუარესდა ცხოვრების სოციალური პირობები.

ამ პირობებში განვითარება დაიწყო მცირე ბიზნესმა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებულმა სფერომ. მცირე ბიზნესის წინსვლამ შექმნა ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების წინაპირობები, მიგვიყვანა საკუთრების ახალი ფორმების შექმნამდე. სწორედ მცირე ბიზნესის, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებული ფორმის შექმნა, წარმოადგენს ახალი ეკონომიკური და სოციალური გარემოს ფორმირების წინაპირობას, რომელიც კეთილისმყოფელად მოქმედებს ჯანსაღ კონკურენციაზე საკუთრების სხვადასხვა სუბიექტებს შორის. სწორედ მცირე ბიზნესი ასტიმულირებს აქტიურად ბაზრის სუბიექტის თვისებას, რეაგირება მოახდინოს მოთხოვნილებისა და საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე. ამავე დროს, მცირე ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს მეცნიერებატევადი პროგრესული ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გამოყენებას.

ამავე პერიოდიდან მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებითი ცენტრების, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებული დროებითი შემოქმედებითი კოლექტივების ჩასახვა.

ეტაპობრივად ფორმირდებოდა კერძო საკუთრების საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობის ემოციურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები.

საქართველოში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში, მცირე ბიზნესის განვითარების რამდენიმე თავისებურება გამოიყოფა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მცირე ბიზნესი დიდი მასშტაბებით განვითარდა.

პროფ. ნ. ჭითანავა სამართლიანად მიიჩნევს, რომ ე.წ. „პერისტროიკის“ არათანმიმდევრულად განხორციელებას რიგი დადებითი მომენტებიც ახლდა. მათ შორის აღსანიშნავია 1980-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში მიღებული გადაწყვეტილებები (კანონები) მცირე საწარმოების განვითარების, იჯარის პრინციპების გამოყენების შესახებ და სხვა. ამ პერიოდს მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის „ოქროს ხანას“ უწოდებენ.

1990-ანი წლების დასაწყისში პროფ. რ. ასათიანი აღნიშნავდა, რომ მცირე ბიზნესის განვითარება კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბების კატალიზატორია. იგი ერთდროულად ხელს უწყობს თანამედროვე სტანდარტებისა და ცხოვრების სტილის გავრცელებას, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, რაც საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს მსხვილი საქალაქო აგლომერაციის ზრდის შეზღუდვას. ჩვენს სინამდვილეში სწორედ მცირე ბიზნესის განვითარებას უნდა დავუკავშიროთ მრავალი მივიწყებული სოფლის აღდგენა-განვითარების საკითხი. ყოველივე ეს, ერთად აღებული, მყარ საფუძველს ქმნის სოციალური განვითარების სრულყოფისათვის [3, გვ. 77].

მცირე ბიზნესი სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული დაავადებული ეკონომიკის ორგანიზმზე ჩამოყალიბდა. ამიტომ, იგი ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა და ეს პირობები მაქსიმალურად გამოიყენა. მასობრივად დაიწყო სახელმწიფო საკუთრების გადაქაჩვა მცირე ბიზნესში. იაფი ნედლეული, მასალები, შრომის საშუალებები, შეღავათიანი სატრანსპორტო ტარიფები, იაფი კრედიტები, საგადასახადო მექანიზმების ზეგავლენიდან ფაქტობრივად გამოსვლა, „წითელი დირექტორების“ უძლეველობა და მომხვეჭელობის დიდი უნარი – ფაქტორთა ერთობლიობად ჩამოყალიბდა, რომელმაც გზა გაუხსნა კრიმინალური ეკონომიკის შექმნას. ამით კაპიტალის დიდი ნაწილი დაგროვების სფეროდან გაედინებოდა. ამიტომ იგი, ბუნებრივია, არ ხმარდებოდა ეროვნული წარმოების განვითარებას. „ოქროს ხანაში“ მცირე მეწარმეობის განვითარების დადებითი შედეგებიც შთამბეჭდავია. კერძოდ, სწრაფად (3-4 წელიწადში) დაგროვდა მნიშვნელოვანი კერძო კაპიტალი, აეწყო დეფიციტური საქონლის (მომსახურების) წარმოება. არსებული ბაზარი დიდ

შესაძლებლობებს აძლევდა მცირე ბიზნესს. კარგად განვითარდა საცალო ვაჭრობა, განსაკუთრებით საზოგადოებრივი კვება. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ეროვნულმა ჯანსაღმა ტრადიციებმა. კერძოდ, „დუქნის“ ფენომენმა, რომელიც კარგად იყო ადაპტირებული სოციალისტურ ეკონომიკაშიც და მისთვის მიჩენილ „გეოგრაფიულ წერტილზე“ სარფიანი საქმიანობით გამოირჩეოდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით „მოკური თერაპიის“ შემოჭრის შემდეგ, საქართველოში პრივატიზაციის ნაჩქარევად განხორციელებულმა პოლიტიკამ დააჩქარა მცირე საწარმოების სტიქიურად შექმნის პროცესი [53, გვ. 272]. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარება თავიდანვე სტიქიურად დაიწყო და ყოველგვარი რეალური და სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და მხარდაჭერის ქმედითი სისტემის გარეშე მიმდინარეობდა. ამის გამო, მცირე ბიზნესის უდიდესი ნაწილი „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ ფუნქციონირებდა. თანაც ძირითადად მოკლევადიან საქმიანობაზე, სავაჭრო-საშუამავლო სპეკულაციურ ოპერაციებზე იყო ორიენტირებული თითქმის ჩამკვდარი მატერიალური წარმოების ფონზე.

მატერიალური წარმოების დარგების ჩავარდნამ, ბუნებრივია, ვერ შექმნა საჭირო ეკონომიკური გარემო სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებში სარეფორმო სამუშაოებისათვის. მართალია, მიღებულ იქნა სამთავრობო გადაწყვეტილება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დასამკვიდრებლად, მაგრამ მან არსებითი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კომერციამ სპეკულაციის სახე მიიღო. ბიზნესმა ძირითადად ყიდვა-გაყიდვის სფეროში გადაინაცვლა [14, გვ. 31].

საგულისხმოა, რომ რომ ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლამდე საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომლებშიც დასაქმებული იყო 100

კაცამდე და 500 კაცამდე, შეადგენდა საწარმოთა მთლიან რაოდენობაში შესაბამისად 48,6 და 39,9%-ს, მაშინ როცა სსრ კავშირი იყო 2,2 და 15,5 %, ხოლო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 35 და 33%.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ჰარმონიულობის მიღწევის რთული ამოცანის წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი წლებიდანვე.

ქვეყანაში „მეწარმეთა შესახებ კანონის“, სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე, შეფერხებებითა და ნელა, მაგრამ მაინც ჩამოყალიბდა სამეწარმეო საქმიანობის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორცაა: ინდივიდუალური და ერთპიროვნული მეწარმეობა, პარტნიორობა (ამხანაგობა) და კორპორაცია (აქციონერთა საზოგადოება, სახელმწიფო საწარმო).

მეწარმეობის ამ ფორმების ჩამოყალიბებით საქართველოში, ფაქტობრივად, შეიქმნა მეწარმეობის ახალი ტიპი, რომელმაც საფუძველი დაუდო ქვეყანაში საბაზრო სისტემისთვის დამახასიათებელი შერეული ეკონომიკის ფორმირებას. მაგრამ არასტაბილურმა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემომ, ფაქტობრივად, დათრგუნულმა მონოპოლიურმა ბაზარმა, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მათი სუსტი განვითარება განაპირობა [22, გვ. 46].

1990–ანი წლების დასაწყისიდან იწყება პირველი მცდელობები მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, რაც ნორმატიული ბაზის ფორმირებით დაიწყო. მეურნეობის ყველა დარგში საკუთრების ნებისმიერი ფორმის საფუძველზე მცირე საწარმოთა შექმნასა და განვითარებას გარკვეული სტიმული მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისმა დადგენილებამ [23]. ამ პერიოდისათვის მცირე ბიზნესის საქმიანობის სფერო ფართოვდება, იზრდება მასში მონაწილე პირთა რაოდენობა, მეწარმეობა თანდათანობით იძენს აქტიურ ხასიათს, იქმნება კოოპერატივები.

1993 წლის 18 მაისს მიღებულია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება “საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომლის მიხედვითაც ბიზნესის ეს სახე მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფოებრივ ამოცანად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოში კერძო მეწარმეობის მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამა [24]. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებულია ფუნდამენტური კანონები („მეწარმეთა შესახებ“, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, „მეცნიერებისა და

ტექნოლოგიების განვითარების შესახებ“ და ა.შ.) რომლებიც არეგულირებენ საწარმოთა საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს. 1990-ანი წლების პირველ ნახევარში მიღებულ იქნა აგრეთვე კანონები: „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“, „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“, „აქციზების შესახებ“, „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) შესახებ“, „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ და „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“.

მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, ეკონომიკის სამინისტროსთან დაარსდა მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი [25]. ფონდმა საქმიანობა დაიწყო 1994 წლიდან. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა:

- ფინანსური და სხვა რესურსების მოზიდვა და განთავსება სამეწარმეო ინიციატივის განვითარებისათვის;
- საინვენსტიციო და საინოვაციო პროექტების ექსპერტიზა;
- საკუთარი სახსრების წარმართვა უპირატესად გრძელვადიანი და საშუალოვადიანი საინვენსტიციო პროექტების დასაფინანსებლად;
- საკუთარი სახსრების წარმართვა უპირატესად გრძელვადიანი და საშუალოვადიანი საინვენსტიციო პროექტების დასაფინანსებლად;
- საკონსალტინგო და იურიდიული მომსახურების განხორციელება კომერციულ საწყისებზე.

ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ფონდის საქმიანობის ეფექტიანობა არ იყო მაღალი: ვერ შეივსო ფონდის საწყისი საწესდებო კაპიტალი, ვერ მოხერხდა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებიდან კრედიტებისა და სასესხო საშუალების მოზიდვა, არ შეიქმნა ფილიალების ფართო ქსელი. მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი ვერ ჩამოყალიბდა ისეთ ორგანიზაციად, რომელიც კერძო მეწარმეთათვის და საერთოდ, მცირე ბიზნესისათვის რეალური მხარდაჭერისა და გარანტის როლს შეასრულებდა.

1990-ანი წლების პირველი ნახევრისათვის სპეციალური კანონი მცირე მეწარმეობის შესახებ საქართველოში არ იყო მიღებული. ეს სფერო ძირითადად

რეგულირდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №613 დადგენილებით „მცირე საწარმოთა განვითარების ღონისძიებების შესახებ“. ამ დოკუმენტში მცირე საწარმოების ჩამოყალიბების პრობლემა მოწყვეტილი იყო პრივატიზაციის პროცესისაგან.

ასეთი საწარმოების რესურსული უზრუნველყოფის პრობლემა წყდებოდა ტრადიციული პოზიციებიდან, ინდივიდუალური, შერჩევითი მიდგომებით. მიუხედავად ამისა, ეს აქტი განსაზღვრავდა მცირე საწარმოს სტატუსს: მას მიეკუთვნებოდა ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ახლადშექმნილი და მოქმედი საწარმო, სადაც მომუშავეთა საშუალოსიობრივი რიცხვი ცალკეული დარგების მიხედვით არ აღემატებოდა:

1. 50 კაცს - მრეწველობასა და მშენებლობაში;
2. 40 კაცს - ტრანსპორტში;
3. 30 კაცს – სამეცნიერო და სამედიცინო მომსახურების სფეროში;
4. 20 კაცს – სხვა დარგებში.

ამ ეტაპზე პირველი მცდელობა ზომის მიხედვით საწარმოთა გრადაციისა უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მცირე საწარმოთა განსაზღვრა მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით არ იყო საკმარისი, რაც დრომაც დაადასტურა. საზოგადოდ, ამგვარი მიდგომა არ იძლევა საშუალებას აისახოს მცირე საწარმოთა საქმიანობის არსი, მუშაობის საბოლოო შედეგები.

მომუშავეთა რიცხოვნობის მუდმივი შემცირება ისეთ საწარმოებში მიიღწევა, რომლებიც იყენებენ სულ უფრო მაღალმწარმოებლურ, ძვირადღირებულ, უახლეს ტექნოლოგიებს და ტექნიკურ საშუალებებს, სადაც მაღალია მექანიზაციის და ავტომატიზაციის დონე. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის დონემ შეიძლება მკვეთრად შეცვლოს მომუშავეთა რიცხოვნობა. ამიტომ უპრიანი იქნებოდა თავიდანვე დამატებით კრიტერიუმად განსაზღვრულიყო ბრუნვის მოცულობა (როგორც მოგვიანებით მოხდა კიდევ) ან კიდევ საწარმოს ქონება. ამით უფრო ზუსტი და

კონკრეტული გახდებოდა იმ საწარმოთა არეალი, რომლებსაც სახელმწიფო მხარდაჭერას განუსაზღვრავდა.

საწყის ეტაპზე, მცირე ბიზნესის განვითარების ძირითად მიზანს წარმოადგენს შიდა ბაზრის მომარაგება სამომხმარებლო საქონლით. მოცემულ პერიოდში ხორციელდება კაპიტალის დაგროვება და გადანაწილება, ხდება საწყისი ცოდნის მიღება, მცირე საწარმოს მუშაობის უნარ-ჩვევების შესწავლა. ამავდროულად, მიმდინარეობს მზადება ე.წ. მცირე პრივატიზაციისათვის, რომელიც ქმნის აუცილებელ ბაზას საბაზრო ურთიერთობებზე რეალური გადასვლისათვის.

ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საიჯარო ურთიერთობების განვითარებას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მცირე მეწარმეობის ქართული განსაკუთრებულობა. 1991-1994 წლებში სახელმწიფოს დამოკიდებულება მეწარმეობის განვითარების მიმართ ძირფესვიანად შეიცვალა. მიღებულ იქნა ახალი კანონები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მეწარმეობის მასშტაბურ განვითარებას. მოცემულ პერიოდში ლიბერალურ-დემოკრატიული რეფორმების წყალობით მცირე ბიზნესი დინამიურად ვითარდებოდა. რეფორმების საწყის პერიოდში საზოგადოების დიდი ნაწილი ჩაერთო კერძო მეწარმეობაში, უპირველეს ყოვლისა კი მის მცირე ფორმებში. 1990-1992 წლები ხასიათდება საქართველოში საშუალო და მსხვილი ბიზნესის გამოჩენით.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ „ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპზე მცირე საწარმოების ფუნქციონირება საქართველოში ხელს შეუწყობდა:

- დამატებითი შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიან მობილიზაციას;
- მცირე და საშუალო ქალაქების, სოფლის დასახლებული პუნქტების საწარმოო ძალების განვითარებას, იქ მყოფი შრომითი რესურსების პროფესიული მომზადების ამაღლებას, მიგრაციის შემცირებას სოფლიდან ქალაქში, პატარა ქალაქებიდან დიდში, მთიანი რეგიონებიდან სხვა რეგიონებში;

- წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებას მრეწველობაში;
- სახალხო მოხმარების საქონლის და მომსახურების ასორტიმენტის გაფართოებას;
- რესპუბლიკის საწარმოო ძალების განლაგების სრულყოფას.

ბიზნესის დაჩქარებულმა განვითარებამ საქართველოში უდიდესი წვლილი შეუძლია შეიტანოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, მონოპოლიზმის განეიტრალებაში, გარემოს შენარჩუნებასა და გაჯანსაღებაში, სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ მცირე ბიზნესის ბაზაზეა შესაძლებელი საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება და რეფორმების სოციალური ბაზის ჩამოყალიბება“ [42, გვ. 95].

გარდამავალი პერიოდის მცირე მეწარმეობის დახასიათებისას განსაკუთრებული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ პრივატიზაციის პროცესებს. საქართველოში პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა მიღებულ იქნა 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ (დადგენილება №123, 18.08.1992). ეს პროგრამა ერთ ერთ ძირითად მიზნად ისახავდა მცირე ბიზნესის განვითარებას და მთლიანად ეკონომიკის რეანიმაციას, მის გამოყვანას გაჭიანურებული კრიზისიდან, გამოშვებული პროდუქციის და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 1996 წლის ივლისში დასრულდა საწარმოთა პრივატიზაციის პირველი ეტაპი. მან სამი სფერო მოიცვა: ბინების პრივატიზაცია, სავაუჩერო პრივატიზაცია და მცირე პრივატიზაცია [53, გვ. 14].

1993-1998 წლები ხასიათდება ფართომასშტაბიანი პრივატიზაციითა და მეწარმეობის ყველა სახეობის განვითარებით, მრავალი მესაკუთრის გამოჩენით და მომსახურების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მსუბუქი მრეწველობის, მასობრივი გამოყენების საქონლის წარმოების სფეროებში მცირე ბიზნესის აქტიური შეღწევით. 1993 წელს პრივატიზებულ საწარმოთა შორის თითქმის ყველა იყო მცირე (98,2%). მომდევნო წელს ეს რიცხვი 71,2%-მდე დაეცა (იხ. ცხრ. 2.1.1). განსაკუთრებული ამ მხრივ იყო 1995 წელი, როცა 4977 საწარმოს პრივატიზება მოხდა, რომელთა 95% მცირე იყო. აქედან პრივატიზების მაღალი დონით ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება გამოირჩეოდა (2184

საწარმო, მცირე საწარმოთა 46,4%). ასევე მაღალია ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტთა პრივატიზების დონეც (1685 საწარმო, 36%).

ცხრილი 2.1.1.

მცირე საწარმოთა პრივატიზაცია საქართველოში 1993-1998 წლებში [26, გვ. 147]

| | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 |
|---|------|------|-------|------|------|------|
| პრივატიზებული საწარმოები სულ | 1333 | 1924 | 4977 | 2399 | 1566 | 1954 |
| მცირე საწარმოები | 1310 | 1370 | 4701 | 2247 | 1474 | 1910 |
| მათ შორის დარგების მიხედვით: | | | | | | |
| მრეწველობა | ... | 35 | 103 | 50 | 30 | 22 |
| მშენებლობა | ... | 70 | 67 | 58 | 40 | 35 |
| სოფლის მეურნეობა | ... | 29 | 125 | 76 | 92 | 112 |
| ტრანსპორტი | ... | 4 | 40 | 31 | 20 | 22 |
| ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება | ... | 717 | 2184 | 464 | 465 | 584 |
| საყოფაცხოვრებო მომსახურება და კომუნალური მეურნეობა | ... | 481 | 1685 | 1160 | 664 | 999 |
| სხვა დარგები | ... | 34 | 497 | 408 | 163 | 136 |
| მსხვილი და საშუალო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა | 23 | 554 | 276 | 152 | 92 | 44 |
| შემოსავლები პრივატიზებიდან, მლნ. ლარი | ... | ... | 164,2 | 30,0 | 73,3 | 55,9 |
| პრივატიზებულია სულ | | | | 2247 | 1474 | 1910 |

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ „თავიდანვე არ იქნა სწორი კონცეფცია ჩადებული პრივატიზაციის პოლიტიკაში. შეუძლებელი იყო პრივატიზაციის ხელოვნური, მექანიკური დაჩქარება ამიტომ პრივატიზაციის პირველმა ეტაპმა სპონტანური ხასიათი მიიღო, იგი თითქმის არალეგალური გზით წარიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო ძირითადად სახელმწიფო-ნომენკლატურულმა, ბიუროკრატიულმა აპარატმა, რომელმაც მაქსიმალურად გამოიყენა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა, ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური სიტუაცია და ფარულად „მიისაკუთრა“ სახელმწიფო ქონება. მრავალ

სახელმწიფო სტრუქტურას ფორმალურად შეეცვალა დასახელება, მოინათლნენ კონცერნებად, ასოციაციებად და ა.შ.“ [14, გვ. 33].

1993-1997 წლებში საქართველოში ძირითადად მასობრივი, მცირე საწარმოების პრივატიზება მიმდინარეობდა, რომელმაც პიკს 1995-1996 წლებში მიაღწია. მხოლოდ ამ ორ წელს პრივატიზებულ იქნა 6948 მცირე საწარმო, რაც 1994-2001 წლებში პრივატიზებული მცირე საწარმოების 43%-ია.

მცირე საწარმოების პრივატიზაცია მკვეთრად მცირდება 2000 წლის შემდეგ, რადგან ეს პროცესი უკვე თავისი შესაძლებლობების მაღალ სტადიაზე იყო. სულ 1993-2002 წლებში პრივატიზებულ იქნა 16759 საწარმო, მათ შორის 15988 მცირე (საწარმოთა საერთო რაოდენობის 95,4%) და 771 საშუალო და მსხვილი საწარმო (4,6%).

შესაბამისად, კაპიტალური შემოსავლები პრივატიზაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1995 წელს - 58,2 მლნ. ლარი, 1996 წელს - 164,2 მლნ. ლარი, 1999 წელს - 73,3 მლნ. ლარი, 2000 წელს - 54,1 მლნ. ლარი [18, გვ. 89].

ცხრილი 2.1.2.

პრივატიზებული მცირე საწარმოების განაწილება პრივატიზაციის მეთოდის მიხედვით (ერთეული) [18, გვ. 32]

| მეთოდი | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|------------------------------------|------|------|------|------|------|------|
| სულ პრივატიზებულია | 2247 | 1474 | 1910 | 1450 | 883 | 614 |
| 1. აქტიური პრივატიზაციის აუქციონით | 720 | 341 | 660 | 632 | 401 | 314 |
| კომერციული კონკურსით | 549 | 278 | 489 | 28 | 114 | 278 |
| საინვესტიციო კონკურსით | 3 | 8 | 16 | 3 | 2 | 3 |
| 2. პასიური პრივატიზაცია | 966 | 869 | 769 | 787 | 366 | 19 |

ნიშანდობლივია პრივატიზებული მცირე საწარმოების განაწილება პრივატიზაციის მეთოდების მიხედვით. 1993-1995 წლებში მცირე საწარმოების პრივატიზაცია, რაოდენობრივი თვალსაზრისით ხორციელდებოდა ძირითადად პასიური მეთოდებით. 1996-1999 წლებში აღინიშნა მათი უპირატესობის ურთიერთჩანაცვლება. 1996-1998 წლებში უპირატესობა ჰქონდა აქტიურ მეთოდებს,

ხოლო 1997 და 1999 წლებში პასიურ მეთოდებს და მხოლოდ 2000 წლის შემდეგ სახეზეა აქტიური მეთოდების უპირატესობა. 1999 წლის ჩათვლით, პასიური მეთოდებით პრივატიზაციის წილი მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობაში დაახლოებით 40-55% იყო, აუქციონით პრივატიზების წილი 30-50%, კომერციული კონკურსით პრივატიზაციის წილი - 15-20% [18, გვ. 91].

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ისე როგორც ზოგადად, სამეწარმეო სექტორისათვის დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა მოქმედი საგადასახადო სისტემა. დასავლეთის საგადასახადო მოდელების პირდაპირმა კოპირებამ ჩვენი პირობებისათვის იგი რთული, უმართავი და გადამხდელისათვის გაუგებარი გახადა: „რაციონალური საგადასახადო სისტემის ფორმირების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ის, რომ იგი მარტივი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის და განსაკუთრებით მეწარმეებისათვის. სწორედ საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობის შედეგია ის, რომ დღეისათვის დისკუსიის მთავარი საგნებია გადასახადების განაკვეთების სიდიდე, საგადასახადო შეღავათები და პრივილეგიები, დაბეგვრის ობიექტები, ერთი სახის გადასახადის მეორეთი შეცვლა და ა.შ.“ [14, გვ. 101].

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პირველ ნახევარში დამოუკიდებელ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების გზაზე გამოიკვეთა შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენილობა. მცირე საწარმოების თანამედროვე მდგომარეობა ჩვეულებრივ ხასიათდებოდა მკვეთრი ჩამორჩენილობით ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

2. სადგომის (შენობის, ნაგებობის) მოძიების სირთულე. მცირე საწარმოები შენობის ხშირად პარტნიორი ორგანიზაციისაგან იღებდნენ, რის გამოც მათზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ. უფრო შემღებული ფირმები ცალკე შენობებს ყიდულობდნენ. არცთუ იშვიათად, ყიდვა არალეგალურად, საპრივატიზაციო კომისიებისა და აუქციონების გვერდის ავლით ხდებოდა.

3. პრობლემები საწარმოთა რეგისტრაციისას. ინსტანციების გავლა ხშირად იყო დაკავშირებული ქრთამის მიცემის აუცილებლობასთან.

4. სახელშეკრულებო უდისციპლინობა. არ სრულდებოდა სახელშეკრულებო ვალდებულებები როგორც შინაარსის, ისე ვადების მიხედვით.

5. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები. ინფლაცია, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და ფასების უმართავი ზრდა, რომლებიც ბადებდნენ უიმედობას, საფინანსო მდგომარეობის განუსაზღვრელობას, ხანგრძლივადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით მუშაობის შეუძლებლობას.

6. მცირე საწარმოები სერიოზულ სირთულეებს აწყდებოდნენ ბანკებთან ურთიერთობაში, რაც გამოიხატებოდა ბანკების უარით კრედიტების გაცემაზე, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, გრძელ და საშუალოვადიანი კრედიტების მიღების შეუძლებლობით. (საუკეთესო შემთხვევაში ბანკები კრედიტს სცემდნენ 2-3 თვით, მაქსიმუმ ნახევარი წლით, რაც ართულებდა წარმოების ფეხებზე დაყენება).

7. არგადახდები. საგადახდებლო დისციპლინის დაცემა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შეკუმშვა იწვევდა ნაღდი ფულის ბრუნვის სწრაფ ზრდას მისთვის დამახასიათებელი უხერხულობებით.

8. მეწარმეების უკმაყოფილებას იწვევდა როგორც ოფიციალური გადასახადების რაოდენობა და სიდიდე, ისე ტოტალური რეკეტი, რომელსაც იშვიათად თუ გადაურჩებოდა საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენი. ამგვარი სიტუაციიდან თავის დასაღწევად მეწარმეები ცდილობდნენ შემოსავლის დამალვას, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას. ამისათვის ისინი სხვადასხვა ხერხს იყენებდნენ (მოგების ხელოვნური შემცირება, დანახარჯების გაზვიადება, სალაროს გვერდის ავლით ნაღდი ფულის ბრუნვის გაზრდა, ფსევდოდაზღვევას, ყალბ ქველმოქმედებას და სხვა) [42, გვ. 99].

9. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები (ლიცენზიის მიღება, ურთიერთობა საბაჟოსთან, ტრანსპორტის პრობლემა, კავშირგაბმულობის პრობლემა და ა.შ.);

10. ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი დონე.

11. ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარემოს მოუწესრიგებლობა. მისთვის დამახასიათებელი იყო კანონმდებლობის არასტაბილურობა, უკვე არსებული კანონების შეუსრულებლობა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და სახელმწიფო საწარმოების მონოპოლიისაგან, ჩინოვნიკების თვითნებობისა და არაკომპეტენტურობისგან მცირე ბიზნესის დაცვის რეალური მექანიზმების უქონლობა [50, გვ. 99].

ამავე პერიოდში ხდება საწარმოების დაყოფა ისეთი კრიტერიუმებით, როგორცაა: საწარმოს სიდიდე დასაქმებული პერსონალის რაოდენობის მიხედვით, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულების მიხედვით, პროდუქციის წარმოების მოცულობისა და სხვა მაჩვენებელთა მიხედვით.

ამგვარად, საქართველოში 1980-იანი წლების ბოლოდან შემდეგ, მცირე ბიზნესის შეფასებისას შეიძლება გამოვყოთ სამი პერიოდი:

1. მეწარმეობის ჩამოყალიბების პერიოდი (1990-1996);
2. განვითარებისა და სტრუქტურული გაფორმების პერიოდი (1997-1999);
3. ცივილიზებული მოდერნიზაციის პერიოდი (2000 წლიდან დღემდე).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მეწარმეობის ჩამოყალიბების პერიოდის ბოლოს 11750 მცირე საწარმო აღირიცხა (იხ. ცხრ. 2.1.3). ცხრილის ანალიზიდან ირკვევა, რომ მცირე საწარმოები ამ პერიოდისათვის რიცხოვნობის მიხედვით მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან (ყველა საწარმოთა 82,6%), თუმცა ეს მაჩვენებლები შედარებით მოკრძალებულია დასაქმებაში (117 ათასი კაცი, დასაქმებულთა 26,1%) და საქონლისა და მომსახურების გამოშვებაში (843,1 მლნ. ლარი, საერთო გამოშვების 43,6%).

ამავე პერიოდში კერძო სექტორის ჩამოყალიბებაზე ისიც მიუთითებს, რომ ამ სექტორმა აწარმოა 1262,8 მლნ. ლარის პროდუქცია, რაც საერთოდ ქვეყანაში წარმოებულის 65,3%-ია. ნიშანდობლივია, რომ მცირე საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვება მხოლოდ კერძო სექტორით არის წარმოდგენილი: ამ სექტორში 753,7 მლნ. ლარის პროდუქციაა წარმოებული, რაც მცირე საწარმოთა საერთო გამოშვების 89,4%-ია.

ცალკე აღებული სამრეწველო სექტორის ანალიზი გვარწმუნებს, რომ მცირე მეწარმეობას „საკუთარი ნიშა“ გააჩნდა, რაც გულისხმობს გამოკვეთილ დარგობრივ სტრუქტურას (ამ საკითხს ზემოთ ნაწილობრივ შევეხეთ). კერძოდ, სამრეწველო სექტორში 2201 მცირე საწარმო დაფიქსირდა (ამ სექტორის 78,7%). მიუხედავად ამისა, მცირე საწარმოები ასაქმებდნენ მხოლოდ 30 ათას კაცს (სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა 20,3%) და უშვებდნენ მთლიანად ამ სექტორში გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 15,1%-ს.

მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში (1997 წ.) [55, გვ. 169]

| | საწარმოთა რაოდ. | | დასაქმებულთა რაოდ. | | საქონლისა და მომსახურების გამოშვება | | | | | | საშუალო თვიური ანაზღაურება ერთ დასაქმებულზე (ლარი) |
|-------------------------------|-----------------|------|--------------------|------|-------------------------------------|-----------|---------------------|----------|----------------|------|--|
| | ერთეული | % | ათასი კაცი | % | სულ | | მათ შორის | | | | |
| | | | | | მლნ. ლარი | % | სახელმწიფო სექტორში | | კერძო სექტორში | | |
| | | | | | | მლნ. ლარი | % | მლნ ლარი | % | | |
| სულ, მ. შ. | 14232 | 100 | 447,3 | 100 | 1932,1 | 100 | 669,3 | 100 | 1262,8 | 100 | 39,23 |
| მსხვილი და საშუალო საწარმოები | 2482 | 17,4 | 330,3 | 73,8 | 1089,0 | 56,4 | 573,9 | 86,6 | 509,1 | 40,3 | 41,34 |
| მცირე საწარმოები | 11750 | 82,6 | 117,0 | 26,2 | 843,1 | 43,6 | 89,4 | 13,6 | 753,7 | 59,7 | 33,3 |
| მრეწველობაში სულ, მ.შ. | 2796 | 100 | 147,6 | 100 | 661,6 | 100 | - | - | - | - | 14,6 |
| მსხვილ და საშუალო საწარმოები | 595 | 21,3 | 117,6 | 79,6 | 561,5 | 84,9 | - | - | - | - | 45,91 |
| მცირე საწარმოები | 2201 | 78,7 | 30 | 20,3 | 100,1 | 15,1 | - | - | - | - | 29,6 |

სამეწარმეო აქტივობის ზრდაზე ამ პერიოდში მიუთითებს ასევე რეგისტრირებულ საწარმოთა პოზიტიური დინამიკა. 1995-2000 წლებში სულ რეგისტრირებული იყო 70199 სუბიექტი, რომლის 33% იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო 45% ინდივიდუალური მეწარმე.

ცხრილი 2.1.4.

ერთიან სახელმწიფო რეგისტრში ჩართულ სუბიექტთა რაოდენობა 1995-2000 წლებში [26, გვ. 273]

| სუბიექტები სულ, მათ შორის | 70199 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 |
|--|-------|------|-------|------|------|------|------|
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 32113 | 2268 | 6412 | 5237 | 3624 | 3691 | 1881 |
| ინდივიდუალური საწარმო | 31539 | 4195 | 10914 | 6956 | 4623 | 2878 | 1973 |

2000 წლის შედეგებით, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელმწიფო რეგისტრში 74609 სუბიექტი დაფიქსირდა, რომლის 75,71% მცირე საწარმოებზე მოდიოდა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე გამოკვეთილი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა:

1. რეზინისა და პლასტმასის წარმოება; ფეხსაცმლის წარმოება - 93%;
2. მერქნის და ხის ნაწარმის წარმოება - 92,8%;
3. პირადი მოხმარების საგნების რემონტი - 92,2%;
4. კვების პროდუქტების და სასმელების დამუშავება - 90,6%;
5. ქიმიური ნივთიერებების და ქიმიური პროდუქტების წარმოება - 85,5%;
6. სასტუმროები და რესტორნები - 84,9%; [27, გვ. 71]

2003 წლის შედეგებით რეგისტრირებული სუბიექტების რიცხოვნობა 2000 წელთან შედარებით 47%-ით გაიზარდა და 110144 ერთეულს მიაღწია. აქედან, აბსოლუტური უმრავლესობა კერძო პირებია (96143 ერთეული, მთლიანი ჯამის 87,2%).

ამავე წელს იურიდიულ პირ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ 3425,4 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც საშუალო და მცირე საწარმოებზე მოდის 650,9 მლნ. ლარის პროდუქცია, რაც ჯამური მაჩვენებლის 19%-ია.

მცირე და საშუალო საწარმოთა მაჩვენებლების განზოგადებით მივიღეთ ანალიზური ცხრილი (იხ. ცხრ. 2.1.5). უფრო მოკრძალებულია მათი წვლილი დამატებულ ღირებულებაში (15,5%) და ძირითად კაპიტალში, რაც ობიექტური კანონზომიერებით არის განპირობებული (17,6%).

ცხრილი 2.1.5.

მცირე და საშუალო საწარმოთა მაჩვენებლები 2003 წელს (მლნ. ლარი) [30]

| | მაჩვენებელი | სულ/ მთლ- იანად | მათ შორის | | მცირე და საშუალო საწარმოები | |
|---|--|-----------------------|--------------------------|---------------------------------|-----------------------------------|------------------------|
| | | | მცირე საწარ- მოები | საშუ- ალო საწარ- მოები | სულ | %-ად მთლია -ნთან |
| 1 | ბრუნვა | 5228,8 | 486,7 | 559,2 | 1045,9 | 20,0 |
| 2 | პროდუქციის გამოშვება | 3425,4 | 262,0 | 388,9 | 650,9 | 19,0 |
| 3 | დამატებული ღირებულება | 1770,4 | 101,2 | 168,0 | 269,2 | 15,5 |
| 4 | შუალედური მოხმარების მოცულობა | 1685,0 | 160,7 | 220,9 | 381,6 | 22,6 |
| 5 | პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები | 4847,7 | 495,0 | 555,5 | 1050,0 | 21,6 |
| 6 | შრომის ანაზრაურება (ლარი) | 144 | 58,3 | 86,1 | | |
| 7 | შრომის მწარმოებლობა ერთ დასაქმებულზე (ლარი) | 12630 | 4774 | 5626 | | |
| 8 | ძირითადი კაპიტალი | 4364,8 | 353,2 | 412,8 | 766 | 17,6 |
| 9 | დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) | 271210 | 54868 | 69121 | 12398 9 | 45,7 |

მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვის მოცულობა გამოკვლეულ საწარმოთა ბრუნვის მეხუთედს შეადგენდა. მათში შრომის მწარმოებლობა გაცილებით დაბალია ვიდრე მსხვილ საწარმოებში. ეს გასაგებიცაა, რადგან საშუალო და მცირე საწარმოების ფონდალჭურვილობა, როგორც წესი, შედარებით დაბალია. აღნიშნული ფაქტორი აისახება შრომის ანაზღაურების ოდენობაზეც რომელიც შესაბამისად 58,3 ლარს და 86,1 ლარს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება გამოკვლეულ საწარმოთა საერთო მაჩვენებელს (144 ლარი).

ამ პერიოდიდან, სიტუაცია პოზიტიურისკენ იცვლება და მცირე საწარმოთა რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა შეინიშნება – ეს ტენდენცია დღემდეა შენარჩუნებული. ქვეყანაში მცირე-საწარმოების რიცხოვნობის შემცირება-მომატების მიუხედავად, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია იზრდება, მატულობს სამუშაო ადგილების რაოდენობა.

მცირე საწარმოთა მნიშვნელობა გამოიკვეთა რეგიონულ ჭრილშიც, სადაც ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად ბევრი თავისებურება გვხვდება. როგორც წესი, რეგიონებში, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი მსხვილი სამეწარმეო სუბიექტებით, მცირე საწარმოები შედარებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში (კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია). ზოგიერთ რეგიონში მართალია იზრდებოდა მცირე საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია, მაგრამ სამრეწველო პროდუქციის საერთო ზრდაში მსხვილი ეკონომიკური სუბიექტების მაღალი ხვედრითი წილის გამო, მცირე საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი მაინც მოკრძალებული დარჩა. ამის ნათელი მაგალითია იმერეთი, სადაც 2000 წელს მცირე საწარმოების მიერ 16,3 მლნ. ლარის პროდუქცია იქნა გამოშვებული, ხოლო 2004 წელს 22,6 მლნ. ლარის პროდუქცია (ზრდის ტემპი 138,6%). თუმცა, მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში 16%-დან 13,2%-მდე შემცირდა. პრაქტიკულად იგივე სიტუაცია დაფიქსირდა აჭარის არ-ში.

2001 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოიკვლია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც რანჟირებულ იქნა შემდეგნაირად:

- პირველი რიგის ფაქტორები: საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში;
- მეორე რიგის ფაქტორები: ხელისუფლების მხრივ ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დაუცველობა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაუსაქმებლობა;

ცხრილი 2.1.6.

მცირე საწარმოთა მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქცია
(მლნ. ლარი, მოქმედ ფასებში)⁵

| | 2000 | | 2001 | | 2003 | | 2004 | |
|-------------------------------|----------|-------------|----------|-------------|----------|-------------|----------|-------------|
| | სულ | ხვ. წილი, % | სულ | ხვ. წილი, % | სულ | ხვ. წილი, % | სულ | ხვ. წილი, % |
| საქართველო სულ | 161288,2 | 15,3 | 201027,0 | 18,6 | 105129,1 | 7,3 | 166446,1 | 9,7 |
| ქ. თბილისი | 79742,9 | 20,3 | 71782,4 | 18,6 | 47926,7 | 7,9 | 80107,6 | 12,6 |
| აკარის არ | 4258,7 | 25,0 | 5656,8 | 25,9 | 5125,7 | 12,6 | 6073,7 | 17,3 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 7819,2 | 26,3 | 7405,1 | 36,4 | 5294,8 | 24,6 | 9501,1 | 32,8 |
| გურია | 3849,3 | 32,7 | 4562,4 | 31,1 | 2826,3 | 36,3 | 3575,4 | 23,3 |
| იმერეთი | 16282,6 | 16,0 | 18646,2 | 16,6 | 18370,7 | 10,5 | 22594,3 | 13,2 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 4772,0 | 56,4 | 5408,9 | 59,2 | 2123,5 | 21,1 | 1989,3 | 33,9 |
| შიდა ქართლი | 16864,6 | 29,6 | 15131,3 | 48,6 | 5826,7 | 4,7 | 11934,1 | 9,0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 4053,6 | 18,3 | 5050,0 | 19,3 | 1374,7 | 4,6 | 2952,2 | 5,3 |
| კახეთი | 6788,7 | 38,9 | 9979,0 | 21,2 | 6093,3 | 13,4 | 12001,9 | 21,3 |
| ქვემო ქართლი | 13312,5 | 5,2 | 22199,4 | 6,3 | 6771,3 | 2,5 | 12205,8 | 3,4 |
| სამცხე- | 2544,1 | 23,8 | 35216,5 | 78,2 | 3395,4 | 5,4 | 3510,7 | 5,2 |

⁵ ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით. 2003-2004 წლის მაჩვენებლებში ჩართულია მხოლოდ დეკლარირებული მონაცემები. ამ პერიოდისათვის საშუალო საწარმოთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვება

| | | | | | | | | |
|----------|--|--|--|--|--|--|--|--|
| ჯავახეთი | | | | | | | | |
|----------|--|--|--|--|--|--|--|--|

- მესამე რიგის ფაქტორები: ენერგეტიკული კრიზისი, მმართველობისა და კონტროლის ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევა, საბანკო სისტემის არასაიმედობა.

- სახელმწიფო რეკეტი, ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი წარმოების განადგურება და უცხოური საქონლის იმპორტის ხელშეწყობა, კონტრაბანდისთვის მწვანე შუქის მიცემა, რაც გამოიხატებოდა განუზღვევლი საქონლის შემოტანით, ბაზრის გაჯერებით იაფფასიანი პროდუქციითა და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან შეიძლება დავასახელოთ მენეჯმენტის დაბალი დონე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის არარსებობა, ინვესტიციების სამართლებრივი დაცვის დაბალი ხარისხი, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, საგადასახადო კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაბალი დონე და ა.შ. [22, გვ. 47]

საქართველოში მეწარმეობის განვითარებას, მეტ-ნაკლები ზომით, ეკონომიკის რეფორმების ნებისმიერ ეტაპზე, დიდ პრობლემებს უქმნიდა არასტაბილური საგადასახადო სისტემა. განუწყვეტელი ცვლილებები და დამატებები საგადასახადო კანონმდებლობაში გარკვეულწილად ხელს უწყობდა ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლების გაუარესებას, გადასახდების გადახდის დაგვიანებისთვის სანქციების დაწესებას, რასაც ზოგჯერ განაპირობებდა ინსტრუქციების წინა რიცხვით ძალაში შესვლა და ა.შ. მოკლედ, ავტორიტარული მმართველობის სისტემის არსებობამ დადი დაასვა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას საქართველოში, უარყოფითი გავლენა მოახდინა ძირითადად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

როგორც ცნობილია, საბაზრო პირობებში სახელმწიფო ყოველთვის აქტიურად ერევა ბიზნეს საქმიანობაში ადმინისტრაციული პროცედურების დაწესებით (ამა თუ იმ კომპანიის საქმიანობის აკრძალვა ან შეჩერება, ჯარიმების დაწესება, ნებართვების სისტემა და ა.შ.). ამ ურთიერთობებში ყველაზე მაღალია ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები. ჩრდილოვანი ბაზრების ფუნქციონირება ორგანულად

უკავშირდება კორუფციას. როდესაც სისტემატურად ირღვევა (უნდა დაირღვეს) კანონმდებლობა, მოსყიდვა და ქრთამი გარდაუვალია.

1990-იან წლებში, განსაკუთრებით მეორე ნახევრიდან ქართულ ბიზნეს სექტორში მაღალი იყო სტატისტიკურად აღურიცხავი ეკონომიკის (ჩრდილოვანი ეკონომიკის) ხვედრითი წილი. იგი განისაზღვრება, როგორც საქმიანობის ყველა სახის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით.

აღნიშნულ პერიოდში საქართველომ გადაიტანა ე.წ. “დიდი ეკონომიკური რევოლუცია”, რომელიც სამურნეო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში არალეგალური ურთიერთობების რეფორმირების პროცესი განსხვავებულია აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით. საზოგადოდ, გარდამავალი ეკონომიკის ტიპის მქონე ქვეყნებში შესაძლებელია სამი ვარიანტის განხილვა:

1. “განვითარება ქვემოდან”, ანუ ბიზნესში მიდიან ყოფილი რიგითი მუშაკები;
2. “განვითარება გვერდიდან”, ანუ ადრე არსებული ჩრდილოვანი ბიზნესის ლეგალიზაცია;
3. “განვითარება ზემოდან”, გულისხმობს სოციალისტური ადმინისტრაციული და სამეურნეო ელიტის კომერციალიზაციას.

ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებში განხორციელდა არა “დისიდენტური რევოლუცია”, არამედ “პირველი მდივნების მეორე მდივნებით ჩანაცვლება”. აქ ლეგალური ბიზნესის ფორმირება ძირითადად “ზემოდან” განხორციელდა. ამით ეკონომიკურმა ძალაუფლებამ არალეგალური საკომანდო სექტორისაკენ გადაინაცვლა და შესაბამისად, საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენლებმა დაიწყეს კვაზი-სამეწარმეო სტრუქტურების ჩამოყალიბება. ასეთ სტრუქტურებში ძირითად როლს თამაშობდა არა ეკონომიკური თავისუფლება და კონკურენცია, არამედ კლანური კავშირები, კლიენტარიზმი და პატერნალიზმი. ამდენად, ყოფილი სსრკ-ის

რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში მივიღეთ საბაზრო დეცენტრალიზებული სისტემის იმიტაცია საკომანდო ეკონომიკის საფუძვლების შენარჩუნებით [50, გვ. 83]. “მეორე შევარდნაში” პერიოდში ჩამოყალიბდა ანტისაბაზრო კლანური კაპიტალიზმი, სადაც დაპირისპირებული კლანები ბრძოლობენ მაღალი შემოსავლების მისაღებად (მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურებში “წამყვან” როლს თამაშობდა ოჯახური კლანები პოლიტიკური, ეთნიკური და რეგიონული ნიშნებით).

1990–1995 წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე მაღალი იყო გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკებს შორის. პერიოდის ბოლოს მან 62–63% შეადგინა (იხ. ცხრ. 2.1.7)

ცხრილი 2.1.7.

ჩრდილოვანი (არაოფიციალური) ეკონომიკის მასშტაბების დინამიკა გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში 1990-1995 წლებში (%-ად მშპ-ში) [6, გვ. 42]

| № | ქვეყანა | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 |
|----|-------------|------|------|------|------|------|------|
| 1 | აზერბაიჯანი | 21.9 | 22.7 | 39.2 | 51.2 | 58.0 | 60.6 |
| 2 | ბელორუსი | 15.4 | 16.6 | 13.2 | 11.0 | 10.9 | 19.3 |
| 3 | ესტონეთი | 19.9 | 26.2 | 25.4 | 24.1 | 25.1 | 11.8 |
| 4 | საქართველო | 24.9 | 36.0 | 52.3 | 61.0 | 63.5 | 62.6 |
| 5 | ყაზახეთი | 17.0 | 19.7 | 24.9 | 27.2 | 34.1 | 34.3 |
| 6 | ლატვია | 12.8 | 19.0 | 34.3 | 31.0 | 34.2 | 35.3 |
| 7 | ლიტვა | 11.3 | 21.8 | 39.2 | 31.7 | 28.7 | 21.6 |
| 8 | მოლდოვა | 18.1 | 27.1 | 37.3 | 34.0 | 39.7 | 35.7 |
| 9 | რუსეთი | 14.7 | 23.5 | 32.8 | 36.7 | 40.3 | 41.6 |
| 10 | უკრაინა | 16.3 | 25.6 | 33.6 | 38.0 | 45.7 | 48.9 |
| 11 | უზბეკეთი | 11.4 | 7.8 | 11.7 | 10.1 | 9.5 | 6.5 |

ამ პერიოდის ეკონომიკაში განვითარებულ მოვლენებს ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი სავსებით სამართლიანად მოიხსენიებს “სამშაკაცო კაპიტალიზმად” (crony capitalism): “მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ეპითეტით კაპიტალიზმის “აზიური მოდელი” მოიხსენიებოდა, გამომდინარე მისი საოჯახო ფორმიდან, საქართველოში

ბიზნეს-ელიტაც გარკვეული ფორმით კლანურ-სამეგობრო სახეს იძენს, სადაც საქმიანი წრეები და მთავრობა მჭიდრო ურთიერთობებშია ერთმანეთთან და სადაც პიროვნული კავშირები ეკონომიკური გავლენის მოპოვებისა და ურთიერთდაცვის ფორმად იქცა” [6, გვ. 11].

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა გარდამავალი პერიოდი საქართველოსათვის. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნება გარკვეული სტაბილიზაცია ეკონომიკაში. აღნიშნული უპირველესად გამოიხატა ფასების სტაბილიზაციით და მშპ-ის მზარდი დინამიკით (იხ. ცხრილი 2.1.8).

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდისათვის, მსოფლიო ბანკის გამოკვლევების მიხედვით საქართველო მშპ-ის მოცულობით 126-ე ადგილზე იყო და ერთ სულ მოსახლეზე მშპ მხოლოდ 770 აშშ დოლარს შეადგენდა.

ცხრილი 2.1.8.

საქართველოს ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი
1998-2003 წლებში (მლნ. ლარი)⁶

| № | მაჩვენებელი | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|--|-------|-------|-------|--------|--------|--------|
| 1 | მთლიანი შიდა პროდუქტი | 5041 | 5669 | 6015 | 6648 | 7456 | 8565 |
| 2 | სულ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, მ.შ. | 741.0 | 829.7 | 905.2 | 1034.1 | 1163.1 | 1348.6 |
| 3 | საგადასახადო შემოსავლები | 645.5 | 789.8 | 854.3 | 954.8 | 1054.9 | 1186.8 |
| 4 | მშპ 1 სულ მოსახლეზე (ლარი) | 1061 | 1203 | 1287 | 1434 | 1620 | 1873.7 |
| 5 | უცხოური ინვესტიციები ძირითად კაპიტალში | 401.0 | 168.6 | 118.8 | 140.2 | 78.0 | 542.5 |
| 6 | შემოსავლების ხვედრითი წილი მშპ-ში, % | 14.7 | 14.6 | 15.0 | 15.5 | 15.6 | 15.7 |
| 7 | საგადასახადო შემოსავლები | 12.8 | 13.9 | 14.2 | 14.3 | 14.1 | 13.8 |

⁶ შედგენილია “საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულების” (2001-2004) მიხედვით

| | | | | | | | |
|---|---|-----|-----|-----|-----|-----|-----|
| | ხვედრითი წილი მშპ-ში, % | | | | | | |
| 8 | უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი მშპ-ში, % | 8.0 | 3.0 | 2.0 | 2.1 | 1.0 | 6.3 |

ამ წლებში გარკვეული აღმავლობის შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა შენელდა ჯერ რუსეთის კრიზისის, შემდეგ კი გვალვისა და ელექტროკრიზისის გავლენით. (რუსეთის კრიზისის შედგომ ლარის ბრუნვა, მნიშვნელოვნად დაჩქარდა, ინფლაციური მოლოდინის გამო ლარის კურსი შეირყა და შესაბამისად, ინფლაციის მოლოდინი თანმდევი ფაქტორი იყო ყველა სამეურნეო აგენტის საქმიანობაში). ამ შემაფარებელი ფაქტორების გავლენა ძირითადად 2001 წლის პირველ ნახევარში დასრულდა. თუმცა, მომდევნო წლების მანძილზე მიღებული იყო და უარესდებოდა სოციალური პარამეტრები. მინიმალურ სამომხმარებლო კალათაზე ნაკლები იყო როგორც საშუალო, ასევე მინიმალური ხელფასები (იგულისხმება როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორები). შესაბამისად, ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი საარსებო მინიმუმს მხოლოდ 2003 წელს მიუახლოვდა. მანამდე კი იგი საარსებო მინიმუმის 58-81%-ს შეადგენდა.

ცხრილი 2.1.9.

საარსებო მინიმუმის და ხელფასის მაჩვენებლები
1999-2003 წლებში (ლარი)⁷

| მაჩვენებელი | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|--|------|------|-------|-------|-------|
| ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი | 67.5 | 72.3 | 94.6 | 113.5 | 125.9 |
| მ.შ. სახელმწიფოს მართვა და თავდაცვა; სავალდებულო სოცდაზღვევა | 87.9 | 88.5 | 105.9 | 141.2 | 132.0 |
| საარსებო მინიმუმი | 115. | 114. | 116. | 125. | 130.7 |

⁷ შედგენილია “საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2004”-ის მიხედვით

| | | | | | |
|-------------------|------|------|------|------|------|
| | 8 | 6 | 6 | 4 | |
| ჯინის კოეფიციენტი | 0.58 | 0.56 | 0.54 | 0.55 | 0.56 |

სტატისტიკურად აღურცხავი ეკონომიკის მაღალი ხვედრითი წილის გამო წლების მანძილზე უმწვავეს პრობლემად რჩებოდა ბიუჯეტისათვის კუთვნილი გადასახადების ამოღება, რის გამოც მშპ-ში შემოსავლების ხვედრითი წილი 1998-2002 წლებში მხოლოდ 14.7-15%-ით განისაზღვრა (საგადასახადო შემოსავლებისა 13-14%-ით) რაც ერთ-ერთი უმდაბლესი მაჩვენებელი იყო მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო შემოსავლები 2003 წელს 1998 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა (გაიზარდა 1,83-ჯერ) და ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა, მშპ-ში მისი ხვედრითი წილი 13.5%-ის ფარგლებში იყო).

ზოგიერთი ქართველი ავტორი პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების სამ ეტაპს გამოყოფს:

1. 1991-1995 წლები. ამ ეტაპზე ჩრდილოვანი ფაქტორების ზეგავლენა ნაკლებად დესტრუქციულ ხასიათს ატარებდა და ეთნოკონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის პირობებში გარკვეულწილად ხელს უწყობდა მოსახლეობის გადარჩენას;

2. 1995-2000 წლები – ჩრდილოვანი ფაქტორების დესტრუქციული გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებამ ხელი ვერ შეუშალა არალეგალური ეკონომიკის განვითარებას;

3. ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების მესამე ეტაპია მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, კერძოდ ჩრდილოვანი და ოფიციალური ურთიერთობების შერწყმა, რისი შედეგიც სახელისუფლებო სტრუქტურების კრიმინალიზაციაა [17, გვ. 53].

ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობეს სწორედ კომპანიების ექსპლოატაცია ბიუროკრატების მიერ. აღნიშნულის გამო, კომპანიები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ “ალტერნატიულ სტრატეგიას” თანამდებობის პირთა მოსყიდვის მიზნით. განსაკუთრებით მტკივნეულია ეს პროცესი ზოგიერთ განვითარებად და პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში.

ნიშნადობლივია, რომ 2003 წლის ნოემბრის მოვლნების შემდეგ ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული იქნა კანონი “ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ” (24.06.2004), რომლის მიზანი იყო ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლა და თავიდან აცილება კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. კანონის თანახმად რეკეტული ქონება არის რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტორის, რეკეტორის ოჯახის წევრის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, რომელიც ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემას ექვემდებარება (მუხლი 4). ამავე კანონით დასამტკიცებლად განისაზღვრა ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სახელმწიფო პროგრამა.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს გამოკვლევით, გადასახადები საფინანსო კონტროლის არეში რომ არ მოხვედრილიყო, ბიზნესმენებსა და მაკონტროლებლებს შორის მოხდა გარიგება და გარკვეული საფასურის ქრთამის გადახდა. 1999 წელს 120 მლნ. ლარის ქრთამის გადახდით მეწარმეებმა 1 მლრდ. ლარის (ქრთამზე 8.3-ჯერ მეტი) გადასახადის დამალვის უფლება შეიძინეს [52]. ამრიგად, მარტო ამავე წყაროს მიხედვით 6 ძირითადი გადასახადიდან ბიუჯეტს 1033 ათასი ლარი დააკლდა 1999 წელს, ანუ 247 მლნ. ლარით მეტი, ვიდრე მთლიანად იქნა მობილიზებული ამ წელს ქვეყნის ბიუჯეტში.

ნიშნადობლივია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამ პერიოდისათვის გამოკითხულ მეწარმეთა შეფასებები მათ საქმიანობაში ხელშემშლელი ფაქტორების თაობაზე. პირველი რიგის ფაქტორად მეწარმეთა 72% მოუწესრიგებელ საგადასახადო სისტემას, ხოლო მეორე რიგის ფაქტორად (მეწარმეთა 63%) კოორუფციას ასახელებს. შემდეგ, მოდის ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა (51%), ენერგოკრიზისი (25%) და მაკონტროლებელ ორგანოთა ბიზნესში ზედმეტი ჩარევა (19%).

ყველა ფაქტორთან ერთად მეწარმეთა „ჩრდილში გადაბარგების“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა გახდა. სამწუხაროდ საქართველოში მოქმედმა საგადასახადო კოდექსმა, რომელიც საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს არეგულირებს, ვერ შეძლო ჯერ კიდევ ლუდვიგ ერჰარდის დროიდან დამკვიდრებული საგადასახადო სისტემის აგების ისეთი ძირითადი პრინციპების დაცვა, როგორცაა გადასახადის შეძლებისდაგვარად მინიმალურობის შენარჩუნება, აკრეფის ხარჯების სიმცირე, სტრუქტურულ პოლიტიკასთან შესაბამისობა, კონკურენციის დაუბრკოლებლობა და სხვა.

ბუნებრივია, ამან წლების მანძილზე ქვეყანაში ვერ შექმნა პირობები მიკროეფექტურობისა და მაკროსტაბილურობის ჰარმონიზებისათვის. საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპებიდან, რომელიც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული (სიმარტივე, სიცხადე, განაკვეთი, უნივერსალურობა, სრულყოფილება და სამართლიანობა), ჩვენთან ფაქტობრივად ვერც ერთმა მათგანმა ვერ იმუშავა სრულყოფილად.

ამ პერიოდისათვის ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ამძიმებდა ის ფაქტორი, რომ მეწარმისათვის ძალზედ რთული იყო “ჩრდილიდან გამოსვლა”. გადასახადებისაგან თავის არიდების მასშტაბები იმდენად დიდი იყო, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობა არასრულად ასახავდა გადასახადებს. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ თუკი მეწარმე სრულად გადაიხდის გადასახადებს, არაკონკურენტული გახდება იმ მეწარმეებთან შედარებით, რომლებიც არ იხდიან. შედეგად ვიღებთ ნეგატიურ გადარჩევას – თუკი ბიზნესმენი იხდიდა კუთვნილ გადასახადს, იგი იღვენებოდა ბაზრიდან. შედეგად, 1996-2001 წლებში უმძიმესი მდგომარეობა მივიღეთ (იხ. ცხრ. 2.1.10).

ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური საქმიანობის სახეობებში მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდას წინ უსწრებდა წმინდა გადასახადების (არაპირდაპირ გადასახადებს მინუს სუბსიდიები) მოცულობის თითქმის სამჯერადი ზრდა.

საგადასახადო შემოსავლების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება 1996 წლის 10,2%-დან 2001 წლის 14,5%-მდე გაიზარდა, მაგრამ გადასახადების ამოღების ეს დონე უკიდურესადაა დაბალი რჩებოდა (ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2,5-3-ჯერ მაღალია).

ცხრილი 2.1.10.

მშპ-ში საბიუჯეტო შემოსავლების ხვედრითი წილი
1996-2001 წლებში (%) [28, გვ. 5]

| მაჩვენებელი | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|------|------|------|------|------|------|
| საგადასახადო შემოსავლები | 10,2 | 12,6 | 12,8 | 14,0 | 14,3 | 14,5 |
| საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები | 11,1 | 15,1 | 14,7 | 14,6 | 15,2 | 15,5 |


ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი ახასიათებდა რა ახლო წარსულის საგადასახადო პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში, სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ არასწორი საგადასახადო პოლიტიკის შეუფასებლობას შეიძლება სერიოზული გართულებანი მოჰყვეს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის კუთხით გრძელვადიან პოლიტიკაში, ამგვარი პოლიტიკის დიდი ხნით შენარჩუნება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების საქმეში განსაკუთრებულ მადესტაბილიზებელ გავლენას მოახდენს შემდგომში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე [13, გვ. 31].

საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემებით სტატისტიკური დაკვირვების მიღმა 1998-2002 წლებში იმყოფებოდა სამეწარმეო სექტორის 28-34%. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სამეწარმეო სექტორისათვის დამახასიათებელი იყო ალურიცხავი პროდუქციის მაღალი წილი (50-58%) 2003 წელს სამეწარმეო სექტორში და ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში ალურიცხავი გამოშვების წილი 5.5%-ით (ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 1.8%-ით) შემცირდა, რაც გარკვეულწილად ქვეყანაში მსხვილ საერთაშორისო პროექტების განხორციელების პროცესით აიხსნება.

ნახ. 2.1.1.

საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის ხვედრითი წილის

დინამიკა 1999-2003 წლებში, პროცენტი



განსხვავებული სურათი გვაქვს დარგობრივ ჭრილში [41, გვ. 6]. წლების მანძილზე საქართველოში ჩამოყალიბდა საქმიანობის სახეობები, რომლებიც ჩრდილოვანი ეკონომიკის “ოაზისებად” იქცნენ.

ცხრილი 2.1.11.

დაუკვირვებადი გამოშვების წილი ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეობების მიხედვით 2000-2003 წლებში (%) [50, გვ. 55]

| № | ეკონომიკური საქმიანობის სახეობები | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|----|---|------|------|------|------|
| 1 | სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა, ნადირობა | 10.6 | 9.4 | 7.9 | 8.8 |
| 2 | მრეწველობა | 40.6 | 40.6 | 34.9 | 35.9 |
| 3 | განათლება | 35.5 | 37.0 | 38.8 | 39.3 |
| 4 | მშენებლობა | 55.6 | 55.1 | 53.3 | 47.5 |
| 5 | საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფ. საქონლის და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი | 56.6 | 63.4 | 66.4 | 70.8 |
| 6 | სასტუმროები და რესტორნები | 63.4 | 67.0 | 69.5 | 70.8 |
| 7 | ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა | 35.7 | 37.1 | 38.6 | 38.3 |
| 8 | კავშირგაბმულობა | 11.6 | 7.3 | 7.4 | 6.6 |
| 9 | საფინანსო შუამავლობა | 4.8 | 4.8 | 4.8 | 4.8 |
| 10 | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა | 41.8 | 41.7 | 41.1 | 44.3 |
| 11 | ჯანდაცვა და სოცომოსახურება | 62.2 | 62.4 | 62.4 | 62.2 |
| 12 | სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | 67.3 | 66.7 | 66.5 | 67.1 |

დარგების და სფეროების მიხედვით ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი დიდი ნაწილი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს განეკუთვნებოდა. ამაზე კიდევ

ერთი ფაქტი მეტყველებს: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეციალურად ორგანიზებული გამოკვლევებით და ექსპერტული შეფასებებით, ქვეყანაში საცალო ვაჭრობისა და რესტორნების ბრუნვის რეალურმა საერთო მოცულობამ 2000 წლის განმავლობაში დაახლოებით 4,6 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 2,5-ჯერ აღემატება დეკლარირებულ მაჩვენებელს. ქვეყნის მასშტაბით კი დეპარტამენტის შეფასებით ფარული და არაფორმალური სექტორის გათვალისწინებით 2001 წელს საქართველოში 2085 მლნ. ლარის პროდუქცია იქნა წარმოებული, რაც დეკლარირებულ მაჩვენებელს (1080 მლნ. ლარი) 1,93-ჯერ აღემატებოდა [26, გვ. 36; 53].

წლების მანძილზე საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსი ეკონომიკურ სუბიექტთა მოგება-ზარალის მანიპულირების ფართო საშუალებას ქმნიდა. შემოსავლების დამალვა და შესაბამისად ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდებისათვის კუთვნილი სახსრების გადაუხდელობა სუსტ ადმინისტრირებასთან ერთად ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტს ქმნიდა. შესაბამისად მომრავლდა “უმოგებო” ორგანიზაციები, რომელთა დიდი ნაწილი სამეურნეო საქმიანობას ზარალით ამთავრებდა.

ჯერ კიდევ 2000 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, ეყრდნობოდა რა “ბარენც ჯგუფის” გამოკვლევებს, მიიჩნევდა, რომ ეკონომიკის არსებული რეჟიმით დაბეგვრის პოტენციური ბაზის რეალიზაცია მხოლოდ 41%-ით ხდებოდა, რისი მიზეზიც სახელმწიფოს ადმინისტრირების შეზღუდული რესურსი იყო.

აღნიშნული სიტუაციის ფორმირება საქართველოში მნიშვნელოვანწილად განაპირობა კონფლიქტური რეგიონების არსებობამაც. ბოლო 15 წლის განმავლობაში კონფლიქტების წარმართვამ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ძირითადად აფხაზეთი და სამაჩაბლო) მნიშვნელოვნად შეამცირა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი (ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ქვეყნის ტერიტორიის თითქმის მეექვსედ ნაწილს, სადაც კონფლიქტური სიტუაციის დაწყებამდე ქვეყნის მშპ-ის 12-14% იწარმოებოდა).

წლების მანძილზე ცენტრალური ხელისუფლების სისუსტემ, პოლიტიკური საზღვრების დაუცველობამ და უსუსტესმა ადმინისტრირებამ კონტრაბანდის გაფურჩქვნა გამოიწვია. ტერიტორიებიდან, საიდანაც ძირითადად შემოედინებოდა კონტრაბანდა საქართველოში აღსანიშნავია:

ერგნეთი, წითელი ხიდი, აფხაზეთი. აჭარა, ფოთი, ახალციხე, ყაზბეგი, ლაგოდეხი, ჯანდარა. კონტრაბანდული საქონელი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა – სიგარეტებიდან და კვების პროდუქტებიდან დაწყებული მოპარული ავტომობილებით დამთავრებული.

სპეციალური გამოკვლევა ჩატარდა პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ, რომელმაც ძირითადად 1999 წელი და 2000 წლის პირველი ნახევარი მოიცვა. კანონმდებელთა მიერ დიდი საბიუჯეტო რეზერვები დაფიქსირდა. კერძოდ, ნავთობპროდუქტებში 350 მლნ. ლარის ოდენობით, პურის წარმოებაში 35.3 მლნ. ლარის ოდენობით (შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პირობებში, რაც დარგის მწარმოებელთა მიერ კომბინირებული ფიქსირებული გადასახადების შემოღებას ითვალისწინებს) და თამბაქოსათვის 83.3 მლნ. ლარის ოდენობით, რაც სულ 468.6 მლნ. ლარს შეადგენს [29, გვ. 17]. თავის მხრივ, აღნიშნული თანხა 1999 წელს მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების 59.3%-ს და ამ წლის ქვეყნის მშპ-ის 8.2%-ს შეადგენდა.

2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ ახალი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულ მიმართულებად სავსებით სამართლიანად იქნა განხილული მოქმედი საგადასახადო კოდექსის დემონტაჟი, მისი ლიბერალიზაციისა და სამეწარმეო სექტორის სტიმულირების მიმართულებით. ახალი კოდექსის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად სწორედ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება განიხილებოდა. ერთი რამ ცხადია – ეს იყო არა იდეალური (იდეალური ალბათ ვერც იქნებოდა), არამედ ოპტიმალურთან მიახლოებული საგადასახადო კოდექსი.⁸

2004 წლის შემდეგ ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

საერთაშორისო ორგანიზაცია International Transparency-ის (მსოფლიოში კორუფციის დონის კვლევის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, დაარსდა 1993 წ.) მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, კორუფციის აღქმის ინდექსით („კორუფციის აღქმის ინდექსი“ შიდა პოლიტიკურ და საჯარო სექტორში არსებული კორუფციის საზომია)⁹ საქართველო 2004 წელს 130-ე ადგილზე იყო ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორცაა კამპუჩია, ახალი გვინეა, კონგო, ბერუნდი, ყირგიზეთი, პაპუა ახალი გვინეა. ამ ინდექსმა 2,3 შეადგინა [98, გვ. 3].

⁸ მცირე და საშუალო ბიზნესის მხადრაქტერის საკითხები საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით მომდევნო პარაგრაფში გვაქვს განხილული.

⁹ „კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI) ყოველწლიურად შეიმუშავებს და აქვეყნებს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სათავე ოფისი ბერლინში. ინდექსი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და საკონსულტაციო ჯგუფის კვლევებს. ინდექსი მოცემულ წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით კორუფციის აღქმის კარგ სურათს აჩვენებს.

2005 წლის ივნისში, საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა მთავრობის პრიორიტეტები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ: კორუფციის პრევენცია და ინსტიტუციონალური რეფორმა, ბიზნეს გარემოს ლიბერალიზაცია და საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველყოფა ანტიკორუფციულ ღონისძიებებში. სტრატეგიაზე დაყრდნობით მთავრობამ შექმნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა განსაზღვრა.

2004 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციის მიმართ. გასულ წელს პოლიცია ყველაზე კორუმპირებული სფეროების სათავეში იდგა, წელს მან მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა. საზოგადოების აზრით, მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა ლიცენზირების სფეროში და განათლების სისტემაშიც.

რამდენიმე წლის შემდეგ (2010 წელს) „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (ინგ. Corruption Perceptions Index, CPI) მიხედვით საქართველომ 178 ქვეყანას შორის 68-ე ადგილი დაიკავა. საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.8 ქულა მიიღო. 2009 წელს, საქართველომ 4.1 ქულით 66-ე ადგილი დაიკავა. თუმცა, 2009 წელთან შედარებით საქართველოს ქულა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა [21].

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ აჩვენებს, რომ საქართველოს კორუფციის აღქმის უფრო დაბალი დონე აქვს, ვიდრე მის მეზობელ სახელმწიფოებს, თურქეთის გამოკლებით, რომელიც 4,4 ქულით 56-ე ადგილზეა. სომხეთის ინდექსი 2,6 ქულას შეადგენდა და ეს ქვეყანა 123-ე ადგილზე იყო, ხოლო აზერბაიჯანი შესაბამისად, 2,4 ქულა და 134-ე ადგილი, რუსეთი 2,1 ქულა და 154-ე ადგილი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საკუთრების უფლების დაცვის პრობლემები პოსტრევოლუციურ საქართველოში. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ 2006-2007 წლებში ეს უფლება გარკვეულწილად შეირყა, როცა განსაკუთრებით გახშირდა კერძო საკუთრების ნგრევისა და ჩამორთმევის ფაქტები.

საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები პირველად “ვარდების რევოლუციიდან” რამდენიმე თვეში წარმოიშვა. ახალი ხელისუფლების აქტიური ანტიკორუფციული კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების უკანონოდ მიჩნეული ქონების კონფისკაცია იყო. ხელისუფლებამ მათ სახელმწიფო ქონების მითვისებაში და ზოგადად, კორუფციაში საჯაროდ დასდო ბრალი და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით ნაწილს ქონება ჩამოართვა, ნაწილს კი ფულის გადახდა მოსთხოვა.

კონფისკაციის მეორე ტალღა (2005 წლის ბოლო და 2006 წლის დასაწყისი) ძირითადად თბილისსა და მცხეთაში მდებარე რესტორნების პატრონებს შეეხო. რესტორნების მფლობელთა ნაწილს “შეახსენეს”, რომ მათ ბიზნეს-საქმიანობისთვის საჭირო ლიცენზიები და ნებართვები კორუფციული გარიგებების გზით ჰქონდათ მიღებული შევარდნადის პერიოდში და ამ “შეცდომის” გამოსასწორებლად თავიანთი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ და “ნებაყოფლობით” გადაცემა შესთავაზეს. ბიზნესმენთა დიდი ნაწილი ამ მოთხოვნას დათანხმდა. სახელმწიფომ მათგან მოთხოვნილი ქონება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მიიღო – ყოფილ მესაკუთრესა და სახელმწიფოს (კერძოდ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) შორის გაფორმდა ნოტარიალურად დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულებები.

საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების ახალმა ტალღამ 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში იჩინა თავი – ამჯერად სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობების დანგრევის სახით. ეს ტალღა ძირითადად შედარებით მცირე ზომის მაღაზიებს, ჯიხურებს და სავაჭრო ცენტრებს შეეხო, რომელთა დიდი ნაწილი მეტროსადგურებთან იყო განლაგებული.

საკუთრების უფლების დაცვის მყარი გარანტია ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. კერძო საკუთრება, საერთო საკუთრებისაგან განსხვავებით, უკვე დიდი ხანია აღიარებულია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად. ეს უფლება დაცულია თითქმის ყველა

თანამედროვე სახელმწიფოს კანონმდებლობაში. კერძო საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს უზენაეს კანონშიც – საქართველოს კონსტიტუციაში. მივიჩნევთ, რომ ანალოგიური ქმედებები ამ ფორმით დაუშვებელია და მათი განმეორება შეარყევს როგორც ქვეყნის ავტორიტეტს, ისე მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორადაც მოგვევლინება.

2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში

მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზის მიზნით ერთი მხრივ, დავეყრდნით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკვლევას¹⁰, რომელიც მოიცავდა 2007-2008 წლებს, ხოლო მეორე მხრივ, ჩავატარეთ მცირე და საშუალო მეწარმეების მასშტაბური გამოკითხვები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საქსტატის მასალა დაეფუძნა მცირე და საშუალო ბიზნესის გამოკვლევის დეკლარირებულ მონაცემებს და ორიენტირებული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდეციების შეფასებაზე. გამოკვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავდა 2007 წლის მეოთხე კვარტალის, ხოლო მეორე ეტაპი – 2008 წლის მეოთხე კვარტალის პერიოდს.

ცხრილი 2.2.1.

ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით [30]

| | ათასი ლარი | | | | პროცენტი | | | |
|--|------------|----------|----------|----------|----------|------|-------|------|
| | საშუალო | | მცირე | | საშუალო | | მცირე | |
| | 2007 | 2008 | 2007 | 2008 | 2007 | 2008 | 2007 | 2008 |
| საქმიანობის სახეების მიხედვით-სულ | 477619.5 | 375818.4 | 411811.3 | 392131.4 | 53.7 | 48.9 | 46.3 | 51.1 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 3811.4 | 1617.3 | 2710.1 | 3399.8 | 58.4 | 32.2 | 41.6 | 67.8 |
| თევზჭერა, მეთევზეობა | 44.4 | 47.2 | 504.8 | 481.3 | 8.1 | 8.9 | 91.9 | 91.1 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 11616.1 | 5163.2 | 3893.2 | 5130.5 | 74.9 | 50.2 | 25.1 | 49.8 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 83449.7 | 69180.6 | 58467.5 | 47599.8 | 58.8 | 59.2 | 41.2 | 40.8 |
| ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 7479.6 | 9226.8 | 1938.8 | 4100.5 | 79.4 | 69.2 | 20.6 | 30.8 |
| მშენებლობა | 86123.3 | 58237.2 | 17932.5 | 27221.8 | 82.8 | 68.1 | 17.2 | 31.9 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 175022.2 | 131230.1 | 231609.7 | 212239.1 | 43.0 | 38.2 | 57.0 | 61.8 |
| სასტუმროები და რესტორნები | 8019.3 | 5674.6 | 11988.1 | 11521.0 | 40.1 | 33.0 | 59.9 | 67.0 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 28960.9 | 29900.4 | 222925.1 | 21962.3 | 55.8 | 57.7 | 44.2 | 42.3 |

¹⁰ იმ პერიოდისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი


დეკლარირებული მონაცემებით, 2008 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ 767,9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2007 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 13,7 პროცენტითაა შემცირებული (იხ. ცხრ. 2.2.1). აღსანიშნავია ისიც, რომ თუ 2007 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 17,5% შეადგინა, 2008 წლის მეოთხე კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 15,6%-მდე შემცირდა. პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 2008 წლის მეოთხე კვარტალში 459,1 მილიონი ლარი შეადგინა (ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 17,1%), რაც 10,1%-ით ჩამორჩება 2007 წლის მეოთხე კვარტალის შესაბამის მაჩვენებელს (2007 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქციის გამოშვებამ ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 19,0% შეადგინა).

მთლიანი ბრუნვა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 48,9%, მცირე საწარმოები – 51,1%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 53,7%, მცირე საწარმოები – 46,3%.

ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა იყო პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 53,8%, მცირე საწარმოები – 46,2%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 61,4%, მცირე საწარმოები – 38,6% (იხ. ნახ. 2.2.1).

მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ საქონლისა და მომსახურების მთლიან ყიდვებზე გაწეულმა დანახარჯებმა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 577,0 მილიონი ლარი შეადგინა (ბიზნეს სექტორის 15,3%), მაშინ როცა 2007 წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 674,0 მილიონ ლარს შეადგენდა (ბიზნეს სექტორის 16,2%). რაც შეეხება დანახარჯებს სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე, 2008 წლის მეოთხე კვარტალში 347,8 მილიონი ლარი შეადგინა (ბიზნეს-სექტორის 14,7%), რაც 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14,3%-ით არის შემცირებული (ბიზნეს სექტორის 15,6%).

მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა და გამოშვებული პროდუქცია 2007-2008 წლებში (მლნ. ლარი)



დანახარჯები საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 47,5%, მცირე საწარმოები – 52,5%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 52,3%, მცირე საწარმოები – 47,7%. ოდნავ განსხვავებული ვითარებაა გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე გაწეული დანახარჯების განაწილებაში: 2008 წლის მეოთხე კვარტალში – საშუალო საწარმოები – 42,6%, მცირე საწარმოები – 57,4%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში – საშუალო საწარმოები – 45,2%, მცირე საწარმოები – 54,8%.

ბრუნვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, ათასი ლარი [30]

| | ათასი ლარი | | | | | | პროცენტი | | | |
|---|------------|----------|----------|----------|----------|----------|----------|---------|---------|---------|
| | სულ | | საშუალო | | მცირე | | საშუალო | | მცირე | |
| | 2007 IV | 2008 IV | 2007 IV | 2008 IV | 2007 IV | 2008 IV | 2007 IV | 2008 IV | 2007 IV | 2008 IV |
| საქართველო-სულ | 889430.8 | 767949.7 | 477619.5 | 375818.4 | 411811.3 | 392131.4 | 53.7 | 48.9 | 46.3 | 51.1 |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 670997.7 | 599388.5 | 396765.4 | 332591.1 | 274232.4 | 266797.3 | 59.1 | 55.5 | 40.9 | 44.5 |
| სააქციო საზოგადოება | 38843.9 | 36066.2 | 29470.4 | 17384.8 | 9373.5 | 18681.5 | 75.9 | 48.2 | 24.1 | 51.8 |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 8155.4 | 9416.6 | 2696.6 | 1485.3 | 5458.8 | 7931.3 | 33.1 | 15.8 | 66.9 | 84.2 |
| კომანდიტური საზოგადოება | 920.6 | 200.5 | 651.4 | 132.7 | 269.1 | 67.8 | 70.8 | 66.2 | 29.2 | 33.8 |
| კოოპერატივი | 3011.8 | 423.9 | 2625.4 | 47.2 | 386.4 | 376.6 | 87.2 | 11.1 | 12.8 | 88.9 |
| ინდივიდუალური საწარმო | 163990.4 | 119749.2 | 42205.7 | 21522.3 | 121784.7 | 98266.8 | 25.7 | 18.0 | 74.3 | 82.0 |
| კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | 3511.0 | 2704.9 | 3204.7 | 2654.9 | 306.3 | 50.0 | 91.3 | 98.2 | 8.7 | 1.8 |

მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ განხორციელებულმა მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ კაპიტალში 2008 წლის მეოთხე კვარტალში 36,1 მილიონი ლარი (ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების 13,4%), ხოლო 2007 წლის მეოთხე კვარტალში 35,3 მილიონი ლარი (ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების 16,2%) შეადგინა რაც საწარმოთა ზომის მიხედვით ასე ნაწილდება: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 14,9%, მცირე საწარმოები – 86,1%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 77,1%, მცირე საწარმოები – 22,9% (იხ. ცხრ. 2.2.3).

ცხრილი 2.2.3.

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში რეგიონების მიხედვით [30]

| | ათასი ლარი | | | | პროცენტი | | | |
|-------------------------------|------------|--------|--------|---------|----------|--------|--------|--------|
| | საშუალო | | მცირე | | საშუალო | | მცირე | |
| | 2007IV | 2008IV | 2007IV | 2008IV | 2007IV | 2008IV | 2007IV | 2008IV |
| საქართველო-სულ | 27206.3 | 5385.9 | 8097.6 | 30679.3 | 77.1 | 14.9 | 22.9 | 85.1 |
| ქ.თბილისი | 15957.9 | 3486.5 | 1638.1 | 5924.6 | 90.7 | 37.0 | 9.3 | 63.0 |
| აფხაზეთი | - | - | - | - | - | - | - | - |
| აჭარა | 7752.9 | 689.2 | 1249.3 | 266.8 | 86.1 | 72.1 | 13.9 | 27.9 |
| გურია | 7.0 | 173.0 | - | 2.0 | 100.0 | 98.8 | - | 1.2 |
| იმერეთი | 522.0 | 25.9 | 23.3 | 10.4 | 95.7 | 71.5 | 4.3 | 28.5 |
| კახეთი | 895.8 | 12.9 | 22.2 | 7.6 | 97.6 | 62.7 | 2.4 | 37.3 |
| მცხეთა-მთიანეთი | 12.6 | 1.1 | 48.6 | 59.2 | 20.6 | 1.9 | 79.4 | 98.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | 1.0 | - | 0.0 | - | 99.7 | - | 0.3 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 740.7 | 341.0 | 85.4 | 24376.1 | 89.7 | 1.4 | 10.3 | 98.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 27.4 | 398.8 | 19.7 | 0.8 | 58.1 | 99.6 | 41.9 | 0.2 |
| ქვემო ქართლი | 1089.8 | 249.5 | 5011.0 | 3.5 | 17.9 | 98.6 | 82.1 | 1.4 |
| შიდა ქართლი | 200.4 | 6.8 | 0.0 | 28.2 | 100.0 | 19.4 | 0.0 | 80.6 |

საწარმოებში დასაქმებულთა მთლიანმა რიცხოვნობამ 2008 წლის მეოთხე კვარტალში 130982 კაცი შეადგინა (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 39,3%). რაც შეეხება 2007 წლის მეოთხე კვარტალს, დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 138092 პირი შეადგინა (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 42,1%). დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგ ნაირად ნაწილდება: 2008 წლის მეოთხე

კვარტალში: საშუალო საწარმოები – 42,4%, მცირე საწარმოები – 57,6%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 51,8%, მცირე საწარმოები – 48,2%.

საწარმოთა მთლიანმა დანახარჯებმა პერსონალზე 2008 წლის მეოთხე კვარტალში შეადგინა 128,9 მილიონი ლარი (ბიზნეს სექტორში გაწეული შრომითი დანახარჯების 22,7%), რაც 2007 წლის მეოთხე კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3,2%-ითაა შემცირებული. საწარმოთა შრომითი დანახარჯების განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგია: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 55,5%, მცირე საწარმოები – 44,5%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 64,2%, მცირე საწარმოები – 35,8%.

საშუალო თვიურმა ხელფასმა მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში შეადგინა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 366,7 ლარი (მათ შორის ქალების - 256,1 ლარი), ხოლო 2007 წლის მეოთხე კვარტალში 300,9 ლარი (მათ შორის ქალების - 195,4 ლარი), მაშინ, როდესაც მსხვილ ბიზნესში საშუალოთვიური ხელფასის სიდიდე 2008 წლის მეოთხე და 2007 წლის მეოთხე კვარტალებში შესაბამისად 720,8 და 581,9 ლარს შეადგენდა (იხ. ცხრ. 2.2.4).

ცხრილი 2.2.4.

საშუალოთვიური ხელფასი საკუთრების ფორმების მიხედვით (ლარი)

| | საშუალო და მცირე საწარმოებში | | საშუალო საწარმოებში | | მცირე საწარმოებში | |
|---|------------------------------|--------|---------------------|--------|-------------------|--------|
| | სულ | | სულ | | სულ | |
| | 2007IV | 2008IV | 2007IV | 2008IV | 2007IV | 2008IV |
| საქართველო-სულ | 300.9 | 366.7 | 337.0 | 436.2 | 252.0 | 306.0 |
| კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები) | 319.7 | 387.3 | 377.0 | 488.5 | 256.1 | 313.9 |
| კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები) | 545.5 | 821.7 | 572.3 | 710.6 | 479.5 | 1058.5 |
| სახელმწიფო | 183.1 | 242.4 | 186.6 | 266.2 | 169.4 | 197.7 |

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასის ოდენობა შემდეგნაირია: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 436,2 ლარი.

მცირე საწარმოები – 306,0 ლარი. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: საშუალო საწარმოები – 337,0 ლარი. მცირე საწარმოები – 252,0 ლარი (იხ. ცხრ. 2.2.5.).

ცხრილი 2.2.5.

საშუალოთვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით (ლარი)

| | საშუალო და მცირე საწარმოებში | | საშუალო საწარმოებში | | მცირე საწარმოებში | |
|-------------------------------|------------------------------|-------|---------------------|-------|-------------------|-------|
| | სულ | | სულ | | სულ | |
| | 2007 | 2008 | 2007 | 2008 | 2007 | 2008 |
| საქართველო-სულ | 300,9 | 366,7 | 337,0 | 436,2 | 252,0 | 306,0 |
| ქ.თბილისი | 400,3 | 478,9 | 439,6 | 567,1 | 341,1 | 401,0 |
| აფხაზეთი | 733,6 | - | 733,6 | - | - | - |
| აჭარა | 248,2 | 332,0 | 257,4 | 373,2 | 203,0 | 291,8 |
| გურია | 150,2 | 148,6 | 202,9 | 158,6 | 99,1 | 145,4 |
| იმერეთი | 163,6 | 228,8 | 171,5 | 237,9 | 154,7 | 218,9 |
| კახეთი | 184,0 | 198,3 | 213,0 | 300,1 | 143,5 | 165,9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 258,6 | 357,3 | 272,9 | 379,2 | 225,6 | 349,7 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 157,1 | 323,0 | 170,2 | 306,3 | 123,8 | 331,7 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 242,5 | 283,5 | 233,8 | 305,4 | 249,7 | 257,7 |
| სამცხე-ჯავახეთი | 168,2 | 195,3 | 249,1 | 294,8 | 110,2 | 128,7 |
| ქვემო ქართლი | 251,5 | 385,0 | 280,6 | 539,0 | 210,6 | 201,3 |
| შიდა ქართლი | 187,8 | 232,1 | 224,7 | 231,7 | 147,7 | 232,3 |

2007 წლის მეოთხე კვარტალში საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებდნენ ”ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი” და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით: ”ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი პირადი მოხმარების საგნების რემონტი” – 45,7%, ”დამამუშავებელი მრეწველობა” – 16,0%, ”მშენებლობა” – 11,7%, ”ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა” – 9,0%, ”ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა” - 5.8%.

2008 წლის მეოთხე კვარტალში კი საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ იგივე სექტორები, ოდნავ განსხვავებული თანმიმდევრობით: ”ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი პირადი მოხმარების

საგნების რემონტი” – 44,7%, ”დამამუშავებელი მრეწველობა” – 15,2%, ”მშენებლობა” – 11,1%, ”ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა” – 9,7%, ”ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა” – 6,8%.

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში როგორც 2008 წლის ისე 2007 წლის მეოთხე კვარტალებში პრევალირებდნენ ქალაქი თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრო ბით: 2007 წლის მეოთხე კვარტალში: ქალაქი თბილისი – 56,4%, აჭარის ა.რ. – 10,5%, იმერეთი – 9,3%, ქვემო ქართლი – 6,4%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 6,3%, კახეთი – 3,7%. 2008 წლის მეოთხე კვარტალში: ქალაქი თბილისი – 53,1%, აჭარის ა.რ. – 11,7%, იმერეთი – 11,5%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 6,4%. ქვემო ქართლი – 5,8%, შიდა ქართლი – 3,6%.

საინტერესოა მცირე და საშუალო ბიზნესის მიხედვით ცალკე სექტორებად ჩატარებული ანალიზი. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2008 წლის მეოთხე კვარტალში საშუალო საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 375,8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2007 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 21,3%-ითაა შემცირებული. თუ 2007 წლის მეოთხე კვარტალში საშუალო ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 9,4% შეადგინა, 2008 წლის მეოთხე კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 7,6%-მდე.

პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 2008 წლის მეოთხე კვარტალში 246,9 მილიონი ლარი შეადგინა (ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 9,2%), რაც 21,2%-ით ჩამორჩება 2007 წლის მეოთხე კვარტალის შესაბამის მაჩვენებელს (2007 წლის მეოთხე კვარტალში საშუალო ბიზნესის პროდუქციის გამოშვებამ ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 11,7% შეადგინა).

საშუალო საწარმოების მიერ საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე გაწეულმა დანახარჯებმა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 274.2 მილიონი ლარი შეადგინა (2007 წლის მეოთხე კვარტალში 352.3 მილიონი ლარი), დანახარჯებმა გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე - 148.2 მილიონი ლარი (2007 წლის მეოთხე კვარტალში 183.5 მილიონი ლარი), ხოლო მთლიანმა ინვესტიციებმა

ფიქსირებულ აქტივებში 5.4 მილიონი ლარი (2007 წლის მეოთხე კვარტალში 27.2 მილიონი ლარი). საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 2007 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 22.3%-ით შემცირდა და 55557 პირი შეადგინა (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 16,7%). დასაქმებულთაგან დაქირავებულია 54513 პირი, ე. ი. ბიზნეს სექტორში დაქირავებულ პირთა 17,2%. მთლიანმა შრომითმა დანახარჯებმა საშუალო საწარმოებში 2008 წლის მეოთხე კვარტალში 71.5 მილიონი ლარი შეადგინა (მთლიანად ბიზნეს სექტორში გაწეული შრომითი დანახარჯების 12,6%), რაც 2007 წლის მეოთხე კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 16.4%-ითაა შემცირებული.

რეგიონების მიხედვით საშუალო საწარმოთა პროდუქციის მთლიან გამოშვებაში პრევალირებენ კვლავ ქალაქი თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: ქალაქი თბილისი – 61.9%, აჭარის ა.რ. – 10.1%, ქვემო ქართლი – 9.0%, იმერეთი – 7.8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.3%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: ქალაქი თბილისი – 63.5%, აჭარის ა.რ. – 7.9%, ქვემო ქართლი – 7.2%, იმერეთი – 6.1%, კახეთი – 4.1%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3,5% (იხ. ნახ. 2.2.2).


ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2008 წლის მეოთხე კვარტალში მცირე საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 392,1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2007 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 4,8%-ითაა შემცირებული. მცირე ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ 2008 წლის მეოთხე კვარტალში ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 8% შეადგინა. 2007 წლის მეოთხე კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის იდენტური იყო (8,1%). პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 2008 წლის მეოთხე კვარტალში 212,2 მილიონი ლარი შეადგინა (ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 7,9%), რაც 7,5%-ით აღემატება 2007 წლის მეოთხე კვარტალის შესაბამის მაჩვენებელს.

მცირე საწარმოების მიერ საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე გაწეულმა დანახარჯებმა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 302,7 მილიონი ლარი შეადგინა (2007 წლის მეოთხე კვარტალში 321,7 მილიონი ლარი), დანახარჯებმა გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე - 199,6 მილიონი ლარი (2007

წლის მეოთხე კვარტალში 222,3 მილიონი ლარი), ხოლო მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში 30,7 მილიონი ლარი (2007 წლის მეოთხეკვარტალში 8,1 მილიონი ლარი).

ნახაზი 2.2.2.

მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა და გამოშვებული პროდუქცია 2007-2008 წლებში საქართველოს რეგიონების მიხედვით [30]



მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 2008 წლის მეოთხე კვარტალში, 2007 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 13,3%-ით გაიზარდა და 75425 პირი შეადგინა (რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 22,6%-ს შეადგენს – 2008 წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო 20,3%-ს – 2007 წლის მეოთხე კვარტალში). დასაქმებულთაგან დაქირავებულია 62405 პირი, ე. ი. ბიზნეს სექტორში დაქირავებულ პირთა 19,6%.

მთლიანმა შრომითმა დანახარჯებმა მცირე საწარმოებში 2008 წლის მეოთხე კვარტალში 57,4 მილიონი ლარი შეადგინა (მთლიანად ბიზნეს სექტორში გაწეული შრომითი დანახარჯების 10,1%), რაც 2007 წლის მეოთხე კვარტალის ანალოგიურ

მაჩვენებელთან შედარებით 20,5 პროცენტითაა გაზრდილი (იხ. ცხრ. 2.2.6). საშუალოთვიურმა ხელფასმა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 306,0 ლარი შეადგინა მაშინ, როდესაც 2007 წლის მეოთხე კვარტალში მისი ოდენობა მთლიანად 252,0 ლარს, ხოლო ქალებისათვის 176,0 ლარს არ აღემატებოდა.

ცხრილი 2.2.6.

მთლიანი შრომითი დანახარჯები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

| | ათასი ლარი | | | | პროცენტი | | | |
|---|------------|---------|---------|---------|----------|------|-------|------|
| | საშუალო | | მცირე | | საშუალო | | მცირე | |
| | 2007 | 2008 | 2007 | 2008 | 2007 | 2008 | 2007 | 2008 |
| საქართველო-სულ | 85491,7 | 71499,0 | 47647,6 | 57416,1 | 64,2 | 55,5 | 35,8 | 44,5 |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 74177,5 | 64619,0 | 39097,4 | 46784,3 | 65,2 | 58,0 | 34,5 | 42,0 |
| სააქციო საზოგადოება | 7832,9 | 51293,4 | 2837,3 | 5817,6 | 73,4 | 46,9 | 26,6 | 53,1 |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 711,4 | 743,2 | 657,5 | 578,1 | 52,0 | 56,2 | 48,0 | 43,8 |
| კომანდიტური საზოგადოება | 106,3 | 42,5 | 64,8 | 20,9 | 62,1 | 67,0 | 37,9 | 33,0 |
| კოოპერატივი | 864,4 | 10,7 | 88,5 | 88,4 | 90,7 | 10,8 | 9,3 | 89,2 |
| ინდივიდუალური საწარმო | 1178,7 | 442,1 | 4793,7 | 4099,6 | 19,7 | 9,7 | 80,3 | 90,3 |
| კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | 620,3 | 512,1 | 108,2 | 27,2 | 85,1 | 95,0 | 14,9 | 5,0 |

საქმიანობის სახეების მიხედვით მცირე საწარმოთა მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ ”ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: ”ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 54,1%, ”დამამუშავებელი მრეწველობა“ – 12,1%, ”ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 10,8%, ”მშენებლობა“ – 6,9%, ”ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 5,6%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: ”ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 56,2%, ”დამამუშავებელი მრეწველობა“ –

14,2%, ”ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურებ ის გაწევა“ – 10,3%, ”ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 5,6%, ”მშენებლობა“ – 4,4%.


რეგიონების მიხედვით მცირე საწარმოთა მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ ქალაქი თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით: 2008 წლის მეოთხე კვარტალში: თბილისი – 47.5%, იმერეთი – 13.6%, აჭარის ა.რ. – 13.3%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.9%, კახეთი – 4,9%, შიდა ქართლი– 4,9%. 2007 წლის მეოთხე კვარტალში: ქალაქი თბილისი – 52.3%, აჭარის ა.რ. – 11.0%, იმერეთი – 10.7%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 8.2%, ქვემო ქართლი – 5.9%, შიდა ქართლი– 4,2%.

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემატიკის უკეთ შეცნობის მიზნით, ჩავატარეთ გამოკითხვა წინასწარ შედგენილი ანკეტების მიხედვით. გამოკითხვამ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა. სულ გამოკითხულ იქნა 80 მცირე და საშუალო საწარმოს ხელმძღვანელი (წარმომადგენელი). აქედან 25 ინდივიდუალური მეწარმე და მიკრობიზნესის წარმომადგენელი, 41 მცირე მეწარმე და 14 საშუალო საწარმოს წარმომადგენელი.

ანკეტის შინაარსი ითვალისწინებდა ისეთი ძირითადი საკითხების წარმოჩენას, როგორცაა: მსს-ების სამთავრობო და არასამთავრობო მხარდაჭერა, საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნა და ხელმისაწვდომობა, ბიზნეს-სწავლება და მისი ფორმები, საჭირო კვალიფიკაციის პერსონალის შენარჩუნების პრობლემატურობა, საწარმოს მიზნები უახლოესი პერიოდის განმავლობაში და ა.შ.


კითხვაზე „ესაჭიროება თუ არა თქვენს კომპანიას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა უახლოეს წლებში?“ დადებითად უპასუხა რესპოდენტთა 56,25%-მა. აღსანიშნავია, რომ იმ მეწარმეთაგან რომლებმაც განაცხადეს რომ არ ესაჭიროებათ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, უნდა ვივარაუდოთ რომ არიან ისეთებიც რომელთაც არ აქვთ გაანალიზებული, თუ კონკრეტულად რა მხრივ შეიძლება დაეხმაროს მათ აღნიშნული ორგანიზაციები (იხ. ნახ. 2.2.3).

მსს-ებისათვის აუცილებელი მხარდაჭერის სახეები



ბიზნესის ამ სექტორმა ცალსახად განსაზღვრა, რომ მისთვის ყველაზე პრიორიტეტულია ფინანსური მხარდაჭერა (გამოკითხულთა 68,75%). ეს ხდება იმ ფონზე როცა კითხვაზე თუ „როგორ შეიცვალა სესხის აღების პირობები ბოლო სამი წლის განმავლობაში“, მეწარმეთა 53% აცხადებს რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი საკრედიტო ორგანიზაციების და სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეების დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი სესხებით უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის გარდა, მსს-ები ითხოვენ აგრეთვე სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას (28,12%), უცხოელ პარტნიორთა მოძიებას (21,87%) და საინფორმაციო კუთხით მხარდაჭერას (21,87%). საგულისხმოა, რომ ისინი თითქმის არ ითხოვენ სახელმწიფო ჩინოვნიკთაგან და კრიმინალთა რეკეტისაგან დაცვას (6,25%).

პერსპექტიული მცირე და საშუალო კომპანიებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა




შემდეგ აქტუალურ კითხვაზე, თუ „როგორ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო პერსპექტიულ მცირე და საშუალო კომპანიებს?“, გამოკითხულთა 40,62% პასუხობს, რომ მათთვის უმთავრესია საწარმოო პერსონალის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება (იხ. ნახ. 2.2.4). ასევე აქტუალურია მათთვის მსბ-ის კოოპერაციის განვითარება (34,37%).

შევეცადეთ ასევე, გამოგვეჩვენოთ რამდენად რეალურად აქვთ მიღებული მეწარმეებს სახელმწიფო მხარდაჭერა. გამოკითხულთა 46,87% პასუხობს რომ მხარდაჭერის მიღება არარეალურია და არც უცდიათ. ჩვენი აზრით, ასეთ საწარმოთა რიცხვი მომავალში სავარაუდოდ შემცირდება, ვინაიდან გამოკითხვის შედეგად 28,13% აცხადებს რომ მიუღია სახელმწიფო მხარდაჭერა და აღნიშნული მეწარმეები კიდევ

უფრო ინფორმირებულს გახდიან იმ მეწარმეებს, რომლებიც პესიმისტურად არიან განწყობილნი და მხარდაჭერის მიღება არარეალურად მიაჩნიათ. გამოკითხულთა 25% კი პასუხობს რომ შეეცადა, მაგრამ ვერ მიიღო მხარდაჭერა (იხ. ნახ. 2.2.5).

ნახაზი 2.2.5.

სახელმწიფო მხარდაჭერის მიღების მდგომარეობა



კითხვაზე „რა სახის დახმარება მიიღო თქვენმა კომპანიამ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებისგან (სავაჭრო-სამრეწველო პალატები, ბიზნეს ასოციაციები, ბანკები, კონსალტინგური კომპანიები) ბოლო სამი წლის განმავლობაში?“ მცირე და საშუალო მეწარმეთა უმეტესმა ნაწილმა (53,12%) უპასუხა, რომ მიიღო ფინანსური მხარდაჭერა.


ფინანსური დახმარების ძირითადი წილი მოდის საკრედიტო დაწესებულებებზე, საიდანაც ბოლო სამი წლის განმავლობაში სესხის აღების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით. მცირე ბიზნესის პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებებად, სამართლიანად არის მიჩნეული ფინანსური მხარდაჭერა, ანუ დოტაციები, სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები, კომერციული ბანკების კრედიტებზე გარანტიები.

ერთ–ერთი ასეთი მეთოდი უკვე იყო აპრობირებული საქართველოში ე.წ. „იაფი კრედიტის“ პროგრამის სახით. თუმცა 2008 წლის რუსეთ–საქართველოს აგვისტოს ომის

შედეგების აღმოფხვრისაკენ მიმართულმა ძალისხმევამ და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ეს პროცესები მნიშვნელოვნად შეაფერხა.

ნახაზი 2.2.6.

სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მხარდაჭერის სახეები ბოლო სამი წლის განმავლობაში




ძალიან მცირეა წილი იმ მეწარმეებისა, რომლებმაც მიიღეს მხარდაჭერა უცხოელი პარტნიორების მოძიებასა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით (3,12%). უნდა მოხდეს მეწარმეების ინფორმირება, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს დაეხმაროს მათ უცხოელი პარტნიორების მოძიებაში. ეს ხელს შეუწყობს მეწარმეებს გავიდნენ უცხოურ ბაზრებზე და გაზარდონ პროდუქციის ექსპორტი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს შემცირდეს იმ საწარმოთა წილი რომელთა პროდუქცია მთლიანად რეალიზდება ადგილობრივ ბაზარზე (ასეთი საწარმოები კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გამოკითხულთა 68,75%-ია).

მეწარმეთა დიდი ნაწილი (81,25%) დაინტერესებულია ბიზნეს-სწავლებით (იხ. ნახ. 2.2.7). ამ მეწარმეთა 50% კი დაინტერესებულია შეისწავლოს სტრატეგიული დაგეგმვა. ასევე დიდია მოთხოვნა მოლაპარაკებათა წარმართვაზე (34,37%),

კონტრაქტების დადების და საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის შეფასების კუთხითაც (31,25%).

ნახაზი 2.2.7.


ბიზნეს-სწავლების აქტუალური ფორმები




კითხვაზე „ბიზნეს-სწავლების რომელი ფორმაა თქვენთვის მისაღები?“ მეწარმეები უპირატესობას ანიჭებენ ბიზნეს-სწავლების ისეთ ფორმებს, როგორიცაა სემინარები/მოკლე კურსები (28,12%), სწავლება ინტერნეტით (25%) და სწავლება საზღვარგარეთ (21,87%). მიგვაჩნია, რომ პასუხები სავსებით ლოგიკურია ბიზნესით დაკავებული ადამიანებისათვის (იხ. ნახ. 2.2.8).

საინტერესოდ გვესახება მსს-ების პერსპექტივა უახლოესი ორი წლის განმავლობაში (იხ. ნახ. 2.2.9). ბუნებრივია, მათი მთავარი მიზანია ახალი კლიენტების მოზიდვა (56,25%), ასევე დაფინანსების ახალი წყაროების გამოძებნა (40,62%) და ახალ ბაზრებზე გასვლა (31,25%).

ბიზნეს-სწავლების მისაღები ფორმები




მსს-ების პერსპექტივა უახლოესი ორი წლის განმავლობაში



მეწარმეები კითხვაზე „რთულია თუ არა თქვენთვის საჭირო კვალიფიკაციის პერსონალის შენარჩუნება?“ გულახდილად პასუხობენ, როცა აცხადებენ, რომ არ არის რთული საჭირო კვალიფიკაციის პერსონალის შენარჩუნება (62,5%). ჩვენი აზრით, აღნიშნული განპირობებულია სამეწარმეო საქმიანობის ზოგადად დაბალი აქტივობით, უმუშევრობის მაღალი დონით და შესაბამისად, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალისათვის შეზღუდული არჩევანით (იხ. ნახ. 2.2.10).

ნახაზი 2.2.10.

საჭირო კვალიფიკაციის პერსონალის შენარჩუნების სირთულე




გამოკითხულთა იგივე ჯგუფისათვის შევადგინეთ ანკეტების მეორე კატეგორია, რომელიც თანხვდებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2008 წელს ჩატარებულ კვლევას „მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში“. ჩვენთვის საინტერესო იყო, როგორ და რა მიმართულებით შეიცვალა მდგომარეობა, განსაკუთრებით რუსეთ საქართველოს ომის შედეგების და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიხედვით.

2012 წლის პირველ კვარტალში გამოკითხულ მსს-თა უმეტესი ნაწილი - 56,3% მიიჩნევს რომ სამეწარმეო გარემო ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 12,5% თვლის რომ მდგომარეობა უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა, ხოლო 9,4% მიიჩნევს რომ მდომარეობა უმნიშვნელოდ გაუარესდა (იხ. ნახ. 2.2.11).

2008 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მხოლოდ 15,4% თვლიდა რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სამეწარმეო გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, 36%-ის აზრით უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა, ხოლო

10,4%–მდე მიაღწია მეწარმეთა წილმა, რომლების მიიჩნევდნენ, რომ სამეწარმეო გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდა.


ნახაზი 2.2.11.



საინტერესოა მეწარმეთა პროგნოზი მომავალი სამეწარმეო გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით. 2012 წლის პირველი კვარტლის გამოკითხვის შედეგებით გამოკითხულთა ნახევარი ფიქრობს, რომ სამეწარმეო გარემო მომავალი ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, 12,5% თვლის, რომ მდგომარეობა უმნიშვნელოდ გაუმჯობესდება ხოლო 18,7 %-ს უჭირს პროგნოზის გაკეთება (იხ. ნახ. 2.2.12).


2008 წლის მეოთხე კვარტლის გამოკვლევისას კვლავ პესიმისტური პროგნოზი ფიქსირდებოდა: 28,3% თვლიდა, რომ მდგომარეობა უმნიშვნელოდ გაუმჯობესდება; მხოლოდ 13,4% იყო ოპტიმისტურად განწყობილი და თვლიდა რომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდებოდა, ხოლო საწარმოთა დიდ ნაწილს -27,8 %-ს გაუჭირდა პროგნოზის გაკეთება.

2008 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო მეწარმეთა 63,7% ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას იცნობდა ნაწილობრივ, 21,8% იცნობდა სრულად ხოლო 10,4% იცნობდა ცუდად.




2012 წლის პირველ კვარტალში თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა, თუმცა ოდნავ გაუარესებული: მცირე და საშუალო მეწარმეთა 57,5% ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას იცნობს ნაწილობრივ, 18,4% იცნობს სრულად, ხოლო 14,5% იცნობს ცუდად. ეს განპირობებულია კოდექსის დიდი ნაწილის მნიშვნელოვანი ცვლილებით, ასევე მიმდინარე ეტაპებზე ხშირი ცვლილებებით (იხ. ნახ. 2.2.13).

ნახაზი 2.2.13



2008 წლის გამოკვლევების შედეგების მიხედვით, მეწარმეთა 83% არანაირ არაოფიციალურ გადასახადს არ იხდიდა, 5,5% იხდიდა იშვიათად ხოლო 10,7%—მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან. 2012 წლის პირველი კვარტლის გამოკითხვის საფუძველზე გამოკითხულთა 75% არ იხდის არაოფიციალურ გადასახადს, 12,5% იხდის იშვიათად, ხოლო 12,5% თავს იკავებს პასუხის გაცემაზე (იხ. ნახ. 2.2.14).




უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის გამოკითხვის შედეგად არაოფიციალურ გადასახადს სისტემატურად იხდიდა მეწარმეთა 0,8%, ხოლო 2012 წელს არაოფიციალურ გადასახადს სისტემატურად არავინ იხდის.

2008 წლის მეოთხე კვარტალში მეწარმეთა 19,5% მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობას ცალსახად დადებითად ახასიათებდა. 40,5% აფასებს მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობას უფრო დადებითად ვიდრე უარყოფითად, ხოლო 2,5% უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად.


2012 წლის პირველ კვარტალში კი მეწარმეთა 15,6% მიიჩნევს მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობას ცალსახად დადებითად, თუმცა 53,1% აფასებს მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობას უფრო დადებითად ვიდრე უარყოფითად. ასევე გაზრდილი არის იმ მეწარმეთა წილი (6,3%), რომლებიც მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობას აფასებენ უფრო უარყოფითად ვიდრე დადებითად (იხ. ნახ. 2.2.15).

2008 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მეწარმეთა 72,8%-ს არ აუღია სესხი ბანკიდან ან სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 22,4% კი სარგებლობდა კრედიტით.


2012 წლის პირველი კვარტლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით 90,6%-მდეა გაზრდილი იმ საწარმოთა წილი, რომლებიც სარგებლობენ სესხით, ხოლო 9,4%-ს არ სარგებლობს კრედიტით (იხ. ნახ. 2.2.16).



ეს უთუოდ დადებითი ტენდენციაა და სამეწარმეო სექტორის გამოცოცხლებასა და საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე მიუთითებს. ამასვე ადასტურებს პასუხები მომდევნო შეკითხვაზე.




2008 წლის მეოთხე კვარტლის გამოკვლევისას მეწარმეთა 13,4% აღნიშნავდა, რომ საკრედიტო დაწესებულებებიდან სესხის აღების პირობები ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 15,9% აღნიშნავდა რომ სესხის აღების პირობები უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. 2012 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით მეწარმეთა 53,1% აღნიშნავს რომ სესხის აღების პირობები ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 28% თვლის რომ სესხის აღების პირობები უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა (იხ. ნახ. 2.2.17).



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, რასაც თან დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, თავისი ნეგატიური კვალი დატოვა. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საკრედიტო დაწესებულებებმა დროებით შეწყვიტეს და შემდგომ გაამკაცრეს სესხი გაცემის პირობები, ასევე მოხდა პროცენტების ზრდა. ეს ყველაფერი აისახა გამოკითხვის შედეგებშიც.


2008 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით საწარმოთა 57,2% ანგარიშსწორებას ახორციელებდა მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან ძირითადად ნაღდი ანგარიშსწორებით, 2012 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი 75%. 2008 წელს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებას საწარმოთა 11% ახორციელებდა, 2012 წელს კი საწარმოთა 6,4%, რაც ასევე დადებით ტენდენციებად უმდა იქნას მიჩნეული (იხ. ნახ. 2.2.18).



2008 წლის მეოთხე კვარტალში ადგილობრივ ნედლეულს იყენებდა საწარმოთა 26,7%. 2012 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებული არის 15,6%-მდე


(იხ. ნახ. 2.2.19). ეს ერთი მხრივ ნეგატიური ტენდენციაა, ხოლო მეორე მხრივ კი დადებითადაც შეიძლება შეფასდეს. კერძოდ, თუ ჩავთვლით, რომ ახალ ბაზრებზე გასვლით ჩამოყალიბებულმა სპეციფიურმა მოთხოვნებმა სრულიად ახალი სანედლეულო ბაზა (ან არსებული ბაზის გადახალისება) მოითხოვა.

ნახაზი 2.2.19



2008 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვის შედეგად მცირე და საშუალო საწარმოთა 73,5% საკუთარ პროდუქციას ასაღებს მთლიანად ადგილობრივ ბაზარზე (2012 წლის პირველ კვარტალში 68,8%), 10,1% ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე (2012 წლის პირველ კვარტალში 18,8%), 1,7% ძირითადად საგარეო ბაზარზე (2012 წლის პირველ კვარტალში 0%), 2,3% მხოლოდ საგარეო ბაზარზე (2012 წლის პირველ კვარტალში 6,3%), ხოლო 1,7%-ს უჭირს გასაღების ბაზრის პოვნა (2012 წლის პირველ კვარტალში 0%), უარი პასუხზე 10,7% (2012 წლის პირველ კვარტალში 6,1%) (იხ. ნახ. 2.2.20).


ნახაზი 2.2.20



შეკითხვაზე, თუ როგორ იყო საწარმოო სიმძლავრეები დატვირთული ბოლო ერთი წლის განმავლობაში საწარმოთა 25%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან, თუმცა

ეს მაჩვენებელი შემცირებულია 2008 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარებული გამოკითხვის შედეგთან მიმართებაში, რაც კიდევ უფრო ნათელ სურათს გვაძლევს დღეს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით (იხ. ნახ. 2.2.21).


ნახაზი 2.2.21



საწარმოთა 37% დატვირთულია 25-50%-ით, ხოლო 28,1% 80%-ზე მეტად. ეს მიანიშნებს საწარმო სიმძლავრეების არარაციონალურ გამოყენებას, რამდენადაც, საწარმოთა მესამედზე მეტი საუკეთესო შემთხვევაში სიმძლავრეების მხოლოდ ნახევარს იყენებს.

2012 წლის პირველი კვარტლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოთა 90,6% აპირებს თავისი ამჟამინდელი საქმიანობის გაგრძელებას, რაც მცირედით მეტია 2008 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვის შედეგზე (2008 წლის მეოთხე კვარტალში 85,1%), ხოლო 9,4%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან (2008 წლის მეოთხე კვარტალში 7,5%) (იხ. ნახ. 2.2.22).


ნახაზი 2.2.22



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ძალზე შეაფერხა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. 2012 წლის პირველი კვარტლის გამოკითხვის შედეგად 62,5% აცხადებს, რომ


საწარმოო ბრუნვა გაეზარდა 2008 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდთან შედარებით, მაგრამ 21,9% პასუხობს რომ მათი საწარმოო ბრუნვა არ გაზრდილა (იხ. ნახ. 2.2.23).

ნახაზი 2.2.23



საინტერესოა მიმდინარე ბრუნვის მოცულობის შედარება 2008 წლის აგვისტომდე პერიოდთან. გამოკითხულ მცირე და საშუალო საწარმოთა 46,9% აცხადებს, რომ მათი საწარმოო ბრუნვა გაიზარდა, ხოლო 34,4% პასუხობს რომ საწარმოო ბრუნვა შემცირდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა, რასაც თან დაერთო მსოფლო ეკონომიკური კრიზისი, ბევრი ადამიანი დატოვა უმუშევარი, ბევრს შეუმცირდა შემოსავალი და როგორც ჩანს, აღნიშნული პრობლემა სრულად ჯერ კიდევ არ არის დაძლეული (იხ. ნახ. 2.2.24)

ნახაზი 2.2.24



ეკონომიკური საქმიანობა მრავალგვარია და განსხვავებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ორგანიზაციულ-საკუთრებითი ფორმებით ხორციელდება. არამართებულია იმის მტკიცება, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის ფუნქციონირების სფერო არ შემოსაზღვრება ეროვნული მეურნეობის რომელიმე დარგით.

საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში პერმანენტულად ყალიბდება ეს სექტორი, თანდათან იხვეწება მცირე და საშუალო მეწარმეობის როგორც სექტორული ისე დარგობრივი სტრუქტურაც.

ცხრილი 2.2.7.

ბიზნესის რეგისტრაცია საქართველოში 2011 წელს (ერთეული)

| ინდიკატორები | 2011 | 2010 | ზრდა/ კლება (+ -) |
|--|-------|-------|-------------------------|
| რაოდენობა | | | |
| სამეწარმეო სუბიექტები | 52825 | 46007 | 6818 |
| არასამეწარმეო სუბიექტები | 1251 | 1000 | 251 |
| მთლიანად, ბიზნესსუბიექტები | 54076 | 47007 | 7069 |
| რაოდენობა | | | |
| ინდივიდუალური მეწარმე | 38629 | 34672 | 3957 |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 8 | 17 | -9 |
| კოოპერატივი | 25 | 18 | 7 |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 14009 | 11212 | 2797 |
| სააქციო საზოგადოება | 53 | 27 | 26 |
| კომანდიტური საზოგადოება | 1 | 3 | -2 |
| უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი | 100 | 58 | 42 |
| არასამეწარმეო იურიდიული პირი | 1235 | 989 | 246 |
| უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი | 9 | 11 | -2 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირი | 7 | - | 7 |

შედგენილია ჩვენს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით

საქართველოში საბაზრო სისტემისა და ბიზნეს სექტორის განვითარებას მიუთითებს ის ფაქტიც, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა 99,2% (318957 ერთეული) კერძოა. სწორედ კერძო სექტორში იქმნება ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების 88,4%, გამოშვებული პროდუქციის 90,3%, ბრუნვის 94,5%, კერძო სექტორშია დასაქმებულითა 80%.

2010 წელს ქვეყანაში 47 007 ბიზნეს სუბიექტი დარეგისტრირდა (საშუალოდ თვეში 3 917 ერთეული), რომელთა შორის 97.9% სამეწარმეო სუბიექტია

(ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.1% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი).

2010 წლის განმავლობაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების მთლიან რაოდენობაში 73.8%-ს შეადგენენ ინდივიდუალური მეწარმეები (ანუ ყოველი 100 ბიზნეს სუბიექტიდან 74 დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის სახით), 23.9%-ს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და 2.1%-ს - არასამეწარმეო იურიდიული პირები. სხვა სუბიექტების წილები ბიზნეს სუბიექტების მთლიან რაოდენობაში უმნიშვნელოა.

2011 წელს ქვეყანაში 54 076 ბიზნეს სუბიექტი დარეგისტრირდა (საშუალოდ თვეში 4 506 ერთეული), რომელთა შორის 97.7% სამეწარმეო სუბიექტია, ხოლო 2.3% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი).


2011 წელს ბიზნეს სუბიექტების რაოდენობას წინა წლის იმავე თვესთან შედარებით უპირატესად ზრდის ტენდენცია (საშუალოდ 18.4%-ით) ახასიათებს.

2011 წელს 12 თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების მთლიან რაოდენობაში 71.4%-ს შეადგენენ ინდივიდუალური მეწარმეები (ანუ ყოველი 100 ბიზნეს სუბიექტიდან 71 დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის სახით), 25.9%-ს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და 2.3%-ს - არასამეწარმეო იურიდიული პირები. სხვა სუბიექტების წილები ბიზნეს სუბიექტების მთლიან რაოდენობაში უმნიშვნელოა [31].

სამეწარმეო სექტორის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმი არის გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. ბოლო 7 წელიწადში მისი მოცულობა მნიშვნელოვნად 1251,1 მლნ. ლარიდან 2349,3 მლნ. ლარამდე (1,9 -ჯერ) გაიზარდა. მათგან ყველაზე

მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2008-2010 წლებში. ცალკე აღებული სექტორები განსხვავებულ სურათს იძლევა.

ნახაზი 2.2.25.



კერძოდ, თუ მცირე საწარმოთა სექტორი ამ პერიოდისათვის პერმანენტულად იზრდება, ამას ვერ ვიტყვით საშუალო საწარმოთა სექტორზე, სადაც გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2011 წელს წინა წელთან შედარებით 410 ათასი ლარით (28%-ით) შემცირდა (იხ. ნახ. 2.2.25).

ნიშანდობლივია, რომ ცალკე აღებულ მცირე საწარმოთა გამოშვებულ პროდუქციაში 2007 წლიდან ზრდის ტენდენციის მიუხედავად, ცალკეულ დარგებში განსხვავებული მდგომარეობა ფიქსირდება. კერძოდ, მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, სასტუმროებსა და რესტორნებში წარმოებული პროდუქციის წილი მთლიანდ ქვეყნის მასშტაბით იმავე დარგებში წარმოებულ პროდუქციაში მნიშვნელოვნად არ იზრდება, თუმცა თუ დავაკვირდებით ცალკეული დარგების ფარგლებში მცირე ბიზნესის განვითარების დინამიკას, ეს მაჩვენებლები ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან (იხ. ცხრ. 2.2.9).

პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2002-2010 წწ [32].

| წლები | მრეწველობა | | | მშენებლობა | | | ვაჭრობა | | | ტრანსპორტი და კავშირგაბმ. | | | სასტ. და რესტორ. | | |
|-------|------------|---------------|----------------------|------------|---------------|-------------|---------|---------------|-------------|---------------------------|---------------|-------------|------------------|---------------|-------------|
| | სულ | მცირე საწარმ. | % მილიანთან პროთი | სულ | მცირე საწარმ. | % მილიანთან | სულ | მცირე საწარმ. | % მილიანთან | სულ | მცირე საწარმ. | % მილიანთან | სულ | მცირე საწარმ. | % მილიანთან |
| 2002 | 1344.9 | 95.6 | 7.1 | 327.6 | 31.5 | 9.6 | 177.8 | 56.9 | 32.0 | 847.6 | 26.7 | 3.1 | 58.0 | 19.2 | 33.1 |
| 2003 | 1594.3 | 101.0 | 6.3 | 302.3 | 33.0 | 10.9 | 220.2 | 80.5 | 36.6 | 975.4 | 26.6 | 2.7 | 68.1 | 18.9 | 27.8 |
| 2004 | 1859.7 | 124.0 | 6.7 | 383.7 | 37.0 | 9.6 | 330.4 | 96.2 | 29.1 | 1278.3 | 28.8 | 2.2 | 88.3 | 26.7 | 30.2 |
| 2005 | 2285.1 | 158.2 | 6.9 | 768.9 | 63.1 | 8.2 | 533.3 | 120.8 | 21.8 | 1475.2 | 27.5 | 1.9 | 134.6 | 47.3 | 35.1 |
| 2006 | 2779.0 | 161.3 | 5.8 | 1186.0 | 109.9 | 9.2 | 741.1 | 87.2 | 11.7 | 1806.7 | 42.9 | 2.3 | 177.4 | 56.6 | 31.9 |
| 2007 | 3583.3 | 144.4 | 4.0 | 1718.2 | 41.2 | 2.4 | 1150.5 | 83.4 | 7.2 | 1936.2 | 37.0 | 1.9 | 193.5 | 51.5 | 26.6 |
| 2008 | 3821.8 | 143.0 | 3.7 | 1434.7 | 44.6 | 3.1 | 1464.7 | 97.3 | 6.6 | 2043.6 | 41.4 | 2.0 | 225.7 | 51.9 | 23.0 |
| 2009 | 3797.1 | 229.5 | 5.0 | 1752.6 | 125.5 | 7.1 | 1603.7 | 166.8 | 10.4 | 2016.5 | 41.6 | 2.0 | 271.5 | 61.4 | 22.6 |
| 2010 | 4566.0 | 286.9 | 6.2 | 1482.5 | 185.2 | 12.4 | 2003.1 | 180.2 | 9.0 | 2324.0 | 55.6 | 2.4 | 313.5 | 62.7 | 20.0 |

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირე და საშუალო მეწარმეობას თავისი წვლილი შეჰქონდა უმუშევრობის შემცირებაში. კერძოდ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელს ამ სექტორში 125 807 კაცი იყო დასაქმებული, რაც ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა მესამედს (33,3%) შეადგენდა.

ცხრილი 2.2.8.

დასაქმებულები საწარმოთა ზომის მიხედვით [30]

| წელი და კვარტალი | სულ | მსხვილი | საშუალო | მცირე | მცირე და საშუალო |
|------------------|---------|---------|---------|---------|------------------|
| 2002 ... | 301.310 | 153.546 | 74.435 | 73.329 | 147.764 |
| 2003 ... | 297.795 | 147.239 | 69.390 | 81.166 | 150.556 |
| 2004 ... | 322.779 | 169.883 | 70.454 | 82.442 | 152.896 |
| 2005 ... | 388.946 | 200.903 | 87.628 | 100.415 | 188.043 |
| 2006 ... | 360.987 | 192.242 | 84.192 | 84.554 | 168.746 |
| 2007 ... | 361.209 | 201.748 | 91.784 | 67.677 | 159.461 |
| 2008 ... | 349.250 | 209.532 | 74.443 | 65.276 | 139.719 |
| 2009 ... | 387.463 | 223.178 | 78.198 | 86.086 | 164.284 |
| 2010 ... | 397.806 | 224.354 | 91.943 | 81.508 | 173.451 |
| 2011 I | 350.258 | 208.306 | 60.245 | 81.706 | 141.951 |
| II | 352.100 | 215.960 | 56.474 | 79.666 | 136.140 |
| III | 360.064 | 223.721 | 53.026 | 83.317 | 136.343 |
| IV | 379.172 | 241.299 | 51.101 | 86.771 | 137.872 |

2002 წელს მცირე და საშუალო ბიზნესი ასაქმებდა 147764 კაცს, რაც მთელი ამ სექტორის 49% იყო. მომდევნო წლები სტაბილური ზრდით გამოირჩეოდა. გამონაკლისია მხოლოდ 2008 წელი რაც ძირითადად კრიზისს, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებს და არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოს უკავშირდება (139719 კაცი).

აღნიშნული მიუთითებს მცირე და საშუალო ბიზნესის მზარდ როლზე მოსახლეობის დასაქმებასა და შესაბამისად, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

3.1. მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობა

სამოქალაქო საზოგადოების საბაზისო ინსტიტუტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების ფორმატთან - რაც უფრო ეფექტურია ინსტიტუტი, მით უფრო თვითრეგულირებადია ბიზნესი და ეკონომიკა, რაც უფრო ნაკლებია სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და სახელმწიფო ჩინოვნიკების (მოხელეების) რაოდენობა („სახელმწიფოს ზომა“), მით მაღალია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.


საბაზრო ინსტიტუტები ქმნიან ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ტიპის სუბიექტს - დამოუკიდებელ და თავისუფალ ადამიანს, რომელიც მზად არის იმუშაოს კონკურენციის პირობებში და დაიცვას საკუთარი უფლებები აღნიშნული ინსტიტუტების ფარგლებში. არსებითად, ეს არის სხვა ეკონომიკის მოდელი, რომელიც საქართველოში ეკონომიკური კრიზისის პირობებში ჩამოყალიბების პროცესშია. მცირე და საშუალო ბიზნესი - ეს არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, არამედ საშუალო ფენის ინსტიტუტია, რომლის პოლიტიკურ ფილოსოფიას წარმოადგენს დემოკრატია.

საშუალო კლასი არის საბაზო მატარებელი არა მხოლოდ თავისუფალი აზრისა, არამედ კერძო საკუთრებისა და კონკურენციისა. საშუალო კლასი ქმნის მაღალტექნოლოგიურ, ინოვაციურ ეკონომიკას, აყალიბებს საზოგადოების ინსტიტუციურ ბაზისს - ფასეულობით, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნდამენტს, რომლის მიზანია თვითრეგულირებადი საზოგადოება (იხ. ნახ.3.1.1).

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს „წასვლა“ ეკონომიკიდან არ უნდა გაცდეს დაშვებულ ფარგლებს. აუცილებელია გამოყოფილ იქნას ის მიმართულებები, სადაც ეს ჩარევა საჭიროა, კერძოდ, ინფრასტრუქტურის, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება, სოციალური დაცვის საკითხები, ეროვნული უშიშროება და ა.შ.

ნახაზი 3.1.1.

მცირე და საშუალო მეწარმეობის თვითგანვითარების ინსტიტუციური მოდელი



მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პოლიტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე აღმოცენებული მცირე საწარმოები საშუალებას იძლევიან გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, როგორცაა პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დემონოპოლიზაცია, გაუმართლებლად გამსხვილებული საწარმოების დეკონცენტრაცია, დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელთა გამრავლება, წარმოების

სტრუქტურის დინამიური ცვლილება სამომხმარებლო მოთხოვნის შესაბამისად [42, გვ.94].

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის გზით საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირებას საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ახალშემოღებული საკუთრების სხვადასხვა ფორმა არ იყო განმტკიცებული ჯანსაღი კანონმდებლობით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებდა ეკონომიკურ სუბიექტებს და გარკვეულ ბარიერებს უქმნიდა მეწარმეობის განვითარებას. ყოველივე ეს კი ხელს უშლიდა ქვეყანაში საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებას. არადა, საბაზრო ეკონომიკა ექვემდებარება განსაზღვრულ კანონზომიერებებს, რომელთა დაუცველობა ქვეყნის მიერ არჩეული სტრატეგიული კურსიდან გადახვევას ნიშნავს.

ეკონომიკური თავისუფლება, პირველ ყოვლისა, თავისუფალ მეწარმეობასთან ასოცირდება. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ მეწარმეობის ფორმების შერჩევა სახელმწიფოს მიერ კი არ უნდა იყოს დეტერმინირებული, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე კანონმდებლობის საფუძველზე. კანონი უნდა იცავდეს მეწარმეობას და ხელს უწყობდეს მის განვითარებას.

საქართველოს გადასვლა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მოითხოვდა ახალი ტიპის მეწარმეობის ფორმირება-განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორებიცაა: კონკურენციის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება, შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ. ეს ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა და საბაზრო ეკონომიკის იმანენტური თავისებურებებიდან გამომდინარეობდა.

ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობებით გაჯერებული თანამედროვე ბაზარი (რაც საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების სოციალური დაცვის საფუძველია)

აღიარებულია ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვარად, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე შეიმუშავა და ამიტომაც იყო, რომ საქართველომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაისახა მიზნად [22, გვ. 45].

საქართველოში მცირე საწარმოთა უპირატეს განვითარებას განაპირობებს რიგი ხელსაყრელი პირობები. ეს პირობებია:

- ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და მათი შედარებით თანაბარი განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ტერიტორიების არსებობა;
- ჭარბი დაუსაქმებელი სამუშაო ძალა ცალკეულ რეგიონებში;
- ინდივიდუალური შრომისაკენ განსაკუთრებული მისწრაფება.

საქართველოს ეკონომიკის დაბალანსებისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია მცირე ბიზნესის სწრაფვას ოპერატიულად აითვისოს რეგიონული ეკონომიკა, სწრაფად დაიკავოს თავისუფალი სივრცეები ადგილობრივ ბაზრებზე.

ყველა გარდამავალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია სოციალური დიფერენციაცია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც წარსულს ჩაბარდა ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სოციალური ერთგვაროვნება. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში აშკარად არის სახეზე სოციალური პოლარიზაცია, რაც დეცილური კოეფიციენტის სავალალო ცვლილებებით გამოიხატა: 1985 წელს იგი იყო 5:1, 1995 წელს 40:1, 2005 წელს კი -22:1-თან, რაც უკიდურესად შემამფოთებელ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.¹¹ საშუალო კლასის ძირითად ნაწილს, მის “ხერხემალს” საშუალო და მცირე მეწარმეები წარმოადგენენ.

უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში. პროფ. ნ. ჭითანავა მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც მომავალი, სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის უმთავრეს ელემენტს. მის ასეთ როლს

¹¹ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით

განსაზღვრავს ქვეყნის მეურნეობისათვის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებანი, არსებული ტრადიციები, პრაქტიკა, წვრილი და საშუალო მესაკუთრის ფორმირების ობიექტური წინამძღვრები, სამუშაო ადგილების შექმნის (დასაქმების), სამომხმარებლო ბაზრის ეროვნულ ნიადაგზე ფორმირების საჭიროება და სხვა. როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესი ხელს უწყობს ტექნიკურ, ეკონომიკურ სიახლეთა დანერგვას, ქვეყნის საფინანსო რესურსების შექმნას, მომხმარებელთა რეალური ინტერესების გათვალისწინებას, რეგიონების სოციალური-ეკონომიკური განვითარების დონეების გაწონასწორებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მატერიალური საფუძვლის მომზადებას, ქვეყნის ეფექტიანი ეკონომიკის სოციალური ბაზრის შექმნას.

მესაკუთრეთა საშუალო ფენის ჩამოყალიბებით იქმნება დაბალანსებული საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „კონსტრუქცია“, რომელიც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური რყევების დროს ავლენს ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარს, ამზადებს ობიექტურ წინამძღვრებს სოციალური თანხმობის მიღწევისათვის. მცირე ბიზნესმა დაამტკიცა, რომ ღრმა კრიზისის პირობებში იგი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების დასაქმებას, ეკონომიკურ რეფორმებში ჩართვას, იმ ადამიანებზე ზრუნვას, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს, ნაკლებად შრომისუნარიანი არიან [53, გვ. 273].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ღრმა ანალიზს გვთავაზობს პროფ. ე. მექვაბიშვილი. იგი მიიჩნევს, რომ საშუალო კლასის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებათა ქმედითი სისტემის შექმნას და დანერგვას. თავისუფალი მეწარმეობის ჩამოყალიბება და განვითარება მცირე საწარმოების შექმნის გზით, გულისხმობს შესაბამისი ინსტიტუციონალური ბაზის არსებობას, რისთვისაც აუცილებელია:

1. მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის კონკრეტული და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც, როგორც წესი, უნდა წარმოადგენდეს ზოგადად

მეწარმეობის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს;

2. მეწარმეობის განვითარებისათვის ხელისშემშლელი მიზეზების დადგენისა და აღმოფხვრის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა და კერძო მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;

3. პასუხისმგებლობისა და ფუნქციების გამიჯვნა ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის თავისუფალი მეწარმეობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში;

4. სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელთა აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების, რეალიზაციის და შედეგიანობის შეფასების პროცესში [15].

თანამედროვე პირობებში, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი ვექტორი საგადასახადო ადმინისტრირების მოწესრიგებისაკენ არის მიმართული. გადასახადების ადმინისტრირება და გადახდის გამართული სისტემა ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. პირველი მცდელობა აღნიშნული სფეროს დარეგულირებისთვის იყო 1997 წლის 13 ივნისს მიღებული „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, რომლითაც განისაზღვრა კანონის მოქმედების სფერო, გადასახადის სახეები და განაკვეთები, ასევე გადახდის პირობები და დეკლარირების ვადები, დავების გადაჭრის პროცედურები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისა და გადასახადის გადამხდელების უფლებამოსილებები. თუმცა, აღნიშნული საგადასახადო კოდექსით არ იყო გაწერილი, თუ რა ტიპის კონტროლისა და უზრუნველყოფის მექანიზმები არსებობდა გადამხდელის მიმართ.

საგადასახადო კოდექსის დახვეწის აუცილებლობამ გამოიწვია არსებული კოდექსის ჯერ ცვლილება და შემდგომ მისი სრულად გაუქმება ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვარს და მას შემდეგ მრავალი ცვლილება განიცადა [51, გვ. 334]. განხორციელებული

ცვლილებების ძირითადი ნაწილი ეხებოდა გადასახადის სახეებისა და მათი განაკვეთების შემცირებას.

ცხრილი 3.1.1.

საგადასახადო განაკვეთების ცვლილებები საქართველოში 2005 წლიდან

| გადასახადები და განაკვეთები 2005 წლის 1 იანვრამდე | გადასახადები და განაკვეთები 2008 წლის 1 იანვრამდე | გადასახადები და განაკვეთები 2008 წლიდან |
|--|---|---|
| საშემოსავლო გადასახადი-12-20% | საშემოსავლო გადასახადი-12% | საშემოსავლო გადასახადი-20% |
| მოგების გადასახადი-20% | მოგების გადასახადი-20% | მოგების გადასახადი-15% |
| სოციალური დაზღვევის გადასახადი-31%+1% | სოციალური გადასახადი-20% | |
| დღგ-20% | დღგ-18% | დღგ-18% |
| აქციზი-დიფერენცირებული | აქციზი-დიფერენცირებული | აქციზი - დიფერენცირებული |
| ქონების გადასახადი-0,1-1% | ქონების გადასახადი-არა უმეტეს 1% | ქონების გადასახადი-არა უმეტეს 1% |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადი-დიფერენცირებული | საბაჟო გადასახადი-დიფერენცირებული | საბაჟო გადასახადი-დიფერენცირებული |
| გადასახადი ქონების გადაცემისათვის | გაუქმებული | გაუქმებული |
| გადასახადი ბუნ.რესურსებით სარგებლობისათვის | გაუქმებული | გაუქმებული |
| გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის | გაუქმებული | გაუქმებული |
| გადასახადი საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვითვისთვის - დიფერენცირებული | გაუქმებული | გაუქმებული |
| ფიქსირებული გადასახადი-დიფერენცირებული | გაუქმებული | გაუქმებული |
| მცირე ბიზნესის გადასახადი-5% | გაუქმებული | გაუქმებული |
| ადგილობრივი გადასახადი, რომელიც აერთიანებდა 7 გადასახადს-დიფერენცირებული | გაუქმებული | გაუქმებული |

ახალ კოდექსში დეტალურად გაიწერა გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოს წამომადგენლების უფლება-მოვალეობები, კონტროლისა და უზრუნველყოფის ღონისძიებები, გადასახადების ადმინისტრირების წესი და სხვ.

ცხრილი 3.1.2.

მოქმედი საგადასახადო განაკვეთები საქართველოში

| № | გადასახადი დასახელება | გადასახადის განაკვეთი | გადასახადის სახე |
|---|------------------------|-----------------------|-------------------------|
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | 20% | საერთო-სახელმწიფოებრივი |
| 2 | მოგების გადასახადი | 15% | საერთო-სახელმწიფოებრივი |
| 3 | აქციზი | დიფერენცირებული | საერთო-სახელმწიფოებრივი |
| 4 | დღგ | 18% | საერთო-სახელმწიფოებრივი |
| 5 | საბაჟო გადასახადი | დიფერენცირებული | საერთო-სახელმწიფოებრივი |
| 6 | ქონების გადასახადი | არა უმეტეს 1% | ადგილობრივი |

როგორც უკვე აღინიშნა, ძველი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 21 გადასახადიდან 2005 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსით დარჩა 6 გადასახადი (იხ. ცხრ. 3.1.2). 2008 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა განახლებული განაკვეთები და ასევე შეიცვალა გადასახადის სახეები, კერძოდ კი ამოღებულ იქნა სოციალური გადასახადი, მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-ის ნაცვლად გახდა 15%, ხოლო საშემოსავლო გადასახადი - 25%. ამჟამად მოქმედი კოდექსით განსაზღვრულია 6 სახის გადასახადი, რომელთაგან 5 საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათისაა, ხოლო მეექვსე კი - ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება.

პოზიტიურ შედეგებზე ციფრებიც მიაჩვენებენ: 2005 წელს საბიუჯეტში შემოსავლები იყო 1837 მილიონი ლარი, 2010 წელს კი უკვე 4592 მილიონი. 2004 წლის ბოლოს საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით, ასევე შემდგომ პერიოდებში საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით გადასახადების

ნაწილი მარტივდება და განაკვეთები სულ უფრო ლიბერალური ხდება, რასაც ვერ ვიტყვით ადმინისტრირების ნაწილზე.

კოდექსის ადმინისტრაციული ნაწილი ჯერ კიდევ საკმაოდ რთულად წაკითხვადი და აღქმადია მეწარმეთა მხრიდან. აქედან გამომდინარე, ხშირია დავები მეწარმეებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის. მეწარმეთა დიდი ნაწილი დღეს არსებულ დავების მოგვარების სისტემას მოუქნელად მიიჩნევს და ნეგატიურად აფასებს, ვინაიდან დავების მოგვარების დროს გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ მიიღება.

ხშირი ცვლილებები ხელს უწყობს საგადასახადო კანონმდებლობის არასტაბილურობას. ახალი საგადასახადო კოდექსში 2005 წლის იანვრიდან დღემდე წლის მარტის ჩათვლით 40-ზე მეტი ცვლილება განხორციელდა, რომლებიც 160 მუხლზე მეტს შეეხო. ეს ცვლილებები, ერთი შეხედვით, მცირეა ადრინდელ მაჩვენებლებთან შედარებით - წინა საგადასახადო კოდექსში 2003 და 2004 წლებში 45 და 61 ცვლილება შევიდა. მცირე საწარმოები, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა, იქირაონ კვალიფიციური საგადასახადო კონსულტანტები, ვერ ახერხებენ სიახლეების გაცნობასა და ცვლილებებზე დაკვირვებას. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ არასტაბილურობა საგადასახადო კოდექსთან მიმართებაში მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბიზნესისათვის.

ევროკავშირის ქვეყნებში საგადასახადო ცვლილებები, მიუხედავად მიღების თარიღისა, ტრადიციულად წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხორციელდება. ეს საკმარის დროს აძლევს საგადასახადო ორგანოებს სპეციალური ინსტრუქციების გამოსაცემად, ხოლო ბიზნესმენს _ კანონმდებლობის გასაცნობად, აღნიშნული სიახლის პრაქტიკული გავლენის განსახილველად და ახალი რეჟიმის მოსამზადებლად. პროგნოზირებად საგადასახადო რეჟიმს აქვს დადებითი ზეგავლენა როგორც ბიზნესზე, ისე საგადასახადო ინსპექტორებზე. ზოგადად, სტაბილური საგადასახადო კანონმდებლობა კერძო სექტორს უმცირებს მოთხოვნების შესრულების ხარჯებს.

სახელმწიფოს შეუძლია დაარეგულიროს ცვლილებები, რომლებიც შეიძლება ძალაში შევიდეს მხოლოდ მომდევნო ფისკალურ წელს, მიღებიდან არანაკლებ 3 თვის ვადაში.

საგადასახადო კოდექსი ბუნდოვანი და გართულებულია მეწარმეთა დიდი ნაწილისათვის. ზოგჯერ საგადასახადო ინსპექტორები აწყდებიან სირთულეებს მისი დებულებების ინტერპრეტაციის დროს. როგორც ბიზნესწარმომადგენლები აღნიშნავენ, ეს ხელსაყრელია საგადასახადო მოხელეებისათვის, ვინაიდან ისინი ამ ბუნდოვანებას ყოველთვის თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. მრავალი ბიზნესერთეული და საგადასახადო ექსპერტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო სამსახურების მიერ გამოცემულ ინსტრუქციებში, ხშირ შემთხვევაში ახსნილი არ არის საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანი პუნქტები.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოსთან. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა, ქართული ბიზნესგარემო სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. კორუფციამ, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, კონკურენციის არათანაბარმა პირობებმა, ენერგორესურსების მაღალმა ღირებულებამ, არაეფექტურმა სასამართლო სისტემამ, ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალმა დონემ, სამეწარმეო საქმიანობაში არსებულმა გართულებულმა რეგულირებებმა და მრავალმა სხვა პრობლემამ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას მკვეთრად შეუშალა ხელი.


2003-2004 წლებში ბიზნესის კეთების მთავარი შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენდა მაღალი დანახარჯები, ბიუროკრატიული ბარიერები, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები იყო ანტიკორუფციული რეფორმების გატარება, ინვესტორების მოზიდვა, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის რეგულირება.

მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, ამ პერიოდში კვლავ არსებობდა მნიშვნელოვანი ბარიერები, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას აფერხებდა.

ყველაზე რთულ პროდუცურებად გადასახადებთან და ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული საკითხები გამოვლინდა.

ნახაზი 3.1.1.

პრობლემური და რთული პროცესები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის



ამის შედეგად:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის მოცულობა 2002 წლიდან 2004 წლამდე მხოლოდ 2%-ით გაიზარდა; მათგან 2/3-მა ინვესტიცია 2003 წლის შემდეგ განახორციელა.

2. მცირე და საშუალო ბიზნესზე GDP-ის მხოლოდ 10% მოდიოდა, მაშინ როდესაც ევროპის და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 60%-ს აღწევს [34, გვ. 43].

რიგი ხარვეზების და დაშვებული შეცდომების მიუხედავად, აღსანიშნავია მეწარმეობისა და სამეწარმეო გარემოს ლიბერალიზებისა და მხარდაჭერის კუთხით განხორციელებული რეფორმების შესახებაც. რეფორმების განხორციელება შესაძლებელი გახდა საგადასახადო ადმინისტრირების სფეროში კორუფციის აღმოფხვრით, ახლებული მიდგომით და ადმინისტრირების ეფექტურობის გაზრდით. 2007 წელს გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციები და შეიქმნა შემოსავლების სამსახური.

2008 წელს საქართველომ მე-18 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის (მან უკან ჩამოიტოვა ისეთი ქვეყნები, როგორცაა თურქეთი, ზერბაიჯანი, რუსეთი),

ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით, 2009 წელს კი მე-15 ადგილზე დაწინაურდა. ეს განპირობებული იყო იმ რეფორმების მასშტაბურობით, რომელსაც წინა პერიოდებში ჰქონდა საქართველოში ადგილი და დღესაც გრძელდება.

საქართველოში რეფორმები 6 მიმართულებით გატარდა:

1. ბიზნესის დაწყება;
2. ლიცენზიების გაცემა,
3. კრედიტების მიღება;
4. საკუთრების რეგისტრაცია;
5. ინვესტორების დაცვა;
6. ბიზნესის დახურვა.

შედეგად, გაუმჯობესდა ბიზნესგარემო, გამარტივდა ბიზნესის დაწყება, საკუთრების რეგისტრაცია, ლიცენზიების გაცემა, კრედიტის მიღება და ა.შ. თუმცა 2009 წლისთვის კვლავ პრობლემად დარჩა საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, რომელმაც კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს ბიზნესგარემო. ქვემოთ ნაჩვენებია 2009 წლის მდგომარეობით ბიზნესგარემოს მაჩვენებლების შეფასება (იხ. ცხრ. 3.1.3).

ცხრილი 3.1.3.

ბიზნესგარემოს მახასიათებლები საქართველოში 2009 წელს

| ბიზნეს გარემოს მახასიათებლები | 2009 წლის რეიტინგი |
|------------------------------------|--------------------|
| ბიზნესის კეთების სიმარტივე | 15 |
| ბიზნესის დაწყება | 4 |
| სამშენებლო ნებართვებთან გამკლავება | 10 |
| დაქირავებული მუშახელი | 5 |
| საკუთრების რეგისტრაცია | 2 |
| კრედიტის აღება | 28 |
| ინვენსტორების უსაფრთხოება | 38 |
| გადასახადების გადახდა | 110 |
| საზღვრებს გარეთ ვაჭრობა | 81 |
| კონტრაქტების განხორციელება | 43 |
| ბიზნესის დახურვა | 92 |

ცხრილის მარცხენა სვეტში მოცემულია მაჩვენებლები, რომელიც ბიზნესგარემოს ახასიათებენ, მარჯვენა მხარეს კი რეიტინგი, რომელიც ახასიათებს თუ მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის მერამდენე ადგილზეა საქართველო ამა თუ იმ მაჩვენებლის მიხედვით.

ნიშანდობლივია, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას. ეს ცვლილება კონსტიტუციაში ძალაში შევიდა 2010 წლიდან და ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

ამასთან, კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება.

2011 წლიდან ძალაშია ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც გააერთიანა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები. მკვეთრად შეიცვალა მიდგომა გადასახადის გადამხდელის მიმართ. ამ მიზნით გატარდა მრავალი რეფორმა და დაინერგა ახალი ინსტიტუტები, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1. პირადი საგადასახადო აგენტი;
2. წინასწარი გადაწყვეტილება;
3. საგადასახადო შეთანხმება;
4. სპეციალური საგადასახადო რეჟიმები - მიკრო და მცირე ბიზნესისათვის;
5. საგადასახადო ომბუდსმენი;

6. საწარმოო დანაკარგების დადგენა;
7. რისკზე დაფუძნებული აუდიტი;
8. უზნის საგადასახადო ოფიცერი;
9. Tax Free („გადასახადების გარეშე“, სხვაგვარად, დღგ-ზე საგადასახადო მოცულობის დაბრუნების სისტემა);
10. ტარიფები;
11. ბიზნეს-რუკა;
12. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებისათვის;

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მნიშვნელოვან საკითხად შეიძლება მივიჩნიოთ მედიაციის პრინციპის დამკვიდრების მცდელობა. ამ ინსტიტუტის თანახმად, საგადასახადო სამსახურის შემოწმების საბოლოო შედეგი აქტის სახით პირდაპირ აღარ გაეგზავნება გადამხდელს, რომელიც იძულებული იყო, იგი გაესაჩივრებინა ჯერ შემოსავლების სამსახურში, შემდეგ ფინანსთა სამინისტროში და ბოლოს - სასამართლოში. გადამხდელს შეუძლია, რომ მედიაციის პირველი ეტაპი გაიაროს აუდიტის დეპარტამენტში, ანუ რიგითი აუდიტორი, რომელიც ამოწმებს, ამზადებს პროექტს, პროექტის შემდეგ კი გადის მედიაციის საბჭოზე ისე, რომ გადაწყვეტილება ძალაში არ შედის. აუდიტის დეპარტამენტის სპეციალური საბჭო ისმენს ორივე მხარეს, როგორც კონკრეტული აუდიტორის, ასევე გადამხდელის არგუმენტაციას. ამან, პირველ რიგში, ჯანსაღი გარემო უნდა შექმნას გადამხდელთათვის, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ პრობლემებს ობიექტურად იხილავენ, მათ არგუმენტებსაც უსმენენ, ობიექტურობის შემთხვევაში კი, ითვალისწინებენ კიდევ. ბოლო პერიოდში ამ სისტემამ პოზიტიური გავლენა იქონია გადამხდელებზე და ნდობაც ჩამოუყალიბდათ სუბიექტური მიდგომების არარსებობის გამო.

2011 წელს საგადასახადო კოდექსში განხორცილებული ცვლილებებით საოჯახო სასტუმროების მფლობელებს გადასახადების შემცირების საშუალება მიეცათ, რაც

შეღავათიანი ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გულისხმობს. ალტერნატიული გზის საშუალებით, პირს შეუძლია ნებაყოფლობით აირჩიოს მისი ბიზნესისათვის მორგებული დაბეგრვის ფორმა და გადავიდეს გადახდის მარტივ სისტემაზე, რაც დაზოგავს მის რესურსებს და ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგრვის შემთხვევაში:

ა) გადასახადის გადამხდელი გადასახადს იხდის არა მთლიანი ბრუნვის საფუძველზე, არამედ გამარტივებული წესით, გაქირავებული ოთახების ფართობის მიხედვით - 10 ლარს 1 კვადრატულ მეტრზე. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, დაბეგრვის ობიექტის ადგილმდებარეობის ან/და სეზონურობის გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე შეამციროს ან/და გაზარდოს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი;

ბ) გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებისა და დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისგან;

გ) გადასახადის გადამხდელის მიერ დაქირავებით მომუშავე თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან.

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგრვის პერიოდი, გადასახადის გადამხდელის სურვილისამებრ, შეიძლება მოიცავდეს ერთ ან მეტ კალენდარულ თვეს, ასევე სრულ კალენდარულ წელს. ეს პერიოდი შესაძლოა არ იყოს უწყვეტი.

ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რასაც შემოსავლების სამსახური მომხმარებელს სთავაზობს, არის ბიზნეს-რუკა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ელექტრონული ადმინისტრირება, რაც გამორიცხავს კორუფციული პრაქტიკის არსებობის ყოველგვარ შესაძლებლობას. ბიზნეს რუკა მოქნილს ხდის საგადასახადო ოფიცერთათვის დავალებების განაწილების სისტემას. ის წარმოადგენს მიმდინარე კონტროლისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების დახვეწილ სქემას. პორტალმა შესაძლებელი გახადა სისტემის სრული ავტომატიზაცია, რისკის კრიტერიუმების განსაზღვრა, ადამიანური ფაქტორის გარეშე შესამოწმებელი გადამხდელების შერჩევა

და პროგრამის მიერ დავალებების განაწილება, გადამხდელების გეოგრაფიულ სივრცეში განთავსება და შესრულებული სამუშაოს სრული მონიტორინგი.

აღსანიშნავია აგრეთვე პრევენციის გაძლიერება საგადასახადო დარღვევების მიმართ, რაც კონსულტაციას, ინფორმაციის მიწოდებას, სიახლეების გაცნობას და რეკომენდაციების მიცემას ითვალისწინებს მეწარმეთათვის. ამასთან მეწარმეს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა განესაზღვრება, რომელშიც ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს.

აღნიშნულის მიუხედავად ბოლო წლებში წარუმატებელი პროექტებიც დაფიქსირდა. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 2 აგვისტოს №148 დადგენილებით “სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბიუჯეტიდან გამოიყო 24 მილიონი ლარი. ეს თანხა სამი თვის მანძილზე 52 000 ბენეფიციარისათვის (სტაჟიორისათვის) განისაზღვრა ყოველთვიურ 150 ლარიან სტიპენდიად, თუ ისინი სტაჟირებას გაივლიდნენ კერძო სექტორში ნებისმიერ თანამდებობაზე.

პროგრამის ფარგლებში თითოეულ სტაჟიორს გადაეცემოდა ინდივიდუალური საბანკო ბარათი და ყოველი თვის ბოლოს მათ შესაბამის ანგარიშზე დაერიცხებოდათ თანხა. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი უნდა ყოფილიყო პირველი თვე, როცა სტაჟიორები სტიპენდიის ნახევარს (75 ლარს) სამუშაო ადგილის პოვნისთანავე, ხოლო მეორე ნახევარს - თვის ბოლოს მიიღებდნენ.

გადამზადების გავლის სურვილი გამოთქვა 76 387 მაძიებელმა. სოციალურმა სააგენტომ მეწარმე სუბიექტებს დააკავშირა 54 303 პირი, რომელთაგან ხელშეკრულება დაუდეს 44 471-ს. ოფიციალური მონაცემებით მეწარმეთა მხრიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა შემდეგ ათ პროფესიაზე იყო: (1) დამლაგებელი, (2) დასუფთავების სამსახურის მუშაკი, (3) სადაზღვევო აგენტი, (4) სარეკლამო აგენტი, (5) დისტრიბუტორი, (6) დაცვის თანამშრომელი, (7) მაღაზიის გამყიდველი, (8) მიმტანი, (9) გადამზიდველი და (10) პრესის დისტრიბუტორი.

იმის გამო, რომ ყველა დასახელებული სამუშაო შედარებით დაბალი კვალიფიკაციის პერსონალს მოითხოვს, საზოგადოების ნაწილმა ეჭვქვეშ დააყენა

პროგრამის ეფექტურობა. გაიზარდა ექვი იმის შესახებაც, რომ პროგრამა რეალურად პოლიტიკურად აქტიურ წინასაარჩევნო პერიოდში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2006 წლის ოქტომბერში ჩატარდა) უმუშევართ მოკლევადიან დასაქმებას და ამით ხმების მოზიდვას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე პროფესიული გადამზადების ხელშწყობას და გრძელვადიანი პერსპექტივის უზრუნველყოფას.

პროგრამის შესახებ ექსპერტების მიერ უმეტესწილად უარყოფითი შეფასებები გაკეთდა. პროფ. ლ. პაპავას აზრით, პროფესიული მომზადების პროგრამა საქართველოს იმ ეკონომიკური ინიციატივების სიას შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელიც “არსაით მიმავალ გზას“ დამდგარ პროგრამებს აერთიანებს და არათუ ეკონომიკურ თეორიას, არამედ ელემენტარულ საღ აზრს ეწინააღმდეგება [19].

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი, რომელსაც ექსპერტები უსვამდნენ ხაზს იმაში მდგომარეობდა, რომ პროგრამა არ იყო სათანადოდ გათვლილი და დაგეგმილი. ნაცვლად დეტალურად გაწერილი დოკუმენტისა, ის დადგენილება, რომელიც პროგრამას აღწერდა, პრესრელიზს ან ვრცელი პროგრამის ძალიან მოკლე ანოტაციას ჰგავდა და არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დაინტერესებულ პირს მისი აკვარგიანობის საფუძვლიანი შეფასება გაეკეთებინა.

მარტივი გათვლების თანახმად, წარმოების ფასში ხელფასის წილი საშუალოდ 25%-ს შეადგენს. ხელფასის სახით დახარჯულ 22.5 მილიონ ლარს შედეგად დაახლოებით 90 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია და მომსახურება უნდა ეწარმოებინა, რაც არ მომხდარა.

მიგვაჩნია, რომ ამ თანხის დახარჯვა ბაზარზე მხოლოდ მონეტარული ინექცია იყო და საწარმოო ეფექტი ფაქტობრივად არ ჰქონია. ამასთან, სტიპენდიებზე გამოყოფილი 22.5 მილიონი ლარი დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა და შესაბამისად, ამ თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი არ შესულა (თუ ისინი რეალურად იყვნენ დასაქმებული და პროდუქციას ან მომსახურებას ქმნიდნენ, საშემოსავლოც უნდა გადაეხადათ).

პრაქტიკულად იგივე ითქმის 2012 წლის სამთავრობო პროგრამაზე: „სტუდენტთა დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე“ (Summer Jobs), რომელშიც 25 ათასი სტუდენტი მონაწილეობდა [35]. მათი ანაზღაურება 500 ლარით განისაზღვრა. ამდენად, საერთო ხარჯმა 12,5 მლნ. ლარი შეადგინა, რომელსაც ფაქტობრივად არავითარი წვლილი არ შეუტანია რეალური მშპ-ის ზრდის პროცესში.

უკვე დიდი ხანია, საქართველოში დღის წესრიგში დგას პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებაში. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი საგადასახადო პოლიტიკაა. კანონმდებლებმა ნაწილობრივ გაითვალისწინეს მცირე ბიზნესის ბევრი სურვილი საქართველოში ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმებისათვის ლიბერალური ხასიათის მინიჭებასთან დაკავშირებით (ერთი წლის წინათ მიღებულ იქნა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები).

მსოფლიოს ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების განსხვავებულობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმ მიზნებით, რომლებიც ჩადებული იყო ასეთი რეჟიმების შემუშავებისას. მიზნები განსხვავდებიან მცირე ბიზნესის ფუნქციონირების პირობებით, მშპ-ის წარმოებაში მისი წვლილით, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურით, საზოგადოებაში დაბეგვრისაგან თავის არიდების კონკრეტული ფორმების გავრცელებით. გარდა ამისა, მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმების თავისებურებანი კონკრეტულ სახელმწიფოში შესაძლოა წარმოიშვას როგორც საგადასახადო, ისე არასაგადასახადო კანონმდებლობის სპეციფიკიდან, ასევე საზოგადოების ინსტიტუციონალური სტრუქტურიდან გამომდინარე. თუ ეკონომიკაში წარმოების სტრუქტურის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე მცირე ბიზნესს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშპ-ს შექმნაში, სავარაუდოა, სჭარბობდეს მისი ფისკალური მდგენელი. შესაძლოა იგი მიმართულ იქნას საკუთრივ მცირე ბიზნესის დაბეგვრისაგან თავის არიდების შემცირებაზე, რადგან ამ შემთხვევაში მცირე მეწარმეობის წვლილი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში მნიშვნელოვანი აღმოჩნდება. სხვა შემთხვევებში სიტუაცია ისე ვითარდება, რომ სხვადასხვა წყაროებიდან შემოსავლების დაბეგვრის განსხვავებული განაკვეთების გამო,

გადამხდელს შესაძლოა გაუჩნდეს სტიმული შემოსავალი მიიღოს იმ ფორმებში, რომლებიც უფრო დაბალი განაკვეთით იბეგრება. ხშირად ეს მცირე მეწარმეობის დონეზე ხორციელდება, ამიტომ სპეციალური რეჟიმების მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს წესების დადგენა, რომლებიც მკაცრად გაუწევენ რეგლამენტაციას შემოსავლების მიკუთვნებას შესაბამისი წყაროს დაკონკრეტებით.

მცირე მეწარმეობისათვის განსაზღვრული პირობების შესრულებისას საკმაოდ რაციონალური შეიძლება აღმოჩნდეს გადასახადების შემცირების ამოცანა, რადგან არსებობენ გარკვეული სახის ეკონომიკური დანახარჯები, რომლებიც საკმაოდ მტკივნეულია სწორედ მცირე საწარმოებისათვის. მსგავსი პოლიტიკის რაციონალურობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს ის, რომ გადასახადები არ უნდა შემცირდეს მეტისმეტად, ანუ გადასახადებზე ეკონომია უნდა შეესაბამებოდეს კორექტირებად დანახარჯებს (მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეღავათები გავრცელდეს მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა საქმიანობის პერიოდი და მასშტაბები მცირეა და დასახელებული დანახარჯები შედარებით მაღალი). ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბეგვრის შემცირებული განაკვეთები ან შეღავათის სხვა ფორმები. ზოგიერთ შემთხვევაში გადასახადების გადახდის ალტერნატიული დანახარჯების შესამცირებლად, რომლებიც მცირე ბიზნესისათვის მეტია თუნდაც იმ მიზეზით, რომ მას არ აქვს საბუღალტრო აღრიცხვის განვითარებული სისტემის გამოყენების შინაგანი მოთხოვნილება, გამოიყენება გამარტივებული რეჟიმები, რომლებიც მეტ-ნაკლები სიზუსტით საშუალებას გვაძლევენ მოვახდინოთ ვალდებულებების შეფასება გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით და (ან) გავათავისუფლოთ სხვა გადასახადებისაგან.

აუცილებელია ცალკე გამოიყოს ისეთი მიზანი, როგორცაა მცირე ბიზნესისათვის უპირატესობების შექმნა (დანახარჯების კორექცია, რაზეც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმართულია პირობების გათანაბრებისაკენ და არა უპირატესობების შესაქმნელად). ეს მიზანი საკმაოდ საკამათოა, რადგან შეუძლია სტიმული მისცეს ისეთი საწარმოს ფუნქციონირებას, რომლის საქმიანობის მასშტაბი ეფექტიანობის მინიმალურ ზღვარს

ქვემოთაა. ეკონომიკაში დიდი როლდენობით მცირე საწარმოების არსებობა შესაძლოა თან სდევდეს ეკონომიკისა და საზოგადოების მთელ რიგ დადებით მახასიათებლებს (შრომითი რესურსების დიდი მობილურობა, დამოუკიდებელი და მატერიალურად ძლიერი მოქალაქეების რიცხოვნობის ზრდა და ა.შ.). მცირე ბიზნესის დახმარებას, თუ მას მსხვილი საწარმოები ვერ გამოიყენებენ, შეუძლია შეამციროს ბაზარზე დამკვიდრების დანახარჯები და ხელი შეუწყოს კონკურენციის განვითარებას, ასევე უკვე მოქმედი ფირმების საბაზრო ხელისუფლების შემცირებას. თუმცა, პოტენციურ შესაძლებლობას, გონივრული დანახარჯებით შექმნას და მართოს საკუთარი ბიზნესი, შეუძლია ხელი შეუწყოს შრომითი რესურსების მობილურობას, დამოუკიდებლობას, მოქალაქეთა აქტიურობას პირობების გათანაბრებისა და სპეციალური შეღავათების დაწესების გარეშე.

თუ გვსურს ხელი შევუწყოთ საწარმოებს მათი განვითარების საწყის ეტაპზე და ამით შევუმციროთ ბარიერები, საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების დაწესება არ წარმოადგენს საუკეთესო ინსტრუმენტს მიზნის მისაღწევად. პირველ რიგში, ალოკაციური უპირატესობანი ბარიერების შემცირებისაგან შესაძლოა კომპენსირებულ იყოს პროდუქციის გამოშვების მოცულობის საშუალო დანახარჯების გაზრდით იმის შედეგად, რომ მასშტაბების ზრდა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებების ნახტომისებურ ზრდას. მეორეც, თუ გამოშვების მოცულობის, აქტივების ან დასაქმებულთა რაოდენობის ზღვარი დადგენილია მაღალ დონეზე, მაშინ ამ ზღვარის სიახლოვეს დაგროვდება შესაბამისი დარგის საწარმოთა საკმაო რაოდენობა, რომელთათვის კონკურენციის გაწევა დამწყებთათვის იოლი არ იქნება.

მცირე მეწარმეების დაბეგვრის განსაკუთრებული წესების გამოყენება შემდეგ ფაქტორებს ეფუძნება:

1. შედარებით მაღალი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო კანონმდებლობისა და სახელმწიფოს სხვა მოთხოვნების შესრულებასთან, მაღალ ზეგავლენასთან მცირე ბიზნესზე, ბაზრის, ასევე სასამართლო და სამართალდამცავი

სისტემების არასრულყოფილებასთან. ეს ზეგავლენა განსაკუთრებით შესამჩნევი შეიძლება იყოს ახლადშექმნილი მცირე საწარმოებისათვის;

2. კონკურენციის გაზრდა წარმოების ფაქტორებისა და მზა პროდუქციის ბაზრებზე მცირე საწარმოების რიცხვის ზრდით და ბუნებრივი მიდრეკილება ამ პროცესის სტიმულირებისა, მათ შორის საგადასახადო ზომებით.

3. მცირე ბიზნესის მონაწილეობა ინოვაციურ პროცესში;

4. მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სოციალური როლი (ზემოქმედება დასაქმებაზე, მოსახლეობის შემოსავლების გამოთანაბრება შრომის ბაზარზე კონკურენციის ხარჯზე);

5. დიდი მობილურობის გამო, მცირე ბიზნესის მასტაბილიზირებელი როლი დივერსიფიცირებული ეკონომიკის ხარჯზე;

6. დაბეგვრისაგან თავის აცილების მისწრაფება, რაც დამახასიათებელია ძნელადდასაბეგრი საქმიანობის სახეებისათვის (ე.წ. hard-to-tax). მათი გათვალისწინება ზოგიერთ შემთხვევაში მიზანმიმართულია ასეთი საწარმოებისაგან გადასახადების ნაწილის ამოღებისაკენ (ამ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ცალკეული ქვეყნები სპეციალურ გადასახადებს).

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ზომების ზემოქმედება მცირე ბიზნესის მიერ არჩეულ საქმიანობის სფეროებზე და წარმოების გამოყენებული ფაქტორების შესაბამისობაზე. თუ მცირე და საშუალო მეწარმეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი მდგომარეობენ შეღავათების მინიჭებაში იმის მიუხედავად, თუ რა გავლენას ახდენენ კონკრეტული შეღავათები მეწარმის არჩევანზე, შესაძლებელია როგორც საქმიანობის ცალკეული სახეების დამატებითი სტიმულირება, ასევე წარმოების კონკრეტული სახეების გამოყენება დანარჩენი სახეების საზიანოდ. გარდა ამისა, მცირე მეწარმეობასთან მიმართებით წარუმატებლად შემუშავებულმა პოლიტიკამ კონკურენციის ხელის შეწყობის მაგიერ შესაძლოა შექმნას დამატებითი ბარიერები დარგში შეღწევასთან დაკავშირებით. ეს მაშინ ხდება, როცა უკვე ფუნქციონირებად ფირმებს უფრო ადვილად შეუძლიათ შეღავათებით სარგებლობა,

ვიდრე მათ, რომლებიც ახლა იკავებენ ადგილს ბაზარზე, ხოლო შეღავათების სარგებლობისაგან მიღებული უპირატესობანი ნაწილდება ძველი, ბაზარზე დამკვიდრებული ფირმების სასარგებლოდ.

ნებისმიერი პოლიტიკის განხორციელება არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს ნათლად დასახული მიზნებისა და მათი მიღწევის გზების განსაზღვრის გარეშე. საგადასახადო პოლიტიკის ნათლად განსაზღვრულ მიზნად არ შეიძლება ჩაითვალოს მცირე ბიზნესის მხარდაჭერა ან განვითარება, თუ გაკეთებული არ არის არსებითი დაზუსტებანი. ამის მიზეზი არის სხვადასხვა:

1. ყოველთვის და წარმოების ყველა დარგში არ არის ეფექტური წარმოების განხორციელება სწორედ მცირე საწარმოების ძალებით, ხოლო მცირე ბიზნესის დამატებითმა ხელოვნურმა სტიმულირებამ შეიძლება მიგვიყვანოს საწარმოების დანაწევრებამდე ან მათი ზრდის შემცირებამდე;

2. დამატებითმა ხელოვნურმა სტიმულირებამ შესაძლოა გამოიწვიოს რესურსების არაეფექტური გამოყენება მაშინაც კი, როცა წარმოების მინიმალური ეფექტური სიდიდე არ არის დიდი.

3. გაურკვეველია, რას ნიშნავს მცირე მეწარმეობის განვითარება. თუ კრიტერიუმად გამოიყენება მცირე საწარმოების, მათი ბრუნვის ან დასაქმებულთა რაოდენობის სტატისტიკა. სტიმულირებადი პოლიტიკის პირობებში შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ამ მაჩვენებლის ნაწილი განპირობებულია მსხვილ ბიზნესთან მჭიდროდ დაკავშირებული მცირე საწარმოების შექმნით, ან საწარმოების იურიდიული გაყოფით საგადასახადო შეღავათების ან უპირატესობების მისაღებად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სხვადასხვა ეტაპებზე იქმნებოდა განსხვავებული პირობები, მოქმედებდნენ ცალკეული შეზღუდვები და შესაბამისად, ამოცანებიც განსხვავებული იყო. თუ ანალიზის საფუძველად კონკურენტული ეკონომიკის თეორიულ მოდელს ავიღებთ, სახელმწიფო ჩარევის არარსებობის პირობებში, ასეთი მოდელისათვის მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გარდაუვალი აუცილებლობა არ არსებობს.

ბაზრის არასრულყოფილება, სახელმწიფოს უსაფრთხოების, პიროვნების უფლებებისა და მოქალაქეთა საკუთრების დაცვის აუცილებლობა, ანუ სახელმწიფოს არსებობა და რესურსებზე მოთხოვნილებანი მკვეთრად ცვლიან მიდგომებს. რეალობაში, წარმოების მასშტაბებს შეუძლიათ იმოქმედონ საწარმოს ხარჯებზე, ამასთან, მცირე ბიზნესისათვის არაკეთილისმყოფელი კუთხით. გარდა ამისა, არსებობს დამატებითი მიზეზები, მაგალითად, სოციალური ხასიათისა, რომელთა გამო საზოგადოებას აწყობს, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა დამოუკიდებლად ან პიროვნებათა მცირე ჯგუფის მიერ უფრო ხელმისაწვდომი იყოს მოქალაქეებისათვის.

ხშირად მცირე ბიზნესის განსაკუთრებული დაბეგვრის მიზანს წარმოადგენს მცირე ბიზნესის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შემცირება. ეს მიზანი შესაძლოა ანგარიშგების გამარტივების ამოცანის თანმხვედრი იყოს. გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზანი პრიორიტეტულია იმ ქვეყნებში, სადაც წარმოების სტრუქტურა გულისხმობს მცირე საწარმოების დიდი რიცხოვნობის განვითარებას.

მხედველობაშია მისაღები, რომ საგადასახადო ვალდებულებათა განსაზღვრის ალტერნატიულ გზებს შორის არჩევანის იოლად გაკეთების შესაძლებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს მსხვილი და საშუალო ბიზნესის მხრიდან გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებამდე სხვადასხვა ანგარიშგების სისტემის მქონე საწარმოთა შორის განსაზღვრული გარიგებების დადებით.

ეკონომიკის დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია შეღავათის მრავალგვარი სპეციალური სისტემის გამოყენებით გადამხდელთა არაზუსტ იდენტიფიკაციასთან ერთად, არ კომპენსირდება მოგებით, რაც დაკავშირებულია დასახული მიზნის შესრულებასთან. უფრო მეტიც, საბოლოოდ შესაძლოა აღმოჩნდეს უფრო შორს დასახული მიზნიდან, ვიდრე ეს იყო სპეციალური რეჟიმების შემოღებამდე.

მცირე ბიზნესის იდენტიფიკაციის პრობლემას სპეციალური საგადასახადო რეჟიმების გამოყენების მიზნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად,

სპეციალური რეჟიმების გამოყენებისას აუცილებელია დაწესდეს რიგი მკვეთრი შეზღუდვები. ეს შეზღუდვები შეიცავენ როგორც მიღებული შემოსავლების ზღვრულ მნიშვნელობას, ასევე შეზღუდვებს საქმიანობის რეჟიმების მიხედვით, საწარმოთა დამოკიდებულების მიხედვით ერთმანეთთან ან მსხვილ გადამხდელებთან. საქმიანობის სახეობიდან, რომელთათვისაც დაშვებულია გამარტივებული რეჟიმების გამოყენება, გამოირიცხება ისინი, სადაც აუცილებელია ანგარიშგების წარმოება (მაგალითად, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების არსებობისას), ასევე ისინი, რომლებიც ხშირად გამოიყენება გადახდისაგან თავის არიდების მიზნით (მაგალითად, მხოლოდ საწარმოებისათვის განხორციელებული მომსახურებანი ან სამუშაოები). ასევე, დგინდება ზოგიერთი პირდაპირი შეზღუდვა სხვადასხვა საწარმოს მიერ საკუთრების ერთობლივ მფლობელობაზე, რომელთა ნაწილი იყენებს გამარტივებულ რეჟიმს.

ვფიქრობთ, რომ გამოსავალს შეიძლება წარმოადგენდეს საგადასახადო რეჟიმების მრავალგვარობის გაუქმება და მცირე ბიზნესის იდენტიფიკაციის წესების შემოღება დაბეგვრის მიზნებისთვის, რომლებიც საშუალებას არ მისცემს საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს შეამცირონ გადასახადების გადახდა სპეციალური რეჟიმების დახმარებით.

მიგვაჩნია, რომ ბაზარზე ახლად შემსვლელთა მხარდასაჭერად საგადასახადო შეღავათები ყოველთვის არ არის ეფექტური: ახლადშექმნილ საწარმოებს ხშირად აქვთ მცირე მოგება ან ზარალიც კი და დაბეგვრა შესაძლოა არ იყოს ყველაზე დიდი წინაღობა მათი განვითარებისათვის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საგადასახადო შეღავათებმა საწყის ეტაპზე შეიძლება გარკვეული დახმარება მოაზდინოს, მაგრამ თუ დგება მცირე ბიზნესის სტიმულირების ამოცანა, მნიშვნელოვანია, რომ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ასეთი ბიზნესი ვითარდებოდეს და გადადიოდეს საერთო რეჟიმში.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ და კიდევ სხვა მიზეზებმა ერთობლიობაში მიგვიყვანეს უკანასკნელ ხანს განვითარებულ ქვეყნების მიერ სპეციალური რეჟიმების მცირეოდენ გამოყენებასთან [86, გვ. 46]. ფართოდგავრცელებულ შეღავათებს შორის შესაძლოა დავასახელოთ დღგ-ს გადამხდელის რანგში რეგისტრაციის არჩევის უფლება

იმ პირებისთვის, რომელთა ბრუნვა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ ოდენობას, მცირე ბიზნესთან მიმართებით კორპორაციებზე საშემოსავლო გადასახადის შემცირებული განაკვეთი, ანგარიშგების საკასო მეთოდის გამოყენების უფლების მინიჭება და ა.შ. [96, 34-38].

უკანასკნელი პერიოდის რიგი მკვლევარების პუბლიკაციები მცირე ბიზნესის დაბეგვრის თემაზე ეძღვნება ძნელადდასაბეგრ ბიზნესებს. თუმცა ზოგიერთ განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებშიც კი ასეთი ბიზნესის მიმართ იყენებენ შეცვლად (მინიმალურ) გადასახადებს. ბევრი მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს ამ ზომების ეფექტურობასთან მიმართებით, თვლის რა, რომ საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით შესაძლოა სერიოზული საგადასახადო შემოსავლების მიღება, ნეიტრალურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფით [43, გვ. 143].

მცირე და საშუალო ბიზნესის პერსპექტივებისა და პოლიტიკის ცალკეული ინსტრუმენტების განსაზღვრის მიზნით მოვახდინოთ ამ სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის პროგნოზირება მისი შემადგენელი ელემენტების ანალიზის საფუძველზე.

ამისათვის ვისარგებლოთ ექსტრაპოლირების მეთოდით. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის გამოვიყენოთ t დროის არგუმენტის $y(t)$ ფუნქციის შეცვლის ხერხი მასთან ახლოს მდგომი $\hat{y}(t)$ ფუნქციით, რომელსაც განსაკუთრებით მაშინ მიმართავენ, როცა საწყისი მონაცემები წარმოდგენილია ცხრილის ფორმით. მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის ცვალებადობა წლების მიხედვით, ანუ დროითი დინამიკური მწკრივი ასახულია ცხრილში (იხ. ცხრილი 3.1.4).

გამომშვებული პროდუქციის წარსულისა და მიმდინარე პერიოდის მდგომარეობის სრული ანალიზის საფუძველზე შერჩეული მეთოდით შესაძლებელია პერსპექტივაში განვითარების ტენდენციის დადგენა, თუკი გამოშვებული პროდუქციის განმსაზღვრელი საერთო პირობები მომავალში არსებითად არ შეიცვლება, განვითარების ამსახველი ტრაექტორია მეტნაკლებად უცვლელი დარჩება საპროგნოზო

პერიოდში და შემოსავლების ფაქტიური მონაცემების გადახრას ტრაექტორიიდან შემთხვევითი ხასიათი ექნება [75, გვ. 32].

ცხრილი 3.1.4.

მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2005–2011 წლებში (მლნ. ლარი)

| | | | | | | | |
|----------------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| საბიუჯეტო შემოსავალი | 1251,1 | 1397,7 | 1555,5 | 1467,0 | 2032,8 | 2444,1 | 2349,3 |
| წელი, t | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |

პროგნოზირება ეფუძნება გამოვლენილი ტენდენციის გაგრძელებას, ამიტომ მნიშვნელოვანია ტენდენციის ამსახველი მრუდის (განტოლების) შერჩევა. ანალიზური გათანაბრებისათვის სასურველია მრავალვარიანტული გაანგარიშებების წარმოება რამდენიმე ფუნქციის მიხედვით და სტატისტიკური შეფასებების გამოყენებით მათგან საუკეთესო ფორმის განსაზღვრა. გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, შევჩერდეთ მონოვარიანტულ მოდელზე. ამისათვის გამოვიყენოთ ერთ-ერთი ყველაზე მარტივი, წრფივი ფუნქციის განტოლება რომელსაც პირობითად აქვს სახე:

$$y(t)=A+Bt, \quad (1)$$

A და B კოეფიციენტების განსაზღვრა წარმოებს t დროში ცვალებადი სტატისტიკური მასალების საფუძველზე (იხ. ცხრილი 3.1.4), სათანადო მათემატიკური აპარატის გამოყენებით. ფუნქცია (1)-ში საჭიროა A და B კოეფიციენტების განსაზღვრა და საპროგნოზო განტოლების $\hat{y}(t)=A+Bt$ მიღება. განტოლებათა სისტემის პირველი განტოლების მიღებისათვის საკმარისია საპროგნოზო განტოლების ყველა წევრის გამრავლება A კოეფიციენტთან მდგომ სიდიდეზე და მთელს პერიოდზე დაჯამება. სისტემის მეორე განტოლების მიღებისათვის საპროგნოზო განტოლების ყველა წევრი მრავლდება B - თან მდგომ სიდიდეზე შემდგომი შეჯამებით (ამისათვის შეიძლება

ასევე მოგვეხდინა გამოსახულების $\sum(y-\hat{y})^2$ მინიმიზაცია გაწარმოებით და 0-თან გატოლებით), ანუ გვექნება:

$$\begin{cases} \sum y = N A + B \sum t \\ \sum yt = A \sum t + B \sum t^2 \end{cases} \quad (2)$$

თუკი ვისარგებლებთ ცხრილი 2-ით, განტოლებათა (2) სისტემიდან გვექნება:

$$\begin{cases} 12497 = 7A + 28B \\ 55852 = 28A + 140B \end{cases} \quad (3)$$

საიდანაც $A=947,7$, ხოლო $B=209,4$, ანუ საპროგნოზო განტოლება მიითებს სახეს:

$$\hat{y}(t) = 947,7 + 209,4 t \quad (4)$$

ცხრილი 3.1.5.

გათანაბრების მახასიათებლების გაანგარიშება ძირითადი განტოლების მიხედვით

| № | წლის რიგითი ნომერი, t | გამოშვებული პროდუქცია, y (მლნ. ლარი) | საანგარიშო მახასიათებლები | |
|-----|-----------------------|--------------------------------------|---------------------------|----------------|
| | | | yt | t ² |
| 1 | 1 | 1251 | 1251 | 1 |
| 2 | 2 | 1398 | 2796 | 4 |
| 3 | 3 | 1555 | 4665 | 9 |
| 4 | 4 | 1467 | 5868 | 16 |
| 5 | 5 | 2033 | 10165 | 25 |
| 6 | 6 | 2444 | 14664 | 36 |
| 7 | 7 | 2349 | 16443 | 49 |
| N=7 | $\sum t=28$ | $\sum y=12497$ | $\sum yt = 55852$ | $\sum t^2=140$ |

ამრიგად, მომდევნო 5 წელიწადში პროგნოზების გამოთვლით ვღებულობთ, რომ საპროგნოზო პერიოდის ბოლოს (2016 წელი) გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ამ სექტორში 3460,5 მლნ. ლარს მიაღწევს. თვით მრუდი “ოპტიმისტურია” და საპროგნოზო პერიოდის არც ერთ წელს პროგნოზირებადი შემოსავალი არ არის ნაკლები საანალიზო წელზე. მიგვაჩნია, რომ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ლიბერალიზაციის კუთხით

გატარებული რეფორმები, რაც ბოლო წლებში ამ სექტორისკენ არის მიმართული. საჭიროა, განისაზღვროს პროგნოზის შეცდომის ხარისხი. ზღვრული შეცდომის დადგენისათვის ვსარგებლობთ ფორმულით:

$$\Delta = \delta \cdot \alpha \quad (5)$$

სადაც α – არის სტიუდენტის კრიტერიუმია, რომელსაც შეირჩევენ შერჩევის ალბათობის მიხედვით (0,1; 0,05; და 0,01 ალბათობით), ხოლო δ საშუალო კვადრატული გადახრა, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$\delta = \sqrt{\frac{\sum (y - \hat{y})^2}{N - P}} \quad (6)$$

ფორმულა (6)-ში N არის საწყისი დინამიკური მწკრივის სიგრძე (ჩვენს შემთხვევაში $N=7$), ხოლო P საპროგნოზო განტოლებაში პარამეტრების რიცხვი (ჩვენს შემთხვევაში, წრფივ განტოლებაში $P=2$, ორი A და B კოეფიციენტით), y საწყისი მწკრივის სიდიდეებია, \hat{y} – გათანაბრებითი დინამიური მწკრივის მნიშვნელობები. მე-3 ცხრილის მიხედვით (6) ფორმულიდან გვაქვს:

$$\delta = \sqrt{174742,2 / 5} = 186,9 \quad (7)$$

სტიუდენტის კრიტერიუმის α შერჩევისათვის გამოვიყენოთ სპეცცხრილი [63, გვ. 54]. ჩვენს შემთხვევაში $N-P=5=\gamma$ არის ვარიაციის თავისუფლების ხარისხი. სპეცცხრილის მიხედვით, როცა $\gamma=5$, $\alpha=2,0150$, ანუ (5) ფორმულიდან

$$\Delta = 186,9 \cdot 2,0150 = 376,6$$

ამგვარად, პროგნოზის შეცდომის ზღვრებია $\pm 376,6$. ამ ვარიანტით 2016 წელს მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული 3460,5 მლნ. ლარის პროდუქციის ალბათური პროგნოზი იქნება $3460,5 - 376,6 = 3083,9$ მლნ. ლარიდან 3837,1 მლნ. ლარამდე.

ცხრილი 3.1.6.


გამოშვებული პროდუქციის საწყისი და ანალიზური ფუნქციებით გათანაბრებული მონაცემები (სოციალური გადასახადიდან შემოსავლების გარეშე)

| | | | |
|--------|-------------|--------------|----------|
| დროითი | გამოშვებული | ფორმულით გა- | პროგნოზი |
|--------|-------------|--------------|----------|

| მწკრივის (წლების) რიგი, t | პროდუქცია, y (მლნ. ლარი) | თანაბრებული გამომშვებული პროდუქცია (მლნ. ლარი) | საპროგ- ნოზო წელი | საპროგნ- ოზო წლის ნომერი | გამომშვე ბული პროდუ ქცია (მლნ. ლარი) |
|---------------------------------|-----------------------------|---|-------------------------|-----------------------------------|---|
| 1 | 1251 | 1157,1 | 2012 | 1 (8) | 2622,9 |
| 2 | 1398 | 1366,5 | 2013 | 2 (9) | 2832,3 |
| 3 | 1555 | 1575,9 | 2014 | 3 (10) | 3041,7 |
| 4 | 1467 | 1785,3 | 2015 | 4 (11) | 3251,1 |
| 5 | 2033 | 1994,7 | 2016 | 5 (12) | 3460,5 |
| 6 | 2444 | 2204,1 | | | |
| 7 | 2349 | 2413,5 | | | |

ერთი შეხედვით, პროგნოზის სიზუსტე დაბალია, მაგრამ თუკი შეცდომას გამოვთვლით საშუალოდ 5 წელზე, მაშინ მისი მნიშვნელობა იქნება $\Delta/\sqrt{5} = \pm 168,9$ მლნ. ლარი.

ნახაზი 3.1.2.



3.2. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობა საქართველოში

ბოლო წლებში საქართველოში ბიზნესის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამაზე თუნდაც რამდენიმე ფაქტი მეტყველებს: მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგების თანახმად, საქართველო ბიზნესის დაწყების სიადვილის მიხედვით 2011 წელს მსოფლიოში მე-8 ადგილზეა, რადგან აქ ეს პროცესი მხოლოდ სამი საფეხურისგან შედგება („ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) საშუალო მაჩვენებელი 5,6-ია): შესაბამის სახელმწიფო უწყებაში რეგისტრაცია, სარეგისტრაციო გადასახადის გადახდა და კორპორატიული საბანკო ანგარიშის გახსნა. საწარმოების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხდება. რეგისტრაციაზე უარი შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს. ბიზნესის ლიკვიდაციის გადაწყვეტილების რეგისტრაციაც ამავე სააგენტოში უნდა მოხდეს. კანონი მოითხოვს, რომ ბიზნესის ლიკვიდაციის პროცედურა ასეთი გადაწყვეტილების რეგისტრაციიდან ოთხი თვის ვადაში დასრულდეს. საერთაშორისო პოლიტიკის ფართო სპექტრით მკვლევარმა ორგანიზაციამ Heritage Foundation (ფონდი „მემკვიდრეობა“ - სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, აშშ) საწარმოს დახურვის საქართველოში არსებული პროცედურები დაახასიათა, როგორც „შედარებით მარტივი“ [8].

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით „შრომა თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“ [39]. ამასთან, სამეწარმეო სექტორისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი სახის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღების (გარდა აქციზისა) კონსტიტუციურ აკრძალვას, რომლის შესაძლებლობა მხოლოდ რეფერენდუმით დაწესდა (მუხლი 94).

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები უპირველესად ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სრულყოფას ითვალისწინებდა. კომერციული საწარმოების მარეგულირებელ კანონებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა და

მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი კანონი. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, ზოგადად, ხელსაყრელია ბიზნესისთვის: რეგისტრაციის პროცესი მარტივი და სწრაფია, მცირეა სახელმწიფო რეგულირების ტვირთი, მთავრობა ატარებს დერეგულაციისა და ბიზნესის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების პოლიტიკას. კერძოდ, საქართველოში მთლიანი საგადასახადო ტვირთი მოგების 15,3 პროცენტს შეადგენს, ქონების რეგისტრაცია მხოლოდ ერთ პროცედურას მოიცავს, ხოლო სამშენებლო ნებართვის მოსაპოვებლად 10 პროცედურის გავლაა საჭირო [97].

2011 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალოვადიანი (2011-2015 წწ.) “ათპუნქტიანი გეგმა”, რომლის მიზანია შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობისათვის. აღნიშნული გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს შექმნა. გეგმის მოცემული ნაწილი ითვალისწინებს მეწარმეობისათვის არაკორუფციული და ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის და ოპტიმალური საგადასახადო გარემოს ფორმირებას. გათვალისწინებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შრომის ბაზარზე მობილურობის უზრუნველყოფა, სპეციალური რეგულაციების შემოღება 45 დან 60 წლამდე მოსახლეობის დასაქმების მიზნით. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის და ადმინისტრირების გამარტივება.

მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ პოლიტიკის შემუშავებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენას. ამისათვის აუცილებელია მოვახდინოთ ამ კატეგორიის საწარმოთა განვითარების კომპლექსური შეფასება.

ამისათვის მიზანშეწონილად მივიჩნით ინდექსის შერჩევას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ოპერატიულად და ეფექტიანად შეგვეფასებინა მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ასეთი ინფორმაცია აუცილებელია როგორც ბიზნეს სექტორისათვის, ისე მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისთვისაც.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოვთვალეთ მცირე (I_{sb}) და საშუალო ბიზნესის განვითარების ინდექსები (I_{mb}). მათ გამოსათვლელად გამოვიყენეთ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მაჩვენებლები $X_i(t)$, როგორც დროის ფუნქცია $t \in Z$, Z – შესაბამისი წელია, i – მაჩვენებლის ნომერია ჯგუფში (იხ. ცხრ. 3.2.1 და 3.2.2).

ცხრილი 3.2.1.

მაჩვენებლები მცირე ბიზნესის განვითარების ინდექსის გამოსათვლელად
(სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით)

| i- ნომ- ერი | მნიშვნ ელობა | მაჩვენებელი/წე ლი | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|----------------|-----------------|--|--------|-----------|-------|--------|------------|------------|
| 1 | $X_1(t)$ | დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) | 84554 | 6767 7 | 65276 | 86086 | 81508 | 86771 |
| 2 | $X_2(t)$ | შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი) | 135,6 | 130,1 | 131,5 | 228,7 | 248,5 | 416,4 |
| 3 | $X_3(t)$ | ბრუნვა (მლნ. ლარი) | 1079,3 | 932,8 | 967,6 | 1464,1 | 1581, 2 | 2157, 4 |
| 4 | $X_4(t)$ | ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი) | 134,8 | 76,9 | 115,3 | 102,2 | 160,4 | 165,1 |

მცირე (I_{sb}) და საშუალო ბიზნესის განვითარების ინდექსები (I_{mb}) განისაზღვრება, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, შრომითი დანახარჯების, ბრუნვის და ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

მცირე მეწარმეობის განვითარების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$I_{sb}(t) = \frac{1}{N} \sum_{i=1}^N \left(\frac{x_i(t)}{x_i(t-1)} - 1 \right) \times 100\% \quad (1)$$

საშუალო მეწარმეობის განვითარების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$I_{mb} = \frac{1}{N} \sum_{i=1}^N \left(\frac{x_i(t)}{x_i(t-1)} - 1 \right) * 100\% \quad (2)$$

სადაც, $x_i(t)$ – დროის t მომენტში მაჩვენებლის მნიშვნელობაა, N – ჯგუფში მაჩვენებელთა რაოდენობაა, i – ჯგუფში მაჩვენებლის ნომერია (იხ. ცხრ. 1 და 2) $t \in Z$, Z – წელია. სამწუხაროდ, კვლევის პროცესში ხელთ გვექონდა მხოლოდ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2006 წლიდან, რამაც შედარებით მცირე პერიოდისათვის (2007–2011 წლები) მოგვცა ინდექსების განსაზღვრის საშუალება. ცხადია, უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის უკეთ შევძლებდით ტენდენციების გამოვლენას.

ცხრილი 3.2.2.

მაჩვენებლები საშუალო ბიზნესის განვითარების ინდექსის გამოსათვლელად (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით)

| i- ნომ- ერი | მნიშვნ ელობა | მაჩვენებელი/წელი | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|----------------|-----------------|--|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| 1 | $X_1(t)$ | დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) | 84192 | 91784 | 74443 | 78198 | 91943 | 55200 |
| 2 | $X_2(t)$ | შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი) | 220,4 | 307,8 | 262,6 | 335,6 | 430,5 | 346,0 |
| 3 | $X_3(t)$ | ბრუნვა (მლნ. ლარი) | 1368,0 | 1609,1 | 1454,3 | 1701,2 | 2350,3 | 1648,3 |
| 4 | $X_4(t)$ | ინვენსტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი) | 137,6 | 181,6 | 297,5 | 156,2 | 153,9 | 160,0 |


ინდექსის გამოთვლის შედეგები ქვემოთ გვაქვს გამოტანილი (იხ. ცხრ. 3.1.3. და ნახ. 3.2.1).

ცხრილი 3.2.3.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ინდექსები საქართველოში 2007-2011 წლებში (%)

| წელი | მცირე | საშუალო |
|------|---------|---------|
| 2007 | - 20,25 | 24,25 |
| 2008 | 12,75 | 5,50 |
| 2009 | 36,50 | 0,75 |
| 2010 | 17,25 | 20,50 |
| 2011 | 28,25 | - 21,25 |

ნახ. 3.2.1.



ინდექსების მაჩვენებლებმა 2006-2011 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესში ტენდენციების გამოვლენის საშუალება მოგვცა. კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე და შესაბამისად, ინდექსის სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დასაქმებულთა რიცხოვნობა. მცირე ბიზნესში ასეთი ჩავარდნები დაფიქსირდა 2007-2008 წლებში, როცა დასაქმებულთა რაოდენობა 17-19 ათასი კაცით შემცირდა. 2009-2011 წლებში შედარებით სტაბილური ვითარება შენარჩუნდა: დასაქმებულთა რაოდენობა 81-86 ათას კაცს შეადგენდა. საშუალო ბიზნესში ამ მიმართულებით არაჰარმონიული მდგომარეობა ფიქსირდება. კერძოდ, ჯერ დასაქმებულთა რაოდენობა 84 ათასიდან 91 ათას კაცამდე იზრდება (2006-2007 წლებში) ხოლო შემდეგ, 74-78 ათასი კაცის დონეზეა (2008-2009 წლები). 2011 წელს ეს მაჩვენებელი 2007 წლის ნიშნულს უბრუნდება (91,9 ათასი კაცი), თუმცა 2011 წელს იგი მკვეთრად ეცემა, რაც ინდექსის სიდიდის კარდინალურ ცვლილებებს იწვევს. როგორც მცირე, ისე საშუალო ბიზნესისათვის 2006-2011 წლებისთვის დამახასიათებელი იყო სტაბილური ზრდის ტენდენციის შენარჩუნება.

რაც შეეხება ბრუნვის მოცულობას, იგი მცირე ბიზნესისათვის სტაბილურად მზარდი იყო (საანალიზო პერიოდში თითქმის ორჯერ გაიზარდა - 1079,3 ათასი ლარიდან 2157,4 ათას ლარამდე) მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ბიზნესი ამ წლებში გაცილებით მეტი მოცულობის პროდუქციას აწარმოებდა (1,2-1,3-ჯერ), მისი დინამიკა არასტაბილურობით გამოირჩეოდა. მაქსიმალური მაჩვენებელი - 2350,3 ათასი ლარი 2010 წელს დაფიქსირდა, რაც მომდევნო წელს 700 ათასი ლარით შემცირდა და 1,6 მლნ. ლარი შეადგინა. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად განაპირობა დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირებამ. მცირე ბიზნესში შედარებით სტაბილური იყო ფიქსირებულ აქტივებში ინვენსტიციების მოცულობა, თუ არ გავითვალისწინებთ 2007 წლის „ჩავარდნას“ (76,9 მლნ. ლარი). საშუალო ბიზნესში იგივე მაჩვენებელი 2010-2011 წლებში შემცირდა და 154-160 მლნ. ლარის დონეზე დაფიქსირდა.

საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობის მკვეთრი შემცირების მიუხედავად (60%-ით), შრომითი დანახარჯები მხოლოდ 24%-ით შემცირდა. საზოგადოდ, ორივე სექტორში შრომითი დანახარჯები იზრდება, რაც შრომის ანაზღაურების ზრდაზე მიანიშნებს. მაგალითად, 2011 წელს საშუალო ბიზნესში გაცემულმა საშუალო ხელფასმა 400 ლარი შეადგინა.

მიღებული შედეგების მიხედვით, მცირე ბიზნესის განვითარების მეტი ინტენსივობა დაფიქსირდა 2008–2011 წლებში. განსაკუთრებით მაღალი იყო იგი 2009 წელს, კრიზისის შემდგომ პერიოდში. არაერთგვაროვნებით ხასიათდებოდა საშუალო ბიზნესის განვითარება. 2010 წლამდე იგი შედარებით სტაბილური იყო, თუმცა ჩავარდნა ფიქსირდება 2011 წელს. ჩვენი აზრით, ეს უფრო სუბიექტური მიზეზით არის გამოწვეული, რაც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია (91943 კაციდან 55200 კაცამდე). იგივე ითქმის მცირე ბიზნესის განვითარების ინდექსზე 2006–2007 წლებში, როცა დასაქმებულთა რიცხოვნობა 84554 კაციდან 67677 კაცამდე შემცირდა.

გამოთვლის შედეგები (ნახ. 3.1.1) გვიჩვენებს, რომ მცირე ბიზნესის განვითარებაში შეინიშნება რამდენიმე ეტაპი:

1. არასტაბილურობა – 2007–2008 წლები;
2. პიკი – 2009 წელი;
3. სტაბილური პერიოდი – 2010–2011 წლები.

აღნიშნული შედეგები ასევე გვიჩვენებს, რომ საშუალო ბიზნესის განვითარებაში შეინიშნება რამდენიმე ეტაპი:

1. სტაბილურობა – 2007–2008 წელი;
2. ვარდნა – 2009 წელი;
3. ზრდა – 2010.

მიგვაჩნია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ამ სექტორისათვის სპეციალური რეჟიმების შემუშავება. განვიხილოთ ამ საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტი.

მრავალმა განვითარებულმა ქვეყანამ უარი თქვა სპეციალურ რეჟიმებზე საგადასახადო ბაზის განსაზღვრის განსაკუთრებული წესით. ჩვენი აზრით, ამჟამად საქართველოში ასეთი მიდგომა არარეალისტურია, რასაც მრავალი მიზეზი განსაზღვრავს:

1. პოლიტიკური მიზეზი. მოქმედი სპეციალური რეჟიმების შემოღებას, თანაც არჩევანის დიდი შესაძლებლობების მოთხოვნით, საწარმოთა ფართო წრეზე ამ რეჟიმების გავრცელებით, ზოგიერთი საკმაოდ დასაბუთებული შეზღუდვების მოხსნით, მხარდაჭერა გაუწიეს პოლიტიკოსთა და მეწარმეთა სხვადასხვა ჯგუფებმა და მცირე ბიზნესისათვის შეღავათიანი პირობების დაწესებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მსხვილ და საშუალო მეწარმეთა გაერთიანებებმა.

2. ეკონომიკური მიზეზები, რომლებიც არ იძლევიან მოკლე ვადებში სპეციალური რეჟიმების გამოყენებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. თუმცა, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას ხელს შეუწყობდა უფასო ან შეღავათიან საფუძველზე მცირე ბიზნესისათვის საინფორმაციო მხარდაჭერა, აგრეთვე სახელმწიფოს ხარჯზე ნაწილობრივ ფინანსირებადი იურიდიული დახმარების ორგანიზაცია. ამ ზომების ეფექტი გადასახადების

გადახდასთან დაკავშირებული ხარჯების კორექციისათვის უფრო მაღალი იქნებოდა და ამავე დროს არ განაპირობებდა გადასახადების გადახდისაგან და თავის არიდებას.

ასეთი ხელშეწყობის ორგანიზაციისათვის საჭიროა დრო, ძალისხმევა, რესურსები, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობაში საკმაო დამაჯერებლობა. ამგვარი პრობლემები სწრაფად არ გადაწყდება. მეტიც, იმისათვის, რომ სახელმწიფომ ისინი დამაკმაყოფილებლად გადაწყვიტოს, უმთავრეს პირობას წარმოადგენს საზოგადოების მიერ ამ პრობლემების მნიშვნელობის გააზრება. ამჟამად საუბარი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ადეკვატური პირობების შექმნაზე ახლო პერსპექტივაში, ალბათ, არ მოგვიწევს. ამიტომ სპეციალური რეჟიმების გამოყენება ერთგვარ პალიატივად გამოიყურება.

საქართველოში ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმა მცირე ზომის ფირმაა. 2011 წლის მონაცემებით კომერციული იურიდიული პირების 94%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს) შეადგენენ, ხოლო სუბიექტთა 67,2% ინდივიდუალური მეწარმეებია. დიდი კომპანიების 65 პროცენტი ადგილობრივი მფლობელების საკუთრებაა, საშუალო და მცირე საწარმოების შემთხვევაში კი ადგილობრივი მესაკუთრეობის წილი 93–94%-ს უტოლდება [30].

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენს მიერ შედგენილი ანალიზური 3.2.4 ცხრილი. შევნიშნავთ, რომ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის გამოკვლევაში ჩართული იყო მხოლოდ იურიდიული პირები. ინდემეწარმეთა გათვალისწინებით მცირე და საშუალო საწარმოთა ხვედრითი წილი რიგ მაჩვენებლებში გაცილებით მაღალი იქნებოდა (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო კვლევა ამ მიმართულებით მხოლოდ 2008 წლის ოფიციალურ მონაცემებს გვთავაზობს, რასაც ცხრილის შედგენისას დავეყრდენით).

ცხრილი 3.2.4.

მცირე და საშუალო ბიზნესის იურიდიულ პირ საწარმოთა
მაჩვენებლები (ხვედრითი წილი მთლიანთან, %)

| | მაჩვენებელი | % |
|---|---|------|
| 1 | გამოკვლევულ საწარმოთა რაოდენობა | 93,0 |
| 2 | ბრუნვა | 12,3 |
| 3 | პროდუქციის გამოშვება | 14,3 |
| 4 | დამატებული ღირებულება | 13,7 |
| 5 | შუალედური მოხმარების მოცულობა | 12,6 |
| 6 | პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის ხარჯები | 10,4 |
| 7 | ძირითადი კაპიტალი | 12,4 |
| 8 | დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) | 36,0 |

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ბიზნესის ზომის სტატუსის განსაზღვრას განსხვავებულად განიხილავს. კერძოდ, 2011 წელს საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა რიგი ცვლილებები, რომელმაც განსაზღვრა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები ცალკეული კატეგორიის გადამხდელთათვის-მიკრო ბიზნესის და მცირე ბიზნესის სტატუსები ფიზიკური პირებისათვის [36]. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთგვარი ხელშემწყობი, მასტიმულირებელი ღონისძიება ამ სტატუსის მქონე ან მაძიებელი სამეწარმეო სუბიექტებისათვის.

დასახელებული რეჟიმები განიხილება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ალტერნატივებად. მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. ამასთან, მას ეკრძალება განახორციელოს ცალკეული საქმიანობის სახეები, რომელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით. ესენია:

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას.
2. საქმიანობები, რომლებიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა კალენდარული წლის განმავლობაში შესაძლოა გადააჭარბოს 30 000 ლარს.
3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება.

4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა.

5. სათამაშო ბიზნესი.

6. ვაჭრობა.

ამავე წესით განისაზღვრება ის საქმიანობები, რომლებზეც არ გავრცელდება 30 000-ლარიანი ზღვარი:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით.

2. ხალიჩებისა და ორბოვისებრი ნაწარმის წარმოება.

3. პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება.

4. ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა.

5. საცვლების წარმოება.

6. თავსაბურავების წარმოება.

7. დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება.

8. ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება.

9. ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება.

10. ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნობის წარმოება.

11. ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება.

12. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება.

13. მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

14. აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება.

15. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

16. ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.

17. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

18. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან

დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს.

19. ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.
20. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.
21. საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.
22. ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.
23. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.
24. თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.
25. შინამეურნეობის გაძღვრისათვის დაკავშირებული მომსახურება.

აგრეთვე შემოსავლის ის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით:

1. ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.
2. სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი.
3. სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები.
4. ჩუქებით მიღებული შემოსავალი.
5. ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:
 - ა) უძრავი ქონება;
 - ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;
 - გ) ფასიანი ქაღალდები.
6. მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი.
7. დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი.
8. პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.
9. როიალტის სახით მიღებული შემოსავალი.
10. ვალის პატივით მიღებული შემოსავალი [37].

მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება არის ნებაყოფლობითი. ამისათვის ფიზიკურმა პირმა უნდა მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, რომელიც მასზე გასცემს

მიკრო ბიზნესის სერტიფიკატს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, მ.შ. მიმდინარე გადასახდელებისაგან. მას არ ევალება არც გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები გათავისუფლებული არიან საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

რაც შეეხება მცირე ბიზნესს, ეს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. ამასთან მას ეკრძალება განახორციელოს ცალკეული საქმიანობის სახეები, რომელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. ამავე წესით განისაზღვრება შემოსავლის ის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება არის ნებაყოფლობითი. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისაგან განსხვავებით, არ არის გათავისუფლებული საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან. გარდა ამისა ის იბეგრება კიდევ. ამასთან, თუ ჩვეულებრივი (სპეციალური სტატუსის არმქონე) გადამხდელის დაბეგვრის ობიექტია მისი ერთობლივი შემოსავალი შემცირებული გამოქვითვებით (ხარჯებით), მცირე ბიზნესის დაბეგვრის ობიექტი მოიცავს მთელს ერთობლივ შემოსავალს (ბრუნვას), გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა. სამაგიეროდ, მცირე ბიზნესი იბეგრება უფრო მცირე განაკვეთებით:

ა) 5 პროცენტით;

ბ) 3 პროცენტით, თუ აღნიშნულ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები და საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე.

უნდა ითქვას, რომ მცირე მეწარმეებისათვის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების არჩევის მძლავრ მოტივად, გარდა გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირების (ან განულების) სურვილისა, შეიძლება იქცეს შემოსავლების და ხარჯების საგადასახადო კოდექსის მიხედვით და საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვის აუცილებლობის თავიდან არიდება.

2012 წლის 20 მარტიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში კვლავ შევიდა ცვლილებები და განისაზღვრა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესი. ასეთი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას. მნიშვნელოვანია, რომ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან. ამასთან, თუ ფიზიკური პირი, დამატებით ახორციელებს სხვა საქმიანობას და აკმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან ერთად დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს სპეციალური დაბეგვრის სხვა რეჟიმით (მიკრო ან მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით).

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს – დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში. ფიქსირებული გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე. ფიქსირებული გადასახადის გადახდა ხორციელდება საანგარიშო თვის დაწყებამდე, გადახდის მომენტისათვის არსებული განაკვეთის შესაბამისად.

ცხრილი 3.2.5.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეები, რომლებიც იბეგრება 1 ლარიდან 2 000 ლარამდე ოდენობის ფარგლებში

| № | დასაბეგრი საქმიანობის სახე | დაბეგვრის ობიექტი | საანგარიშო პერიოდი | გადასახადის განაკვეთი |
|---|--|---|--------------------|---|
| 1 | თონეში წარმოებული/საწარმოებელი (ნახევარფაბრიკატი) საქონლის მიწოდება ან/და თონეთი გაწეული მომსახურება | თონე | კალენდარული თვე | 50 ლარი (ერთ თონეზე) |
| 2 | თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის, შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის, სახის მასაჟის, წარბების კორექციის, ეპილაციის, დეპილაციის, მომსახურება | სამუშაო ადგილი (სკამი/მაგიდა / სავარძელი) | კალენდარული თვე | ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა/ სავარძელი) – 50 ლარი |
| 3 | მანიკურის და პედიკურის მომსახურება | სამუშაო ადგილი (სკამი/მაგიდა) | კალენდარული თვე | ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა) – 30 ლარი |

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირიდან შეძენილ საქონელზე ან მომსახურებაზე გაწეული ხარჯის იდენტიფიცირების მიზნით, შემოსავლების სამსახური აწარმოებს საგადასახადო წლისათვის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების ერთიან რეესტრს, რომელიც განთავსდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

მიგვაჩნია, რომ მიკრო (მცირე) და ფიქსირებული გადასახადის შემოღება მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება წვრილი ბიზნესისათვის და დამწყებ მეწარმეთათვის. იგი მცირე კომპანიებს ზრდის საშუალებასაც აძლევს: თუ კომპანია ფიქსირებული გადასახადის მეთოდს აირჩევს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ წლის განმავლობაში მისი ბრუნვა 100 000 ლარსაც გადასცა, არ არის ვალდებული დღგ-ს გადამხდელად დაფიქსირდეს და ისევ შეუძლია გააგრძელოს ფიქსირებული გადასახადის გადახდას (იმ შემთხვევაში, თუ ისევ საცალო ვაჭრობას ახორციელებს). თუმცა, არის ზოგიერთი შემზღვევა მომენტიც. მართალია მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის პირებს არ დაეკისრებათ სანქცია ალურიცხაობისთვის, მაგრამ მათ მიწოდებას მყიდველი ხარჯში

ვერ ჩაითვლის. ამასთან თონებს ან სალონებს მიკრობიზნესის სტატუსის მიღება ეკრძალებათ [44, გვ. 145].

მიუხედავად ამისა, წვრილი მეწარმეები მნიშვნელოვნად განთავისუფლდნენ რიგი საგადასახადო ვალდებულებებისაგან, რაც მათთვის ზედმეტი ტვირთი იყო. მცირე სალონის ან პატარა თონის მფლობელს, რომელთაც არ აქვთ დისტრიბუცია, ვალდებული იყო ეწარმოებინა ბუღალტერია, დაექირავებინა ბუღალტერი, აღერიცხა დოკუმენტაცია, დაედგა სალარო აპარატი და ყოველ გაყიდულ პურზე (გაწეულ მომსახურებაზე) ეკითარი ამოეწერა. ეს ნამდვილად ზედმეტი წნეხი იყო, ასეთი ტიპის მეწარმეებისთვის.

საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმებთან დაკავშირებით ჩნდება ახალი პრობლემები საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით. ბუნდოვანია მიკრო ან მცირე ბიზნესისათვის დაწესებული ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობების კონტროლის მექანიზმები იმ პირობებში, როცა მცირე და მიკრო ბიზნესის წარმადგენლები საბუღალტრო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოებისაგან, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მრავალი მფლობელი სალარო აპარატების გამოყენებისაგანაც იქნება გათავისუფლებული.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ერთი, მაქსიმუმ ორი რეჟიმით შემოფარგვლა. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი სახის ალტერნატიული გადასახადის გამოყენება მნიშვნელოვანია მხოლოდ მცირე გადასახადის გადამხდელებისათვის. ასეთი გადამხდელები შეიძლება იყოს წვრილ მეწარმეთა უკიდურესად განსაკუთრებული ჯგუფი, ვისთვისაც ნებისმიერი აღრიცხვა (მიღებული შემოსავლების თანხის დაანგარიშების გარდა) რთულია. ამ ჯგუფს არ შეიძლება მიეკუთვნონ ორგანიზაციები, დაქირავებული მუშაკების ამყვანი პირები, აგრეთვე საკონსულტაციო, საინფორმაციო (მ.შ. საბუღალტრო და აუდიტორული) მომსახურების მიმწოდებელი სტრუქტურები. ასეთმა საწარმოებმა მიზანშეწონილია აწარმოონ პროდუქცია მოსახლეობისათვის და არა სხვა საწარმოებისათვის. ამავე დროს მიღებული შემოსავლების თანხის შესახებ დეკლარაციის შეტანა არ უნდა მოითხოვდეს დიდ ხარჯებს და სპეციალურ განათლებას.

თავის არიდების შესაძლებლობის მინიმიზაციისათვის ამ შემთხვევაში საჭიროა შემოსავლებზე დაბალი ბარიერის დაწესება ან შეზღუდვები მესაკუთრეთა რაოდენობასა და სხვა მახასიათებლებზე. ერთი მხრივ, ასეთი გადასახადი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ არაიურული პირებისათვის. მეორე მხრივ, გადასახადი შეიძლება იყოს მინიმალური და ალტერნატიული და როგორც სხვა ქვეყნებშია გავრცელებული, ეწოდოს მას პატენტი.

პოსტოციალისტურ ქვეყნებში მეტად გავრცელებულია დაბეგვრის გამარტივებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრას შემოსავლების (ამონაგების) მიხედვით. მაგალითად, თუ მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-ია და გამარტივებული რეჟიმი ითვალისწინებს შემოსავლების 10%-იან დაბეგვრას, ეს ნიშნავს, რომ საქმიანობის ამ სფეროში დანახარჯები შემოსავლების ნახევარს შეადგენს. თუ განაკვეთი 4%-ია, ხარჯების დაკისრებული წილი 4/5 ტოლია. ხარჯების დაკისრებული წილის არასაკმარისად ზუსტი განსაზღვრისას წარმოიქმნება დეფორმაციები ეკონომიკაში რესურსების განთავსებაში და საზოგადოების დანაკარგები. გარდა ამისა, ასეთი გადასახადი არ გამორიცხავს მის გამოყენებას მსხვილი ბიზნესით თავის არიდების მიზნით, თუმცა თავის არიდების ხარისხი მცირდება დაკისრებულ შემოსავალზე გადასახადთან შედარებით.

ვთვლით, რომ მცირე ბიზნესის დაბეგვრის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს გადასახადი რეალურ ფულად ნაკადზე, რომელსაც გაცილებით ნაკლები ნეგატიური მხარე აქვს, ვიდრე ხარჯებით კორექტირებული შემოსავლების დაბეგვრას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველაზე წვრილი ბიზნესისათვის, რომელიც მომსახურებას უწევს მოსახლეობას, შესაძლებელია ნებაყოფლობითი გადასახადის (პატენტის) გამოყენება. ბიზნესისათვის, რომლის რეალიზაციისა და ხარჯების მოცულობები ძნელად კონტროლირებადია, შესაძლებელია ზოგადი ან გამარტივებული რეჟიმისადმი დამატებად განხილულ იქნას მინიმალური სავალდებულო დაკისრებული გადასახადის გამოყენება, მცირე საწარმოებისათვის

რეალურ ფულად ნაკადებზე გადასახადის სახით გამარტივებული რეჟიმის ნებაყოფლობითი გამოყენება.

წინა თავებში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ აუცილებელია ავადგომთ თეორიული მოდელი გადასახადის რეალურ ფულად ნაკადებზე (cash-flow). მიგვაჩნია, რომ ეს მოდელი მისაღები იქნება საქართველოსათვის ამ ეტაპზე, რამდენადაც იგი, როგორც არსებითად მოხმარებაზე გადასახადი, საინვესტიციო გადაწყვეტილებების ნეიტრალობის და დაბეგვრის სიმარტივის თვალსაზრისით თეორიულად ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველია. მკვლევარების მიერ ხაზგასმულია ფულადი სახსრების ნაკადებზე გადასახადების ისეთი თვისებები, სიმარტივე, სიცხადე, ნეიტრალობა კაპიტალდაბანდებების მიმართ, აგრეთვე იოლი ადმინისტრირება.

დაბეგვრის თეორიისა და პრაქტიკის ცნობილი მკვლევარები პ.შოუმი და კ. შუტი დაბეგვრის ბაზის მიხედვით ფულადი სახსრების ნაკადებზე გადასახადის სამ სახეს გამოყოფენ:

1. გადასახადის ბაზას წარმოადგენს ფულად გამოსახულებაში რეალური ტრანსაქციების სუფთა ნაკადი, ე.ი. სხვაობა ამონაგებსა და წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების ღირებულებას შორის;

2. ზემოთ აღნიშნული ტიპია იმ განსხვავებით, რომ მასში ჩერთვება მიღებული და გადახდილი პროცენტები;

3. იბეგრება აქციონერების მიმართ გადახდილი ფულადი სახსრების ნაკადები [93, გვ. 169-170].

ჩვენი რეალობისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ გადასახადის პირველი ტიპის გამოყენება. იგი უმარტივესია გამოსათვლელად მცირე და საშუალო მეწარმეობის დაბეგვრისათვის. მისი დაბეგვრის ბაზა ნეიტრალურია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიმართ და ანალოგიურია სხვა ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გამოსაყენებელი ბაზისა.

ნაღდი ფულის ნაკადის დასაბეგრი ბაზა ბევრად მარტივია, ვიდრე კორპორაციების შემოსავალზე (მოგების გადასახადი) გადასახადის ბაზა, თუმცა უფრო რთულია ასეთ

რეჟიმებთან შედარებით, როგორცაა მთლიანი ამონაგების დაბეგვრა ან დაკისრებული გადასახადები. სირთულეს განაპირობებს ის, რომ მისი გამოთვლისას დასაშვებია ხელფასი გამოეყოს მოგებას. სამაგიეროდ, იგი იძლევა ხელფასიდან გადასახადის და კაპიტალიდან შემოსავლის გადასახადებისაგან გამიჯვნის საშუალებას. ეს მნიშვნელოვანია სოციალური გასაცემლების აღრიცხვისათვის, რომელიც ხელფასის ბაზით განისაზღვრება. ამასთან, როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, ასეთი გადასახადი განსაზღვრულობის პირობებში არ იწვევს დამამახინჯებელ ზემოქმედებას საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. დადგენილია, რომ ასეთი გადასახადი ნეიტრალურია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიმართ, რაც ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელიანტმა ჟოზეფ სტიგლიტმა დაამტკიცა [95, გვ. 303].

რეალურ ფულად ნაკადებზე გადასახადის დადებითი მხარეებია: საკუთარი და ნასესხები საშუალებებიდან დაფინანსების ხარჯების გამოთანაბრება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესისათვის; ანგარიშსწორებების სიმარტივე და მათი სისწორის კონტროლი; საერთო რეჟიმზე გადასვლის მარტივი შესაძლებლობა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ინოვაციური მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მიმართულებად შეიძლება იქცეს რეგიონული ტექნოპარკების და ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის შექმნა. მრავალი უნივერსიტეტი და კოლეჯი ფლობს საწარმოო ფართს, რომელზეც შეიძლება განლაგდეს მცირე საწარმოები. უმაღლესი სასწავლებლის ტექნოპარკების ან ბიზნეს-ინკუბატორების ფუნქციონირება შესაძლებელია ორი ორგანიზაციული ფორმით:

1. საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებულ მცირე საწარმოებში მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში, ჩაატარონ კონსულტაციები და სწავლება.

2. მცირე საწარმოს სახით რეგისტრირებულ ობიექტს შეუძლია იმუშაოს სუბკონტრაქტით მსხვილ მეცნიერებატევად საწარმოებთან ან სხვა ეკონომიურ

აგენტებთან სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად, მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშების შესაქმნელად.

ჩვენს პირობებში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე ტექნოლოგიური ტრანსფერის და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრების შექმნა. მრავალ უნივერსიტეტსა და დარგობრივ უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია ძლიერი პროფესიული ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ მათში განთავსდეს და ექსპერტიზა ჩაუტარდეს მცირე ფირმების ინოვაციურ პროექტებს. საქართველოში ასეთი ცენტრები შეიძლება დაფუძნდეს:

1. საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტში;
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
3. ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (ახლო მომავალში).

ექსპერტთა საბჭოში შესაძლოა შევიდნენ წამყვანი დარგების (ეკონომიკა, იურისპრუდენცია, ტექნიკა, ბიოტექნოლოგია და ა.შ.) სპეციალისტები, სხვადასხვა ზომის სამეწარმეო სტრუქტურების, მართვის სახელმწიფო ორგანოების, საფინანსო სტრუქტურების, სადაზღვეო კომპანიების, საზოგადოებრივი ორგანოების წარმომადგენლები. საუნივერსიტეტო ექსპერტების პრესტიჟი და პროფესიონალიზმი მნიშვნელოვნად აამაღლებს პოტენციური ინვესტორების ინტერესს, მცირე ინოვაციური საწარმოების პროექტებში მონაწილეობის სურვილს. გარდა ამისა ცენტრს შეუძლია გასწიოს კონსულტაციები დაფინანსების ფორმალური და ალტერნატიული მეთოდების სპეციფიკის შესახებ, ასევე ეკონომიკური, სამართლებრივი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის კონსულტაციები.

ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ტექნოლოგიური ტრანსფერის და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრის ტიპური საორგანიზაციო სტრუქტურა და ფუნქციები (იხ. ნახ.3.2.2).


ტექნოლოგიური ტრანსფერის განყოფილებისათვის მიზანშეწონილია შემდეგი ფუნქციების განსაზღვრა:

- ექნება რა დელეგირებული უფლებამოსილება (ლიცენზია) პატენტების გაცემაზე, განყოფილება იურიდიულად გააფორმებს მცირე საწარმოებზე უფლებებს ინტელექტუალურ და საწარმო საკუთრებაზე, მეცნიერებატევადი საქონლის წარმოების შესახებ პროექტის შეფასებისა და დაფინანსების შესაძლებლობისთანავე;

- გამოვიდეს შუამავლის როლში მცირე საწარმოებს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ საწარმოო ბაზა და იმ სტრუქტურებს შორის, რომლებსაც აქვთ სურვილი შეისყიდონ მეცნიერებატევადი პროექტები. აგრეთვე ხელი შეუწყონ საწარმოო კოოპერაციულ, კონტრაქტულ და სუბკონტრაქტულ შეთანხმებებს მცირე საწარმოებსა და სხვა დაინტერესებულ საწარმოებს, ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს შორის.

ნახაზი 3.2.2.

ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრის სტრუქტურა



უმაღლესი სკ...
ურთიერთკავშირი შ...

ლისა და წარმოებას შორის მჭიდრო
ჭრას, სულ მცირე ოთხი ამოცანა:

1. მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირე ინოვაციური საწარმოების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს ოპერატიულად დაინერგოს წარმოებაში სამეცნიერო მიღწევები;

2. უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა უმრავლესობა საქართველოში - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, დამატებითი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს შეიძენენ;

3. შეიქმნება შესაძლებლობა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა საწარმო და პროფესიული პრაქტიკა გაიარონ ამ სექტორში;

4. კარდინალურად გაუმჯობესდება სიტუაცია უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების კუთხით.

საქართველოში მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების გამოცდილების განხილვა ბოლო 15 წლის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ საკითხთა მთელი კომპლექსიდან დღეისათვის არ არის გადაწყვეტილი მცირე სამეწარმეო სექტორის განვითარების დაჩქარების არც ერთი პრინციპული საკითხი:

- არ არის დამუშავებული და რეალიზებული მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია და სისტემური პოლიტიკა;

- არ არის სტაბილური მცირე ბიზნესის „თამაშის წესები“ და ჯერ კიდევ შემორჩენილია ადმინისტრაციული ბარიერები;

- საბაზრო ინფრასტრუქტურის მრავალი ინსტიტუტი არ არის სრულყოფილად ხელმისაწვდომი მცირე ბიზნესისათვის;

- სასამართლო სისტემა არ იცავს მცირე ბიზნესს ჩინოვნიკების (მოხელეების) თვითნებობისაგან, მაკონტროლებელი ორგანოებისაგან, განსაკუთრებით არაკეთილსინდისიერი კონკურენტების და მონოპოლისტებისაგან;

- გაურკვეველია სახვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა სამეწარმო საქმიანობის პრობლემების გადაწყვეტისას;

- არ არსებობს მცირე ბიზნესის მიმართ არჩევითი მიდგომების რეკომენდაციები რეგიონის, დარგის, სპეციფიკის გათვალისწინებით.

მცირე და საშუალო საწარმოები ხელს შეუწყობენ ეკონომიკის მდგრადი სექტორის შექმნას, ბევრი რთული პრობლემის გადაწყვეტას. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან დამოუკიდებლად, მიზანშეწონილია მათ დაბეგვრის, ფასწარმოქმნის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის ერთნაირი პრინციპები გააჩნდეთ.

სამწუხაროდ, არსებული კანონმდებლობა მხოლოდ მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ზედაპირულ გამიჯვნას ახდენს. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის ღონიერ, თუნდაც სასტარტო შეღავათებს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისათვის. საკუთრივ მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ კანონი გაუქმებულია 2006 წლიდან [38].

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ახალი კანონის მიღება „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის შესახებ“. მასში პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს ფირმების ფუნქციონირების ორგანიზაციული, საწარმოო, საფინანსო, მატერიალური, სოციალური-ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსური სისტემის შექმნა და წარმატებით დანერგვა პრაქტიკაში. ამასთან, ეს სისტემა უნდა დაეფუძნოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობის კონსტანტაციას როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში, ისე ცალკეულ რეგიონებსა და დარგებში. ღონისძიებები კი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ ორგანიზაციული და სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფას, შეღავათიან დაბეგვრას, საკრედიტო და სხვა ორგანიზაციების უფლებების გაფართოებას შეღავათიანი დაფინანსების სფეროში, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას, განვითარებას და სხვა.

კანონში სასურველია რეალიზებული იქნეს შემდეგი მომენტები:

- კანონში რეგლამენტირებული უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმოთა განსაზღვრის კრიტერიუმების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა.
- აუცილებელია, რომ კანონმა განიხილოს მცირე და საშუალო საწარმოთა ერთობლიობა როგორც საქართველოს ეკონომიკის განსაკუთრებული სტრუქტურული

ნაწილი, ეკონომიკური აგრეგატი, რომელშიც ფუნქციონირებენ საკუთრების ყველა ფორმის საწარმოები. ამიტომ მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს სამართლებრივი, საფინანსო და სოციალური რეგულირების პრინციპები სასურველია იყოს ერთიანი.

- კანონში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული მცირე (საშუალო) საწარმოს, როგორც დამოუკიდებელი საბაზრო სუბიექტის სამეურნეო სტატუსი: მისი სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა, იურიდიული პირის აღიარებული სტატუსი, უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ აწარმოოს ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, შევიდეს საბაზრო ურთიერთობებში ბაზრის ნებისმიერ სხვა სუბიექტთან, გააჩნდეს საკუთრების უფლება მის მფლობელობაში არსებულ ყველა საწარმოო რესურსზე და სხვა.

მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და თვითრეგულებადი ინსტიტუტი. საკმარისი არ არის შესაბამისი კომისიების და კომიტეტების შექმნა აღმასრულებელ და საკანონმდებლო სტრუქტურებში.

როგორც წესი, ფედერალურ დონეზე ხდება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ, რომელიც შეიცავს: თანმიმდევრული საკანონმდებლო სამუშაო პროგრამებს, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების მექანიზმებს და პროგრამებს, მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამების გადაწყვეტისათვის ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობის ფორმირებას, მუდმივი და შედარებითი სამეურნეო კლიმატის მონიტორინგის გამართვას და გადაწყვეტილების მიღებას ბიუჯეტთან დაკავშირებით.

მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკაში გადაწყვეტილი უნდა იყოს სხვადასხვა დონის ხელისუფლების პასუხისმგებლობის ურთიერთქმედების და გამიჯვნის პრობლემა. დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა ძირითადად ხდება ადგილებზე (მუნიციპალიტეტებში), აქვე განისაზღვრება განვითარების პრიორეტული მიმართულებანი, ხდება ხელსაყრელი პირობების შექმნა მცირე ბიზნესისათვის და, შესაბამისად, მთელი ტექნოლოგიური ხაზის დაკვირვება, პრობლემური მონაკვეთების გამოვლენა.

მივიჩნევთ, რომ აუცილებელია პოლიტიკური ნებისყოფა, რათა მოხდეს მუდმივი დიალოგი მცირე და საშუალო ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის. ამასთან, მცირე ბიზნესისათვის პრინციპულია არა ეკონომიკური განვითარების საერთო პრობლემების განხილვა, არამედ დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტა, გაურკვეველ გარემოში ფუნქციონირების ილუზიის დაძლევა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შექმნილია დამოუკიდებელი ორმხრივი კავშირი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს შორის. აღნიშნული მოთხოვნის პრინციპულობა განპირობებულია პირველ რიგში იმით, რომ ადმინისტრაციული ბარიერები წარმოიშობა, როგორც წესი, ერთმმართველობის პრინციპებზე დაფუძნებულ ბიუროკრატიული სტრუქტურების საქმიანობის შედეგად. მეორეც, მცირე ბიზნესს ბიუროკრატიულ ბარიერებს ზოგიერთ შემთხვევაში ასევე უქმნიან რეგიონული და მუნიციპალური უწყებები.

საჭიროა შემუშავდეს და კანონმდებლობით განმტკიცდეს ამ სექტორის ფუნქციონირება, ხოლო საქმიანობის შედეგებზე დაკვირვება მოხდეს გასაგები და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. ნათელია, რომ აღნიშნული სისტემის შექმნა წარმოუდგენელია მცირე და საშუალო ბიზნესში და მის ირგვლივ ურთიერთობების მთელი გამის ობიექტური მონიტორინგის გარეშე. ეს კი გულისხმობს ახალი საინფორმაციო მასივების ფორმირებას და სტატისტიკური დაკვირვების ახალი ფორმების დანერგვას.¹² ცხადია, მცირე ბიზნესის აღნიშნული ფუნქცია მხოლოდ მაშინ იქნება რეალიზებული, როდესაც სამეწარმო საქმიანობის შედეგები დაუკავშირდება მეწარმის მიერ საკუთარი საქმის გაძღოლის უნარს.

¹² ბოლო ოფიციალურმა გამოკვლევამ მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით მხოლოდ 2007-2008 წლები მოიცვა.

დასკვნები და ძირითადი მეცნიერული მიღწევები

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი დასკვნების და მეცნიერული მიღწევების წარმოდგენის საშუალება მოგვცა:

1. საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში პერმანენტულად ყალიბდება მცირე და საშუალო საწარმოთა (მსს) სექტორი, თანდათან იხვეწება მცირე და საშუალო მეწარმეობის როგორც სექტორული ისე დარგობრივი სტრუქტურა. საქართველოში საბაზრო სისტემისა და ბიზნეს სექტორის განვითარებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა 99,2% (318957 ერთეული) კერძოა. სწორედ კერძო სექტორში იქმნება ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების 88,4%, გამოშვებული პროდუქციის 90,3%, ბრუნვის 94,5%, კერძო სექტორშია დასაქმებულთა 80%.

2. მსს-თა სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად არის აღიარებული. საჭიროდ მიგვაჩნია საქართველომ გამოიყენოს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება, მოახდინოს მსს-ების განვითარებისა და მხარდაჭერის წარმატებული მოდელების დანერგვა. ამ პროცესში აუცილებელია ეროვნული, ტერიტორიული, კლიმატური, საწარმო და ინფრასტრუქტურული სპეციფიურობების, აგრეთვე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. ამ მხრივ გასაზიარებელია მეტ-ნაკლებად მსგავსი ევროპული ქვეყნების გამოცდილება.

3. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, საქართველოში 1980-იანი წლების ბოლოდან, მცირე ბიზნესის შეფასებისას გამოვყოფთ სამ პერიოდს:

- ა. მეწარმეობის ჩამოყალიბების პერიოდი (1990-1996);
- ბ. განვითარებისა და სტრუქტურული გაფორმების პერიოდი (1997-1999);
- გ. ცივილიზებული მოდერნიზაციის პერიოდი (2000 წლიდან დღემდე);

4. მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების კრიტერიუმების განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის მასშტაბი, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიურობები, დარგობრივი სტრუქტურა, ეკონომიკის განვითარების დონე. ეს კრიტერიუმები უნდა

იყოს ერთიანი და გადამოწმდეს პერიოდულად (4-5 წელიწადში ერთხელ) კორექტირების მიზნით;

5. აუცილებელია იმ სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც სწრაფი ეკონომიკური გარღვევა მოახდინეს მცირე პერიოდის განმავლობაში (იაპონია, ტაივანი, ჩინეთი). მიგვაჩნია, რომ მსბ-ის მხარდაჭერის უმთავრეს მიმართულებად საქართველოში უნდა იქცეს:

ა. მსს-თა მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მისაღებად;

ბ. მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ინტერგრაციის ხელშეწყობა ფრანჩაიზინგისა და სხვა ფორმების განვითარების გზით;

გ. მსს-ების სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოკვლევების ხელშეწყობა, შედეგათების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებაზე (მაგ., შედეგათიანი კრედიტების ინსტიტუტების შემოღება);

დ. მეწარმეობის დაფინანსების ვენჩურული მექანიზმის განვითარების ხელშეწყობა;

ე. მსს-თათვის საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება;

ვ. მსს-თა საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობა;

ზ. არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაინტერესება მსს-თა ხელშეწყობისათვის, რაც შესაძლოა ბიუჯეტიდან დაფინანსების ალტერნატიულ წყაროდ იქცეს;

თ. საკრედიტო რესურსების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ი. საგადასახადო სისტემის სრულყოფა;

კ. მსს-თა მაღალი რისკის პროგრამების სახელმწიფო დაზღვევის უზრუნველყოფა;

ლ. მსს-თა რეგიონული განვითარება, მეწარმეობის მხარდაჭერისა და განვითარების დეცენტრალიზაცია ცალკეული რეგიონების სპეციფიკისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით;

6. აუცილებელია ქვეყანაში შემუშავდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგია, რომელიც არსებულ გამოცდილებასთან ერთად სერიოზულ თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს დაემყარება.

7. თავისუფალი მეწარმეობის ინსტიტუციური ბაზის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მეწარმეობის სამართლებრივი რეგულირება. მიგვაჩნია, რომ მისი სრულყოფა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

ა) კანონებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ჰარმონიზაცია მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირების, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივების და ამ პროცესში მონაწილე სახელწიფო სტრუქტურების რაოდენობის შემცირების გზით;

ბ) კერძო საწარმოთა სარეგისტრაციო სალიცენზიო და ადმინისტრაციული პროცედურების სრულყოფა მათი გამარტივებისა და ხელმისაწვდომობის ამაღლების თვალსაზრისით;

გ) კანონებისა და მარეგულირებელი წესების შემუშავებაში კერძო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდა მათი მოთხოვნების უკეთ გათვალისწინების მიზნით;

8. საჭიროა კანონის მიღება „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც გაითვალისწინებს ახალ რეალობას, ამ სექტორის ქმედით მხარდაჭერას და არ მოახდენს მხოლოდ დეფინიციების დაფიქსირებას. მასში პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს ფირმების ფუნქციონირების ორგანიზაციული, საწარმოო, საფინანსო, მატერიალური, სოციალური-ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსური სისტემის შექმნა და წარმატებით დანერგვა პრაქტიკაში;

9. საჭიროა მსს-თა მხარდაჭერა მაკროეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად იქნას აღიარებული. ამასთან, სახელმწიფო რეალურად უნდა იქცეს მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიულ პარტნიორად, რომელიც ამ სექტორს სამეურნეო საქმიანობისათვის ეფექტიან ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას და ეკონომიკურად

მიმზიდველ პირობებს შეუქმნის, უზრუნველყოფს კაპიტალის ბაზარზე მათ შესვლას, დაეხმარება ინვესტირებაში, დაიცავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან;

10. მიგვაჩნია, რომ მცირე საწარმოების მიმართ უნდა დაწესდეს სასტარტო შეღავათები. კერძოდ, ახლადშექმნილი მცირე საწარმოები ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში უნდა გაუნახევრდეთ მოგების გადასახადი;

11. მცირე საწარმოებს უფლება უნდა მიეცეთ ისარგებლონ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებით;

12. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, მს-თა ინდექსების გამოთვლამ გვიჩვენა, რომ მცირე ბიზნესის განვითარებაში შეინიშნება რამდენიმე ეტაპი: არასტაბილურობა – 2007–2008 წლები; პიკი – 2009 წელი; სტაბილური პერიოდი – 2010–2011 წლები; საშუალო ბიზნესის განვითარებაში შეინიშნება რამდენიმე ეტაპი: სტაბილურობა – 2007–2008 წელი; ვარდნა – 2009 წელი; ზრდა – 2010;

13. ჩატარებულმა გამოკითხვის ანალიზი ადასტურებს, რომ მს-ებს ყველაზე მეტად ფინანსური მხარდაჭერა ესაჭიროებათ (გამოკითხულთა 68,9%). ამ სექტორისათვის სახელმწიფო დახმარება პრიორიტეტულია საწარმოო პერსონალის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლებასა და კოოპერაციის განვითარებაში. პესიმისტურად არიან განწყობილი მეწარმეები მხარდაჭერის მიღების მიმართ, რამდენადაც 47% თვლის, რომ მხარდაჭერის მიღება არარეალურია და არც უცდიათ. მხოლოდ 56,3% თვლის, რომ სამეწარმეო გარემო ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მათი 75% არ იხდის არაოფიციალურ გადასახადს, 12,5% კი იხდის იშვიათად. 90,6%-ს შეადგენს იმ საწარმოთა წილი, რომლებიც სარგებლობენ სესხით, თუმცა, მეწარმეთა 53,1% აღნიშნავს რომ სესხის აღების პირობები ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 28% თვლის რომ სესხი აღების პირობები უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. დადებით ტენდენციად უნდა იქნას მიჩნეული, რომ უნაღლო ანგარისწორებას საწარმოთა 6,4% ახორციელებდა.

14. აუცილებელია სალიზინგო ოპერაციების დანერგვის სტიმულირება. ლიზინგს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს სასტარტო კაპიტალის ფორმირებაში და შესაბამისად ამ სექტორის განვითარებაში, რამდენადაც მეწარმეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ ძირითადი საშუალებები ერთდროული დანახარჯების გაწევის გარეშე; ფინანსური ლიზინგის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთი წარმოებებისათვის, რომლებიც სეზონურობასა და ციკლურობაზე მაღალი დამოკიდებულებით ხასიათდებიან;

15. მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის კომპონენტად უნდა იქცეს სახელმწიფოს შესყიდვების პროცესში ამ სექტორის აუცილებელი ჩართვა (პრეფერენციები მონაწილეობისას). მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ეტაპზე მცირე და საშუალო საწარმოთა კვოტამ შეადგინოს სახელმწიფო კონტრაქტების მთლიანი მოცულობის მესამედი. ასევე მიზანშეწონილია საკრედიტო რესურსის მინიმუმ 40%-ანი კვოტა დაწესდეს მცირე საწარმოებისათვის „იაფი კრედიტი“ ან მსგავს სახელმწიფო პროგრამაში;

16. ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს თავისუფალი მეწარმეობის მხარდაჭერის საკრედიტო ფინანსური მექანიზმების სრულყოფა-განვითარება. დღევანდელ საქართველოში მრავალი მიზეზი არსებობს, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის ეკონომიკის რეალური სექტორისათვის, განსაკუთრებით კი მცირე საწარმოებისათვის, ფინანსურ რესურსებს. ამ მიზეზებია: კრედიტების აუცილებელი უზრუნველყოფის უქონლობა; სასესხო პროცენტის მაღალი განაკვეთები; გრძელვადიანი კრედიტების დაბალი ხვედრითი წილი; გარანტიებისა და გირაოს უქონლობა და სხვ;

17. აუცილებელია მოგვარდეს საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმებთან დაკავშირებით პრობლემები საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით. ბუნდოვანია მიკრო ან მცირე ბიზნესისათვის დაწესებული ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობების კონტროლის მექანიზმები იმ პირობებში, როცა მცირე და მიკრო ბიზნესის წარმომადგენლები საბუღალტრო

დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოებისაგან, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მრავალი მფლობელი სალარო აპარატების გამოყენებისგანაც იქნება გათავისუფლებული;

18. მსს-თა სახელმწიფო მხარდაჭერის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მისთვის საგადასახადო პრეფერენციების მინიჭება. მიგვაჩნია, რომ ყველაზე წვრილი ბიზნესისათვის, რომელიც მომსახურებას უწევს მოსახლეობას, შესაძლებელია ნებაყოფლობითი გადასახადის (პატენტის) გამოყენება. ბიზნესისათვის, რომლის რეალიზაციისა და ხარჯების მოცულობები ძნელად კონტროლირებადია, შესაძლებელია ზოგადი ან გამარტივებული რეჟიმისადმი დამატებად განხილულ იქნას მინიმალური სავალდებულო გადასახადის გამოყენება, მცირე საწარმოებისათვის რეალურ ფულად ნაკადებზე გადასახადის სახით გამარტივებული რეჟიმის ნებაყოფლობითი გამოყენება;

19. ბოლო პერიოდში ბიზნესის რეგულირების კუთხით არსებული უამრავი პოზიტივის მიუხედავად, რიგი პრობლემები მოგვარებას საჭიროებს. სახელდობრ, კერძო სექტორის დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს სრულად დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ბიზნესის საქმიანობაში მთავრობის უკანონო ჩარევისგან და საკუთრების უფლების ხელყოფისგან მის დაუცველობას განაპირობებს; სუსტია ბიზნეს-სექტორის კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან;

20. ბიზნეს-სექტორის განვითარების პრიორიტეტულობის მიუხედავად, მიგვაჩნია რომ „ათპუნქტიანი გეგმა“ მეტისმეტად ოპტიმისტურია და არ გამომდინარეობს ქვეყნის განვითარების რეტროსპექტული კანონზომიერებებიდან. მასში კრიტიკულად არ არის შეფასებული უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ განვითარებაში ჩამოყალიბებული რეალური კანონზომიერებები, დღეისათვის არსებული პოზიტიური და ნეგატიური მხარეები და არაა გახსნილი მათი განმპირობებელი ძირითადი ფაქტორები და პირობები;

21. მეწარმეობის აქტიურ მხარდასაჭერად შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორც არის ბიზნეს-ინკუბატორები, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენას და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების სწრაფად დანერგვას. საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობა მიზანშეწონილია წარმართოს მატერიალური წარმოების სფეროში მეწარმეობის მხარდასაჭერად და მომსახურების სფეროში – მეწარმეობის განსავითარებლად;

22. მიზანშეწონილად მიგვაჩნია უნივერსიტეტების ბაზაზე ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრის ფორმირება, რომელიც შეიძლება იქცეს ინოვაციური მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მიმართულებად. ამისათვის მრავალ უნივერსიტეტსა და დარგობრივ უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია ძლიერი პროფესიული და ტექნიკური ბაზა;

23. მცირე საწარმოს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდ მასშტაბებში „შთანთქოს“ დაუსაქმებელი მუშახელი, რომელიც გამონთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან, შეამციროს ან განმუხტოს ეკონომიკური კრიზისის თუ ვარდნის პირობებში წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობა. ამდენად, ნებისმიერი რეფორმისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი სწორედ სამეწარმეო აქტივობის გამოცოცხლება უნდა იქცეს, რომლის „ლომის წილი“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მოდის.

ამრიგად, მივიჩნევთ, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, საშუალო კლასის ჩამოყალიბება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ადგიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ., 1998.
2. არნანია-კეპულაძე თ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. თბ., 2009.
3. ასათიანი რ., მომსახურება და საბაზრო სისტემა. თსუ, 1993.
4. ბოლტონის (დიდი ბრიტანეთი) კომიტეტის მოხსენება, 1971 (Bolton Committee Report (England) in 1971). www.isbe.org.uk
5. გაეროს ვებგვერდი - www.un.org
6. გოცირიძე რ., კანდელაკი ო. გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. „ელფი“, თბ. 2001.
7. დეისაძე ე., ჩიხლაძე ნ., გაბელაშვილი კ. შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში. ქუთაისის უნივერსიტეტი, „მბმ-პოლიგრაფი“, 2012.
8. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი (NIS) - მოხსენება 2011 (transparency.ge/nis/ka/2011/ბიზნესი)
9. ვაშაკიძე თ. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში“. თბ., 2009.
10. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი. საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები. გორი, 2008.
11. იაშვილი გ. სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2009.
12. მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები. თსუ, 2011. გვ. 21.
13. მესხია ი., ბასარია რ. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. თბ., 2001.
14. მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თსუ, 1996.
15. მექვაბიშვილი ე., „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა“. <http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/07/blog-post.html> (2.07.2010)
16. მცირე ბიზნესის დაკრედიტების საკონსულტაციო ვებგვერდი - www.kreditbusiness.ru/foreignbusiness.html
17. ოთინაშვილი რ., ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია. თბ., 2002.
18. პავლიაშვილი ს., პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბ., 2009.
19. პაპავა ვ., „ლიბერალიზმის ქართული გაგება და „უკან“ ევროპისაკენ კოლუმბისეული გზით. გაზ. „24 საათი“, 27.11.2006, №263.
20. როსტიაშვილი თ. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის და განვითარების სტრატეგია საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2009.
21. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. ოფიციალური ვებგვერდი - www.transparency.ge
22. საქართველოს ეკონომიკა (რედ. რ. ასათიანი). ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბ., „სიახლე“, 2012.
23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 8 აგვისტოს №790 დადგენილება „მცირე საწარმოთა შექმნისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

24. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 3 აგვისტოს №585 დადგენილება
25. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 ნოემბრის №326 დადგენილება
26. „საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2000“. თბ., 2001.
27. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000. თბ., 2001.
28. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2001“. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2002.
29. საქართველოს პარლამენტი. საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა. თბ., 2000.
30. სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
31. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2011. www.napr.gov.ge
32. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მეწარმეობა საქართველოში 2011.
33. საკონსულტაციო საიტი - <http://rusref.nm.ru>
34. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. პროექტის „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა“ ანგარიში. 2009.
35. საქართველოს განათლების სამინისტროს ვებგვერდი - www.mes.gov.ge
36. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
37. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N415 დადგენილება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ (21.02.2012 N58 ცვლილებებით)
38. საქართველოს კანონი „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე (24.05.2006)
39. საქართველოს კონსტიტუცია
40. **სმიტი ა.**, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (ფ. გოგიჩაიშვილის თარგმანი). თსუ, 1938.
41. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი - “საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2003”.
42. **ტერაშვილი ნ., გიგლაშვილი რ.**, მცირე ბიზნესი საქართველოში. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. I ტ., თბ., 1995.
43. **უფლისაშვილი გ.**, დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით. კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკა და მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ შრომების კრებულში, ქუთაისის უნივერსიტეტი, 2010.
44. **უფლისაშვილი გ.**, ფიქსირებული დაბეგვრის რეჟიმი საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები“ შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2012.
45. **ქემელაშვილი ო.**, ბიზნესის ძირითადი პრობლემები, მოტივაციები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. საქ. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1997. გვ. 201.
46. **ყამარაული ს.**, უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი, თბ. 2002.
47. **ჩიხლაძე ნ.**, ეკონომიკა და მართლმადიდებლური სწავლება. თბ., „ინოვაცია“, 2009. გვ. 48-50.

48. **ჩიხლაძე ნ.**, ზოგადი ეკონომიკის. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2008.
49. **ჩიხლაძე ნ.**, ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკური პროფილი“, №3, 2007.
50. **ჩიხლაძე ნ.**, ჩრდილოვანი ეკონომიკა, რეგიონული პრობლემები. ქუთაისი, 2005.
51. **ჩიხლაძე ნ.** საქართველოში ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირების საკითხისათვის. ახ. მეცნ. ასოც. II რესპ. კონფ. სამეცნ. შრ. კრებულში, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004.
52. „ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების საგანგებო პროგრამის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების შესახებ“, გაზ. „ბანკები და ფინანსები“, #59, 2000.
53. **ჭითანავა ნ.**, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., სესპსკი შრმების კრებული, 2000.
54. **ჭითანავა ნ.**, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., სესპსკი, 1997.
55. **ჭითანავა ნ.**, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., სესპსკი, 1999.
56. **ხიზრიჩი რ., პიტერსი მ.** მეწარმეობა, ანუ როგორ დავიწყოთ საკუთარი საქმე და მივალწიოთ წარმატებებს. „საქართველო“, ქუთაისი, 1994.
57. **ჯულაყიძე ე., ბარბაქაძე ი.**, მეწარმეობა. ქუთაისი, 2004.
58. **Агеев А.** Предпринимательство: проблемы собственности. Учебник. М.: Экономист. 2004.
59. **Бейтон А., Казорла А., Долло К., Дре А.**, 25 ключевых книг по экономике. Челябинск: Урал LTD, 1999.
60. **Брагина Е.** Малое предпринимательство в переходной экономике Юга //Мировая экономика и международные отношения. № 1, 2001.
61. **Бунич А., Гуров А.**, и др. Теневая экономика. М., «Экономика», 1991.
62. **Виталисова Н.**, «Бизнес-журнал Онлайн» (19.08.2005).
63. **Гатаулин А.**, Математическое пособие по математической статистике, раздел 2. М., 1970.
64. **Гурьянов П.**, Критерии определения размеров малого и среднего бизнеса. №10, 2011.
65. Два кита испанской экономики. Опыт развития малого и среднего бизнеса / Под редакцией **В.Л. Верникова.** – М.: Весь мир, 2010.
66. **Жид Ш., Рист Ш.**, История экономических учений. М., «Экономика», 1995.
67. **Кабо Р., Рубин И.**, Народное хозяйство в очерках и картинах. М., «Книга», 1924.
68. **Калинин А.**, Анализ развития и состояние малого и среднего бизнеса в мире. журн. «Экономика, предпринимательство и право». №4, 2011.
69. **Капелюшников Р.** Философия рынка Ф. Хайека // Мировая экономика и международные отношения. 1989. № 12.
70. **Кирпичников А.**, Взятка и коррупция в россии. «Альфа», Санкт-петербург, 1997.
71. **Ключников И., Молчанова О.** Финансовые кризисы: теория, история и современность. Санкт-Петербург, 2011.
72. **Колесникова Л.** Порядок для хаоса: государство и предпринимательство в переходной экономике. – М.: Эдиториал УРСС, 2001.

73. **Коуз Р.** Природа фирмы. - М.: Дело, 2001
74. **Лапуста М., Старостин Ю.Л.** Малое предпринимательство : учебник. М.: ИНФРА-М, 2007.
75. **Личко К.,** Прогнозирование и планирование агропромышленного комплекса. М., Гардарики, 1999. -264
76. **Макконнелл К., Брю С.,** Экономикс. М., «Инфра-М», 2000. ч. I.
77. **Мицкий А.,** Кредитно-финансовая поддержка функционирования и развития малого и среднего бизнеса. Ставрополь, 2007.
78. Национальный институт системных исследований проблем предпринимательства - www.nisse.ru
79. Растущий малый и средний бизнес в России и за рубежом: роль и место в экономике. Фонд Ресурсный центр малого предпринимательства. М., 2010. (<http://www.rcsme.ru>)
80. Современный экономический словарь. М., «Инфра-М», 1996.
81. Стратегический менеджмент малых и средних предприятия: учебник; пер. С англ. Ф. Аналоуи, А. Карамии. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2005.
82. **Хайек Ф. фон.** Познание. Конкуренция и свобода. С-Пб. 1999.
83. **Хоскинг А.,** Курс предпринимательства. М., «Международные отношения», 1993.
84. **Шкробела Е.,** Налогообложение малого бизнеса в России: проблемы и перспективы решения. Москва, ИЭПП, 2008.
85. **Шумпетер Й.,** Теория экономического развития. М., "Эксмо", 2007.
86. **Bird R.M., Wallace S.** Is It Really So Hard to Tax the Hard-to-Tax? The Context and Role of Presumptive Taxes. Prepared for a Conference on The Hard to Tax Sector, International Studies Program, Andrew Young School of Policy Studies Stone Mountain, Georgia, May 15–16, 2003.
87. Dictionary of Economic and Management. „Taxis“, 1996.
88. **Engelschalk M.** Creating a Favorable Tax Environment for Small Business Development in Transition Countries. Paper presented at Conference on the Hard-to-Tax. Andrew Young School of Public Policy. Georgia State University. 2003.
89. European Commission, Community Research and Development Information Service - www.cordis.europa.eu/fp7/
90. First Section of the Annual Report on EU Small and Medium-sized Enterprises. By David Audretsch, Rob van der Horst, Ton Kwaak, Roy Thurik. Published by EIM, the Netherlands, January 2009.
91. **Kirzner I. M.,** Perception, Opportunity and Profit: Studies in the Theory of Entrepreneurship, Chicago, 1973.
92. **Madura J.,** Introduction To Business. Fourth Edition, 2007.
93. **Shome P., Schutte C.** Cash-Flow Tax (in Tax Policy Handbook). ed. by Shome P. Washington D.C.: Tax Policy Division, Fiscal Affairs Department, International Monetary Fund, 1995.
94. **Shome P.** Tax Administration and the Small Taxpayer. IMF Policy Discussion Paper PDP/04/2. IMF. 2004.
95. **Stiglitz J.** The Corporation Tax // Journal of Public Economics 1976.
96. Taxation and Small Business. OECD, 1994;
97. The World Bank and the International Finance Cooperation, Ease of Doing Business in Georgia, <http://doingbusiness.org/data/exploreconomies/georgia#starting-a-business>

98. Transparency International Corruption Perceptions Index 2005.
99. Understanding growth priorities at small and medium-sized businesses. Economist intelligence Unit, 2009.
100. Institut für Mittelstandsforschung Bonn - www.ifm-bonn.org